გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

15-21 აპრილი, 2009 №9

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით   ფასი 1 ლარი.   ელ.ფოსტა: info@geworld.net



# ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას გაუმარჯოს!





## მუხრან მაჭავარიანი 80 წლისაა

16-17

სად არიან მიშას მეგობრები?! 2

„ჩი ხვორი, ჩი პასკუდა კაკაია“ 3

ერთხელ ბანანის რესპუბლიკაში 4-5

სამარცხვინო ხუთეული 9

რატომ ერჩუბა გოგი თოფაძე მეთიუ ბრაიზას?! 11

როგორც კი სიტუაცია იძაბება, კოკო შვეიცარიაში მიდის 14

აღმოსავლეთ ევროპას სიღარიბე ელოდება 25

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ფოტორეპლიკა


დათო, ვიჩქაროთ, თორემ შეგვასწრო გამყრელიძემ


დათო, ვიჩქაროთ, თორემ შეგვასწრო ალასანიამ


გრეჩიხ, გამეცალე, ახლა ჩემი დროა!

### გა ჟრიაზ ეხმერნი


**გიორგი შენგელაია,**
კინორეჟისორი

ვფიქრობ, რომ ჩემმა ძმამ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. მიტინგების დაწყების დღეს, როდესაც ჩემი ძმა იმ „ინტელიგენციასთან" შეხვედრაზე დავინახე, რომლებიც გამოიჭირა ამ ხელისუფლებამ (წურწუმია, ზუმბა და ა.შ), ძალიან შევწუხდი... იმ დღეებში, როცა ჩემი ძმა დააჯილდოეს, მუხრანმა ვაჟკაცობა გამოიჩინა და უარი უთხრა მთავრობას მანქანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მოგეხსენებათ, რა გაჭირვებით ცხოვრობს. რაც ჩემმა ძმამ გააკეთა, ეს არის, პირდაპირ გეტყვით, ჩემი ოჯახის შეურაცხყოფა... ჩემს ძმას დიდი ხანია უკვე, რაც აღარ ველაპარაკები.


**მიხეილ სააკაშვილი,**
საქართველოს პრეზიდენტი

უახლოეს 4 წელიწადში, რაც ჩემი პრეზიდენტობის ვადაა, მე და ჩემი მთავრობა ქვეყანაში ახალი მასშტაბის ჰესის აშენებას ვაპირებთ, რომელიც ენგურჰესის ტოლი იქნება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრება ენერგოუსაფრთხოების პრობლემა, რომ, ძირითადად, ელექტროენერგიის იმპორტზე დამოკიდებული აღარ ვიქნებით, ჩვენი ელექტროენერგია იაფი და უსაფრთხო იქნება და ამ სექტორში უახლოეს პერიოდში ათასობით ადამიანი დასაქმდება.


**ეკა ტყეშელაშვილი,**
უშიშროების საბჭოს მდივანი

თუ დემონსტრაცია იქნება ისეთივე მშვიდობიანი, როგორიც იყო გუშინ და როგორიც არის დღეს, ჩვენ არანაირი საფუძველი არ გვექნება ხელის შეშლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რომელიმე სახელმწიფო შენობაში შეჭრის მცდელობა, რასაკვირველია, ასეთი ფაქტი იქნება აღკვეთილი.


**გრიგოლ ვაშაძე,**
საგარეო საქმეთა მინისტრი

შეგვიძლია ვისაუბროთ საკონსტიტუციო რეფორმაზე, ელექტორალურ კოდექსში ცვლილებებზე ან ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების თაობაზე.

# სად არიან შენი მეგობრები?!

**როდესაც თბილისის ქუჩებს „მიშა, წადის!" შეძახილი აზანზარებდა, საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ რეზიდენციაში შეხვდა ჟურნალ „ნიუსვიკის" კორესპონდენტს და ინტერვიუ მისცა... უფრო სწორად, გედის სიმღერა უმღერა. სააკაშვილის პასუხების მორალური ან სხვა სახის შეფასებისაგან თავს შევიკავებთ, თავად გაეცანით ამონარიდებს ამ ინტერვიუდან და დასკვნებიც თავადვე გამოიტანეთ.**




**— ვინ მოითხოვს თქვენს გადადგომას?**

— **ძირითადად, უმუშევარი ხალხი. ჩვენი რეფორმების შედეგად, სამუშაო დავაკარგვინეთ დაახლოებით 250 ათას კაცს.** ამ ადამიანთა უმეტესობამ ახალ ეკონომიკურ სიტუაციაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. კორუფციისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისას ათასობით კაცი საპატიმროში ჩავსვით. **მარტო თბილისში განაჩენი გამოვუტანეთ 8 ათასამდე ადამიანს. დღეს ქუჩაში მათი ნათესავები გამოვიდნენ და ჩემს გადადგომას მოითხოვენ.**

**— თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ, რა არის ყველაზე მტკივნეული ამ კრიტიკაში?**

— არ მაწუხებს, საქართველოში რომ მაკრიტიკებენ, ამას მთელი დღეები ვისმენ ორი ოპოზიციური ტელეარხიდან. **არ ველოდი, რომ ამ რევოლუციის მოლოდინში დასავლეთი გაინაბებოდა. საფრანგეთის ოფიციალურმა დელეგაციამ ვიზიტიც კი გადადო. თურქულმა კომპანიამაც კონტრაქტზე ხელმოწერა — 9 აპრილის, ხოლო არაბულმა კომპანიამ 12 აპრილის შემდგომი დღეებისთვის გადადეს.** რა დაემართა ამ ხალხს? განა ჩვენ პარიზში ან სტრასბურგში არ ჩავდივართ მაშინ, როცა იქ ქუჩის საპროტესტო აქციები იმართება?

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ საქართველო რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების გარიგების საგნად იქცეს? როგორ აისახება საქართველოზე აშშ პოლიტიკა ახალარჩეული პრეზიდენტის მმართველობისას?**

— კრემლი ობამასთან შეთანხმების მიღწევას შეეცდება — მაგალითად, ეტყვის, რომ რუსეთი შეერთებულ შტატებს დაეხმარება ავღანეთში, ირანსა და შუა აზიაში, ხოლო, სანაცვლოდ, აშშ დაეხმარება რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე მისი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვასა და ქვეყნის ლიდერის შეცვლაში.

**ბევრს მიაჩნია, რომ რუსეთთან ჩემი ურთიერთობები ჩიხში მოექცა. უწინ უფრო მოხიბლული ვიყავი ამერიკის პოლიტიკით.**

**— დღეს ვინ გიჭერთ მხარს ამერიკაში?**

— საკმაოდ ბევრი კარგი კონტაქტი მაქვს. რა თქმა უნდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი მუდამ იყო ჯონ მაკეინი. შეიძლება ითქვას, ის თითქმის ქართველია. მომავალ კვირას ან ოდნავ მოგვიანებით მას საქართველოში ველით.

**— გრძნობთ, რომ დასავლეთს იმედი გაუცრუეთ? პრეზიდენტ ობამას უკვე ესაუბრეთ?**

— დიახ, რასაკვირველია, ტელეფონით ველაპარაკე. პრობლემას ჩვენ არ ვქმნით, პრობლემა მათ საშინაო პოლიტიკაშია.

**ჩვენ ინტეგრირებული გახლდით აშშ შიდა პოლიტიკაში. ხელისუფლების შეცვლისას ამერიკაში გარკვეული ვაკუუმი შეიქმნა. არავინ იცოდა, როგორ მოგვქცეოდა.**

**საფრანგეთის ჩათვლით, ყველა ობამას დირექტივებს ელოდა საქართველოსთან მიმართებაში.**

აღფრთოვანებული ვარ ამერიკული იდეებით. ვაიდეალებდი ბუშისეულ ამერიკას, როცა იდეები პრაგმატულ პოლიტიკაზე ძვირად ფასობდა.

**ახლა კი იდეებზე პრაგმატული პოლიტიკის ზეობის ხანა მოვიდა. ეს დააზარალებს ამერიკას, რომელსაც მე ვიცნობდი.**

**ანა ნემცოვა,**
**2009 წლის 11 აპრილი**

## ფოტორეპლიკა


მიშა მაგარია!..


ლომაია მართალია!..


პაშლი ვსე ნახ... ჩემს მერე ქვას უთოვია!

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ფოტორეპლიკა



დათო, პიჩქაროთ, თორე გადაგვასწრო ალასანიამ



ბარაქ ბიძია, არ გაუბრაზდე, ესენი ჩვენიანები არიან



ორიანს გიჭერთ კონსპირაციაში!

# „ჩი ხვორი, ჩი პასკუდა კაკაია“

**მადლიერ ქართველობას სულ სანთლები რომ ენთო სააკაშვილისთვის, დღე დაეღამებინა და ღამე ეთენებინა მის ლოცვაში, „ნიუსვიკისათვის“ მიცემული ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, სულ ცოტა, ფსიქიატრთან უნდა გაექანებინა პრეზიდენტი მიშა. აბა, აუტოდაფეს ხომ არ მოუწყობდა?**



სრულ ჭკუაზე მყოფი ასე არ ლაპარაკობს.

ან მთვრალია.

თუმცა, რაც მთვრალს ენაზე არ ადგება, ფხიზელს გონებაში უტრიალებს.

ესე იგი, ასე ფიქრობს და ასე აზროვნებს.

ეს გონებაჩლუნგი მრჩევლებიც რომ შემოეცალნენ? გალაკტიონი და ანა ერთმანეთში რომ ერეოდათ, რუსთაველი და ორბელიანი — ასევე, და აკაკის ლექსი სამასი წლის წინათ დაწერილი რომ ეგონათ...

გონებაჩლუნგებს ერთმანეთი ჭკვიანები ჰქონიათ.

მაგრამ, ალბათ, ისინიც კი ურჩევდნენ, ჩვენო მამავ და მარჩენალო არქიფო, და ასე შემდეგ, ნუ იგულახდილებ უცხოელ კორესპონდენტთან, მიუხედავად იმისა, რომ ქალია და ჰქვია ანა, რადგან ნემცოვაა და არა კარენინა და შენი სიყვარულისთვის თავს არ დადებს მატარებლის ლიანდაგზე. ნუ ეტყვი ანას, რომ შენმა **„რეფორმებმა 250 ათასი კაცი უმუშევარი დატოვა და ამ ხალხმა თავისი ადგილი ვერ იპოვა ახალ ეკონომიკაში“.** მაშ, ვინ ეშმაკებისთვის ატარებდი ამ რეფორმებს? არც იმის განცხადებაა მომგებიანი — **„კორუფციასთან და დამნაშავეობასთან ბრძოლაში ათასობით ადამიანი ჩავსვით ციხეში. მარტო თბილისში 8 ათას კაცს გამოვუტანეთ განაჩენი“.** ქვეყანაა თუ საპყრობილე?!

იდიოტიზმის მწვერვალი იქნება, ბატონო მიხეილ, არქიფო და ა.შ., თუ აპრილის დემონსტრაციებზე გამოსულ ხალხის მასას მათ უკმაყოფილო ნათესავებად გაასაღებთ, რომლებიც **„ითხოვენ თქვენს გადადგომას“.**

რომ ეთქვათ, მაინც ვერ შეასმენდნენ, ვერ გააგებინებდნენ. არაადეკვატურია, ახლა მით უფრო და იმიტომ. ასეთ კაცზე ჩვენს მეგობარ უკრაინაში ამბობენ: **„ჩი ხვორი, ჩი პასკუდა კაკაია“.** „პასკუდაზე“ ბოდიშს გიხდით, რადგან „ჩათლახს“ ნიშნავს, „ხვორი“ — ავადმყოფს: ან ავადაა ან... და ა.შ.

ამიტომ ავადმყოფზე შევჩერდეთ, მით უფრო, რომ ცნობილი ფსიქიატრი და კრიმინალისტი მიხეილ (!) ვინოგრადოვი საქვეყნოდ აცხადებს: **„სააკაშვილი არამდგრადი ფსიქიკის ადამიანია, დიდად ამბიციური, რაც არ ესადაგება მის შესაძლებლობებს“.**

ასეთი ადამიანები სხვისი რჩევის მიღებას კი არა, საკუთარ შეხედულებებში ვერ ერკვევიან.

**„იგი სოციოპათად მესახება,** — განაგრძობს ფსიქიატრი, — **რაც ფსიქოპათის დიპლომატიური შესატყვისია“.**

ასეთი შესატყვისობით ახსნილი მდგომარეობა რომ არა, განა მისცემდა თავს უფლებას, ეთქვა, რომ **„ამერიკაში იყო ერთგვარი ვაკუუმი ხელისუფლების გადაბარების პერიოდში?!“** ან ერთი ხელის მოსმით გააბითურებდა საფრანგეთს, რომლის პრეზიდენტმა, ბატონმა სარკოზიმ აგვისტოს ომში გადაურჩინა საკუთარი სიცოცხლე?! შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ **„ყველა, საფრანგეთის ჩათვლით, ელოდა ობამას მითითებას, როგორ უნდა მოპყრობოდნენ საქართველოს“.**

მიშას ნიკოლა სარკოზი თავისნაირი **„ბუშის პროექტი“** ჰგონია, რომლის **„ხელმძღვანელობით გავაიდეალე ამერიკა“** (!), და სულ მთლად გალუარსაბებულია, როცა აცხადებს: **ბუშის დროს „იდეები პრაგმატულ პოლიტიკაზე მეტად ფასობდა“.**

ასეთ შემთხვევაში თავად თათქარიძისთვის რომ ეკითხათ, რატომო, რით დაგვისაბუთებ სააკაშვილის შეხედულებას, რომ **ამგვარი პრაგმატიზმი „გააფუჭებს ამერიკას, რომელსაც მე ვიცნობ“,** იგი თავის უკვდავ არგუმენტს გაიმეორებდა: **„შენ ხომ ჩიხირთმა გგვრის მშიერს პირში ნერწყვსა, მე კი — ბოზბაში მაძღარსაცა“.**

ასეა, ლუარსაბ ნიკოლაევიჩ, ბატონო მიხეილ, არქიფო და ა.შ.!

იყავ ღირსეული, ცოტა მაინც და ცრემლით ნუ დაუსველებ გულისპირს ანა ნემცოვას, „ნიუსვიკის“ კორესპონდენტს: **„უწინ ამერიკელ პოლიტიკოსებს უკეთესი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემ მიმართ“.** და შემდეგ, პატარა ბიჭებმა უფროსების დასახელება რომ იციან საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად, ზუსტად ისე: **„ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოველთვის იყო ჯონ მაკეინი... კარგი ურთიერთობა მაქვს ჰილარი კლინტონთან, ჯოზეფ ბაიდენთან და, განსაკუთრებით, რიჩარდ ჰოლბრუკთან — იგი ჩემი მასწავლებელია“.**

დაგიტოვებივართ მეთიუ ბრაიზას იმედად!

ბრაიზაც რომ გაუშვიათ?!

**გიორგი გიგიბერია**

## ეხუღნი

**გია მაისაშვილი,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი



ეს ხელისუფლება იყო ბრაიზას სატელიტი. ახლა ქართველმა ხალხმა უნდა გაათავისუფლოს საქართველო ბრაიზას მარიონეტი სააკაშვილისგან.

**მამუკა კაციტაძე,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი



ეს ადამიანი დღითიდღე არაადეკვატური ხდება. თბილისში ამხელა მასშტაბის მიტინგია და სააკაშვილი ტბებზე და სკვერებზე საუბრობს. ალბათ, ის ოპოზიციის ნერვების გამოცდას აწყობს, მაგრამ ვნახოთ, რომელი აჯობებს — სააკაშვილი თუ ხალხის ნება.

**ბეჟან გუნავა,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი



მიშა, მოვედით, ნუ ხარ დამალული, გამოიხედე და შეხედე იმ ხალხს, რომელსაც შენი გადადგომა უნდა. შენ მოკალი გირგვლიანი, რობაქიძე და დააპატიმრე უსამართლოდ უამრავი ადამიანი. შენ წაართვი ქართველ ხალხს ქონება. ჩვენ უკან არ დავიხევთ, არ გამოხვალ და გამოგიტანთ იქიდან!

**რევაზ მიშველაძე,**
მწერალი



რამდენ ხანს უნდა ჰყავდეთ ნახევარი მილიონი ადამიანი პარლამენტის წინ? ხალხს პურის ფული აქვს საძებნი. რა, დაწყდეს ხალხი შიმშილით? სააკაშვილი არ წავა კინწისკვრის გარეშე. იგი ქართველებმა კინწისკვრით უნდა გამოაგდონ პარლამენტიდან იმავე მეთოდით, რა მეთოდიც თვითონ გამოიყენა 22 ნოემბერს... ვინც წარმოადგენდა პირველ დამკვრელ რაზმს სააკაშვილისას, ახლა ანგელოზებად ნუ მოგვევლინებიან. მე მათი არ მჯერა, კერძოდ, ნოღაიდელის, ნინო ბურჯანაძის, ოქრუაშვილის და სხვების.

## ფოტორეპლიკა



ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ



ორ ბატს ვერ განდობთ კაცი



მართალი ხარ, ბაბუუ...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გამოეხმაურნი



**გიორგი ლაღიძე,**
„მომავალი საქართველოს“ ლიდერი

აქციაში მონაწილეობა იმიტომ არ მივიღეთ, რომ ორგანიზატორები არიან ბურჯანაძე, ნოღაიდელი, კიწმარიშვილი და ის ყოფილი ჩინოვნიკები, რომლებმაც ხელისუფლებასთან ერთად ჩაიდინეს უამრავი დანაშაული. ეს ჩვენთვის მიუღებელია. აღნიშნულმა პიროვნებებმა წლების მანძილზე შეჭამეს მილიონები, დღეს კი მესამე „კრუგზე“ ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ.



**გუგული მაღრაძე,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

არაადეკვატურია, როდესაც ჩვენ მას ვეუბნებით, რომ წავიდეს თანამდებობიდან და ის სურვილს გამოთქვამს, რომ ეკონომიკურ კრიზისზე გვესაუბროს.



**დაჩი ცაგურია,**
ორგანიზაცია „7 ნოემბერი“

გივი თარგამაძემ რამდენიმე დღის წინ თავისი მეგობრების გარემოცვაში დაიტრაბახა, რომ რამდენიმე დღეში მე და ჯაბა ჯიშკარიანს დაგვიჭერენ. ეს ინფორმაცია იქ დამსწრე პირმა მოგვაწოდა. რამდენიმე დღეში კი აღნიშნული ინფორმაცია დაგვიდასტურა ამერიკული კომპანიის წარმომადგენელმა. ეს კომპანია მიხეილ სააკაშვილის პიარს აკეთებს. ვაფრთხილებთ მერაბიშვილს, რომ არ გაბედოს ასეთი პროვოკაციები, თორემ ჩვენ ვიქნებით დაუნდობლები მისი და მისი გარემოცვის მიმართ მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი დე ფაქტო პრეზიდენტიც კი აღარ იქნება.



**თინათინ ხიდაშელი,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოძიებულ იქნეს 7 ნოემბრის დარბევის ფაქტები, კობა დავითაშვილის სასიკვდილო ცემის ფაქტი, ბიზნესის დაყაჩაღების საქმეები. ამ ყველაფერს მივაღწევთ მაშინ, როდესაც სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხელისუფლებაში აღარ იქნება. ამიტომ დავდგეთ ერთად და ვიბრძოლოთ ბოლომდე, სანამ არ ვაიძულებთ ამ დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლებს, თანამდებობები დატოვონ.



**გია მეფარიშვილი,**
ყოფილი გენპროკურორი

სამსახურებრივ ძაღლს იყენებენ საპატრულო-საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები და ამ ძაღლმა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არ უნდა შეუქმნას. სპეცსაშუალებებში შედის სუბგერითი მოწყობილობა და ცრემლმდენი გაზიც. გაზი კი უნდა იყოს ცრემლმდენ-გამაღიზიანებელი და არავითარ შემთხვევაში — სამხედრო ან სპეციალური დანიშნულების.



**კონსტანტინე გამსახურდია,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

მსჯელობა მიდის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების დემონტაჟი. ჩვენ დიალოგზე არ წავალთ, მათ მიერ შემოთავაზებულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის თემაზე ვართ თანახმა. მის განცხადებაზე, რომ 2013 წლამდე არ წავა, რა უნდა განვაცხადოთ? გიჟი თავისუფალია!



**ირაკლი კორძაია,**
მოძრაობა „რატომ?“

„ჯიპში“ მსხდომმა ნიღბიანებმა ჩვენი წევრების მანქანას ბარათაშვილის ქუჩაზე გზა ჩაუხერგეს და მანქანაში მსხდომ ბიჭებს თავს დაესხნენ. ორი მათგანი მანქანიდან გადმოათრიეს, ერთ-ერთს კი პირდაპირ მანქანაში სცემეს.

# ერთხელ ბანანის

**არ შეიძლება, ერთდროულად წინასწარ განჭვრიტო მოვლენა და მისი თარიღი. ეს ძველი ჭეშმარიტებაა, თუმცა ბოლო დღეებში საზოგადოება ცდილობდა, სწორედ ეს გაეკეთებინა — ისიც გაეგო, რა მოხდება, და ისიც, — როდის. წავა თუ არ წავა? როგორ წავა? ხვალ თუ ზეგ?.. ეს კითხვები ერთმანეთს ერწყმოდა. ერთად ყველაფერზე პასუხის გაცემა ძნელი იყო, საზოგადოება კი სწორედ ამას მოითხოვდა.**
**ამ წერილის დაწერიდან გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათი გავა და გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილმა პოსტი სწორედ ამ დროის განმავლობაში დატოვოს, ან კიდევ, სულ სხვა, დრამატული მოვლენები განვითარდეს. წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ხელისუფლების აგონია სახეზეა, მაგრამ კითხვა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება იგი, გასულ დღეებში კვლავ ღია რჩებოდა. პროგნოზს ისიც ართულებდა, რომ მთავარ მოქმედ პირთა შორის არა მხოლოდ ხელისუფლება და ოპოზიცია, არამედ აშშ ახალი ადმინისტრაცია მოიაზრებოდა.**

### „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები...“

საქართველოს პოლიტიკურ კრიზისში ვაშინგტონის ჩართულობის ხარისხი და მოქმედების სავარაუდო მიმართულებები ოთხ ძირითად ვარიანტამდე დაიყვანება: **1) თეთრი სახლი ხელს უწყობს რეჟიმის დაუყოვნებლივ შეცვლას, პროცესი გაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობს და მალე წარმატებით დაგვირგვინდება; 2) თეთრი სახლი საქართველოს ხელისუფლების გადაფორმატებას ახდენს, ცვლილებები მიმდინარეობს, მაგრამ სააკაშვილი გარკვეული დროის განმავლობაში რჩება, ხელისუფლების თანდათანობითი გადაბარების პროცესი შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა ჯგუფებზე დროში გაიწელება; 3) თეთრი სახლი ხელს უწყობს სააკაშვილის დარჩენას და არსებული სისტემა ძირეულ ცვლილებებს არ განიცდის; 4) თეთრი სახლი სიტუაციაში აქტიურად არ ერევა და ზოგადი დეკლარაციებით შემოიფარგლება.**

ბოლო ვარიანტი სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გახმიანებულ ოფიციალურ პოზიციას წარმოადგენს, თუმცა ჩვენში ცოტას თუ სჯერა ამერიკის შეერთებული შტატების აბსოლუტური მიუმხრობლობის. ამ ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესები საქართველოში (რომელთაც სათანადო უზრუნველყოფა სჭირდება) სავსებით კონკრეტული ციფრებით დასტურდება.

გასული კვირის ბოლოს ობამას ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა კონგრესს, 2009 წლის ბიუჯეტში დამატებით გამოყოს 83,4 მილიარდი დოლარი სამხედრო და დიპლომატიური ხარჯებისთვის. **პენტაგონის ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, თვალში მოგვხვდება სამი უცხო ქვეყნის სახელწოდება: 1 მილიარდი დოლარი გამოიყოფა „პაკისტანის მთავრობის დახმარებისთვის“, 350 მილიონი დოლარი წავა მექსიკასთან საზღვრის გამაგრებაზე და ბრძოლაზე მექსიკურ ნარკოკარტელებთან, ხოლო 242 მილიონი დოლარი განკუთვნილია საქართველოსთვის. ისევე, როგორც პაკისტანის შემთხვევაში, თუ რა პროგრამებს მოხმარდება ეს ფული, დაკონკრეტებული არაა.**

ასე რომ, ჩვენ არ განვიხილავთ, მეოთხე — ,,მიუმხრობლობის“ ვარიანტს.

**ასეთ თანხას, თანაც, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, არავინ გამოყოფს ისე, თუ დარწმუნებული არ იქნება იმაში, რომ საქართველოს ისეთი ხელისუფლება არ ეყოლება, რომელიც აშშ ინტერესების საიმედო დაცვას უზრუნველყოფს.**

პირველი ორი ვარიანტი კი ერთმანეთისგან მხოლოდ შედეგით განსხვავდება, ხოლო მისი მიღწევის არაერთგზის აპრობირებული გზა ერთია — არაძალადობრივი ზეწოლა ხელისუფლებაზე მის დანებებამდე, თუმცა კონკრეტულ სცენარში ძალადობრივი ჩანართების გამორიცხვაც არ შეიძლება.

პროცესის კონტროლირებადობაზე ერთი გარემოება მიუთითებს: ზოგადი არაეფექტურობა, რომლითაც მოქმედებს სახელმწიფო პროპაგანდა და პოლიტიკური პოლიცია. **იგეგმება ოპერაციები ოპოზიციის წინააღმდეგ და ნაირნაირი მედიაპროვოკაცია, მაგრამ ყოველივე ეს ეფექტიან დაგვირგვინებამდე არ მიდის. რეჟიმის დამცველები თითქოს საქმით არიან დაკავებულნი, მაგრამ მათ მუშაობას მინიმალური ეფექტი მოაქვს. ასეთი სიტუაცია იყო 2003 წელს შევარდნაძის ხელისუფლებაში. სისტემის შიგნით ხსენებულ გეგმებს გარე თვალისთვის შეუმჩნეველი დაბრკოლება ხვდება.**

ხელისუფლებაში, როგორც რთულ ელექტრომოწყობილობაში, რომელიც უამრავ დეტალსა და სადენს შეიცავს, სულ რამდენიმე ცვლილების შეტანაა საჭირო, გამართულად რომ აღარ იმუშაოს, მეტიც — მალევე გადაიწვას. ყველა პროპაგანდისტისა და ჟანდარმის გადმობირება საჭირო არაა. **რეჟიმის ჩიხში შესაყვანად საკმარისია, გააკონტროლო რამდენიმე ფიგურა რიგ საკვანძო წერტილებში და ხელისუფლებაში ინფილტრირებული უცხოელი მრჩევლები გამოიყენო, ისევე, როგორც 2003 წელს.**

გავლენიან საერთაშორისო მედიაში არ გაისმის არც ერთი წონიანი სიტყვა (როგორც 2003-ში) ხელისუფლების დასაცავად, ხოლო როგორც გვამცნობს ერთ-ერთი ბარელიეფი **Dampier-sur-Bouton**-ში (ძველი, იდუმალებით მოცული სასახლეა საფრანგეთში) — **,,იქ, სადაც არ ფხიზლობს დრაკონი, არაფერია სადარაჯო“.**

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: **პირველი ვარიანტი:** პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მიდის და სააკაშვილის ხელისუფლება ემხობა (ძალისმიერი შეტაკებების ფონზე ან სულაც მათ გარეშე); **მეორე ვარიანტი:** სიტუაცია შედის ჩიხში (ჩნდება დილემა — კრიზისის გადაწყვეტა რაიმე ფორმით ან სამოქალაქო ომი), ხდება შუალედური გადაწყვეტილების მიღება, ინიშნება რეფერენდუმი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ან საპარლამენტო არჩევნები და რეალურ ხელისუფლებას თანდათან, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ეპატრონება სხვა ძალა, რომელსაც საიმედოდ აკონტროლებს ვაშინგტონი. **ეს ვარიანტი შეიძლება საინტერესო იყოს თეთრი სახლისათვის იმიტომ, რომ ამ ძალებს ქართულ საზოგადოებაში ისეთი მხარდაჭერა არ აქვთ, როგორც იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელთაც ვაშინგტონის წინაშე განსაკუთრებული ვალდებულებები არ გააჩნია, რაც ნათლად გამოჩნდა აქციების პირველ დღეებში. მყისიერი თავისუფალი არჩევნების პირობებში ვაშინგტონის ფავორიტებმა შეიძლება, ვერ მოიპოვონ საკმარისი მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით, გარდამავალი პერიოდი დამატებით გარანტიებს იძლევა, თუმცა, თუ თეთრი სახლი გრძნობს, რომ იგი სრულად ფლობს სიტუაციას, იგი ამ ორიდან პირველ ვარიანტს აირჩევს, რადგან კრიზისის გაწელვა შესაძლებლობას მისცემს რუსეთს, რაიმე არასტანდარტული სვლით სიტუაციაში სერიოზულად ჩაერიოს.**

რჩება **მესამე ვარიანტი:** სააკაშვილი ახშობს პროტესტს და ხელისუფლებაში რჩება.

**ამ შემთხვევაში საქართველო ხდება ერთჯერადი გამოყენების იარაღი, ერთგვარი სახელმწიფო-შაჰიდი, მიმაგრებული ბომბით, რომლის ერთადერთი ფუნქცია გახდება რუსეთის (შესაძლოა, სხვა სახელმწიფოების) ჩათრევა ომში და შემდგომ ოკუპაციაში, ამ უკანასკნელისთვის ყველა გამომდინარე უარყოფითი შედეგით. ეს არარაციონალურია.**

ახალი ადმინისტრაციის პირველი ნაბიჯები არ იძლევა ასეთი ვარიანტის მაღალი ალბათობით დაშვების შესაძლებლობას, თუმცა გლობალურ პოლიტიკაში უარესიც მომხდარა.

**ეს საქართველოს ტერორისა და ომის გარდა არაფერს მოუტანს, თუმცა, ამ სცენარის ხორცშესხმა მაინც ნაკლებად სავარაუდოა.**

ჭეშმარიტება კი, ალბათ, სადღაც პირველი და მეორე ვარიანტის მიჯნაზე ძევს.

### ასე იწრთობოდა მარაზმი

,,ნიუსვიკისთვის“ მიცემულ ბოლო ინტერვიუში სააკაშვილი ჩიოდა, რომ შტატებისგან ის მხარდაჭერა არ აქვს, რომელიც ადრე ჰქონდა. მისი გამონათქვამები ამ თემაზე ფართოდ განიხილებოდა საზოგადოებაში. ასე რომ, გადავხედოთ ინტერვიუს დანარჩენ ტექსტს, სადაც სააკაშვილმა უდიერად მოიხსენია ერთბაშად სამი უცხო სახელმწიფო. **,,ყველა, საფრანგეთის ჩათვლით, ზის და ელოდება ობამას მითითებებს, თუ რა მოიმოქმედოს ჩვენთან დაკავშირებით“. ეს საფრანგეთის, რომლის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი აგვისტოში ღამეებს გვითევდა, მძიმე შეურაცხყოფაა, მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ეჭვქვეშ დაყენება.**

ამავე ინტერვიუში სააკაშვილი გადასწვდა ყირგიზეთსაც ,,დაკარგული დემოკრატიული ღირებულებების გამო” (ჯობს, საკუთარს მიხედოს) და ისევ და ისევ სომხეთს — ,,გავხდებოდით ისეთივე ღარიბი, როგორც სომხეთია“. ერთხელ ხომ უკვე უპასუხა ერევანმა მსგავს განცხადებაზე, ისე, რომ ფრიად დამცირებული გამოვიდა იმ სიტუაციიდან, ახლა კვლავ იმეორებს. რის მიღწევა სურს, გაუგებარია.

**ნელ-ნელა იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანის გამოსვლა ღია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რესპუბლიკაში



**ეთერში და კონტაქტები უცხოელ კორესპონდენტებთან დროებით მაინც უნდა შეიზღუდოს, თანაც დაუყოვნებლივ, რათა ქვეყანა სრულ საერთაშორისო იზოლაციაში არ მოექცეს.**

**,,დასავლეთმა ჩვენთან ურთიერთობები გაყინა“,** — თქვა სააკაშვილმა ,,ნიუსვიკთან“ ინტერვიუში. ჯერ სად ვართ, მალე თვითმფრინავებიც აღარ იფრენენ საქართველოში; მას შემდეგ, რაც, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ხელისუფლებამ თურქული ავიალაინერი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დასვა იმიტომ, რომ მასში ირაკლი ოქრუაშვილი ეგულებოდა. **მადლობა ღმერთს, არ ჩამოაგდეს და შემდეგ არ თქვეს, თურქი მფრინავის ბრალიაო. თუ ეს ვერსია დადასტურდება, უცხოური ავიაკომპანიები აუცილებლად გადახედავენ თავიანთ ურთიერთობას საქართველოსთან, რადგან დაირღვა უსაფრთხო ფრენების ფუძემდებლური წესები.**

**შაბათს კი ხელისუფლებამ განახორციელა ოპერაცია ,,ღამის მენაგვე“, რომელიც ისეთი რუდუნებით დაიგეგმა, ,,ქარიშხალი უდაბნოში“ რომ არ დაგეგმილა. ეს სტრატეგიული აზრის მწვერვალი იყო. მერიის დასუფთავების სამსახურის საფარქვეშ მოქმედმა პირებმა რუსთაველზე ოპოზიციის აპარატურის დალეწვა სცადეს.**

**კაცმა რომ თქვას, ეს ფენომენია — მენაგვეები, როგორც რეჟიმის უკანასკნელი არგუმენტი და დასაყრდენი. ძველსპარსული ,,უკვდავთა რაზმი“ გამიგია, გერმანული ,,ლეიბშტანდარტიც“ გამიგია, მენაგვეები არ გამიგია.**

წარმოვიდგინოთ შემდეგი სურათი: **ნაგავსაყრელის თავზე დროშები ფრიალებს, სულგანაბული მენაგვეები მწყობრში დგანან, ხოლო მათი პრეზიდენტი და მთავარსარდალი მსუბუქი ნაბიჯით უახლოვდებიან მწყობრს, რათა სახელობითი ცოცხები და აქანდაზები გადასცეს. ორკესტრი რიხით და ოდნავ სევდიანად ასრულებს ,,მენაგვეთა მარშს“ და ვეტერან მენაგვეებს თვალზე ცრემლი adგებათ, რადგან ულმობელი მეხსიერება თვალწინ უშლის უზარმაზარ, დანაგვიანებულ, კვამლში გახვეულ ველებს, სადაც უთანასწორო ბრძოლაში ნაგავთან მათი ერთგული მეგობრები დაეცნენ. ,,საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ ამოტვიფრულია სახელობით ცოცხებზე. ისე, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს არაფერს ვერჩით; საუბარი იმ პირებზეა, ვინც ოპოზიციას თავს დაესხა, გადაცმულ მენაგვეებზე, რეჟიმის უსაფრთხოების უკანასკნელ გარანტზე.**

### ,,აწმყო თუ არა გვწყალობს...“

ამ ხუმრობაში უცაბედად სერიოზულ და საინტერესო თემას შევეხეთ — რას ეფუძნება ქვეყნის უსაფრთხოება? სწორი და ფორმალური ჩამონათვალი ცნობილია, მაგრამ მძიმე დღეში ჩავარდნილი ქვეყნისთვის სხვა რამეც არის საჭირო.

1808 წელი, პრუსია. ორი წელიც არ არის გასული მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა პრუსიის არმიას უმძიმესი მარცხი განაცდევინა. ქვეყანა დაჩოქილია, მას ტერიტორიები წაართვეს. დამარცხებული არმიის საინჟინრო კორპუსის თავკაცი, პოდპოლკოვნიკი (ჯერაც) ავგუსტ ფონ გნეიზენაუ მაგიდას უზის, წერს წერილს პრუსიის მეფეს: **,,თქვენო უდიდებულესობავ, უსაფრთხოება ეფუძნება...“ — ასე უსხედან თავიანთ მაგიდებს სხვა პრუსიელი მაღალჩინოსნები და წერენ იმაზე, თუ როგორი უნდა გახდეს კანონმდებლობა, ეკონომიკა და ფინანსები, საგარეო პოლიტიკა და ა.შ., ვინაიდან მარცხმა ნათლად აჩვენა, რომ რეფორმები აუცილებელი და გარდაუვალია.**

თავდაცვის სისტემა უსაფრთხოების სისტემის მხოლოდ ერთი (უმნიშვნელოვანესი) კომპონენტია და მხოლოდ მასში უამრავი რამ არის გასაკეთებელი. ქვეყანას სჭირდება განათლებული ოფიცრები, მედგარი ჯარისკაცები, მობილიზაციისა და მომარაგების გამართული სისტემები, საჭიროა ზარბაზნები, თოფები, ტყვია-წამალი, სურსათ-სანოვაგე, ციხესიმაგრეების რემონტი, საწყობების მოწყობა, ჯარის სტრუქტურის დახვეწა და საშტაბო მუშაობის გამართვა, დასაწერია ახალი წესდებები, სათქმელია ახალი სიტყვა ტაქტიკასა და სტრატეგიაში. საჭიროა ფული, რომელიც არ არის და საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც არ იშოვება. ყველა ეს აზრი პოდპოლკოვნიკის თავში, ალბათ, ერთდროულად ტრიალებდა.

**,,თქვენო უდიდებულესობავ, — დაწერა მან, დაფიქრდა, შემდეგ კი ძალიან უცნაური ფრაზა მოაყოლა, — უსაფრთხოება პოეზიას ეფუძნება“. ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ჰერ ავგუსტი ბევრი ფიქრისგან გადაიღალა, მაგრამ, აი, რას წერდა იმავე წელს ისტორიკოსი ბარტოლდ გეორგ ნიბური მინისტრ კარლ ალტენშტაინს (მაშინ ფინანსთა, შემდგომ განათლების): ,,თუ ჩვენი შვილიშვილები ოდესმე თავისუფალნი გახდებიან, ეს ფილოლოგიის მეშვეობით მოხდება“.**

სხვადასხვა ადამიანები ერთ აზრამდე მიდიოდნენ: **მთავარია განათლების რეფორმა, იმისთვის, რომ სამშობლო განთავისუფლდეს, რომ გერმანია გაერთიანდეს, უპირველესად, გერმანული სული უნდა გამოიწრთოს. მთავარი მისია ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს დაეკისრა. მან უარყო როგორც დაზუთხვაზე დაფუძნებული მიდგომა, ისე განათლების გამოყენება მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე**. იგი თვლიდა, რომ ,,ადამიანმა უნდა მიიღოს განათლება იმისთვის, რომ გახდეს განათლებული და არა კარიერისათვის“, ,,განათლების არსი სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს“. მთავარი ადგილი პროგრამებში ლიტერატურამ, უპირველესად, პოეზიამ და ძველბერძნულმა ენამ დაიკავა. **,,პრუსია და გერმანია გადარჩება, თუ ყველანი ერთად შევძლებთ სწრაფვას დიადი მიზნებისაკენ“,** — წერდა ჰუმბოლდტი, — **,,ანტიკური ავტორების შესწავლა საჭიროა აზრის სიმწიფის ჩამოყალიბებისთვის“... ,,პიროვნების ჩვენი უზენაესი მიზანი პიროვნების აღზრდაა“.**

წარმოვიდგინოთ დანაწევრებული ბანკროტი სახელმწიფო, სადაც მინისტრებიც კი ჯამაგირს დაგვიანებით იღებენ, ხოლო ბევრი მოქალაქე, უბრალოდ შიმშილობს. ქვეყანა, რომელსაც ერთხელ გადაუარა ომმა და ახლა გადაუვლის მეორედ, რადგან მის საზღვრებს ნაპოლეონის მადევარი რუსეთის არმია უახლოვდება და პრუსიაც ფრანგების წინააღმდეგ აჯანყებისთვის ემზადება. პრიორიტეტი კი განათლებაა, სკოლა, ბერლინის უნივერსიტეტი, სადაც ჰუმბოლდტი ესაუბრება სტუდენტებს იმაზე, რასაც ამავდროული სარგებელი არ მოაქვს, მარადიულსა და დიადზე.

**ნაპოლეონი განდევნილია, მაგრამ გერმანიის გაერთიანებისათვის ძალები ჯერაც არასაკმარისია. რუსეთისა და ავსტრიის უზარმაზარი იმპერიები, საფრანგეთი, რომელიც მალევე წამოდგება ფეხზე, თითოეული მათგანი მცირე გერმანულ სახელმწიფოებს თავისკენ ექაჩება.** მაგრამ არა უშავს, პრუსიაში (შემდგომ კი, ბავარიაში და სხვა გერმანულ სახელმწიფოებში) ემზადებიან, თან ჰომეროსს კითხულობენ, აშენებენ შენობებს ანტიკურ სტილში და დაუღალავად შრომობენ, იღვწიან, ქმნიან. შემდეგ კი რეფორმა ნაყოფს გამოიღებს, მოვა ახალი თაობა — მწერლები, მეწარმეები, ინჟინრები, ოფიცრები, გამომგონებლები — ისინი, ვისაც უყვარდა ფიქრი და ოცნება შეძლო.

,,თქვენო უდიდებულესობავ, უსაფრთხოება პოეზიას ეფუძნება“. გაივლის ათწლეულები და 1871 წლის გაზაფხულზე დაპყრობილი პარიზიდან დაბრუნებული გერმანელი ჯარისკაცები მწყობრად ჩაივლიან უნტერ დენ ლინდენზე დიდი სამხედრო რეფორმატორის, გენერალ-ფელდმარშალ გნეიზენაუს ძეგლთან. შეიქმნება ერთიანი გერმანიის იმპერია. ოცნება ასრულდება, ქვეყანა გაერთიანდება, ხოლო კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი იტყვის: **,,ეს ომი სკოლის მასწავლებელმა მოიგო“.** შემდეგ ბევრი რამ მოხდება, გერმანია მრავალ ფათერაკში გაეხვევა, მაგრამ მისი ერთიანობა, მისი ადგილი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის აღარასოდეს დადგება ეჭვქვეშ.

არცთუ დიდი ხნის წინათ გერმანულმა ინტერნეტგამოცემა ,,სოლონმა“ გამოაქვეყნა ბუნდესვერის მაღალჩინოსანის (ანონიმურობა არჩია) ინტერვიუ. მან დაიწყო იმით, რომ გერმანიის უსაფრთხოებას სასიკვდილო საფრთხე ემუქრება და დასრულდა შემდეგი ფრაზით: **,,ისტორიასა და გეოგრაფიას უფრო კარგად მასწავლიდნენ სკოლაში, ვიდრე ჩემს ქალიშვილს ასწავლიან. საჭიროა გერმანული საშუალო სკოლის ღირებულებების აღორძინება. თუ ამას შევძლებთ, შფოთვა გერმანიის მომავალზე არ მოგვიწევს. საჭიროა ნამდვილი შეტევა განათლების სფეროში.“** გერმანელი სამხედროს აღშფოთება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენის პრეროგატივის ფედერალური მიწების განათლების უწყებებისთვის გადაცემამ გამოიწვია, რამაც შეიძლება მათი ხარისხი დაწიოს. **რაღა დავამატოთ, ამ ადამიანს, ისევე როგორც მის დიდ წინამორბედებს, მშვენივრად ესმის, თუ საიდან იწყება ქვეყნის უსაფრთხოება. იმედია, ამას მალე საქართველოშიც გავიგებთ.**

**დიმიტრი მონიავა**

---

**ეკა ბესელია,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი



ჩვენ დავიწყებთ წინააღმდეგობის ფრონტის გაშლას და, თუ რამდენიმე დღეში ხელისუფლების მხრიდან ვერ მივიღებთ ხალხის ნების ადეკვატურ შედეგს, ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ ჩართონ ელექტროენერგია და მისცენ ტელეკომპანიებს მაუწყებლობის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგობის კერები საქართველოს მაშტაბით ყველა ქალაქში გაჩნდება.

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
იმერეთის ექს-გუბერნატორი



ოპოზიციის რიგებში ნინო ბურჯანაძის გამოჩენამ, ჩემი აზრით, ხალხის საპროტესტო მუხტი დააგდო! მაგალითად, მე მგონია, რომ ეს არის სააკაშვილისა და ბურჯანაძის ბინძური თამაში, რათა სააკაშვილის წასვლის შემდეგ ხელისუფლებაში ისევ „ვარდოსანი“ დარჩეს. ეს აწყობს ამერიკას.

**ნიკოლაი სვანიძე,**
ჟურნალისტი



ნურავის ეწყინება, მაგრამ დღეს, ჩემი აზრით, ქართულ ოპოზიციურ სპექტრს სააკაშვილის გადადგომისთვის რესურსი აკლია, მაგრამ ახლო მომავალში, თუკი ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება, მაშინ სხვაგვარად იქნება, ალბათ, საქმე.

**რამაზ საყვარელიძე,**
პოლიტოლოგი



ნაკლებ სავარაუდოა, ხელისუფლებამ კომპრომისების მიმართულებით რაიმე ნაბიჯი გადადგას, რადგან კომპრომისზე წასასვლელად მას საკმარისად უნდა უჭირდეს, ახლა კი ხელისუფლებას არ უჭირს.

**მარია დროკოვა,**
რუსეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნაშის“ კომისარი



ჩვენ აბსოლუტურად მხარს ვუჭერთ ქართველი ხალხის მოთხოვნას მიხეილ სააკაშვილის გადადგომის თაობაზე. მისი რეჟიმი სახიფათოა და საქართველოს ხელისუფლებაში ახალი, ლეგიტიმური, დემოკრატიული ლიდერი უნდა მოვიდეს. ჩვენ „მშვიდობის საბანს“ ვკერავთ, რომელსაც მოსკოვი-ცხინვალი-თბილისის მარშრუტით ჩამოვიტანთ საქართველოში.

**კახა შარტავა,**
ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი



არ გადადგება და ჩვენ ყველაფერს ვიზამთ იმისათვის, რათა მიხვდეს, რომ წასასვლელია. მთელ თბილისსა და საქართველოს დავაყენებთ ფეხზე. რაიმე სალაპარაკო თუ აქვს, მოვიდეს და ხალხს ელაპარაკოს, ოპოზიციას ნუ ევაჭრება. ბოდიშს ვიხდი და, ის სულელური სადიალოგო პუნქტები თავისთვის შეინახონ, მოვიდნენ და ხალხს ჩახედონ თვალებში.

**ნონა გაფრინდაშვილი,**
ჭადრაკის დედოფალი



არ მივცემ მოსვენებას პრეზიდენტს. გამორიცხულია დიალოგი ისეთ პრეზიდენტთან, რომელიც გორიდან გამოიქცა. მან ყველა რესურსი ამოწურა და უნდა წავიდეს!

**კობა დავითაშვილი,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი



მსოფლიო კრიზისზე მიშას როგორ ველაპარაკებით, ამაზე შეიძლება გაეროს გენერალურ მდივანს დაელაპარაკო. მიშას მარტო იმაზე დაველაპარაკებით, როგორ წავიდეს ქვეყნიდან.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაჟრიამებული



**დიტო ჩუბინიძე,**
ჟურნალისტი

ამ ქვეყნიდან შევარდნაძის ნაბიჭვრების გადაშენებას დიდი დრო დასჭირდება... ედუარდის ნაბიჭვრებს მისი გაზრდილები მიემატებიან, ამათ — სააკაშვილის ნაბიჭვრები და, როგორც ცხონებული ნოდარ დუმბაძე იტყოდა, მთელი სოფელი ეგენი იქნებიან.

„ქრონიკა“



**ქეთი დოლიძე,**
რეჟისორი

პეტრე მამრაძე არის პატარა „კაგებეშნიკი“... ხოლო რაც შეეხება ბურჯანაძეს... ბურჯანაძე უფრო რთული მოვლენაა.

„ქრონიკა“



**ნოდარ მგალობლიშვილი,**
მსახიობი

სააკაშვილს რწმენის ნატამალი არ გააჩნია, მერე მიდის კიდევ და ხელზე კოცნის პატრიარქს ეს ფარისეველი.

„ალია“



**ნიკო ორველაშვილი,**
ეკონომიკის ექსპერტი

მიშა დღეს ასე ჰპირდება ბანკებს, ვინც ჩემს დაკრულზე იცეკვებთ, საზღვარგარეთული დახმარებებიდან იმათ მოგცემთ კრედიტებსო. ეს ბანკებიც იძულებულები არიან, მისი თამაში ითამაშონ.

„ქრონიკა“



**გუგული მაღრაძე,**
„კოალიცია თავისუფლებისათვის“

სააკაშვილი აბსოლუტურად არაადეკვატური გახდა. მაგალითად, დღეს მისი გამოსვლა — ეს იყო სასაცილო. კაცო, რა დროს ჯილდოებია? რა დროს „შერეკილებია“. სად ცხოვრობს მიშა, ვირტუალურ სამყაროში?

„ქრონიკა“



**ვაჟა ოთარაშვილი,**
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

რამდენჯერაც არ უნდა დაემხოს აღმაშენებლის საფლავზე, ის მაინც მიშა დამაქცეველი იქნება... უპირველესი გამყიდველები ერისა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების შემდეგ, არიან ქართველი ტელეჟურნალისტები.

„ქრონიკა“



**ვლადიმერ პოზნერი**
ტელეწამყვანი

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ (მით უმეტეს, რომ საერთოდ არ ვარ რუსეთის ხელისუფლების ქმედებების მხურვალე თაყვანისმცემელი), რომ არანაირი სამხედრო გეგმა საქართველოსთან მიმართებით რუსეთის ხელისუფლებას არ აქვს.

„ქრონიკა“



**ირაკლი წერეთელი**
„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი“

ბიჭო, თუ ის მთავარი იარაღი არ გივარგა, ქალთან რატომ მიდიხარ, გამაგებინეთ ერთი? არ მინდა, ვინმეს ვასწავლო, მაგრამ მიტინგების ორგანიზების „ბებერი ლომი“ აქვე გყავთ და პოლიტიკის ჭაბუკიანებთან დგებით გვერდზე?

„ქრონიკა“

# რატომ დავუსტვინე ნინო ბურჯანაძეს





**9 აპრილის მრავალათასიან აქციაზე საკუთარ აქტივისტებთან ერთად ზარ-ზეიმით მისულ ნინო ბურჯანაძეს მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დაუსტვინა. ხალხმა მისგან მოწოდებებისა და ჭკუა-დარიგების მოსმენა არ ისურვა.**
**დაბნეულმა და სტვენისაგან თავზარდაცემულმა ბურჯანაძემ ისღა მოახერხა, რომ „წარსულის შეცდომებისათვის“ ბოდიში მოიხადა და ქართველობას მომავალში სააკაშვილისაგან დაცვას დაჰპირდა...**
**მას შემდეგ ერთი კვირა გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ყოფილი „მეორე ლედი“ კიდევ არაერთხელ წარდგა პროტესტანტთა წინაშე. მის გამოსვლაზე სტვენა და ლანძღვა-გინება არა, მაგრამ მომიტინგეებს შორის უხვად ისმოდა მკვახე რეპლიკები... სტვენის სიმცირით დაიმედებულმა ბურჯანაძემ იმავე საღამოს გააკეთა განცხადება და სტვენა არა ხალხის რისხვით, არამედ სოდისა თუ კუდის მოგზავნილთა პროვოკაციით ახსნა.**

...რას ფიქრობს ხალხი ორ ხელისუფლებაში ნამყოფ და მესამეში ყოფნაზე მეოცნებე ქალბატონზე, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ აქციის მონაწილეებს გაესაუბრა და ერთადერთი შეკითხვა დაუსვა: **რატომ დაუსტვინეთ ნინო ბურჯანაძეს?..**

**რეზო გულედანი:** — „ნინო ბურჯანაძეს სულ ტყუილად ჰგონია, რომ ხალხს მისი წარსული დაავიწყდა, საზოგადოებას ყველაფერი ახსოვს და როცა დრო მოვა, ყველას ყველაფერზე პასუხს აგებინებს.

ბურჯანაძეც ისეთივე დამნაშავე და პასუხისმგებელია ქვეყანაში დატრიალებულ უბედურებაზე, როგორც სააკაშვილი და მისი გარემოცვა. ამიტომაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის იგი, როგორც ოპოზიციონერი, მიუღებელია...“

**გიორგი ლეჟავა:** — „ბურჯანაძემ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ დღეს რაც უნდა ბოდიშები გვიხადოს, მპატიებელი არავინაა. ან როგორ უნდა ვაპატიოთ ბოდიშის ერთხელ მოხდით წლების მანძილზე ასჯერ და ათასჯერ დაშვებული შეცდომები?!

**ეს მარტო ბურჯანაძეს არ ეხება, იგივე აზრისა ვარ ოპოზიციის სხვა ლიდერებზეც, რომლებიც ხელისუფლების მეხოტბეები იყვნენ და ახლა წმინდანებივით გვმოძღვრავენ ტრიბუნებიდან...** დარწმუნებული ვარ, მათი პასუხისმგებლობის დროც მოვა, უწინარესად, ბურჯანაძის, რადგან სწორედ ის იყო სააკაშვილისა და მთლიანად მისი გუნდის ერთ-ერთი მთავარი გამწევი ძალა...“

**სერგო ალშიბაია:** — **„სამწუხაროდ, სტვენა არ ვიცი, თორემ მეც სიამოვნებით დავუსტვენდი ბურჯანაძეს, ვინაიდან მას სააკაშვილზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვის ქვეყნის დაქცევაში.** ახლა ვის რაში სჭირდება ან მისი ბოდიში, ან ოპოზიციონერობა. ამაზე მაშინ ეფიქრა, როცა ხელისუფლება 7 ნოემბერს მიტინგს არბევდა და ხალხს ჟლეტდა... ახლა ვინ ჭამს მაგის ოინებს?.. ვითომ ხალხის კეთილგანწყობის მოპოვება უნდა, მაგრამ ვერ მივართვით — რამდენჯერაც ტრიბუნაზე გამოვა, იმდენჯერვე დავუსტვენთ და შევუკურთხებთ გამჩენს...“

**გურამ ქობალია:** — „ბუნებრივია, ხალხი დაუსტვენდა ბურჯანაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ოპოზიციაშია, ის დღემდე მაინც ხელისუფლებასთან ასოცირდება საზოგადოების თვალში.

**ჩვენ, ქართველ ხალხს, დიდი დაფიქრება გვმართებს — ბურჯანაძეს და მისნაირ გაიძვერებს შანსი არ უნდა მივცეთ, რომ კიდევ ერთხელ მოგვატყუონ.** წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ შეძვრებიან ხელისუფლებაში და მერე უკვე მიტინგები და გულზე მჯიღისცემა არაფერს გვიშველის...“

**ელისაბედ მჭედლიშვილი:** — „ფაქტია, რომ ხალხი არ თუ ვერ პატიობს ბურჯანაძეს შეცდომებს. ეს ქალბატონი ძალიან მარტივ გამოსავალს ეძებს — დგას საზოგადოების მხარდაჭერის მქონე ოპოზიციონერების გვერდით და ჰგონია, რომ პოლიტიკურ კარიერას სუფთა ფურცლიდან იწყებს... არ გაუვა ეს ხრიკები! ხალხი ბრძენია და ეჭვიც არ მეპარება, მალე მოუწევს საზოგადოების საბრალდებო სკამზე ჯდომა...“

**გენო ლასხიშვილი:** — **„ცხოვრებაში არასდროს არავისთვის დამისტვენია, მაგრამ მიტინგზე ბურჯანაძე რომ გამოვიდა, მეც სხვებთან ერთად მთელი ძალ-ღონით ვუსტვენდი. ზოგი ილანძღებოდა და იგინებოდა კიდეც...** მე მესმის მათი, ხალხი აღრენილია ხელისუფლებაზე და როცა ხელისუფლების გინებაზეა ლაპარაკი, იქ თავისთავად გახსენდება ბურჯანაძეც...

ამ დღეებში ის კიდევ რამდენჯერმე გამოვიდა მიტინგზე, მაგრამ არავის დაუსტვენია, რაც მე პირადად მაღიზიანებს — თუ ხალხი ვართ და მეხსიერება გვაქვს, ყველაფერი უნდა გვახსოვდეს, ბურჯანაძის ყოველ გამოსვლაზე არამარტო უნდა ვუსტვინოთ, არამედ უნდა ვიგინოთ და ლაყე კვერცხებიც დავუშინოთ ტრიბუნას“.

**მანანა ებანოიძე:** — „ბურჯანაძის მიმართ უამრავი კითხვა არსებობს, თუმცა მას არც ერთზე პასუხი არ აქვს. უფრო სწორად, ვერ აქვს. გასაგებია, რატომაც — საზოგადოების კითხვებს რომ გულწრფელად უპასუხოს, მაშინ ბურჯანაძემ საკუთარ თავს თვითონ უნდა გამოუტანოს საკადრისი განაჩენი... ამის გამკეთებელი ის, რა თქმა უნდა, არ არის. მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხმა ყველაფერი იცის და სასჯელს თუ არა, სტვენას მაინც ვერსად გაექცევა დამნაშავე...“

**P.S. როგორც უკვე გითხარით, 9 აპრილის აქციიდან მობრუნებულმა მომიტინგეთა პროტესტით გამოსტვინებულმა ბურჯანაძემ ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თვალის დაუხამხამებლად განაცხადა: — აქციაზე ვინც დამისტვინა, სოდისა და კუდის მოსყიდულები იყვნენო.. რა თქმა უნდა, მანიფესტანტთა „უსაქციელობით“ შეურაცხყოფილ ლედის მომხდარზე საპასუხო კომენტარი აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ის, ალბათ, ვერც კი მიხვდა, ისე უწოდა მერაბიშვილის აგენტი პარლამენტის წინ შეკრებილ ათასობით მომიტინგეს...**

**...ისე, მართლა „რკინის ლედი“ ყოფილა ეს ბურჯანაძე — იმის ნაცვლად, რომ საკუთარ პოლიტიკურ წარსულში იქექებოდეს, მისდამი ხალხის უკმაყოფილება კითხვებს უჩენს და პასუხებს ისევ და ისევ ხალხში ეძებს. ხალხიც გულის მოფხანით იძლევა „განმარტებებს“: ხან — ლანძღვით, ხან — გინებით, ხანაც კიდევ — სტვენით...**

**ჯაბა ჟვანია**

## გერმანია მოითხოვს ამერიკის ბირთვული იარაღის გატანას თავისი ტერიტორიიდან

**აუცილებელია, რომ აშშ-მა თავისი ბირთვული იარაღი გაიტანოს გერმანიის ტერიტორიიდან, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.**

„სამხედრო თვალსაზრისით ეს იარაღი დაძველდა“, — თქვა მან ყოველკვირეულ „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, აღნიშნა, რომ უკვე დგამს ნაბიჯებს ამ იარაღის თავისი ქვეყნიდან გატანის საქმეში.

მისი აზრით, ეს საკითხი უნდა განიხილოს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციამ, რომლის ორგანიზებაც შეერთებულ შტატებში სურთ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომუნიკეში, რომელსაც სათავეში შტაინმაიერი უდგას, მან აღნიშნა, რომ ოცნება ბირთვული იარაღის გარეშე მსოფლიოს დატოვების თაობაზე პოლიტიკურ რეალობად იქცა.

შტაინმაიერი გერმანიის ფედერალური კანცლერის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატია, რომელიც 2009 წლის სექტემბრის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ამერიკული ბირთვული იარაღის (გერმანიაში ის 150 ცალამდეა) გატანის მოთხოვნით უკვე რამდენიმე წელია გამოდიან გერმანული პარტიები და პოლიტიკოსები.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უქენი ამ ხალხს, მიხეილ სააკაშვილო!

**დღეს საქართველოს პარლამენტთან დიდი პოლიტიკური აქტივობა და სიჭრელეა. ეს დღევანდელი გადმოსახედიდან, თორემ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს მათი დიდი ნაწილი სწორედ პარლამენტის შენობასთან იბრძოდა სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთვის. იმ მცირე გამონაკლისთა შორის, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას არ უჭერდა მხარს, გახლდათ მემარჯვენე დავით გამყრელიძე თავის პარტიითურთ. გახსოვთ, ალბათ, სწორედ ამ პარტიის პარლამენტში მისვლამ გადაარჩინა 2003 წლის ნოემბერში სხდომა ჩაშლას.**



სწორედ მაშინ გაიყარა ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის გზები. მემარჯვენეების პარტია ლევან გაჩეჩილაძემ იმის გამო დატოვა, რომ გამყრელიძე „ვარდების რევოლუციაში“ მონაწილეობაში ვერ აიყოლია. **გამყრელიძის პოზიცია ადვილად ასახსნელი იყო, მაშინდელ შს მინისტრ კახა თარგამაძესა და შევარდნაძის ვაჟ — პაატა შევარდნაძესთან მის მეგობრობაზე ბევრს საუბრობდნენ. ერთ-ერთ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „გამყრელიძე დამწყები ბიზნესმენი იყო, მე მას ვიცნობდი და რაღაც არხებით ჩემამდე მოვიდა მისი თხოვნა, ერთი-ორი წლის განმავლობაში მომეცით საშუალება, რომ ბიზნესი შევქმნაო და, როგორც კი შექმნა ბიზნესი, გადასახადების გადახდა დაიწყოო“.** რა არხებით მივიდა შევარდნაძემდე ეს თხოვნა, ალბათ, ბევრ კვლევა-ძიებას არ საჭიროებს. მისი სადაზღვევო კომპანია „ალდაგიც“ როგორ ყვაოდა იმ დროს, ყველას გვახსოვს და ასე ადვილადაც რომ არავის ათავისუფლებენ გადასახადებისაგან ბიზნესის გაფურჩქვნამდე, ესეც კარგად ვიცით.

1999 წელს კომპანია „ალდაგი“ საუკეთესო ბიზნეს-კომპანიებს შორის დასახელდა. იმ დროისთვის „ალდაგს“ მონოპოლია ჰქონდა და მის ფინანსურ გაძლიერებაში საგზაო პოლიციაც კი იყო ჩართული, ალბათ, მეგობრის კახა თარგამაძის წყალობით. **თუ „ალდაგში“ დაზღვევის 20 ლარი არ გქონდათ გადახდილი, მანქანის ტექდათვალიერების საბუთს არავინ გაღირსებდათ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ გამყრელიძეს შევარდნაძის გადადგომა სულაც არ აძლევდა ხელს. იმ პერიოდში საუკეთესო ბიზნეს-კომპანიათა რიცხვში შედიოდა ლევან გაჩეჩილაძის კომპანია GWS-იც, თუმცა პარლამენტში გამყრელიძესავით მოქალაქეთა კავშირის სიით მოხვედრილ ლევან გაჩეჩილაძეს, რომელმაც ქარხანა თურქული კრედიტით ააშენა დაააყვავა და, როგორც ამ საქმეში ჩახედული პირები ამბობენ, თუ გადავიანგარიშებთ რამდენ ყურძენს იბარებდა გაჩეჩილაძის ქარხანა და რამდენი ღვინო გამოჰყავდა იქიდან, ონიშენკოზე ნაკლებად გავბრაზდებით, ოპოზიციაში გადაბარგებული სააკაშვილი უფრო ესიმპატიურებოდა.** როცა მიხეილ სააკაშვილი მოქალაქეთა კავშირის პარტიიდან ვაკეში იყრიდა კენჭს, გაჩეჩილაძე მის საარჩევნო შტაბს უწევდა კოორდინირებას. **გაჩეჩილაძემ 2001 წელს დატოვა მოქალაქეთა კავშირი და მემარჯვენეებში გადაბარგდა, 2003 წელს კი თავად გახდა ვაკის მაჟორიტარი. თუმცა პარლამენტში დიდხანს არ შეყოვნებულა, პირობა დადო, აქ მეორედ ჩემი ფეხი არ იქნებაო და საკანონმდებლო ორგანო დატოვა.** გაჩეჩილაძე ამ პირობას ჯერ-ჯერობით ასრულებს, რადგან მას საკანონმდებლო ორგანო ეცოტავება, პრეზიდენტობის ამბიცია აქვს.

2007 წლის საპრეზიდენტო კანდიდატმა ამისთვის პარლამენტის წინ დიდი ძალისხმევა დახარჯა, მიტინგებით რომ ვერაფერს გახდა, შიმშილობის აქცია წამოიწყო, სხვათაშორის აღნიშვნის ღირსია, რომ როცა გაჩეჩილაძე ნოემბრის ცივ ღამეებს პარლამენტის წინ ატარებდა, მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა დავით გამყრელიძემ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის ფოიე შეარჩია საშიმშილო ადგილად და თავის თანაპარტიელებთან ერთად ბურჯანაძის გადადგომის მოთხოვნით სწორედ იქ მოკალათდა. **დღეს მათი მოთხოვნის ადრესატიც, ქუჩაში მოშიმშილე გაჩეჩილაძე და გამყრელიძეც, ერთად დგანან კვლავ პარლამენტის წინ და ახლა, რადგან ბურჯანაძე უკვე გადადგა, სააკაშვილის გადადგომას მასთან ერთად ითხოვენ.**

ყველას გვახსოვს მემარჯვენეების მიერ ირაკლი ოქრუაშვილის ათასგზის კომპრომეტირება, თავდაცვის ბიუჯეტისა და ფონდების და კონტრაბანდის ქსელის გაშიფვრები.

**ფიქრია ჩიხრაძემ ერთხანს კონტრაბანდის მარშუტების და ფულის განაწილების დეტალური სქემაც წარმოადგინა. ჩიხრაძე აღნიშნავდა, რომ ოქრუაშვილი მფარველობდა შიდა ქართლის რწმუნებულ მიხეილ ქარელს, ქარელი — გორის სასამართლოს თავმჯდომარეს ბონდი ვათიაშვილს და გორის გამგებელს იოსებ მუმლაძეს, ისინი კი გორის გამგებლის პირველ მოადგილეს — ნუკრი პაპუაშვილსა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსს — სამსონ ქებაძეს.**

ამ პრესკონფერენციის შესახებ დასმულ კითხვაზე ოქრუაშვილის პასუხი ასეთი იყო: **მე რომ გითხრათ, ფიქრია ჩიხრაძე ყოველ საღამოს ცირკთან დგას, მერე ეს ფული „სუტინიორ“ გამყრელიძესთან მიაქვს-მეთქი, დამიჯერებთ?**

ახლა მათი პარტიებიც ერთად დგანან პარლამენტის წინ და სააკაშვილის გადადგომას ითხოვენ. **ოქრუაშვილს კიდევ ერთი მწვავე კრიტიკოსი ჰყავდა გოგა ხაინდრავას სახით, იგი ოქრუაშვილის საომარ რიტორიკას აკრიკიტიკებდა. არც ოქრუაშვილს მოსწონდა სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა და ჩემოდნების ჩალაგებას და წასვლას ურჩევდა, თუმცა მაშინ ხაინდრავა მთავრობიდან ისე გამოისტუმრეს, ჩემოდნების ჩალაგებაც ვერ მოასწრო. დღეს ხაინდრავაც პარლამენტის წინ დგას და ოქრუაშვილის პარტიასთან ერთად სააკაშვილის გადადგომას ითხოვს.**

კარგად გვახსოვს კოდორში ჩატარებული სპეცოპერაცია, როცა შს სამინისტროსთან ერთად თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები კოდორს შეესიენ და კვიციანის დაჯგუფებისა და ხეობაში განლაგებულ ბატალიონ „მონადირისაგან“ „გაათავისუფლეს“. **მაშინ ოქრუაშვილს, რომელიც ამ სპეცოპერაციის ინიციატორი გახლდათ მკაცრად აკრიტიკებდა ირაკლი ალასანია. იგი „მონადირის“ გაუქმებას შეცდომას, უგუნური და გაუთვლელი პოლიტიკის შედეგს უწოდებდა. ასევე აკრიტიკებდა ოქრუაშვილს კონფლიქტის ძალისმიერი გზებით მოგვარების წადილის გამო, თუმცა ახლა ისიც ოქრუაშვილის პარტიასთან ერთად დგას და სააკაშვილის გადადგომას ითხოვს, მეტიც, ოქრუაშვილივით საქართველოში არ ჩამოესვლელება, თორემ თვით ემზარ კვიციანიც კი გამოთქვამს სურვილს, პარლამენტის წინ ოქრუაშვილის პარტიასთან დადგეს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.** *ვინ-ვინ და ადვოკატმა ეკა ბესელიამ მაინც ყველაზე კარგად უნდა იცოდეს ოქრუაშვილის რკინის ხელები, რადგან სხვა მრავალ პატიმართან ერთად, ოქრუაშვილის პროკურორობის დროს ის იცავდა ენერგეტიკის ყოფილ მინისტრ დავით მირცხულავას ინტერესებს, როცა საოპერაციო მაგიდიდან იგი პირდაპირ სასამართლოს სარდაფში გადაიყვანეს და პროცესის მოლოდინში საათობით ამყოფებდნენ ჭრილობებიდან სისხლმდინარეს. მაშინ ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ საშინელი წამების უკან ოქრუაშვილის რკინის ხელი იდგა.*

ქართველ ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს, ალბათ, ამის იმედად გაბედეს ნინო ბურჯანაძემ და ზურაბ ნოღაიდელმა, რომლებიც მიშას ბუდიდან ახლახან გადმოსკუპტნენ, აქციაზე დგომა და ხელისუფლების კომპრომეტირება, ან მოწოდება, რომ სააკაშვილმა ხელი არ აღმართოს მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგო, თორემ სულ რაღაც ერთი წლის წინ, ორივე მათგანი თავიანთი მაღალი პოსტებიდან ადევნებდნენ თვალს, როგორ უმოწყალოდ არბევდა სპეცრაზმი მშვიდობიან მომიტინგეებს. მანამადე კი ბურჯანაძე ელიავას ბაზრობით, „დელ-მარის“ პურ-ფუნთუშეულით, ნოღაიდელი კი რკინიგზითა და „ენერგო პროს“ საშუალებით ივსებდნენ ჯიბეებს. დღეს, ცხადია, აღარც მათ ახსოვთ, როგორ ეწინააღმდეგებოდა ბურჯანაძე ნოღაიდელის პრემიერ მინისტრად დანიშვნას „სიხისტის გამო“. ისინიც ერთად დგანან და სააკაშვილის გადადგომას ითხოვენ.

**და ბოლოს, აღნიშვნის ღირსია ბურჯანაძე-ზურაბიშვილის დაპირისპირების ფონზე კაშიას ფრთიანი გამონათქვამი: ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ქუთაისი და პარიზიო.** დღეს ნინო და სალომეც, არა მონპარნასზე, არა საღორიაზე, არამედ პარლამენტის წინ ერთად დგანან და სააკაშვილის გადადგომას ითხოვენ... ამ ფონზე ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: **რა უქენი ამ ხალხს, მიხეილ სააკაშვილო, ერთმანეთის მიმართ წყენა, შუღლი და ანგარიშსწორება ასე ერთბაშად რომ დაავიწყე, გააერთიანე და პარლამენტის წინ შეკრიბე შენი გადადგომის მოთხოვნით?**

**მანანა ჭელიძე**

## ამ სქემაზე დაყრდნობით ახალი მემარჯვენეები თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის გადადგომას ითხოვდნენ



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბლოკის, გრეჩიხასა და ბულკის შესახებ, ანუ რევოლუციური პარალელები

**მეორე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და რაღაც მსგავსი ალმოდებული დიდი მთისა გადმოგდებული იქნა ზღვაში; ზღვის მესამედი სისხლად იქცა.**

*(გამოცხადება, 8,8).*



**ალექსანდრ ბლოკი იმ დილით გამახსენდა, მისი „თორმეტნი“, და მერე ვეღარ მოვიცილე, როგორც რევოლუციის შიმშილობის დროს აკიდებული უპატრონო ძაღლი, ლუკმის იმედად მოწანწალე.**

**ის დილა იყო 2009 წლის 11 აპრილი — ფეხზე დამდგარი საქართველოს დღე მეორე.**

**ნაბიჯებს ვაჭედებთ პროსპექტების ფილაქანში მე და ისინი — თორმეტნი, თოფიანი კაცები, რევოლუციის მოდარაჯენი. აქ — რუსთაველზე, იქ — ნევის პროსპექტზე, ზამთრის სასახლესთან ახლოს.**

**ნაოქტომბრალ პეტროგრადში ზამთარია და ქარი თავგასული ხულიგანივით სარმას გამოჰკრავს გარეთ გამოსულ ადამიანებს.**

**თბილისში ის დროა, გაზაფხული რომ ჰქვია და ძვალ-რბილში რომ ატანს მოჟამული შემოდგომის გამჭოლი ქარი.**

**Ветер, ветер -**
**На всем божьем свете!**

ქარმა ახვეტა რუსთაველის პროსპექტი. სამაგიეროდ პარლამენტის წინ ნაგვის მთებია. საგანგებოდ არ ალაგებს აქაურობას ქალაქის მერია: ძლიერი ტვინების ტაქტიკაა — ნაგვად იქეც!

ქარი ატკაცუნებს დროშებს და ეჯაჯგურება პლაკატს — „გადადგეს სააკაშვილი!“ პარლამენტის შენობის ყველაზე დიდი თვალსაჩინოება.

**От здания к зданию**
**Протянут канат.**
**На канате - плакат:**
**„Вся власть Учредительному собранию!“**

ძალაუფლება სჭირდება ხალხს და ახლაც ისევე აღმდგარა, როგორც თითქმის საუკუნის წინათ. იბრძვის და ბუზღუნებს, როგორც ეს ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც, როგორც მისი პეტროგრადელი ანალოგი, გამოჩნდება შინიდან წამოღებული ცოცხით ხელში და შეუდგება ტრიბუნისწინა ფიცარნაგის დალაგებას:

— ეს ქალები რამდენს ეწევიან! ეწევიან და ყრიან. ასე დაამყარებენ წესრიგს? — ორიგინალურად უკავშირებს სიგარეტის კერძოობას ქვეყნის მართვის ზოგად პრობლემას ქალბატონი... დამავიწყდა მეკითხა, რა ჰქვია.

უკმაყოფილო ჩანდა პეტერბურგელი ბებიაც, ძლივს რომ გაიკვალა გზა ნამქერში ნევის პროსპექტზე და გაბრაზებულმა, იმავე ფილოსოფიური ლოგიკით (თუ არის ასეთი) საქვეყნო საქმე განსაჯა:

**— Ох, Матушка-Заступница!**
**— Ох, большевики загонят в гроб!**

ბოლშევიკებმა შორეულ 1917 წელს თავისი საქმე გააკეთეს.

ჩვენთან როგორ განვითარდება მოვლენები?

საღამოს ლევან გაჩეჩილაძე კი ეტყვის მომიტინგეებს: სიტუაცია ქალაქში ხალხის ხელშიაო. მაგრამ როდემდე?

— **უი, გადამიღე?** — შეიცხადებს ცოცხიანი ქალბატონი და სახეზე ხელს აიფარებს. შემდეგ დიპლომატიურ შეკითხვას დამისვამს:

— **სახლში გინდა, წაიღო?** — ვითომ სამახსოვროდო, სინამდვილეში კი — სადმე გამოქვეყნებას ხომ არ აპირებო, — ამ ქვეტექსტით.

— **რა ვიცი, ეგებ, — გაზეთშიც!**

— **დიდუ!**

— **რამ შეგაშინათ, ქალბატონო?**

— სახლში არ გამიგონ. მომკლავენ. გამოპარული ვარ, — თან ეღიმება, თან — სერიოზულად შეწუხებულს ჰგავს.

შინ, ეტყობა, ხელისუფლების მომხრეთა „ბუდეა“, ან — იძულებითი ლოიალობა.

**„დაგიწვით ბუდეი!“** — ისმის ცნობილი ანეკდოტის დასკვნითი ფრაზა. „სამდივნოს“ (ასე აწერია დიდი ასოებით სახელდახელოდ შეკრულ კარავს თუ იარანგას ტრიბუნას გვერდით) მოფარებული მამაკაცები ძველ ანეკდოტებს ახალი პერსონაჟებით იოლად ასაღებენ და გულიანად იცინიან. ძალიან გულიანად. სიცილის ამ ლობიდან ხან სააკაშვილის გვარი გამოვარდება (უმიხეილოდ, რაც ნიშანდობლივია), ხან გინება, რაც ამ ბოლო დროს შეუყვარდა სეზონურ პოლიტიკოს გია მაისაშვილს და რითაც ოპოზიციას არცთუ შეუმჩნეველი ზიანი მიაყენა.

ამაზე მსჯელობენ:

— **ეს კლოუნი მაისაშვილი მიკროფონთან მისაშვებია?**

— **ეტყობა, ბიჭობაში არ შეუგინებია.**

— **მამენკინ სინოკ, — იცინიან.**

— **ბურჯანაძის ქალი რა, ტრიბუნაზე გამოსაჭიმია? მაგი არ იყო მთავრობაში, ახლა ყველაფერს სააკაშვილს რომ აბრალებს?**

— **შენ რა, სააკაშვილს იცავ?**

— **კარგი, თუ კაცი ხარ! ფაშისტებიც მასე იქცეოდნენ — ჰიტლერს მოჰკითხეთო.**

— **მიკროფონთან რომ მიმიშვან, მე ვიცი, რასაც ვიტყვი.**

— **ჩვენ გვითხარი, აგერ, — ეღიმება ერთს.**

— **გრეჩიხებს შევეკითხები, რატომ დაიყენეს გვერდით ნინო ანზოროვნა, თავისი მარგალიტებით რომ აგიჟებდა ხალხს? იმიტომაც უსტვინეს მეჯღანუაშვილს...**

— **ბურჯანაძეა,** — ვითომ უსწორებს ის ერთი, ცინიკოსი.

— **მეჯღანუაშვილზე უარესია. მამამისი დამპალ პურს რომ გვაჭმევდა, დაგავიწყდა?**

— **დამპალს კი არა, დაავადებულს, კუ-ბაღლინჯოიანს, — ისევ ის ერთი არ აცლის.**

— **უძახე კუ და ბაღლინჯო! თვითონ კი ჩაიქცნენ სიმდიდრეში... საიდანაა ნინო ანზოროვნა?**

— **ქუთაისიდან.**

— **ქუთაისიდან კი არა, იმ რაიონიდან, სადაც მამამისმა ხურდა ფულიც არ დატოვა, როცა რაიკომის მდივნობიდან მოხსნეს.**

— **თერჯოლიდან.**

— **ფქვილის პრინცესა!**

— **გრეჩიხებს რაღას ერჩი?**

— **ჭორებს არ ვუჯერებ, მაგრამ ისეთი რა „პადაგრევი“ მისცა, რომ ერთმა „საკანის“ კარი გაუღო, მეორემ სიტყვა ათქმევინა ამ ადგილიდან.**

— **მე რა ვიცი...**

— **მეც იმიტომ მინდა, ვკითხო ერთ ძმასაც და მეორესაც... რატომ?..**

— **რესურსი აქვთ ბურჯანაძეებს.**

— **რა რესურსი, კაცო, ფული?**

— **ცოტაა?!**

— **არ იკადრებდნენ. ხელის გულზე ჰყავს ხალხს ერთიც და მეორეც.**

კამათობს, მსჯელობს, ნერვებს იგლეჯს რევოლუცია, რომელიც ვერ იტანს ნახევარსიმართლეს, დუღს ნიადაგი: კი — მშვიდობიანი გზით, კი — კონსტიტუციის საფუძველზე, კი — ცივილიზებულად, მაგრამ რა უყოს გათელილ კაცობას და შელახულ ღირსებას?

საუკუნის მერეც გავარვარებულ ლავაზე ვდგავართ. არაფერი იცვლება:

**Злоба, грустная злоба**
**Кипит в груди...**
**Черная злоба, святая злоба...**
**Товарищ! Гляди**
**В оба!**

რუსთაველი მათხოვრების სამოთხეა აქციის დღეებში.

ოპერის მოპირდაპირე ტროტუარზე პატარა ბიჭი „ტაბურეტკაზე“ დაუსვამთ. წინ კოლოფი უდევს. თეთრები ყრია. რამდენიმე მონეტა:

— **დეე! დედა!** — უძახის შავ პალტოში კოხტად გამოწყობილ ახალგაზრდა ქალს, რომელიც იქვე ხელზე მოვაჭრეებთან საქმიანობს, — **„ბულკი“ გამოართვი, დეე!**

სხვანაირი მათხოვარი წამოვიდა, მოწყალების გამცემზე უკეთ უზრუნველყოფილი და შემძლე. 1917 წლის რევოლუციისდროინდელ მაწანწალებთან რა შედარებაა, ბურჟუები არიან, ღმერთმანი!

მაშინ პურს ითხოვდნენ: ლუკმას შავი პურისას შავი ცის ფონზე.

ტკბილი ფუნთუშა მიართვით ახლა!..

**Поздний вечер.**
**Пустеет улица.**
**Один бродяга**
**Сутулится,**
**Да свищет ветер...**
**Эй, бедняга!**
**Проходи -**
**Поцелуемся...**
**Хлеба!**
**Что впереди?**
**Проходи!**
**Черное, черное небо.**

მეწვრილმანეებს ასპარეზი გაეზარდათ, ქალაქის ცენტრში იკავებენ პოზიციებს, არცთუ შორს ტრიბუნიდან, პირველი გიმნაზიის წინ: საღეჭი რეზინა, „სნიკერსი“, რაღაც ტკბილი „ბურბუშელები“ და, რა თქმა უნდა, მზესუმზირა, რომლის გადმოფურთხებული ნარჩენები აავსებს დღეს ნაგავში ჩაფლულ რუსთაველის პროსპექტს.

მოხალული მზესუმზირა, „სემიჩკა“ — რევოლუციური პაუზის მოსაწყენ საათებში დროის მოკვლისა და ხვალინდელ გაურკვევლობაზე დაფიქრების ჟამს კეფის მოფხანის თანმდევი აუცილებლობა:

**Ох ты, горе-горькое!**
**Скука скучная,**
**Смертная!**
**Уж я времячко**
**Проведу, проведу...**
**Уж я темячко**
**Почешу, почешу...**
**Уж я семячки**
**Полущу, полущу!..**

აკნატუნე. წინა კბილებით, თუ შეგრჩა კიდევ, უდროოდ დაბერებულო ქვეყანავ!

ტელეოპერატორებისთვის სახელდახელოდ შეჭედილი ხუხულის ქვეშ, ორფიცარნატეხიანი „კოცონის“ გარშემო (თუ ათბობს ვინმეს?!) ღამენათევი კაცები სააკაშვილის მომავალს არკვევენ:

— **თუ ციხეში არ ჩასვეს, საზღვარგარეთ გაიქცევა და კარგადაც იქნება.**

— **მაგისი მილიონებით...**

— **მილიარდებით! ორი მილიარდი ჯიბეზე აქვს გარტყმული! ამათ იმდენი ფული იშოვეს, მთელ ნაციონალურ „ვერხუშკას“ ასი წელიწადი ეყოფა.**

შუა რუსთაველზე, რომელიც ისე ცარიელია, როგორც ასპარეზი მომავალი შერკინების წინ, სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის ახალგაზრდები ემოციურად საუბრობენ.

ვილაცას სამუშაოდ მიეჩქარება და მორზეს ანბანივით მოკაკუნე ქუსლებით იწერება გზავნილი: მე — ჩემთვის, რევოლუცია — თქვენთვის.

რევოლუციური მტკიცე ნაბიჯი მინელდა. კოცონი ქრება. არც თოფები ჩანს, ერთმანეთს მიყუდებული, არც — გუშაგები რევოლუციის.

სად დგას შეშინებული ბურჟუა, რომელიც ალექსანდრ ბლოკმა ნევის პროსპექტზე შეამჩნია?

**Стоит буржуй,**
**как пес голодный,**
**Стоит безмолвный,**
**как вопрос.**
**И старый мир,**
**как пес безродный,**
**Стоит за ним,**
**поджавший хвост.**

ჩვენი ძაღლი, აქაური, თბილისის ქუჩიდან, შუა ტროტუარზე წევს და შემთხვევით გამონათებული მზის სხივზე ნებივრობს. სფინქსივით ღირსეულია. ეს უკვე მელიქიშვილის ქუჩაა. ე.ი. გამოვბრუნებულვარ.

იქ, ქაშუეთთან ,ისეთი სიჩუმე დავტოვე, რომ გარკვევით ისმოდა შაბათის წირვიდან გამოსული ლოცვა.

და ისევ ბლოკი:

**Нежной поступью**
**надвьюжной,**
**Снежной россыпью**
**жемчужкой,**
**В белом венчике из роз -**
**Впереди - Исус Христос.**

**საღამოს ულვთოები პარლამენტისწინა ტრიბუნას დაარბევენ და ძვირადღირებულ აპარატურას გაანადგურებენ.**

**მთა ზღვისკენ დაიძრა.**

**ჩინგიზ ბულავა**



რუსთაველი სამოთხეა მათხოვრებისთვის აქციის დღეებში



მეწვრილმანეებს ასპარეზი გაეზარდათ



„კოცონთან“ სააკაშვილის მომავალს არკვევენ

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

„ნაციონალური მოძრაობის“ მიწადაკარგულ და ხელფასგაზრდილ მაჟორიტარ დეპუტატთა

# სამარცხვინო ხუთეული

**მართალია, დახმარების სახით საქართველოში საკმაოდ სოლიდური თანხები შემოედინება, რაც ჯერჯერობით ქვეყანას ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმწვავით შეგრძნებისგან იცავს, მაგრამ კრიზისი რომ მაინც არსებობს, ამას საქართველოს პრეზიდენტიც არ მალავს.**
**მან უკვე მოუწოდა სახელმწიფო დაწესებულებებს, ქამარი შემოიჭირონ. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მოწოდება ყველა ჩინოვნიკისთვის უპირობოდ შესასრულებელი არ აღმოჩნდა.**


დევი ოვაშვილი


გიორგი ტატიშვილი


ემზარ გელაშვილი


კანდიდ კვიციანი


ბადრი ბასიშვილი

***„ჩვენ უნდა ვხარჯოთ ნაკლები სხვადასხვა პრემიებზე და არასაჭირო ღონისძიებებზე, მანქანებისა და ოფისების შესყიდვაზე. სახელმწიფო განსაკუთრებულად ფხიზლად უნდა იყოს, რათა კორუფცია საქართველოში აღარ დაბრუნდეს. ომის შემდეგ გარკვეულ სამინისტროებში მოდუნება შეინიშნებოდა და ამაზე მათ შენიშვნებიც მიიღეს. ჩვენი ამოცანაა, სისტემა შევინარჩუნოთ ისე, რომ არ შეიქმნას პენსიებისა და ხელფასების პრობლემა,“*** — განაცხადა პრეზიდენტმა. თუმცა მის გუნდში ეს განცხადება, როგორც ჩანს, სხვადასხვაგვარად აღიქვეს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთარი ხარჯები სამი მილიონი ლარით შეამცირა, ახალგაპრემიერებულმა გილაურმაც მისცა მითითება მისი სავარძლის მემკვიდრე ბაინდურაშვილს, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის ადმინისტრაციული ხარჯები შეემცირებინა, პირველ რიგში კი, ეს სამივლინებო, სატელეფონო და სატრანსპორტო ხარჯებს უნდა შეხებოდა. თბილისის მერმაც განაცხადა, რომ 30 მილიონით შეამცირა ხარჯები და ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით მოხდა. თავის მხრივ, თემურ იაკობაშვილმაც იწვალა და შემოიჭირა ქამარი: უარი ვთქვით ახალი ავტომობილების ყიდვაზე და სხვა ზედმეტ ხარჯებზე, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებულ სიტუაციაში ფუფუნებაზე საუბარი უხერხულიაო, — განაცხადა მან.

**გასაკვირი, ალბათ, არავისთვისაა, რომ პრეზიდენტის ეს განცხადება ვანო მერაბიშვილს არ ეხებოდა. მან თავად იცის, როგორ უნდა ხარჯოს საბიუჯეტო სახსრები. შინაგან საქმეთა სამინისტრო ის უწყებაა, რომელსაც ყველაზე მეტად ჰყავს გაფუფუნებული საკუთარი თანამშრომლები საზღვარგარეთ მივლინებებით, რაშიც მილიონობით ლარი იხარჯება.** რიგითი თანამშრომლები განსაკუთრებით ხშირად უკრაინა-თურქეთს სტუმრობენ სემინარებისთვის, თუმცა ყველა ჩვენგანს მოეხსენება, რომ თურქეთის პოლიციის სასწავლებელი მართლაც არაფერი გვჭირს,

> საქართველოს პარლამენტის
> დადგენილება
>
> საქართველოს პარლამენტი ადგენს:
>
> „1[1]. რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ზემო აფხაზეთიდან (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონიდან, გორის და ახალგორის მუნიციპალიტეტებიდან დევნილ ამომრჩევლებთან ურთიერთობის მიზნით N31, N32, N33, N47 და N85 საარჩევნო ოლქებში არჩეულ მაჟორიტარ პარლამენტის წევრებს პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დამატებით გამოეყოფათ თითოეულს – 1070 ლარი.".
>
> 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
>
> საქართველოს პარლამენტის
> თავმჯდომარის პირველი
> მოადგილე — მიხეილ მაჭავარიანი
>
> თბილისი,
> 2009 წლის 24 მარტი.
> N 1128 – Iს

რადგან ამ ქვეყნის სამართალდამცავი სისტემა ჯერ კიდევ მეტისმეტად არაჰუმანური მეთოდებით მუშაობს, სამაგიეროდ, კარგი საკურორტო ზონაა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს საბიუჯეტო სახსრებით დასვენება მოსწონთ. **უკრაინა საკურორტოდ არ გამოდგება, მაგრამ ჩვენს პოლიციელებს იქ დასვენებაც მოსწონთ, „ქამრების პრობლემა“ კი ასეთ შემთხვევებში მინისტრს არ ახსენდება. ასევე განსაკუთრებულ კომფორტში ჰყავს მერაბიშვილს თანამშრომლები სატელეფონო ხარჯების, საწვავისა და ავტომანქანების გამოყოფის თვალსაზრისით. ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა შინაგან საქმეთა სამინისტროს არც ეკონომიკური კრიზისის ფონზე შეუჩერებია. სხვა ხარჯებზე ხომ საუბარიც ზედმეტია.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ინიციატივა მთავრობის ადმინისტრაციის ხარჯვითი ნაწილის შემცირებასთან დაკავშირებით მოიწონა, საზოგადოებას ხარჯების 2 მილიონით შემცირება ამცნო და განაცხადა, რომ დაზოგილი თანხები მოსახლეობის სოციალურ პროგრამებსა და რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას მოხმარდებოდა, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიმდინარე წლის 24 მარტით დათარიღებული დადგენილება აშკარად საწინააღმდეგოს მეტყველებს. **პარლამენტის ბიუჯეტი დაზარალებული მოსახლეობის საკეთილდღეოდ კი არა, თურმე, ნაციონალების სახეიროდ უფრო ყოფილა დაგეგმილი. კონკრეტულად კი, დაზოგილი თანხებით პარლამენტი რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ნაცვლად ნაციონალ მაჟორიტარებს დაეხმარა და ბიუჯეტიდან დამატებით ყოველთვიურად 1070 ლარი გამოეყოთ. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ზემო აფხაზეთიდან (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონიდან, გორისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებიდან დევნილ ამომრჩევლებთან ურთიერთობის მიზნით №31, №32, №33, №47 და №85 საარჩევნო ოლქებში არჩეულ მაჟორიტარ პარლამენტის წევრებს პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დამატებით გამოეყოფათ თითოეულს** — **1070 ლარი“,** — ვკითხულობთ პარლამენტის დადგენილებაში, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი აწერს ხელს. **ხუთი საარჩევნო ოლქის მაჟორიტართაგან ხუთივე ნაციონალური მოძრაობის წევრია: №31 (ახალგორი) დევი ოვაშვილი, №32 (გორი) გიორგი ტატიშვილი, №33 (ქარელი) ემზარ გელაშვილი, №47 (მესტია) კანდიდ კვიციანი, №85 (ლიახვი) ბადრი ბასიშვილი. მსუბუქად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა, როცა ამ რეგიონების მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაშია და მისთვის დახმარების ნაცვლად ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო მაჟორიტარებს უწესებს დანამატს საკუთარი ოლქის დევნილ ამომრჩეველთან ურთიერთობის მიზნით. მითუმეტეს, რომ ეს მაჟორიტარის პირდაპირი მოვალეობაა და დამატებით ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.**

**მანანა ჭელიძე**

ჯართ-მანები

# საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი 61 ათასად გაყიდეს...

**თქვენი არ ვიცი, მე კი ისეთი შთაბეჭდილება მიყალიბდება, თითქოს საქართველო საოპერაციო მაგიდაზე დევს და ბოროტმოქმედი ქირურგი სკალპელით ჭრის და ანაწევრებს.**

**შემდეგ ყიდის — ბითუმად და ცალობით.**

**მიწა გაყიდულია, მიწაში რაცაა — ისიც: მადნეულის საბადოები, ჭიათურა ვის მიჰყიდეს და მერამდენედ, არავის ახსოვს, წყალიც გაყიდულია და წყლის ნაპირიც, ანუ სანაპირო — ფოთის ნავსადგურიანად, მაგალითად.**

რაც წყალშია, ისიც გაყიდეს: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ახლახან სიხარულით გვაცნობა, რომ აუქციონზე 61 ათას დოლარად გაიყიდა საქართველოს საზღვაო ძალების სამი გემი, რომლებიც აგვისტოს ომის დროს დაბომბეს და ჩაძირეს.

მყიდველი, რა თქმა უნდა, თურქეთის მოქალაქეა — ჯემ აიდემირი. „რა თქმა უნდა“ იმიტომ, რომ სწორედ თურქეთი მივაჩვიეთ, ჩვენ მივაჩვიეთ ჯართის გატანას საქართველოდან დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან.

**სხვა რა უნდა გაგვეტანა, როცა არც ერთი ქარხანა არ მუშაობდა და არც არაფერს ვაწარმოებდით?!**

წყალმა წაიღო ჩვენი სამხედრო ფლოტის (რომელიც არ გაგვაჩნდა) შექმნის იმედი, ვითარცა კრეისერ „ვარიაგის“ ქართული ვარიანტი.

ორი კარგი ავტომობილის ფასად მივყიდეთ ეფენდის. ფასად იმ ავტომობილებისა, ბანკებში მომუშავე გოგოები რომ წამოასხდნენ, როგორც განვადებულ სიამოვნებას, და გემებივით მიარწევენ თბილისის დავიწროებულ ქუჩებში.

იშოვეს რა, გონდოლები!

ყულევში, იქ, სადაც ხობისწყალი შავ ზღვას უერთდება, მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო გემების ნავსაყუდელი იყო. იმ დღეთა მოსაგონებლად დგას აქ სოფლის ცენტრში ძველი ქვემეხი, მრავალომგადანახადი და ნაბრძოლი, დგას, სანამ ბენდუქიძის გამოზრდილმა დახლიდარებმა არ გაუყიდეს ოსმალეთის



გზას, როგორც ქართველი თავადების მიერ ტყვეთა ბაზარზე გასაყიდი ყმები.

**ახლა თავისით მიდიან თავისუფალი მოქალაქენი სუვერენული ქვეყნის.**

**წილს ხომ არ მოსთხოვენ ამათ ქართველ თავად-აზნაურთა რეანიმირებული წოდების გააქტიურებული წარმომადგენლები?**

**წილი იმათი თქვით, ვინც ჯართის უწინდელ გამყიდველებს, დღევანდელ ბიზნესმენებს წეწავს და ვისაც კორექტულად კორუმპირებულ ელიტას უწოდებენ.**

„ელიტა“ აკეთილშობილებს, თორემ ვერც შეედრებიან იმ ქართველ ყალთაბანდებს, რომლებმაც თავის დროზე სასტუმრო „მოსკოვში“ ჰარიფ შუააზიელებს „კაზიონი“ ნოხი მიჰყიდეს და იმ ფულით კარგადაც მოილხინეს იქვე, მესამე სართულის პრესტიჟულ რესტორანში.

ცნობილი ფაქტია.

**იმ საქვეყნოდ სახელგანთქმულ აფერისტზე უარესნი არიან, ვინაც წლების განმავლობაში ციმბირის მიყრუებული სოფლის სკოლაში მეგრულს ასწავლიდა და ინგლისურ ენად ასაღებდა.**

**— გომორძგუა, ბაღანები!**

**— გომორძგუა, მისტერ უშტელ!**

ასე იწყებოდა მისი გაკვეთილები შექსპირის მშობლიურ ენაში.

ავანტიურისტები — ყალთაბანდობის, რომანტიკოსები — აფერისტობის, მხიარული სახის რაინდები — დონ კიხოტის გადაბრუნებული ვარიანტი!

**სხვისას არაფერს იპარავდნენ, არ ართმევდნენ, არ ძარცვავდნენ. აბითურებდნენ და იცინოდნენ მელიაზე უფრო გულიანად, რომელიც, მოგეხსენებათ, ყოველთვის კვდება სიცილით.**

„დედა ვუტირე ხუროსა, დაჯდეს და არაკუნოსა!“

სანამ დედა ეტირებათ, ჩვენი მორაკუნეები კიდევ მოასწრებენ და აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ წყალში ჩაძირულ... დიოსკურიას.

ანტიკური ქალაქია, ეფენდი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბერძენი მოახალშენეების მიერ დაარსებული, მაშინ, როცა კოლხეთის სანაპირო პონტოს სამეფოში შედიოდა, ძალიან საინტერესო ისტორიითა და არქეოლოგიური განძით — ნანგრევებით, რომლებიც ზღვის სანაპიროს დაწევისა და ზღვის შემოჭრის შედეგად სოხუმის ყურის ფსკერზეა ამჟამად ჩაძირული.

ჩაძირული ქვები.

იაფად დაგითმობთ, ეფენდი, მოგებაში იქნებით!

ჩვენ რას ვკარგავთ! სოხუმს მაინც ვერ ვაკონტროლებთ და თუ ეს გარიგება გავკვაჭეთ, ზუსტად ისე ვიხეირებთ, როგორც იმ ცინიკოსებმა, რომლებმაც სასტუმროს ხალიჩა ფულიან შუააზიელებს მიასაღეს.

**მაგრამ სადღა არიან გაბითურების მათნაირი დიდოსტატები! თორემ აიღებდნენ და ფერადი რევოლუციით გაბედნიერებულ რომელიმე ქვეყანას შეაჩეჩებდნენ ამ ჩვენს ხელისუფლებას როგორც დემოკრატიულ ღირებულებათა იგავმიუწვდომელ დამცველსა და ადამიანების კეთილდღეობისთვის თავგადაკლულ უნიკალობას.**

**თვითონაც კარგ ფულს იშოვნიდნენ და ჩვენც გვეშველებოდა.**

**ნეტარ არიან მეოცნებენი...**

**ჩინგიზ ბულავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ჯვარცმული საქართველო აღდგომას ელის

**არავინ არაფერი იცოდა. ყველა მართალია. დღემდე. მაგრამ ასევე დღემდე არ ასვენებთ სინდისის ქენჯნა. უკვე ოცი წელიწადია, ყოველი აპრილის მოახლოებისას ჟრუანტელი უვლით. სინდისი უღიტინებთ შიგნიდან. ვინ-ვინ და თვითონ ხომ კარგად იციან, რაც მოხდა. ისიც იციან, რა უძღოდა წინ ტრაგედიას, რომელზეც დღეს ასე გულამოსკვნილები მოთქვამენ.**



საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივნის თავზე დაკიდებული აპრილის მახვილი, ან, უფრო მართებული იქნება თქმა, — აპრილის ნიჩაბი ალბათ არასოდეს ჩამოიხსნება. მონომახის ქუდი მძიმეაო. აპრილის ნიჩაბიც.

ჯუმბერ პატიაშვილი უკვე ოცი წელიწადია, თავის მართლების რეჟიმში ცხოვრობს. ცოდოა. ისევე, როგორც ყველა ის ადამიანი, ვინც 1989 წლის 8 აპრილს საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო. ესენი ქართველები არიან. მათ უნდა სცოდნოდათ ქართული ხასიათი. ესენი, აქაურები უნდა გაფრთხილებოდნენ ხალხს და არა საკუთარ სავარძლებს...

ჩემს წილ პასუხისმგებლობას ნამდვილად არ ვიხსნი, მაგრამ სხვებმაც გადადგან იგივე ნაბიჯიო, — მოუწოდებს მისთვის და ჩვენთვისაც ნაცნობ „სახეებს“ საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი. მათგან ბევრი ცოცხალთა შორის აღარ არის და „იმავე ნაბიჯს“ ვეღარ გადადგამენ.

არაფორმალების (როგორც მაშინ უწოდებდნენ) ლიდერებიდან მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე 1989 წლის ოქტომბერში ბორითთან მომხდარ ავტოავარიას შეეწირნენ. ზვიად გამსახურდია 1993 წლის მიწურულს გაურკვეველ ვითარებაში აღესრულა. გია ჭანტურიას 1994 წლის დეკემბერში საკუთარ სახლთან მოუსწრაფეს სიცოცხლე...

საქართველოს ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა ძალიან კარგად იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა აქციაზე ჯარისკაცების გამოჩენას.

ამ გადასახედიდან, 20 წლის შემდეგ ლაპარაკი ადვილია. თავის მართლებაა ძნელი. დრო ვერ აფერმკრთალებს დანაშაულს, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არა აქვს.

ურწმუნო კომუნისტებმაც კი იცოდნენ, რომ ღმერთი ადამიანს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად მისცემს ნიშანს. საქართველოს ცეკას მაშინდელ პირველ მდივანსაც მიეცა ეს ნიშანი.

**„პირველად, ერთადერთმა ბიუროს სხდომაზე, ომარ ვარძელაშვილმა თქვა, „ხალხში უნდა გავიდეს პირველი მდივანიო“, და ვაპირებდი კიდეც... მაგრამ, კატეგორიულად დამიშალეს კოლეგებმა და ძალოვნებმა“.** — თავს იმართლებს იგი, მაგრამ იქვე „ჭირი თავს არ მალავს“: — **„ჩვენთვის მიუღებელი იყო მომიტინგეთა მოთხოვნა და როგორ დავმდგარიყავი მათ გვერდში?“**

ხედავთ? გესმით?

**და რას ითხოვდნენ მომიტინგეები?**

**გავიხსენოთ მაშინდელი ლოზუნგები: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ „მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას“, „საქართველოდან გაყვანილ იქნეს საოკუპაციო ჯარები“.**

მომიტინგეთა ეს მოთხოვნები იყო მიუღებელი საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივნისთვის?

სხვათა შორის, აქვე აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ერთი, ჩემი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც: 1995 და 2000 წლების საპრეზიდენტო არჩევნების ორი მთავარი პრეტენდენტიდან (შევარდნაძე და პატიაშვილი) საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით 1991 წლის 31 მარტს გამართულ რეფერენდუმში არც ერთს მონაწილეობა არ მიუღია. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ამ რეფერენდუმში დღევანდელი პრეზიდენტი სააკაშვილიც არ მონაწილეობდა.

ესეც საქართველოს ბედისწერა — დამოუკიდებელ საქართველოს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ის ადამიანები, რომელთათვისაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლის გვირგვინი — რეფერენდუმის დღე ერთი ჩვეულებრივი, უქმე დღე იყო და არა უმნიშვნელოვანესი მომენტი მათ ცხოვრებაში.

ახლა ერთ გულსაკლავ წინათგრძნობასაც გაგიმხელთ: **ქვეყნის მომავალ ხელმძღვანელადაც, სამწუხაროდ, ის ადამიანი, მოგვევლინება, რომელიც ამ რეფერენდუმში არ მონაწილეობდა და რომლისთვისაც, შესაძლოა, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ლოზუნგები ისევე მიუღებელი იყო, როგორც მისი წინამორბედებისთვის.**

**გადადგომა მინდოდა და არ დამანებესო**, — თავის მართლებას ცდილობს პარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი, რომელიც 1989 წლის 8 აპრილს ხელს აწერს ცეკას ბიუროს დადგენილებას. **„სრულიად საიდუმლო“** გრიფით მიღებული დადგენილება **სრულიად ნათელს** ხდის ბიუროს წევრთა იმდროინდელ განწყობას.

**დადგენილების პირველსავე პუნქტში ვკითხულობთ, რომ მრავალათასიანი არასანქცირებული მიტინგის მონაწილეთაგან მთავრობის სასახლისწინა მოედნის გასათავისუფლებლად მილიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებთან ერთად უნდა გამოეყენებინათ საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები.**

ეს ქვედანაყოფები რა „ზომებსაც“ მიმართავდნენ მომიტინგეთა გასარეკად, ძნელი მისახვედრი არ იყო, მაგრამ გაიხსენეთ: **„ჩვენთვის მიუღებელი იყო მომიტინგეთა მოთხოვნაო“**, — ბრძანებს საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი.

თავს უფლებას ვერ მივცემ, ემოციური ბრალდებები გამოვთქვა. მით უფრო, რომ ჯუმბერ პატიაშვილი (აღარაფერს ვამბობ ცეკას და ბიუროს სხვა წევრებზე!) დიდი პოლიტიკური თამაშის, დიდი საჭადრაკო დაფის მხოლოდ ერთი, შეიძლება თქმა, გასაწირად გამეტებული ფიგურა იყო.

მას სერიოზული გამოცდილება აქვს მიღებული და ამიტომაც აცხადებს: **„ვიდრე ტრაგედია დატრიალებულა, და ამის საფრთხე ნამდვილად არის, სააკაშვილი უნდა გადადგეს! ნუ გაიმეორებს ჩემს შეცდომას და ტრაგედიამდე გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც მე, მართალია, მაშინვე, მაგრამ მაინც ტრაგედიის შემდეგ გადავდგი, თორემ საქართველო დაიღუპება! სააკაშვილის გადადგომა ერთადერთი გამოსავალია დღეს!“**

გადადგება, აუცილებლად გადადგება. და საქართველოც არ დაიღუპება.

**„სულიერი აღდგომა უკვე დაწყებულია“,** — ეს სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წლეულს, 11 აპრილს, ლაზარეს სახელობის ეკლესიაში ქადაგებისას წარმოთქვა.

აღდგომა ჯვარცმას მოსდევს.

არაერთგზის ჯვარცმული საქართველო აღდგომას ელის. ეს დღეც დადგება.

# სააკაშვილს ცხვარი გაექცა

**მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს. „წადიო“, — კატეგორიულად მოითხოვს ათეულათასობით ადამიანი და მათ ხმას უერთდება ასეულათასობით ქართველი, ეს კი აცხადებს: „ათასობით ხალხმა გამოავლინა თავისი დემოკრატიული უფლებები — მათ მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ გულისტკივილი გამოეხატა“. არაფერს ვაჭარბებ. არც შემისწორ-შემილამაზებია. სწორედ ასე თქვა — „ათასობით ხალხმა“ და „ხელისუფლების მიმართ გულისტკივილი“.**



რაც ჩვენ ამ დღეებში ვნახეთ (და რასაც აწი ვნახავთ!), ის თუ **„ხელისუფლების მიმართ გულისტკივილი“** იყო, მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორი ფორმით გამოხატავს ხალხი **„ხელისუფლების მიმართ რისხვას“.**

**„მსოფლიო აკვირდებოდა ამ მოვლენებს და ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ, რომ საქართველო არის ევროპული დემოკრატია, არსითა და მოქმედებით“,** — პრეზიდენტ სააკაშვილის ამ სიტყვებზე უნებურად გახსენდება 2007 წლის 7 ნოემბერი. მაშინაც აკვირდებოდა მსოფლიო იმ მოვლენებს, ხალხმა მაშინაც დაამტკიცა, რომ **„საქართველო არის ევროპული დემოკრატია“** — ერთი მინა არ ჩამსხვრეულა და ერთი ქვა არ დაკარგულა რუსთაველის პროსპექტზე მოსაპირკეთებლად მიტანილი სამშენებლო მასალებიდან. ხელისუფლებამ კი დაამტკიცა, რომ ხალხს ისე გადაუვლის, არც დემოკრატია გაახსენდება და არც მისი არსი.

მოქმედებაა ამ ხელისუფლების მთავარი ორიენტირი. **„საქმე ლაპარაკის ნაცვლად“,** — ეს ლოზუნგიც უცებ მოგვაშველეს. თითქოს მიგვანიშნეს, თქვენ ილაპარაკეთ, მაგრამ თუკი ჩვენს ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრება, საქმეს მერე ჩვენ გიჩვენებთო.

გვიჩვენეს და ვნახეთ.

ახლა საზღვარგარეთის საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აკვირდებიან მოვლენებს, უცხოური მედიაც ფართოდ არის წარმოდგენილი და ჩვენს ხელისუფლებასაც ორივე ხელით უჭირავს გუშინწინ მოჭრილი და გუშინ ქაღალდის წებოთი მიწებებული თავი.

ამ თავსაც ძლივს იკავებენ. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ერთი სული აქვთ, ლაზათიანად მიტყიპონ ეს გულისტკივილიანი მომიტინგეები.

წადიო, დაუყოვნებლივ გადადექიო, — მისძახიან და თან სტაფილოსა და კომბოსტოს უყრიან რეზიდენციის ეზოში. პრეზიდენტ სააკაშვილს კი თვალი უჭირავს ცხვრისკენ, ცხვრისკენ კი არა, დიალოგისკენ, რომელიც **„რეალურ დემოკრატიულ შედეგებამდე მიგვიყვანს“.** სააკაშვილის პოლიტიკამ სადამდე მიიყვანა იმ ქართული სოფლების მკვიდრნი, შარშან აგვისტოში რომ გამოეკიდნენ გორიდან გამოქცეულ პრეზიდენტს, ყველამ კარგად ვიცით — წეროვანის გეტოებამდე.

ხალხი ეუბნება, — წადიო, ეს კიდევ, — დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მთელი ქვეყანა ერთ დიდ გეტოდ გადაიქცა.

ხალხი ეუბნება, — გადადექიო, ეს კიდევ, — დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში, რეზო ამაშუკელისა არ იყოს, — **„სამშობლო ჩემი ნახევარი მინდვრის სიგრძეა!“**

რაღა ვილაპარაკოთ, კაცო, ახლა ლაპარაკის დროა? ან აზრი აქვს შენთან ლაპარაკს? ახლა საქმის დროა. **„საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“** აკი შენ თვითონ შემოგვთავაზე ეს ლოზუნგი. ჰოდა, როცა ზემოთ არ შეუძლიათ (თავისი დაპირებების შესრულება), ქვემოთ არ სურთ (ამ დაპირებების მოსმენა).

მგლის თავზე სახარების კითხვას აზრი არც არასოდეს ჰქონია. **ახლაც ასეა. მგელს თვალი ცხვრისკენ უჭირავს. ეს კაცი როდემდე ჩაგვთვლის ცხვრებად, ეს ჩვენზეა დამოკიდებული — ხალხზე.**

**კინაღამ წამომცდა,** — **ცხვრებზე-მეთქი.**

ამასაც სულ მალე ვნახავთ, წამომცდა თუ მართლა ვიმსახურებთ ამ სახელს.

**სააკაშვილს ცხვარი გაექცა და თვალი მისკენ უჭირავს, მისი ლუპუსტაკები კი, სადაც მოიხელთებენ, იქ უჟაპუნებენ მომიტინგეებს**. ფაქტია, ამ კაცის სურვილები და რეალობა ერთმანეთს კატასტროფულად შორდება. მისთვის რეალობის აღქმა ტრაგედიის ტოლფასია. **ამ რეალობის გაუთვალისწინებლობამ კი, შესაძლოა, ტრაგედიამდე მიიყვანოს ხალხიცა და პრეზიდენტიც, ანუ დემოსიცა და დემონიც!**

**ამ სიტყვაში განსხეულებულ სატანას არ ვგულისხმობ. დემონიაა, როცა ხალხს იმაზე მეტს ჰპირდები, ვიდრე ხელგეწიფება, როდესაც ხალხს უსირცხვილოდ ატყუებ და ამ ტყუილში მალავ მთავარს — სისუსტეს!**

გვერდი მოამზადა **ბონდო მძინარაშვილმა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ ეჩხუბა გოგი თოფაძე მეთიუ ბრაიზას?!

## გოგი თოფაძე:
## ვერ მომიყვანთ ვერცერთ მაგალითს ისტორიიდან, როცა ქვეყანა იმართებოდა უცხოელთა მიერ და ის აღორძინდა, ან გაძლიერდა

**საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსებობას უკვე ვეღარც ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფენ, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მთავრობა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექმნილ პრობლემებზე ლაპარაკობდა და ირონიაგარეული თავდაჯერებით აცხადებდა, რომ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა ვადამდელი საპრეზიდენტო თუ საპარლანეტო არჩევნების გზით შეუძლებელია. 9 აპრილს საპროტესტოდ ქუჩაში გამოსულმა ათასობით პროტესტანტმა ხელისუფლება აიძულა, ეღიარებინა პოლიტიკური კრიზისი, თუმცა მისი პოზიცია კვლავაც ურყევი რჩება. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, მზად არიან, ოპოზიციას ელაპარაკონ ნებისმიერ პრობლემაზე, გარდა ვადამდელი არჩევნებისა. შექმნილ ვითარებას უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი აქვს, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სფეროში დაშვებული შეცდომებიც არის. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხელისუფლება ეკონომიკური ზრდის სტატისტიკურ მაჩვენებლებს განუწყვეტლივ თვალწინ გვიფრიალებდა, ამას რიგითი მოქალაქის სოციალური მდგომარეობა არსებითად არ გაუუმჯობესებია. დღეს პროტესტანტთა შორის არის ცნობილი ბიზნესმენი და პოლიტიკური პარტიის —„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" — ლიდერი გოგი თოფაძე, რომელიც ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ გვესაუბრება:**





— ქვეყანაში დღეს შექმნილი ვითარება ლოგიკური შედეგია იმ ყოვლად უაზრო და უსუსური სოციალური, ეკონომიკური და საკადრო პოლიტიკისა, რასაც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ხელისუფლება უცხოელი „კეთილისმყოფელების" კარნახით საქართველოში ატარებდა. ვერ მომიყვანთ ვერცერთ მაგალითს მსოფლიო ისტორიიდან, როცა ქვეყანა იმართებოდა უცხოელთა მიერ და ის ქვეყანა აღორძინდა და გაძლიერდა. ასობით მაგალითი შემიძლია გითხრათ, თუ როგორ დაანგრიეს უცხოელმა მრჩევლებმა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა. ვგულისხმობ ამერიკულ ფინანსურ ინსტიტუტებს, როგორიცაა:

**სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოროსის ფონდი და ათასი სხვა უბედურება.... ეს ორგანიზაციები მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის საგარეო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტებია.**

სოროსი ქველმოქმედი ნამდვილად არ არის, არც სავალუტო ფონდი ეხმარება ვინმეს ლამაზი თვალებისთვის, ყველაფერს საკუთარი ინტერესების გამო აკეთებენ. მსგავსი დამღუპველი პოლიტიკა უამრავ ქვეყანაში გაატარეს, დაწყებული სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან, დამთავრებული აზიის ქვეყნებით. ილუზია — ვიღაც სხვა გვიშველის, მოვა და ქვეყანას გადაგვირჩენს — აბსურდულია. საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით, უძველესი ისტორიითა და კულტურით, თუნდაც სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციით. შესაბამისად, ბევრსაც აინტერესებს. დღეს მოწმენი ვართ, როგორ დაუპირისპირდა ორი უზარმაზარი სახელმწიფოს ინტერესი სწორედ ჩვენს ქვეყანაში. მესამე სახელმწიფო — თურქეთიც არ მალავს თავის ინტერესს საქართველოს მიმართ, ჩინეთიც კი განიხილავს ჩვენში ფეხისმოკიდების აუცილებლობას.... ამიტომ საქართველოში თუ არ გაიზარდა მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა იმგვარად, რომ სწორედ თავადვე ავირჩიოთ ჩვენი პოლიტიკური ლიდერი, მუდმივად ასეთ მძიმე მდგომარეობაში ვიქნებით.

**— ეს ინტერესები იმდენად მძლავრია, არის კი შესაძლებელი მათი დაბალანსება?**

— ჭკვიანი და ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება ამ ინტერესთა დაბალანსებას შეძლებს. მაგრამ, საუბედუროდ, სააკაშვილის ხელისუფლება მხოლოდ ცალმხრივი უცხოური ინეტერესის გამტარებლად იქცა. ფაქტია, რომ ეს მთავრობა ბოლო წლებში ოკეანისგაღმიდან იმართებოდა. ამერიკას საქართველო სამხედრო ბაზად, სატრანსპორტო კორიდორად, ნახშირწყალბადების გამტარებლად და ა.შ. სჭირდება. მეორე ქვეყანა, ანუ რუსეთი, აღქმული იყო მტრად და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვეკიდებინა. ამერიკამ საქართველო რუსეთის საერთაშორისო იმიჯის შესალახავად გამოიყენა, თუმცა ამისგან ვინ რა ხეირი ნახა? ამიტომაც აღმოვჩნდით ასეთ რთულ ვითარებაში. ორი გიგანტის დაპირისპირებაში ჩვენ გავეჩხირეთ, ვიქეცით ხურდად და ყველაზე მეტად დავზარალდით.

რაც შეეხება უცხოური ინტერესების დაბალანსებას, ნებისმიერი ნორმალური, ეროვნული მთავრობა ყველაფერს გააკეთებდა ამ ბალანსის დასაცავად. არადა, რუსეთს ვერსად გავექცევით, ჩვენი გეოგრაფიული მეზობელია. კავკასიის ქედი ბუნებრივად კი გვყოფს, მაგრამ ამ გამყოფსაც დავკარგავთ, თუ ეს უგუნური პოლიტიკა გავაგრძელეთ.

მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით სააკაშვილის ხელისუფლებამ უამრავი შეცდომა დაუშვა. მათ ხელისუფლებაში დარჩენის არც პოლიტიკური რესურსი შერჩათ და არც მორალური უფლება. ამ ხალხმა დაღუპა ეს ქვეყანა.

**— ბატონო გოგი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, სააკაშვილის მშვიდობიანად წასვლის შემთხვევაშიც კი მომავალ ხელისუფლებას უმწვავესი პრობლემების გადაჭრა მოუწევს....**

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სრულიად უაზრო ეკონომიკური პოლიტიკა ტარდებოდა, ქვეყანას ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა მაინც აქვს და ყველაფერი სწორედ დაგეგმილ ეკონომიკურ პროგრამაზე იქნება დამოკიდებული. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა სოფლის მეურნეობა მოეკლა. საქმე ისაა, რომ რასაც ჩვენ ვაწარმოებდით და რაც ჩვენთვის სახელმწიფო მნიშვნელობის პროდუქტი იყო (ციტრუსი, ჩაი, ყურძენი), ეს ყველაფერი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჭარბად იწარმოება. შესაბამისად, ამ კულტურებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაწევა რთულია, რასაც დიდი შრომა დასჭირდება.

**ამის ნაცვლად გაცილებით იოლი გზა გამოინახა — მოვსპოთ ეროვნული წარმოება და მხოლოდ ვაჭრობით ვიცხოვროთ. ამიტომაც დიდი შეცდომა იყო უზარმაზარი მასშტაბისა და მსოფლიო მნიშვნელობის რუსული ბაზრის დაკარგვა. აი, ეს გააკეთა ამ მორჩილმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერაფრით გაუბედავდა ოკეანისგაღმელ მოკარნახეებს შეკამათებას და ეროვნული პოზიციის დაცვას.**

**ამიტომაც ვართ დღეს ამ მდგომარეოგში. როგორ გგონიათ, ომი აგვისტოში ამერიკელთა ნების საწინააღმდეგოდ მოხდა?**

**ახლა ამბობენ, კონდოლიზა რაისი ომამდე ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში და სააკაშვილი გააფრთხილა, არავითარ შემთხვევაში არ დაეწყო ომი. თქვენი აზრით, სააკაშვილმა ამის გათვალისწინებით, მაინც გაბედა და დაიწყო?**

**— ანუ ამბობთ, რომ ამერიკამ წააქეზა სააკაშვილი?**

— **აბა, როგორ გგონიათ, რისთვის ჩამოვიდა კონდოლიზა რაისი?** ისევ რუსული ბაზრის თემას უნდა დავუბრუნდე, ვერავინ დამაჯერებს, რომ ონიშენკომ ერთ დილით გაიღვიძა და ბაზრის ფალსიფიცირებული პროდუქციისგან გაწმენდა გადაწყვიტა. ეს ყველაფერი პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოხდა. სააკაშვილის ხელისუფლების კონფრონტაციულმა პოლიტიკამ განაპირობა რუსეთის მიერ ქართული პროდუქციის დაბლოკვა, არადა, ჩვენი ექსპორტი პირდაპირ მიბმული იყო ამ ბაზარზე. რუსული ბაზრის დაკეტვამდეც უდიდესი იყო განსხვავება იმპორტისა და ექსპორტის ოდენობას შორის, მაგრამ ახლა რაც ხდება, კატასტროფაა. ექსპორტი კი არა, ქართული პროდუქცია ეროვნულ ბაზარზეც კი ორიოდ პროცენტს შეადგენს. სწორედ ეს ღუპავს ქვეყნის ეკონომიკას.

უმძიმესი პერიოდის გადალახვა მოგვიწევს. სააკაშვილის შემდგომი პრეზიდენტი უმძიმეს მემკვიდრეობას ჩაიბარებს, მაგრამ მთავარია, ქვეყანა უყვარდეს და პროფესიონალების აზრი გაითვალისწინოს.

დღეს ლაპარაკობენ, რომ სააკაშვილის მშვიდობიანად წასვლის შემთხვევაში, ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელშეუხებლობის გარანტია ექნებათ, რასაც არ ვიზიარებ. ჩემი აზრით, კანონის ფარგლებში ყველა დამნაშავემ პასუხი აუცილებლად უნდა აგოს. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა იქცეს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად, მაგრამ თუ დამნაშავე არ დაისაჯა, ახალ ხელისუფლებასაც იგივე მოუვა. 3-4 თვეში მიტინგები და მთელი ეს უბედურება ხელახლა დაიწყება. კიდევ ერთი: ახალმა ხელისუფლებამ ნაკლებად უნდა გაითვალისწინოს უცხოელთა დირექტივები. ბევრ უცხოელ მრჩეველთან მისაუბრია, თუნდაც, მეთიუ ბრაიზასთან, ამ ბრიყვ ადამიანთან, რომელიც საოცრად დიდაქტიკური ტონით გველაპარაკებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას ვეჩხუბე კიდეც.

**— რატომ?**

**— ყველა ოპოზიციური ლიდერი დაგვიბარეს ამერიკის საელჩოში. იქ იყო ბრაიზაც, რომელმაც დემოკრატიის გაკვეთილის ჩატარება დააპირა. სრულიად აუტანელი ტონით გველაპარაკებოდა. მე ვუთხარი, რომ უნდა აეღო პასუხისმგებლობა იმაზე, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩვენს ქვეყანას დამართა. როგორც ჩანს, ეს ვაი-დიპლომატი არ იყო ჩვეული ასეთ ტონს და მიპასუხა, რომ, თურმე მათ რუსეთისგან გადაგვარჩინეს! ამაზე ვუპასუხე: — კი არ გადაგვარჩინეთ, ამხელა ქვეყანა მტრად გადაგვკიდეთ, ხვალ მიგვაგდებთ და დაგვტოვებთ ამ გიგანტთან პირისპირ-მეთქი... პასუხად მეთიუ ბრაიზა შეხვედრიდან გაიქცა.**

ესაუბრა
ანა ბარათელი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## თამაზ წივწივაძე:

# ეს სამთავრობო გუნდი კი არა, „მახნოს ბანდაა!“

**პოლიტიკურმა პროცესებმა, რასაც სამართლიანად უწოდებენ კრიზისს, მთლიანად მოიცვა ჩვენი ქვეყანა. ვისაც არ ეზარება, ყველა თავის აზრს გამოთქვამს. ჩვენთან ჭკვიანი კაცების დეფიციტი არასოდეს ყოფილა. მათ მოსმენას არაფერი სჯობს. ცნობილ კრიტიკოსთან — თამაზ წივწივაძესთან სასაუბროდ მისულს ის განწყობა დამეუფლა, რომელიც მისი პუბლიკაციების კითხვისას მხოლოდ მე კი არა, დარწმუნებული ვარ, თითოეულ თქვენგანსაც გიჩნდებათ. ამ ინტერვიუს მკითხველიც ადვილად შენიშნავს, რომ იგი დღესაც „ფორმაშია“. წაიკითხეთ და თავადაც დარწმუნდებით ამაში.**



**— ბატონო თამაზ, ვიდრე საქვეყნო ჭირ-ვარამზე ვისაუბრებდეთ, ჯერ თქვენ მოგიკითხავთ. როგორ ბრძანდებით, ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალს ნაჩვევი კალამდარი რას საქმიანობთ?**

— როგორ ვიქნები, ბონდო, კარგად, როცა სამშობლოს ტერიტორიების თითქმის მესამედი ახალი დაკარგული მაქვს, ხოლო, რაც დამრჩა, დარწმუნებული ვარ, იმასაც მალე გამოუყვანს წირვას ჩვენი არაადეკვატური პრეზიდენტი!

რასაკვირველია, აქ, არაადეკვატურის ნაცვლად, სიტყვა „სულელი“ უნდა მეხმარა, მაგრამ რაკი საქმე ჩემი ქვეყნის პირველ პირს ეხება, აღარ ვაკადრე!..

აღარ გეკითხები, ბონდო, მაგრამ, გეტყობათ, არც თქვენ ხართ კარგად, თუმცა, დღეს რომ თავს ნორმალურად გრძნობდე, არანორმალური უნდა იყო!..

**— „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემის შეჩერების შემდეგ „ამირან გულში მღეროდას“ რეჟიმში ცხოვრებას, იქნებ, კალმის სამელნიდან ამოღება სჯობდეს?**

— როგორც დათა თუთაშხია იტყოდა, — ვცადე ეს მე!

წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენი თანამემამულეები ასე გავაფრთხილე: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, ვინც სომეხი სააკაშვილის „ნაცში“ („ნაცმოძრაობაში“) მიძვრება-მეთქი!..“

მერე, რაკი არ დამიჯერეს, სამელნედან კალამი ამოვიღე და პირდაპირ დავწერე: „ვინც „ვარდების რევოლუციას“ უჭერდით მხარს, მეყოლეთ ახლა ვარდივით!..“

კიდევ რა მეთქვა, ბონდო, ამხელა კაცი ქუჩაში ხომ არ დავუწყებდი ხალხს გინებას!..

**— მთლად „ლიტერატურული“ არ არის, მაგრამ „საქართველო“ ჩვენი გაზეთის სახელწოდებაშიც ფიგურირებს და — აგერ ასპარეზი. თუ პატივს დაგვდებთ, — „ჰა მოედანი“. „ბურთი“ თქვენ წამოიღეთ.**

— გადაეცი თქვენი გაზეთის ხელმძღვანელობას, ჩემთვის ამ მეტად ძვირფას ადამიანებს, დიდი მადლობა სამსახურის შემოთავაზებისა და „მოედნის“ დათმობისთვის!

მე ისიც მესმის, ბონდო, ჩემი „ბურთით“ რატომ უნდა მოვიდე. ხელისუფლებასთან, საჭიროების შემთხვევაში, გასამართლებელი საბუთი გექნებათ: ეს კაცი საკუთარი ბურთით გირტყამდათ „პენალტებს“ და ჩვენ რა უნდა გვექნაო!..

**— 9 აპრილს დაწყებულ მიტინგებს ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ თვალი ვერ მოგკარით... მე კი მეგონა, რომ „თამაზის დროშა გაშალეს“ და პირველ დღეს ამდენმა ხალხმა იმიტომ მოიყარა თავი...**

— სატრაბახო რა არის, მაგრამ მე ჯერ ამ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამართული არც ერთი აქცია არ გამიცდენია — ხალხში ვდგავარ და ტრიბუნებს არ ველტვი!

თქვენ თუ თვალი ვერ მომკარით, ეტყობა, უბრალო შემთხვევითობის ბრალია.

არადა, იმისთვის კი მართლა მადლობელი ვარ, ბონდო, ამ უთვალავი ხალხის შეკრება ჩემდამი პატივისცემას რომ მიაწერეთ — კარგადაც ამბობთ: მეგონა, „თამაზის დროშა გაშალეს“ და პირველ დღეს ამდენმა მომიტინგემაც ამიტომ მოიყარა თავიო!..

არა, ბონდო, ახლა აღარც ჩემი „ლოზუნგების ქვეყანა“ ახსოვს ვინმეს და აღარც „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!..“

ეს ზღვა ხალხი ამ ხელისუფლების იმ აღვირახსნილმა უზნეობამ გამოიყვანა, რომლის დარიც საქართველოს ისტორიას ჯერ არ ახსოვს!

არ ვაჭარბებ, ბონდო, — ეს სამთავრობო გუნდი კი არა, „მახნოს ბანდაა!“

**— ბატონო თამაზ, გულახდილად მითხარით, გჯერათ მიშას „ნაციდან“ („ნაციონალური მოძრაობიდან“) თავ-ქუდ-ყელსაბამაღვირით გამოქცეული პორტარტურელების გულმხურვალე მამულიშვილობისა?**

— კი, რამდენიმე ადამიანი მიშას „ნაციდან“ მართლაც გამოიქცა და თანაც იმგვარი სიჩქარით, პორტარტურის ომის ზოგიერთი მონაწილე საკუთარ ცხენს რომ ასწრებდა!..

კარგია, რომ დღეს ეს გუნდი ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული!

შეიძლება, მე დღეს ამათი „გულმხურვალე მამულიშვილობით“ არც ისე აღტაცებული ვიყო, მაგრამ მიშას „ნაციდან“ „სვობოდაზე“ რომ გამოვიდნენ, მაინც სასარგებლო საქმედ მიმაჩნია.

თანაც, დარწმუნებული ვარ, ამათგან არც ერთს პრეზიდენტის „ნაცში“ მიბრუნების სურვილი აღარასოდეს გაუჩნდება!..

**— ხალხი, მოგეხსენებათ, ბრძენია, მაგრამ ეს ხალხი შეცდომებს რომ უშვებს, არ გიჩნდებათ სურვილი, კიდევ ერთხელ თქვენებურად შეუძახოთ და გამოაფხიზლოთ? ჩვენ რომ თავი მიტინგზე გვგონია, შესაძლოა, სულაც ისევ დეპოში ვიყოთ, რომელსაც „კრიშა“ ჩვენი „პირველად საქართველოში“ აეროპორტივით გადასძვრა...**

— მეტი რა უნდა შემეძახა, ძმაო! როცა ამ „დიდი სამეულის“ (ჟვანია, ბურჯანაძე, სააკაშვილი) ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე მთელი ქვეყნის გასაგონად ვყვიროდი:

„უტიფრობითა და თავხედობით აღსავსე ახალგაზრდა რეფორმატორთა ეს ჯგუფი აწ უკვე ქვეყნის უბედურებად იქცა და მან, ვინც ამ უბედურების წარმოქმნას შეუწყო ხელი, უნდა კიდევაც აგვაშოროს იგი თავიდან!..“

არა ისმინეს!..

არადა, უფრო ადრეც მქონდა „გრიშა ბიძიების“ გამოღვიძების მცდელობა.

მე თქვენი ახლანდელი დაკვირვება მეწიშნა: ჩვენ რომ თავი მიტინგზე გვგონია, შესაძლოა, სულაც იმ დეპოში ვიყოთ, რომელსაც „კრიშა“ თბილისის აეროპორტივით გადასძვრაო!..

ყველაფერს ვერ იტყვი კაცი, ბონდო, თორემ „კრიშა“ ჯერ ჩვენს ხელისუფლებას მოუცურდა თავზე და მერე — ჩვენს აეროპორტს!..

**— „გრიშა ბიძია“ თქვენმა შეძახილმა გამოაფხიზლა. იქნებ „ბიძია მიშას“ და „დეიდა ნინა ანზოროვნასაც“ უთხრათ რამე ამქვეყნად მოსაბრუნებელი...**

— მეტისმეტად დიდი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე, ძვირფასო მეგობარო, თორემ „მიშა ბიძიას“ კაცის ხმით კი არა, იერიქონის საყვირითაც ვერ გააღვიძებ!

მეტადრე, თუ პორნომასაჟისტის მიერაა ახალი ჩაძინებული!..

ამ კუთხით, ყოფილა შემთხვევა, 30000 მომიტინგის ერთობლივ შეძახილსაც ვერ გამოუღია ნაყოფი. აქედან დასკვნა: შეიძლება არც სძინავს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ კაცს ჩვენი არ ესმის!..

რაც შეეხება „დეიდა ნინოს“, მისთვის არა, მაგრამ მამისთვის, ბატონი ანზორისთვის, კი მაქვს თავის დროზე ნათქვამი: მე თქვენს ქალიშვილს მხოლოდ იმიტომ ვერ ვუჭერ მხარს, ხელისუფლების სათავეში მისასვლელად სომხებს და ცისფერებს წინ რომ მოუძღვება-მეთქი!..

**— გული რას გიგრძნობთ, დაგვანებებს თავს პრეზიდენტი სააკაშვილი და წავა? თუ ჯიუტი მწყერივით არა შეჯდება ხესა ზედა?**

— გული ბევრ რამეს მიგრძნობს, ბონდო, — კარგსაც და ცუდსაც!

საერთოდ კი, როგორც ვატყობ, ჩემი განწყობილება თანამემამულეთა ქცევაზეა დამოკიდებული: თუ პარლამენტისწინა მოედანი მომიტინგე ხალხით ივსება, ჩემი გულიც სიხარულით ივსება!..

მითუმეტეს, სასიამოვნო მუხტის მომცემი ხმაც თუ ისმის — წადი, წადი!..

არადა, კიდევ კარგი, მიხეილ სააკაშვილი კანონიერი გზით მართლა რომ არ გვყავს არჩეული, თორემ რა ნამუსით ვეტყოდით ახლა, გადადექიო!..

ამიტომაა ნათქვამი, ბონდო, ზოგი ჭირი მარგებელიაო...

ხოლო რაც შეეხება მწყრის ხეზე შეჯდომა-არშეჯდომის საკითხის გარკვევას, ცოტა რამ აქაც დასაზუსტებელია. მაგალითად, ის, რომ სააკაშვილს ხეზე შესმას კი არა, ხეზე გასმას უპირებენ!..

**— მაშინ, ბარემ ისიც გვითხარით, გაცილებისას საგზლად რას გაატანთ?**

— მხოლოდ და მხოლოდ გასაბერ ბუშტებს! ნიშნად იმისა, რომ თვითონაც იგრძნოს — ადრე იქნება თუ გვიან, ყველა ცრუქაქუნა პოლიტიკოსი ბუშტივით სკდება!..

# იუდას ორდენის ახალი კავალერები

**ბრძენი მეფე პეტრე დიდი რას წარმოიდგენდა, რომ მის მიერ 1709 წელს დაწესებულ „იუდას ორდენს“ ამდენი კავალერი გამოუჩნდებოდა მისთის უცხო და შორეულ საქართველოში. ადამიანთა მოდგმისთვის ყველაზე სამარცხვინო სახარებისეული პერსონაჟი — იუდა დღემდე გამცემლობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ნოდარ დუმბაძე ამბობდა, — ქრისტე კი არ გასცა იუდამ 30 ვერცხლის სანაცვლოდ, იუდა მოისყიდეს 30 ვერცხლად მღვდელმთავრებმაო. აქედან დასკვნა: 30 ვერცხლი, რომელიც იუდამ ქრისტეს გაცემისთვის მიიღო, მისი ფასია და არა მაცხოვრისა.**







საქართველოს ისტორიაშიც მრავლად არიან ადამიანები, რომელთა სახელი ხალხმა საუკუნოდ შერისხა გამცემლობისა თუ ღალატისათვის. ერისა და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მათ უღალატეს საკუთარ ხალხს, წინაპართა რწმენას, ერთგულ მეგობრებსა და სანდო მოკავშირეებს; მათ გაყიდეს მშობლიური მიწა; ისინი მტერს აბარებდნენ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს; გადასცემდნენ სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებებს; გააზრებულად და მიზანმიმართულად ანგრევდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას; კულტურის, ტრადიციებისა და მორალური ღირებულებების ნგრევით მომავალს უსპობდნენ მთელ თაობებს; ერთმანეთს უპირისპირებდნენ ადამიანებს...

**მათი ნაავკაცარის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... უფრო კონკრეტულად კი გავიხსენოთ შადიმან ბარათაშვილის გამცემლობა და მისი სინონიმი — „შადიმანობა“, მარკოზაშვილების სასახლის დარბაზში შეკრებილი შეთქმულები და სინონიმად — „მარკოზაშვილობა“, ბერბიჭაშვილის მიერ ერის მამისთვის შუბლის შენგრევა და მისი სინონიმი — „ბერბიჭაშვილობა“.**

საქართველოში განსაკუთრებით უყვართ ადამიანებისთვის თიკუნების დარქმევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერის მეხსიერებაში ღრმად არის ჩამჯდარი ეს და სხვა ბევრი გვარიც.

**თუმცა, არაფერი დაუშავებიათ სხვა ბარათაშვილებს, მარკოზაშვილებს, ბერბიჭაშვილებს...**

**ისევე, როგორც ქვეყნისთვის არაფერი დაუშავებიათ და იქნებ სამშობლოს სამსახურში თავიც გაწირეს სააკაშვილებმა, ბოკერიებმა, რამიშვილებმა, ლომაიებმა, თარგამაძეებმა...**

მაგრამ ამ გვარების წარმოთქმისას, უპირველესად, **მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, კახა ლომაია, გივი და გიორგი თარგამაძეები გვახსენდება...**

ამ ადამიანების უპირველესი საზრუნავი სწორედ ის უნდა იყოს, რომ მათ გამო მათივე გვარი ხალხმა საწყევრად და საუკუნოდ შესაჩვენებლად არ გადააქციოს.

ამ დღემდე არც ისე შორია...

გვარიშვილობაა ძნელი, თუ კაცი კაცად არ ვარგაო, და მათი საქმეც სწორედ ასეა. თორემ ღირსეული ბარათაშვილებიც იცის ხალხმა და არც მარკოზაშვილია სალანძღავი გვარი, ბერბიჭაშვილებიც დღემდე განიცდიან თავიანთი უგუნური მოგვარის საქციელს.

**რას წარმოიდგენდა პეტრე პირველი, რომ...**

თუმცა, რაღა პეტრე პირველი, ჩვენც ძნელად წარმოგვედგინა, ჭკვიანი მტრების წისქვილის დოლაბების დასატრიალებლად თუ ქართველთა სისხლის მდინარეებს მიუშვებდნენ ჩვენი უგუნური მოყვარეები.

ეს დოლაბები საუკუნეების მანძილზე ტრიალებს...

პეტრე პირველის მიერ „იუდას ორდენის“ დაწესებამდეც ტრიალებდა და ახლაც არ შეუწყვეტია ბრუნვა.

გვერდი მოამზადა **ბონდო მქინარაშვილმა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## რეზო მიშველაძეს:

# ვუყურებ, ვუსმენ და ვრწმუნდები, რომ მიშას სძულს ქართველი ერი

**ერი დღეს მღელვარე მოლოდინით ცხოვრობს, აანალიზებს გარდასულ წლებს, მომავლის სამოქმედო პროგრამის დასახვას ცდილობს. უდიდესი ამოცანების გადაწყვეტის მიჯნაზე მდგარი ათასობით კაცი შედეგს ელოდება.**

**გარკვეული და არაორჭოფული პოზიცია ქართული ნოველის კლასიკოსს, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატს, პროფესორ რეზო მიშველაძეს თანამედროვეთა პირუთვნელ, მოურიდებელ შეფასებას კარნახობს, რომელმაც ყველა უნდა დაგვაფიქროს.**



**— ბატონო რეზო, როგორ შეაფასებთ დღევანდელ პოლიტიკურ პროცესს და რა პარალელების გავლება შეიძლება დღევანდელ მოვლენებსა და „ვარდების რევოლუციას" შორის?**

— 9 აპრილის მიტინგზე პიონერთა სასახლის წინ შემაღლებულ ადგილზე ვიდექი და ჩემდა უნებურად, კამათს შევესწარი, რომელიც დემონსტრანტებმა წამოიწყეს: — მაინც, რამდენი კაცი იქნებაო? — ზოგი ამბობდა, 50 ათასიო, ზოგი — 80 ათასს, ზოგი — 100 ათასს და ზოგიც 150 ათასს ვარაუდობდა. დემონსტრანტთა რიცხოვნობაზე ასეთი დაინტერესება არასერიოზულად მომეჩვენა. მაშინ გავიფიქრე, თუ ჩვენი რევოლუციური აღტყინება იმაზეა დამოკიდებული, რამდენი კაცი შეიკრიბება რუსთაველზე, ჩვენი საქმე ძალიან ცუდად ყოფილა. მოგვიანებით გაირკვა, რომ რუსთაველზე არანაკლებ 300 ათასი მეამბოხე იდგა (მე მათ მეამბოხეებს ვეძახი). იცით, რას ნიშნავს, როდესაც 300 ათასი კაცი ქუჩაში გამოდის? — ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონი მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში იმიტომ, რომ ამ 300 ათასის უკან დგანან მათი ოჯახის წევრები, სამეგობრო. ყველა მათგანს საშუალება არა აქვს, ზოგს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, რომ ქუჩაში 6 საათის განმავლობაში იდგეს.

**— ბატონო რეზო, ხომ არ ჩამოყალიბდა ეროვნულ თვისებად ან მავნე ტრადიციად პრეზიდენტის ვადაზე ადრე დამხობის გზა, როგორც ეს ხდება ბანანის ქვეყნებში?**

— წინა ე. წ. „ვარდების რევოლუცია" ამერიკის მიერ იყო ინსპირირებული, რომელსაც უცხოური ძალები აფინანსებდნენ და ხელით აწვებოდნენ შევარდნაძეზე განაწყენებულ ერთ მუჭა ვითო მრევოლუციონერებს პარლამენტში შესავარდნად. ამჟამად ასე ნამდვილად არ არის. ხანდახან მეცინება ამ „გულუბრყვილო", პოლიტიკურად უმწიფარ ხელისუფალთა არგუმენტებზე. მათი განმარტებით, 2003 წლის 22 ნოემბრის პარლამენტში შევარდნა იყო კანონიერი, „ხავერდოვანი" და „ტკბილი" ნაბიჯი. ახლა იგივეს განმეორება უკანონობა და კონსტიტუციის ხელყოფაა, ამდენად — დასჯადი (მათ ასეთი ტერმინი აქვთ). — რატომ, კაცო?! — 2004 წლიდან სულ რაღაც 5 წელი გავიდა, განა რა ასეთი საკანონმდებლო ცვლილებები მოხდა კონსტიტუციაში?!. ის, რაც მაშინ კანონიერი იყო და გამართლებული, დღეს უკვე დანაშაულია. საქმე ისაა, რომ ქართველ ერს კვლავაც ატყუებენ, იგონებენ უნიჭო, გულისამრევ გამამართლებელ საბუთებს; ამბობენ, მაშინ არჩევნები გაყალბდა, ახლა კი სულ სხვა ვითარებააო. მე თქვენ გეუბნებით — განა არჩევნების გაყალბებისთვის არ იყო იპოდრომზე ყველაზე გრანდიოზული და მასშტაბური აქცია? განა 5 იანვრის სამარცხვინოდ გაყალბებული არჩევნებისთვის არ დგას დღესაც ქართველი ხალხი ქუჩაში?..

წარსულსა და დღევანდელობას შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ისაა, რომ ამჯერად ჩვენი მტერი ამერიკა არ აქტიურობს, წინა პლანზე აღარ ჩანს. მახსოვს, მაშინ ყოველ 15 წუთში შევარდნაძეს ვაშინგტონიდან ურეკავდნენ. „ოპოზიციონერი" გიორგი თარგამაძე ამერიკაში იმისთვის იყო, რათა როგორმე ვაშინგტონს სააკაშვილი სკამზე გაემაგრებინა. ჩვენი ერისათვის ისევ არასახარბიელო მდგომარეობაა. მაშინ ავანტიურა ერთ მუჭა პოლიტიკოსებს ამერიკამ გააკეთებინა, ახლა კი თავის გაკეთებულს კბილებით იცავს, ოღონდ, ეგ არის, კბილებიც და ბრჭყალებიც დააცვდა. ამერიკამ ქართველი ერის რისხვა დაიმსახურა და იცით, რისთვის? — ჩვენ გვეგონა, რომ „ძია სემი" ჩვენი დასავლეთელი მეგობარი, ჩვენი პატრონი იქნებოდა, პატარა საქართველოს ყველა მძიმე სიტუაციაში დაიცავდა, რეალურად, თურმე, ვერაფრის გამკეთებელი ყოფილა. ამერიკამ ვერ მოახერხა, რომ საქართველოს მაპი მიეღო, რომლითაც, ასე თუ ისე, თავი ქუდში გვექნებოდა და სანახევროდ მაინც დაცულნი ვიქნებოდით. რუსეთის თვითმფრინავები როდესაც წყვილ-წყვილად საქართველოს ზეცას სერავდნენ, მე, პირადად, ამერიკაზე გული სამუდამოდ გამიტყდა.

**— ბატონო რეზო, ამბობენ, სააკაშვილს თავისი სკამის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა დღენახევრიანი ომი რუსეთთან და დღესაც ცდილობს საზღვართან მდგარი რუსის ჯარის გამოწვევას, რათა საგანგებო რეჟიმის შემოღებით მღელვარების ტალღა ჩაახშოს...**

— ჩემსავით სააკაშვილი არავის სძულს. მისი არც ერთი სიტყვისა არ მჯერა. ვუყურებ, ვუსმენ და ვრწმუნდები, რომ მიშას სძულს ქართველი ერი, ხალხი, რომლის წინამძღოლიცაა, მაგრამ სამართლიანი არ ვიქნები, თუ საზოგადოების ამ შიშს არ ვუპასუხებ. რუსეთი ჩვენი მეზობელი ორასმილიონიანი ქვეყანაა, ატომური და ბირთვული იარაღის პატრონი. უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში საქართველომ რუსეთთან ორი ომი გადაიტანა. 1992 წელს სააკაშვილი იყო? — შევარდნაძე ერის წინაშე დიდი ცოდვილია. მან ხელი შეუწყო ჩვენი პირველი ეროვნული პრეზიდენტის დამხობას და უბედურებაც იქიდან დაიწყო. რაც შეეხება აგვისტოს ომს, საქართველოს საზღვრებზე რუსეთს საკუთარი ინტერესები აქვს. სააკაშვილს შეეძლო, ჭკვიანური დიპლომატიური მანევრირებითა და პოლიტიკური თამაშებით ეს ომი დროებით გადაევადებინა, მაგრამ აცილებით ვერ აიცილებდა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ერთი ღირსეული ნაბიჯი რომ გადმოდგას, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, საქართველო 180 გრადუსით რუსეთისკენ შემობრუნდება...

**— ბატონო რეზო, ძნელია ხელმწიფის ნავში ჯდომა, როგორც არა ერთი ბრძენი ბრძანებს, როგორ შეფასებას აძლევთ გუშინდელ სახელმწიფო მოხელეთა ოპოზიციონერობას, რომელნიც პრეზიდენტის წყალშემდგარი ნავიდან „ვირთხებივით" გადმოხტნენ?**

— დიდ და საქვეყნო საქმეში პოზიციისა და მრწამსის მერყეობა ადამიანებში უდიდეს უნდობლობასა და უპატივცემულობას იწვევს. ერთ ამბავს გავიხსენებ ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით. გახსოვთ, ალბათ, „ვარდების ხელისუფლებამ" ეროვნების გრაფა რომ გააუქმა პასპორტებში. მე მძაფრი პროტესტი გამოვთქვი პარლამენტში, მხოლოდ ცხონებული გურამ შარაძე ამომიდგა მხარში. მაშინ ქალბატონმა ბურჯანაძემ ცინიკური ღიმილით მითხრა: — „ბატონო რეზო, რა ასეთი აუცილებელია მამის სახელის ჩაწერა, განა მამის სახელი გვავიწყდება ხოლმე?" ამიტომ მოჩანს საეჭვოდ ეროვნული დროშის ქვეშ ყოფილი ჩინოსნების — ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ნოღაიდელის, ირაკლი ოქრუაშვილისა და მათი მსგავსი პოლიტიკოსების ოპოზიციონერობა. თვით ოპოზიციაშიც ძნელად მოიძებნებიან ჯანმრთელი და მაღალი სულიერი ღირსებების მქონე ლიდერები. გული მატკინა ალასანიას სიტყვებმა დიალოგის თაობაზე, არანაკლებ გულსატკენი იყო ლევან გაჩეჩილაძის გაცეცხლებაც. მომეწონა, როდესაც გია მაისაშვილმა ეროვნული დროშა გამოიტანა, მაგრამ მისი უცენზურო და უხეში გამოსვლა არ მომეწონა. არც გოგი ხაინდრავას სიტყვებია მოსაწონი — „სააკაშვილის ცხედარს აქ მოგიტანთო". ეს ყველაფერი ქუჩურ გარჩევებსა და ყოყლოჩინა ბიჭების დაპირისპირებას უფრო ჰგავს, ვიდრე რევოლუციურ სულისკვეთებას. ასეთ დროს პრეზიდენტის „გასეირნებებიც" ხალხის აბუჩად აგდებად მიმაჩნია. ქუჩაში ათასობით კაცი დგას და სიმართლეს ითხოვს, ის კი რესტორნებში ქეიფობს და თავის კუნთმაგარ დაცვის ბიჭებს რესტორნის წინ სიმართლის მაძიებელ ახალგაზრდა პროტესტანტებს აცემინებს, ხან კი გუდაურშია.

დღეს ძნელია, იფიქრო გამარჯვებაზე, როდესაც ოპოზიციის ლიდერები დაბნეულ ხალხს პარლამენტიდან რაიხსტაგამდე (ავლაბრის სასახლეს ასე ვეძახი) გაუძღვებიან და მცირე ექსცესების მერე თითქოს ვიღაცის ბრძანებით დაშლიან, ანუ წინ და უკან დაატარებენ. მეეჭვება, ასეთი „მარშიროვკებით" წარმატებას მივაღწიოთ. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ჩემი იმედის თავშესაფარი ქართველი ხალხია, ყოველთვის მართალი და არავისგან მართული. მოთმინება გვმართებს, დრო ყველაფერს სინათლეს მოჰფენს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# მექანიკური ფორთოხალი

**ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო გიორგი თარგამაძე, როცა ასლან აბაშიძეს ხელჩაკიდებული დაჰყავდა და ყოველ პირის დაბჩენაზე კანფეტებს ჩაუგდებდა — მაღალ თანამდებობას მაღალი ხელფასით, ავტომანქანას, ბინას...**

ისე უყვარდა მაშინ ფინია თარგამაძეს აჭარის ლომი, რომ მამას ერჩივნა, საკუთარს. არც დაუმალავს და საჯაროდაც არაერთხელ განუცხადებია.

გავიდა წლები. პატარა გიორგიმ ბოხი ხმით ლაპარაკში იმდენი ივარჯიშა, იმდენი ქნა, რომ ისწავლა. იმდენი რამე ისწავლა, იმდენი რამე, რომ...

**იცის, როგორ უნდა ითამაშოს ფეხბურთის ერთ გუნდში და როგორ გაიტანოს ბურთი საკუთარ კარში. როგორ წააგებინოს ბათუმის „აღორძინებას" თბილისის „ნაციონალებთან", ოპოზიციას**

**— ხელისუფლებასთან და სააკაშვილთან დაქორწინების შემდეგ ოპოზიციონერი ქალიშვილი დარჩეს.**

ამასთან, მოგვარე გივიიისნაირად არასოდეს არ უნდა გაიღიმოს და ბადრი პატარკაციშვილის ცხოვრების საქმე ქეისნაირ თხაზე გაყიდოს.

რა მოიგო თხის გამყიდველმა?

თვლა იცი? მიდი და ითვალე! ერთი კვირის თავზე ბოლოში გახვალ.

**პატრონების ყიდვა-გაყიდვაში დიდი სარგებლის მნახველმა „მომავალმა პრეზიდენტმა" ამერიკაში ხშირი სიარულიც ისწავლა და ბურკინა ფასოსთვის დამუშავებული მეორადი მოხმარების წინადადებების საქართველოში ჩამოტანაც.**

მაგალითად:

„არსებული პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის, მხარეებს შორის ნდობის გაჩენისა და დიალოგისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნის მიზნით" აუცილებელია სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, ანუ გადადგომა უზენაესი სასამართლოსა და ცესკოს თავმჯდომარეების.

წავლენ ეს პატივცემული გვამები დაკავებული თანამდებობებიდან და იმავე წუთს დაცხრება რევოლუციური ტალღა!

მაგრამ 2001-ში კიდევ ერთი თარგამაძე — კახა, შს მინისტრი და გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი თანამდებობებიდან რომ წავიდნენ, შეიცვალა რამე?

— არა.

ახლა, რაკი თარგამაძე №3 ამბობს, აღმა წავა მდინარეები?

მაშასადამე, გვაბითურებს და, მეტი დამაჯერებლობისთვის, ამერიკიდან ჩამოტანილად გვასაღებს.



**სექონდ ჰენდია, პატრონგამოცვლილი!**

ეს იმ დონის იდეებია, როგორიც მიხეილ სააკაშვილს დღეში ორი მაინც მოსდის — რადიკალურად განსხვავებული: თუ ერთხელ „ნიუსვიკის" კორესპონდენტის შეკითხვას — რას შეცვლიდით რუსეთთან ურთიერთობის თქვენეულ პოლიტიკაში, უპასუხებს: **„არ ვიცი, რისი გაკეთება შეიძლება ამჟამად"**, **გუშინდელ განცხადებაში კი დაიჩემებს — „რუსეთთან უნდა გავმართოთ დიალოგი!"**

დიალოგზე აქვს გართულება ამ კაცს.

რას იტყვის ხვალ, არავინ იცის, მაგრამ ნამდვილად იტყვის და ხვალინდელი წინა ორისგან განსხვავებული რომ იქნება, ნაღდია.

**გააჩნია, რას ურჩევს „ჩემი უახლოესი მეგობარი მაკეინი" და როგორ მომართავს მექანიკური ფორთოხალივით.**

**თორნიკე მანველიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ზურაბ გაგნიძე:

# როგორც კი სიტუაცია იძაბება, კოკო გამსახურდია შვეიცარიაში მიდის

## მის ყველა მცდელობას, როგორც „ჰამლეტში“, მამის აჩრდილი გასდევს

**ფსიქოპორტრეტი ადამიანის შინაგანი სახეა სულიერი თვისებებითა და უნარებით. სუბიექტი თავის შინაგან თვისებებს ამა თუ იმ სიტუაციაში გარემოებათა ზეგავლენით ამჟღავნებს, რომლის სურათს გვაძლევს ინდივიდის ნებელობით გამოვლენილი ქცევა. ფსიქოტიპის შესწავლა და მასზე დაკვირვება არჩევანს გვიადვილებს — ვისთან ვიმეგობროთ, ვითანამშრომლოთ, ვის ვენდოთ. ფსიქოტიპს საკადრო პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფსიქოლოგია ხომ ადამიანის შინაგან სამყაროში წვდომაა ფართოდ გახელილი თვალებით. თუ ვინმე გაინტერესებთ, პროჟექტორივით მიაშტერდით და სიღრმისეული სიმშვიდით დააკვირდით მის სახეს, რაკიღა სახე ფსიქიკური მუსკულატურის ცენტრია; ჩახედეთ თვალებში, თვალები ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია; დააკვირდით ბაგეთა მოხაზულობას, ის მის ფსიქიკაზე ბევრს მოგითხრობთ; შუბლი გლუვი აქვს თუ მოღუშული, ცხვირის ნესტოები დაბერილია თუ ცხვირაბზუებულია... დიახ, ადამიანის სახეზე ნერვიული დაბოლოებანია, რომელიც სულიერ უნარებზე მიგვითითებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დაბალი საფეხურებია ფსიქიკის შესასწავლად, მაგრამ გვახსოვდეს: ყველაფერი მარტივი გენიალურია. კონსტანტინე გამსახურდიას ფსიქოპორტრეტის შესახებ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე გვესაუბრება.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით პარტია „თავისუფლების“ ლიდერ კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას ფსიქიკის ძირითად შტრიხებზე?**

— აღნიშნულ ფსიქოტიპში არ შემიძლია, არ შევეხო გენების ძლიერ გავლენას, რითაც კოკო გამსახურდიამ, როგორც პოლიტიკოსმა, საზოგადოებაში პრივილეგიური სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ის იმ გენეტიკური ხის ნაყოფია, რომელმაც საქართველოს მისცა გენიალური, კლასიკოსი მწერალი დიდი კონსტანტინე და ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია. ერთი შეხედვით, ეს მისთვის მომგებიანი მდგომარეობაა, რაც მას სხვა პოლიტიკოს ლიდერთაგან გამოარჩევს, მაგრამ ამავე ფაქტით ის პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვნად დაზარალდება, რადგან საზოგადოება ზვიადის ძისგან უფრო დიდსა და მასშტაბურს ელოდა და ელის, ვიდრე სხვებისგან. ეს თუ არ ან ვერ შეძლო, მთელი ცხოვრება ზვიადის დიდების ჩრდილს შეფარებულ შვილად დარჩება.

კოკო გამსახურდია ქოლერიკული ტემპერამენტის მატარებელია. ქოლერიკები სულსწრაფები არიან. აღნიშნულ ინდივიდში კი ცოდნითა და რელიგიურობით სულსწრაფობა შენელებულია. სტიქიური ვნებათაღელვა მოთოკილი აქვს. არ უყვარს მთავარი როლის თამაში, გაურბის დიდ პასუხისმგებლობასა და ინიციატივას. მას არ გამოჰყვა ქარიზმა, მგზნებარება და ემოციური შინაგანი ძალა, ლაღი გაქანება და შთაგონება, რითაც ზვიადმა საბჭოეთის მძიმე ღრუბელი გაარღვია და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მოუტანა. ზვიადი სამუდამოდ ეროვნული განწყობის უნიკალურ სახედ დარჩა. კოკო კი რისკიან საქმეში ჩარევასა და თავისი მდგომარეობის სასწორზე შეგდებას ერიდება. მან არ გაილაშქრა უნივერსიტეტის დასაცავად, არც სოროსელებისა და თავისუფლების ინსტიტუტის წინააღმდეგ, რითაც მამამისის მოძღვრება უგულებელყო. მან უარყო ძველი ზვიადისტები და კავშირი გააბა მის რადიკალურ მტრებთან — გოგა ხაინდრავასთან, ლევან ბერძენიშვილთან, სალომე ზურაბიშვილთან... ბოლოს კი პოლიტიკურ ჭადრაკში წარმატების მისაღწევად კაკო ასათიანთანაც.

**— მასში ხომ მართლაც ურევია სამშობლოსა და ფესვთა სიმაგრის ორგანული შეგრძნება, შვეიცარიიდან ჩამოვიდა და მხარი აუბა საქართველოში პოლიტიკურ მოძრაობას...**

— მხარი აუბა, მაგრამ სიღრმეში შეღწევა ვერ მოახერხა, წყალმარჩხ ადგილზეა. მუდამ მერყევი, აფორიაქებული და ნევროზულია. წინააღმდეგობების დაძლევისას დიდ ძალისხმევასა და ენერგიას ხარჯავს. მას აქვს ნიჭი და უნარი პოლიტიკური სვლების გათვლებისა, მაგრამ ლიდერობა არ შეუძლია. უჭირს გარშემომყოფთა ორგანიზება, თავბრუდამხვევ სიტუაციებში ორიენტირს კარგავს, ცვლილების დროს მეურვეობას ვერ იჩენს, კონტროლის უნარს მოკლებულია. ამ დროს განკერძოება ახასიათებს. კოკო, როგორც კი სიტუაცია იძაბება, შვეიცარიაში მიდის. მდგომარეობა ჩაცხრება თუ არა, ბრუნდება. მომხდარს მშვენივრად აანალიზებს. ურთიერთთანამშრომლობისას დაჟინებით მოითხოვს სულიერი და ჯანსაღი ზნეობის ნორმებს, პრეტენზია აქვს, მუდმივად იმყოფებოდეს პროცესების აქტუალური პერიპეტიების კურსში. ასე ითხოვდა გაერთიანებულ ოპოზიციაში ყოფნისას და ასევე მოითხოვა 9 აპრილს, რომ არავის გაებედა ზურგსუკან ხელისუფლებასთან მოლაპარაკება. მოწინააღმდეგენი ამას იმპერატივის გამოვლენაში უთვლიან. ფსიქოლოგიაში კი ეს არის ინდივიდი, რომელიც ატარებს დამოუკიდებელ, თვითმყოფ, სუვერენული ფორმის ცნობიერებას, რომლისთვისაც ფორმა და შინაარსი განუყოფელია. ეს კი პოლიტიკაში საბედისწერო შტრიხია, ამიტომ გარდამავალ პერიოდს სხვა ფსიქიკური წყობის ლიდერები სჭირდება.

## კოკო გამსახურდია შინაგანი მოწოდებით პოლიტიკოსი არაა

**— რას გვეტყვით კოკო გამსახურდიას ორატორულ და პოლემიკურ შესაძლებლობებზე, რაც პოლიტიკოს ლიდერს ნამდვილად სჭირდება?..**

— ოპონენტებთან დაპირისპირებაში ადვილად ღიზიანდება ან მათი სივერაგით ცბუნდება. რაც უფრო მაღალი მნიშვნელობისაა საკითხი, მით უფრო იწევს მისი შინაგანი დაძაბულობა, შეიძლება აფეთქდეს. ამგვარ ფსიქოტიპს სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად დიდი მოთმინება სჭირდება. ამიტომაცაა, მღელვარე „სცენიდან“ ჩრდილში რომ გადადის, სანამ მოწოლილი ბრაზის ექსტაზს ჩაახშობს. მძიმე წუთებში ქვეცნობიერს უფრო ენდობა, ვიდრე სიტყვას. ეს მისი ფსიქიკის მთავარი მახასიათებელი შტრიხია. გონების მიერ შემოთავაზებულ საეჭვო სირთულეს ან სიტყვიერი განზომილებით გამოხატულს ქვეცნობიერში უძებნის გასაღებს. პოლემიკაში ხშირად მიმართავს ნებელობითი ენერგიის შეზღუდვას, მაგრამ თუ აიძულეს, იმპულსურად და წინდაუხედავად უპასუხებს, დამცინავ შენიშვნებსაც არ ერიდება, რადგან ცხელი სისხლი და აღქმის შთამბეჭდავი უნარი აქვს, პაექრობისას ინტელექტუალური სიბრძნითა და აალებული მგზნებარებით ესხმის თავს მოწინააღმდეგეს. მაგრამ ამაში სიბრაზე უფროა, ვიდრე არგუმენტთა შეუვალი წყობა.

## კონსტანტინეს აქვს ლიდერობის ამბიცია, მაგრამ ამის მისაღწევად დენთი აკლია

თანამშრომლობა შეუძლია, მორჩილება — არა. კოკო გამსახურდიას აქვს ლიდერობის ამბიცია, მაგრამ ამის მისაღწევად დენთი აკლია. ის ყველასა და ყველაფერს ეჭვით ეკიდება.

მის ფსიქოტიპს თანდაყოლილი უნარითა და შეძენილი ცოდნით გონებრივი სიბრძნე, რაინდული ბუნება და ქოლერიკის აკვიატებული იდეები აქვს. ამის გამოც დაწყებულ საქმეს ხშირად შუა გზაზე ტოვებს. ამის დასტურად გავიხსენებდი: დიდ ათეულში ზვიად გამსახურდია ნაციონალ აქტივისტს ნუგზარ წიკლაურს უნდა წარედგინა, რომლის წინააღმდეგ კოკომ გაილაშქრა და ბრძანა, ზვიადი მუხრან მაჭავარიანს წარედგინა. ეს, რა თქმა უნდა, გონივრული ნაბიჯია, მაგრამ ამის რეალიზებას ბოლომდე არ გაჰყვა და პოლიტიზებულმა ნუგზარ წიკლაურმა ზვიადი ცუდად წარადგინა. ლიდერის თვისებების მქონე კი ამას არ დაუშვებდა და ბოლომდე იბრძოლებდა. მას ხასიათში გენეტიკური საჩუქარი აქვს — გულზვიადობა, რომელსაც ის შინაგანი ღირსების გამოხატულებად აქცევს ხოლმე.

**— რატომ მოვიდა კოკო გამსახურდია პოლიტიკაში, რამ უბიძგა მას ამ გზისკენ და, საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში რატომ მომრავლდა მემკვიდრეობითი კადრები — კოკო გამსახურდია, კახა შარტავა, ირაკლი ალასანია?..**

— ეს ნამდვილად თვალგასადევნებელი ფაქტია. ფსიქოლოგიაში ამას მამა-შვილთა, ანუ თაობათა ფსიქოდამოკიდებულებას ეძახიან. შვილები მამებს ბაძავენ, ამავე დროს, მათ უპირისპირდებიან. ყველა ამათთვის ამ გზის არჩევა ძნელია, მაგრამ გაცილებით ძნელია ამ გზაზე სიარული. ზვიადის შვილს ამ არჩევანში ჩამუხვლის უფლება არ აქვს. პოლიტიკაში მისი მოსვლა ბიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, ეს კი პირადულმა ტრაგედიამ უკარნახა. მას სურდა იმ ბოროტების დამარცხება, ვინც მამამისს სიცოცხლე წარსტაცა, სურდა, მამის დაწყებული საქმე გაეგრძელებინა, თანაც გულში ეპაექრებოდა, რომ ამას მასზე უკეთ შეძლებდა. ფსიქოლოგები ინდივიდის პოლიტიკურ შესაძლებლობებს სხვა მასშტაბებით ვზომავთ. ამ შემთხვევაში კოკო გამსახურდია შინაგანი მოწოდებით პოლიტიკოსი არაა, არც განდიდების მანიითაა შეპყრობილი. ეს კი გვაიძულებს, ვაღიაროთ, რომ პოლიტიკაში დიდმა პირადულმა ტკივილმა მოიყვანა. არსებობს ტკივილის ხარისხები. მამის უმართებულო მკვლელობის ტკივილმა პოლიტიკისკენ უბიძგა. მშვიდ ცხოვრებაში ის ამას არასოდეს გააკეთებდა. ამგვარი ჭიდილის გარეშე მის არსებობას აზრი დაეკარგებოდა. მას ბევრ რამეზე აქვს პასუხი გასაცემი. კარგა ხანია, კოკომ ამ სფეროში თვითდამკვიდრების პერიოდი უკვე გაიარა, მაგრამ თავისი დამოუკიდებელი ადგილი ვერ მოძებნა, როგორც პოლიტიკოსი, ვერ გაიზარდა. მას ჰქონდა მთელი რიგი ძიებანი ზვიადის მკვლელობასთან დაკავშირებით, ამ საკითხის დაცვა-დადგენაში, მაგრამ აქაც შეფერხდა. ეს კი მოწმობს, რომ მისი პოლიტიკოსად ჩამოყალიბება და განვითარება ვერ შედგა, თუმცა დაგროვილი ფაქტების შეჯერებასა და ობიექტურ განზოგადებას ცდილობდა, მაგრამ ესეც შუა გზაზე მიატოვა. ამას სხვა — უფრო ღრმა და საფუძვლიანი კონტექსტიც აქვს, ვიდრე კოკოს ხასიათის სისუსტეა, რადგან ჩვენში პოლიტიკას ზნეობის კატეგორია არ გააჩნია. მთლიანად დაკარგულია სამართლიანობის აღდგენის წყურვილი და შეიძლება, კოკოს ქვეცნობიერი იმპულსი ამას ჩასწვდა, რომ სამართალს ველარ იპოვნიდა, თუ ქვეყანაში ბევრი რამ არ შეიცვლებოდა. არის შემთხვევები, როდესაც სიმართლის მაძიებელი განგებ ხუჭავს თვალს ხიფათთან ოპტიმალური მიახლოებისას. იმედი დავიტოვოთ, რომ ადრე თუ გვიან ზვიადის საიდუმლო სიკვდილს ფარდა აეხდება. კოკო ხომ ქოლერიკია, აზრს არ შეიცვლის, ამ საკითხებისადმი მიდგომას კი იცვლის. ეს კი დროებითაა განპირობებული. ფსიქოტიპის სტრუქტურაში ერთი რომელიმე შტრიხი ყოველთვის დომინანტურ როლს ასრულებს, რომელიც სხვა თვისებებს გადაფარავს და ინდივიდის მთელ ცხოვრებას განსაზღვრავს. მოცემულ შემთხვევაში კოკო გამსახურდიას პოლიტიკურ გზასა და კოკოს ყველა მცდელობას აღნიშნულ სარბიელზე, როგორც „ჰამლეტში“, მამის აჩრდილი გასდევს.

**— რა პერსპექტივა ელის კონსტანტინეს უნარების მქონე პოლიტიკურ ლიდერს ჩვენს უახლოეს ისტორიაში?**

— კვლავ გავიმეორებ: ამ პოლიტიკოსს თან სდევს ქართველი ერის ღრმა ნდობა. ეს ნდობა უფრო გაღრმავდებოდა, მას რომ ზვიადისტებისთვის ზურგი არ შეექცია და ზვიადის სულიერ მისიას გაჰყოლოდა, თანაც, მეტი ბრძოლისუნარიანობა გამოემჟღავნებინა, ხალხის ეროვნულ ნერვთა ტკივილისადმი მეტი თანადგომა ჰქონოდა. სოციალური ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ სოციალური სტრუქტურის როლს ხშირად გარემო პირობები განსაზღვრავს. თუ საქართველო მომავალში გეზს რადიკალურად შეიცვლის და ქართველი ხალხი თავისი მიწა-წყლისა და სახელმწიფოს მეპატრონე გახდება, მაშინ შესაძლოა, ქართველი ერის სურვილი იყოს, კონსტანტინე გამსახურდია ერის მოწინავეთა რიგებში იხილოს. რაც ნაკარნახევი იქნება სწორედ ზვიადის მარადიული გმირობის ხსოვნის პატივსაცემად. იქნებ ეს თვითონ კონსტანტინემაც მშვენივრად იცოდა, როცა ევროპის ცენტრალური ქვეყნიდან საქართველოს პოლიტიკაში ჩასაბმელად მოემგზავრებოდა. მას ეს გზა იქნებ ბევრად ერჩია რიგითი ინტელიგენტის ბედს, თუმცა ამ საკითხის საბოლოოდ შეფასების არგუმენტები ჯერ კიდევ წინაა. ცივი გონებით განსჯით კი კოკოს აღიარება ზვიადის უდიდესი დამსახურებაა, რომელიც მის შთამომავლობაში გადავა. კოკო შვილია უმაღლესი სულიერების პიროვნების, წმინდანთან გაიგივებული ერისკაცისა. ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოში კოკოს შესაძლოა, არჩევნები მოეგო, ხაზს ვუსვამ, ამით და არა ბრძოლით, სულისკვეთებითა და პოზიციის სიძლიერით. მას, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, კიდევ სჭირდება განვითარება და სწრაფვა სრულყოფისაკენ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას**

დაპირებისამებრ, გიგზავნით გურამ შარაძის უკანასკნელ საგაზეთო ინტერვიუს, რომელიც ჩაწერილია 2007 წლის 19 მაისს და მკვლელობის დილას — 20 მაისს უნდა გამოქვეყნებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა საღამოს აწყობილ გაზეთში ინტერვიუ ამ ფორმით დასტამბული დატოვა, მისდა გასაკვირად, დილით გაზეთი ინტერვიუს გარეშე გამოვიდა. თუ რატომ მოხდა ასე, მკითხველი, ალბათ, თავად გააკეთებს დასკვნას.

დღეს საქართველო იბრძვის იმისთვის, რასაც გურამ შარაძე მსხვერპლად შეეწირა. მამაჩემი სააკაშვილმა და მისმა მკვლელების ბანდამ დახვრიტა. შორს არ არის ის დღე, როდესაც ამას ფარდა საბოლოოდ აეხდება. მწამს, აღდგომის მადლითა და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოში ძალიან მალე იზეიმებს სამართალი.

სამწუხაროდ, ამ ურთულეს დღეებში ვერ დავდექი ქართველი ხალხის გვერდით, მაგრამ მთელი არსებით მასთან ვარ და მალე ფიზიკურადაც შევუერთდები.

ულრმესი მადლიერებითა და პატივისცემით

**რუსუდან შარაძე**
11 აპრილი, 2009, ჟენევა

## გურამ შარაძე:

# ვაი ამ საქართველოს!



**გურამ შარაძის უკანასკნელი ინტერვიუ ჩაწერილია მკვლელობის წინა დღეს, 2007 წლის 19 მაისს**

**— ბატონო გურამ, როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ აჭარის რეგიონში მშენებარე მართლმადიდებლური ეკლესია დაანგრიეს?**

— ზუსტად ისეთი, როგორიც იმ წყეულ ღამეს, როდესაც გლდანის მართლმადიდებლური ეკლესია დაარბიეს.

**— თქვენი აზრით, რაში სჭირდება ამ ხელისუფლებას ეკლესიასთან ბრძოლა?**

**— ხელისუფლებას ეკლესიასთან ბრძოლა სჭირდება გავლენის მოსაპოვებლად, უფრო ზუსტად, ხელისუფლება ხედავს, რომ მოსახლეობის 90% მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია. საქართველოს მოსახლეობა თავის სულიერ მამად მიიჩნევს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორეს.**

ეს გავლენა და ავტორიტეტი დღითიდღე ძლიერდება. საქართველოს ხელისუფლებას ეშინია მრევლის, რომ მოსახლეობა არ წავიდეს ქართულ ეკლესიაში და არ დაუპირისპირდეს ხელისუფლების ანტიეკლესიურ, ანტიმართლმადიდებლურ და ანტიქართულ მოღვაწეობას.

**— ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების რბევა ხომ უფრო მეტად აახლოებს საზოგადოებას სარწმუნოებასთან?**

— ამას ჭკუა და სახელმწიფოებრივი აზროვნება სჭირდება. რა ამათი ბრალია, რომ არ გააჩნიათ სახელმწიფო მართვის გამოცდილება? მე ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, არამედ — გულისტკივილით და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, ეს უბედურება რაც შეიძლება მალე დამთავრდეს.

**— რა ხელს აძლევს ხელისუფლებას აჭარაში მართლმადიდებლური ეკლესიის ნგრევა; ეს ხომ ის რეგიონია, სადაც ამ პერიოდში ხალხი აქტიურად ინათლება?**

— არ ვიცი, გაბედავთ ამის დაბეჭდვას თუ არა, მაგრამ ჩემს ვერსიას შემოგთავაზებთ: საქმე ეხება იმას, რომ რომელიღაც პოლიტიკურ ძალას მეზობელ სახელმწიფოებში თუ ქვეყნის შიგნით არ აწყობს, ბათუმის თავზე, ბათუმის ყველაზე გამორჩენილ ადგილას ჯვარი იყოს აღმართული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იდგეს. 300 წლის მანძილზე მკერდმოჭრილი საქართველოს დედაეკლესიისგან აჭარა რომ დაუბრუნდა დედაეკლესიის წიაღს, აი, ეს არ აწყობთ მავანთ და მავანთ, უცხო თუ შინაურ პოლიტიკურ ძალებს. უნდა ვთქვა, რომ ეს იძულებით ხდება. სასაცილოა ის არგუმენტი, რომ ვილაცას იქ ატრაქციონების ან პატრიოტთა ბანაკის გაკეთება სურს. — არავითარი! ვილაცას არ აწყობს, საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე, საიდანაც შემოვიდა ქრისტიანობა, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია აღორძინდეს, სარწმუნოების განმტკიცებაზე კი რეგიონში ილია მეორის ძმისწული, მეუფე დემეტრე ზრუნავს. ამის შიში აქვთ შინაურ თუ უცხო პოლიტიკურ და ავანტიურისტულ ძალებს.

**ჩოლოქზეც ატრაქციონს ხომ არ აწყობენ, ჯვარი რომ ჩამოაგდეს?! ხაშურშიც ატრაქციონი ხომ არ იყო ჯვრის ჩამოგდების მიზეზი?!**

**ეს ყველაფერი ჯვრის, მართლმადიდებლობის, ქართული ქრისტიანული ეკლესიის, მრავალმილიონიანი მრევლის დასუსტებისა და დახლეჩისთვის არის მიმართული.**

**— ბატონო გურამ, თქვენი აზრით, ვისი დავალებით მოხდა მშენებარე ეკლესიის დანგრევა — ცენტრალური ხელისუფლების თუ ადგილობრივის?**

— ერთობლივად! ცენტრალურის, ადგილობრივის და იმ პატარ-პატარა გამგებლების, რომელთაც ეს საქმე ბინძურ ბულდოზერისტს გააკეთებინეს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა:

**ძალიან მეცოდება ყველა, ვინც გასცა ეს ბრძანება თუ განკარგულება, დაწყებული უმაღლესი ხელისუფლებიდან, იმ ბულდოზერისტით დამთავრებული. იმიტომ, რომ ის მძღოლი, რომელმაც შეანგრია გლდანის ეკლესიის გალავანი, კარი და წვერით ათრია მამა ბასილი, რამდენიმე დღეში დაიღუპა.**

ზოგი დაბრმავდა კიდეც. ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო: ეშინოდეთ უფლის, ეშინოდეთ საკუთარი სინდისის ხმის, ეშინოდეთ ერის წინაშე ამდენი დანაშაულის ჩადენის!!!

**— ოპოზიციონერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევის ბრძანებას პრეზიდენტი გასცემდა. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს საკითხი ასე ჰაიჰარად არ წყდება. რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებითაც არ მომხდარა. ეს მოხდა საერთაშორისო, გარეშე და შინაური, უცხო, ბნელი, ავანტიურისტული პოლიტიკური ძალების მიერ.

**— ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის უკან ხელისუფლების წარმომადგენელთა ფინანსური ინტერესებიც უნდა იდგეს?**

— ფინანსური ინტერესები აქ ძალიან ცოტას ნიშნავს, თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან ფინანსური ინტერესიცაა. მაგრამ აქ არის ზესახელმწიფოებრივი პოლიტიკური ძალების საერთაშორისო შეთქმულება, საქართველოს დედაეკლესიას 300 წლით ჩამოჭრილი აჭარა კვლავ დაუბრუნონ მუსლიმანურ სამყაროს.

**— კი მაგრამ, ფაქტია, სააკაშვილის ხელისუფლება თავს იწონებს აჭარის რეგიონის დედასაქართველოსთვის დაბრუნებით...**

— ამ რეპლიკას კომენტარს არ გავუკეთებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: დედასაქართველოს აჭარა დაუბრუნდა 1878 წელს, ქართველი ეროვნული გმირების თავგანწირული ბრძოლით რუსეთ-თურქეთის ომში, მეორედ კი, დიდმა ქართველმა, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, მუსლიმანური სამყაროს ილია ჭავჭავაძემ — მემედ აბაშიძემ — და შერიფ ხიმშიაშვილმა თანამებრძოლებთან ერთად დაუბრუნეს. ღმერთმა ნუ ქნას, აჭარა საქართველოს შემადგენლობაში კვლავ დასაბრუნებელი იყოს. ამის განცხადება მკრეხელობაა, მით უმეტეს, მასზე დისკუსია.

**— მამუკა გიორგაძემ განაცხადა, რომ თბილისის ცენტრში მეჩეთის აშენება იგეგმება. თქვენც ფლობთ ამ ინფორმაციას და უშვებთ ამის შესაძლებლობას?**

— ეს ინფორმაცია ჩემთვის მოულოდნელი სრულიად არ არის. თავი დავანებოთ იმას, ვიცნობთ თუ არა სახელმწიფოებრივ გარიგებებს. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცხოვრების ლოგიკა მკარნახობს, რომ სრულიად დასაშვები და მოსალოდნელია ასეთი რამ. მაშინ, როდესაც თბილისის გულიდან — რუსთაველის გამზირიდან — გააძევეს ძლიერი საქართველოს შემქმნელი, დავით აღმაშენებელი, აღარ დავაკონკრეტებ, თბილისის ცენტრში რა ძეგლებს დგამენ. ამის შემდეგ მოულოდნელი სულაც არ არის, ეს რომ მოხდეს. ჩვენ ყოველთვის იმით ვამაყობდით, რომ თბილისში ერთმანეთის გვერდით იდგა მართლმადიდებელი ეკლესია, გრიგორიანული ტაძარი და ებრაული სინაგოგა. ეს ქართველი ერის ტოლერანტობისა და დიდი ეროვნული ცნობიერების ნიშანია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ მეტეხის ტაძარი დავანგრიოთ და იქ მეჩეთი ავაშენოთ. სხვათა შორის, ბევრმა არც იცის, რომ მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი არ იქნებოდა, რომ არა დიტო შევარდნაძე, რომელიც დახვრიტეს. ბერიას განკარგულებით მეჩეთი დაანგრიეს და მეტეხის ტაძარიც უნდა დაენგრიათ. მიკვირს, დიმიტრი შევარდნაძე რატომ არ არის წმინდანად შერაცხილი. ის 13 წლის მანძილზე, სანამ დახვრეტდნენ, ბოლშევიკებს ხელიდან სტაცებდა ეროვნულ სიწმინდეებს, ჩვენს სამუზეუმო-საეკლესიო ნივთებს. როდესაც ბერიამ დაიბარა და უთხრა, — შენ ხარ ყველაზე დიდი ავტორიტეტი და შენ უნდა დამიდგე გვერდში, რათა დავანგრიოთ მეტეხი და იქ ლენინისა და სტალინის მემორიალები გავაკეთოთო, — დიმიტრი შევარდნაძემ, იმის ნაცვლად, რომ გვერდში დასდგომოდა, ხელმოწერების შეგროვება დაიწყო და ამხილა ბერიას ეს მზაკვრული ჩანაფიქრი. შედეგად ბერიამ ის დახვრიტა, შევარდნაძემ კი მეტეხის ტაძარი დანგრევას გადაარჩინა. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და უწმინდეს სინოდს მივმართო: მეტეხის ტაძრის გადამრჩენი, მისთვის დახვრეტილი და წამებული დიმიტრი შევარდნაძე წმინდანად იქნეს შერაცხილი.

**— ფიქრობთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ბოლშევიკების კვალს მიჰყვება?**

— რა თქმა უნდა. ამას გულისტკივილით ვამბობ. ამას აკეთებენ ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ორი მოწვევის პარლამენტში ვიყავი. დღეს მათ ვემალები, რადგან მათ მაგივრად მე მრცხვენია იმის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება.

**— ვინ უნდა აგოს კონკრეტულად პასუხი ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევისთვის და რა ფორმით? ოპოზიციის ნაწილი ამას სისხლის სამართლის დანაშაულად აფასებს...**

— არავითარ პასუხისმგებლობაზე აქ საუბარი არ არის. საუბარი უფლის სახლზეა. მე არ მეგულება საქართველოში, არც სასამართლოში და არც სხვაგან ადამიანი, ვინც ამაზე საპასუხისმგებლო ვერდიქტს გამოიტანს. ყველაზე დიდი, რასაც ვეხვეწები, ამ ადამიანებმა უფალს შენდობა სთხოვონ და მოინანიონ. ამასთან, საკუთარი ხელით აიტანონ მასალა, დააწყონ და დღესვე დაიწყონ ეკლესიის აღდგენა. აი, ეს იქნება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა. ერთადერთი გამოსავალი ტაძრის აღდგენაა.

**ვიმეორებ, ცეცხლს ნუ ეთამაშებიან. დაიფარონ საქართველო ახალი ცეცხლისგან, ახალი რევოლუციისა და ახალი სისხლისღვრისგან, ახალი ძმათამკვლელი და ძმათა დამაპირისპირებელი ომისგან.**

თუ დღესვე არ გამოსწორდა ეს დანაშაული, ვითარება სერიოზულად გართულდება.

**— წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობთ, რომ რელიგიურ ნიადაგზე შეიძლება ახალი რევოლუციაც მოხდეს?**

— ვაი, მაშინ ამ საქართველოს!

**2007 წლის 19 მაისი, შაბათი, 16.05-16.50**

**...მეზობელ სახელმწიფოში არ აწყობთ, ბათუმის ყველაზე გამორჩენილ ადგილას ჯვარი იყოს აღმართული და მართლმადიდებლური ეკლესია იდგეს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მუხრან მაჭავარ

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მკითხველ საზოგადოებასთან ერთად დაბადებიდან მეოთხმოცე წლისთავს ულოცავს ღირსეულ პოეტს და მამულიშვილს მუხრან მაჭავარიანს.**

**ბატონო მუხრან!**

**ულრმეს მადლობას გიხდით მშვენიერი ლექსების შექმნისთვის, მართალი სიტყვისა და ეროვნული იდეის უანგარო სამსახურისთვის. თქვენი პოეზია ქართული წიაღიდან მოედინება და საქართველოსავით მარადიული სიცოცხლით არის აღსავსე.**



**„დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი არ უსაყვედურებს მუხრან მაჭავარიანს პოლიტიკით მისი ხანმოკლე გატაცებისთვის, თუნდაც, იმიტომ, რომ ის თავისი პრინციპების ერთგული დარჩა და „ორი ბატონის მსახური“ არ გამხდარა.**

**გარდა ამისა, მუხრან მაჭავარიანი ნამდვილად დიდი პოეტია, რომლის შემოქმედებამ ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში უზარმაზარი როლი შეასრულა. ხალხის თვალში ის უკვე გახდა მუხრანი“.**

**ალექსანდრე ჭაჭია. 1997 წ.**

**დრო ელვის სისწრაფით მიქრის. წუთისოფლის წამიერება ყველაზე კარგად გათავისებული ხანდაზმულ ადამიანს აქვს. მოიხედავ და ყველაფერი გარდასულია და ოდენ მოგონებადღა რჩება. ასე მგონია, გუშინ იყო, პოეტს რომ სამოცდაათი წელი მივულოცე, დღეს კი მუხრანმა ოთხმოც წელს მოუყარა თავი... უნებლიეთ მაგონდება მისი მშვენიერი ლექსი:**

**„გაირბენს კიდევ, დიდი-დიდი, რვა-ათი წელი**
**(არც კი)! —**
**მოგენატრება (პირქუშიც კი!)**
**დღე დღევანდელი,**
**ვით ყვითელ ფოთოლს**
**საკუთარი**
**წარსული**
**მწვანე...“**

დიახ, პოეტთა შორის ჭეშმარიტ და უპირველეს პოეტს, პოეტთა საუფლოს უგვირგვინო მეფეს 80 წელი შეუსრულდა. მართალია, ის, ალბათ, თავის ჭაბუკობას იგონებს და მისტირის, მაგრამ ერთი უეჭველია, მის უკვდავ სულს და გამაოგნებელ პოეზიას არც როდის შეეპარება სიყვითლის ფერი და ვიდრე ქართველი ხალხი იარსებებს ამქვეყნად, იგი „სიმწვანეს“ არ დაკარგავს.

მაღლითმხედმა ადამიანი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებით შექმნა, სულით და ხორცით შეამკო. ამიტომაც სრულქმნილი კაცი იშვიათად იბადება ქვეყნად. უნაკლო არსებანი სანთლით საძებნელნი არიან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანი გამოირჩევა როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სრულყოფილებით. როცა მას უყურებთ, ასე გგონიათ, ბიბლიური პერსონაჟი გაცოცხლდა, თავისი ბრგე ტანით, მაღალი შუბლით, გამჭრიახი, სიკეთისმფრქვეველი თვალებით და ბუბუნა, ომახიანი ხმით; ხოლო როცა მის პოეზიას ეცნობით (ყმაწვილი ხართ, ჭარმაგი თუ მოხუცი), თუ ოდნავ მაინც გაქვთ მშვენიერების აღქმის უნარი, არ შეიძლება, არ განგაცვიფროთ უსაზღვროდ მომადლებულმა ნიჭიერებამ.

**უპირველესი ნიშანდობლიობა მუხრანის პოეზიისა არის უბრალოება. ქართულ პოეტურ სამყაროში ვერ დამისახელებთ ვერცერთ პოეტს, რომელსაც იმ დონეზე წარმოეჩინოს სადას (მარტივის) ესთეტიკური განცდა, როგორც ეს მან მოახერხა. მას აქვს გასაოცარი ნიჭი, ყოფით, ცხოვრებისეულ დეტალს, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით, უაღრესად დიდი აზრობრივი დატვირთვა და ემოციური განცდის მუხტი მიანიჭოს. გავიხსენოთ თუნდაც ეს ლექსი:**

**„— არაყი?**
**— ლუდი!**
**— ერთი?**
**— ერთი!**
**— ინებეთ!..**
**— გმადლობთ! —**
**ვჯდები კუთხეში,**
**გარეთ წვიმს...**
**. . .**
**გნატრობ...“**

სასაუზმესა და კაფეში დახლიდარსა და ცხოვრების ერთფეროვნებით გაბეზრებულ პოეტს შორის იმართება დიალოგი, რაც გადმოგვცემს ყოფის მდორე მდინარებას... მარტოსული პოეტი კუთხეში მიყუჟული, ეულობის განცდით შეპყრობილი ნატრობს საყვარელ არსებას, სწადია მისი ხილვა, რაც ქვეცნობიერად დიდ წუხილს იწვევს მასში. ამ განცდას აძლიერებს წვიმიანი ამინდი და, რაც მთავარია, მრავალწერტილი, რომელიც პოეტის გამოუთქმელ სევდას გადმოგვცემს. ერთი სიტყვით, იქმნება პოეტური კონტექსტი, უაღრესად ტევადი, ადამიანის სევდას და მარტოობას საოცარი უშუალობით რომ გვიხატავს.

თუნდაც პოეტის ერთობ პოპულარული ლექსი მოვიხმოთ:

**„გარეთ ხმაურობს წვიმა...**
**ოთახს ანათებს ლამპა...**
**— პეტუშა გახსოვს?**
**— იმე!**
**— რა ბიჭი იყო!..**
**— აპა!“**

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში არ მოიძებნება მეორე ნიმუში, რომელიც ამგვარი უშუალობით, ადამიანურობით, დინჯი სასაუბრო ინტონაციით აღწევდეს სიკვდილის გარდაუვალობისა და წუთისოფლის ამაოების გამო აღძრული შემაძრწუნებელი გრძნობის ბუნებრივად აღქმასა და განცდას. ის წუხილი და დარდი, ახლობელი, კარგი „ბიჭის“ სიკვდილით რომ არის გამოწვეული, გადმოცემულია ლამპის შუქზე ორი ადამიანის ინტიმური დიალოგით, რომელსაც თან სდევს წვიმის გამაღიზიანებელი ხმაური. მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ პოეტი თავის ამოსათქმელ გულისწუხილს იმერული კილოკავისთვის დამახასიათებელი ორი შორისდებულით — „იმე“ და „აპა“-თი ახერხებს, რაც სიკვდილის შიშს, კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე რომ იჩენს თავს, ერთგვარად აუფერულებს და ჩვეულებრივ მოვლენად აღგაქმევინებს.

აქვე უადგილო არ იქნება, შევნიშნოთ, რომ, მუხრან მაჭავარიანის ფიქრით, ეს პრობლემა ასე იოლად გადასაჭრელი არ არის და ტიალი სიკვდილი, ჩასაფრებული, ყველა ჩვენგანს ყოველ წამს თვალებლია მოგვჩერებია.

**„მე მინდა სიკვდილს სიმღერა**
**წავაფარო, —**
**ამაოდ ვშვრები...**
**საფლავებს თვალებივით**
**ახელს სასაფლაო,**
**ხორცს**
**იხვეწებიან ძვლები.“**

სხვათა შორის, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ეს სტროფი ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც მისი ლექსის სისადავის სტრუქტურას არ მიესადაგება.

სიცოცხლეს დახარბებული პოეტის ბუნება მას მუდამ უბიძგებს ძიებისაკენ, ჭეშმარიტების ამოცნობისა და ადამიანის ცხოვრების არსის ამოხსნისკენ. ის მუდამ ეძებს: წარსულში ეძებს, აწმყოში ეძებს, მერმისში ეძებს, აკვანში ეძებს, კუბოში ეძებს. ერთი სიტყვით, რაღაცას ეძებს... ამ ძიებას იგი საკუთარი თავის შემეცნებამდე მიჰყავს, რადგანაც რწმუნდება, რომ პასუხს „ვერავინ გეტყვის, არავინ იცის, — თვინიერ სისხლის შენივე სისხლის“. ამიტომაც ის ქრისტიანი თუ აღმოსავლელი მისტიკოსივით მთლიანად საკუთარ თავში იძირება, თავის სულში პოვებს ჭეშმარიტებასაც და მშვენიერებასაც: — „ანდა რას ვეძებ! რას ვიპოვნი! რა დამრჩა გარეთ!“ — აცხადებს პოეტი და დასძენს: — „გაზაფხულია უფრო დიდი როდესაც შიგნით“.

ამ „მე“-სა და სულიერ სამყაროში ძიებამ იგი ზნეობრივი პრობლემის წინაშე დააყენა. მას ადარდებს ქართველი კაცის ზნეობრივი დაცემა, საზოგადოებაში მომეტებული „ურთიერთ შუღლი“, სიწუწკე და შური, რომელმაც „დაღუპა ქვეყანა“. კიდევ უფრო დასაგმობია: სხვათა არ დაფასება, მოყვასის გამეტება, ბრიყვის აღზევებით გახარება და მისით, რაც ქვეყნის მომავალს ავბედითად დაატყდება თავს. აბა, მოვუსმინოთ პოეტს: — **„ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ ვგრძნობთ, ძმას ცოცხალ საფლავს რომ ვუთხრით ახლაც, სამშობლოს ჩვენი რომ გვიჯობს ეზო, რეგვენი თუა — ის რომ გვსურს მაღლა, — ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ, — ეს გზა რას გვიზამს, — იმასაც ნახავთ!“** — პოეტის წინასწარმხედველობა აღსრულდა, ამ გზამ რომ დღევანდელობამდე მიგვიყვანა, ეს უდავოა.

**შეიძლება მავანს გაუკვირდეს, მაგრამ სრული რწმენით ვაცხადებ, რომ მუხრან მაჭავარიანი ნათელმხილველის ნიჭით არის დაჯილდოვებული, ამაში მარწმუნებს მისი ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალები, უფრორე კი მის პოეზიაში წარმოჩენილი მომავლის ჭვრეტა და მერმისის გაცნობიერება. ის, რასაც პოეტი ჯერ კიდევ როდის წერდა, რასაც წინასწარმეტყველებდა, ყველაფერი ახდა. ჯერ კიდევ როდის (1970 წ.) აწუხებდა მუხრანს ქართლის ბედი და მწარედ მოთქვამდა:**

**„ვახტანგის ადგილს**
**იჭერს ხეჩუა! —**
**გვეცლება ქართლი**
**თვალ და ხელშუა!“**

აკი გვეცლება კიდეც და სულ მალე დავკარგავთ ამ მხარეს და სრულიად საქართველოს.

მუხრან მაჭავარიანმა ჯერ კიდევ როდის გამოუტანა განაჩენი ქართველ საზოგადოებას:

**„არა იმიტომ, რომ სიტყვა**
**„ქურდმა“**
**უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა!**
**არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა,**
**შენსავით მტერმა იცხოვრა**
**შენმა!**
**საქმე იმიტომ უფროა ცუდად,**
**რომ ცუდად როა,**
**არ იცის ბევრმა!“**

**განა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი უბედურება იმით არ არის გამოწვეული, რომ ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს ვერ გაუგია, რატომ ვართ ამ ყოფაში და რატომ არის ჩვენი ერის არსებობა არყოფნის ზღვარზე.**

სწორედ ამ მიზეზით ჩვენ დღეს უდარდელობას მივცემივართ და „ჩვენი ყოფის თავი და ბოლო ჭამა და საჭმლის მონელება“ გამხდარა. ვღრეობთ, ვილხენთ, ვხარობთ და ვლაღობთ მაშინ, როცა საქართველოს თავი წაჰგვარეს და გული ამოსჭრეს. მუხრან მაჭავარიანს აცვიფრებს ეს რეალობა, მას ესმის დაღონებული კაცის, მაგრამ არ ესმის გახარებული კაცის და მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და პრინციპულობით ეკითხება გალაღებულ ადამიანს:

**„ვინც გინდა იყავ —**
**გინდა არქიფო,**
**თუ გინდა ზაქრო!**
**რა გიხარია, შე შობელძაღლო!“**

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ როდის ნასროლი ეს სარკასტული შეძახილი დღევანდელობას საოცარი აქტიურობით ეხმიანება და ფრთიან ფრაზად ქცეულა კიდეც.

საერთოდ, ქართული პოეზია, შეიძლება ითქვას, ერთი დაუსრულებელი გალობაა სამშობლოს სიყვარულისა. მაგრამ იმ პოეტთა შორის, ვისაც სამშობლო ხატად გაუხდია, მუხრან მაჭავარიანი მაინც გამოირჩევა. ის ამ გრძნობით ცოცხლობს. მეტიც, მას სამშობლო ისე აქვს გაშინაგანებული, რომ ძნელდება პოეტის „მე“-ს და ამ ცნების განცალკევება. ის ჭეშმარიტი ქართველია, რომელიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ უჩვეულო კოდს ატარებს სისხლითა და ხორცით და სულიერ და სისხლისმიერ კავშირს ამყარებს თავის წინაპრებსა და ერის სულიერ უკვდავებასთან. მას სწამს ქართული ჯიშის უკვდავების და ამაყად აცხადებს: — **„ვითარცა ღვინო — ქვევრიდან ხაპში — ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში, ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული გადადიოდა კაციდან კაცში“.** და მიუხედავად იმისა, რომ გზადაგზა ამ სისხლს სვამდნენ, ამღვრევდნენ, ულმერთოდ რყვნიდნენ, მაინც გამოიარა სახელოვან ქართველთა (ვახტანგის, რუსთველის, თამარის, სულხანის) გულები და მომავალშიც მარად იჩქეფებს.

მაგრამ პოეტს ისიც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მხოლოდ საამაყო წარსულით ერი ვერ იარსებებს, მის მარადიულობას, ძირითადად, აწმყო აპირობებს: — **„წარსული კარგი! ძალიან დიდიც! აუგი ვინ თქვა! მაგრამ ერთს ვიტყვი, პირდაპირ ვიტყვი, გაწი-გამოწი! — დღეს რაც ხარ! ის ხარ“.** დიახ, მთავარია, **„დღეის ამას იქით“** როგორ ვიცხოვრებთ, შევძლებთ კი, ჩვენი წინაპრებივით გავიღოთ სისხლი, თუკი ეს სამშობლოს დასჭირდება, თუკი ერის გადარჩენა მოითხოვს. თავად პოეტს მტკიცედ სწამს, რომ ამგვარი ქართველი კვლავაც მრავლადაა... და თუკი ქართველს ამის არ სჯერა, ასეთ კაცს, მკვდარს თუ ცოცხალს, არ ეკუთვნის ქართული მიწა! მეტიც, „კაცი ასეთი ცხენის ძუით არის სათრევი“.

**სამწუხაროდ, ჩემო მუხრან, იმ ქვეყანაში, სადაც შენი დარი პოეტის 80 წლისთავს არ ზეიმობენ, ჭარბად არიან ძუით სათრევი ქართველნი, რომლებმაც ვერც სამშობლოს სიყვარულს გაუგეს გემო, გემო კი არა, ემწარებათ და სძულთ ეს ობოლი მარგალიტი და ვერც შენი ქართული მზით გამთბარი პოეზიის გაეგებათ რაიმე. მაგრამ გული არ გაიტეხო, რადგან შენი გონი და სული „მამულზე მაღლა“ არაფერს მოიაზრებს. ამ რწმენით იცხოვრე შენ ოთხმოცი წელი და ამ რწმენით ასე მხნედ კიდევ მრავალ წელს ამაყად ივლი!**

**გილოცავ დაბადების დღეს და, თუ როდისმე გული გატკინე, დიდსულოვნად მომიტევე...**

**ელიზბარ ჯაველიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იანი 80 წლისაა

## ვაი, ჩვენს პატრონს
დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.

ვხედავ:
რეგვენი ლაპარაკობს
ამაყად, მძიმედ,
და, მე შენ გეტყვი,
უპატრონოდ ხმას გასცემს ვინმე.

ქალი თუ კაცი
ეჯიბრება იმაში ურთერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას
ვინ შეძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება
კმაყოფილი სიფათი რეგვენის;
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს
ამაოდ ლეღვნი.

დროდადრო მესმის
უხერხული ხალხური ლექსი:
ვჭამოთო კარგად, —
არაფერი შეგვრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს,
ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, —
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ.

დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.
1972

* * *
ტა,
ტა,
ტა,
ტა!
რანაირად ბრდღვინავს არაგვი!
ხო,
ხო,
ხო,
ხო!
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, —
თვარა, — კი!..
სხვა
როცა მე შემომნატრის,
მე
მივბაძო სხვას?!

მე — პატრონმა,
მე — პატრონმა
ამისთანა ზღვის,
მე — პატრონმა,
მე — პატრონმა
ამისთანა ცის, —
თუ ღმერთი გწამს,
თუ კაცი ხარ, —
სხვას მივბაძო?! —
ვის?!
რა გინდა რომ აქ არ იყოს, —
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! —
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა.

მე შენ გეტყვი —
არ გეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, —
თვარა, — კი!
1960

* * *
გაივლის დრო და...
— გახსოვს?! —
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ.
აგევსება თვალები ცრემლით.

— აი,
ხომ ხედავ —
სასურველის
მიღწევა შევძელ.
— აი,
ხომ ხედავ —
გავამართლე იმედი შენი.

გაივლის დრო და...
— გახსოვს?! —
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ.
აგევსება თვალები ცრემლით.

— აი,
ხომ ხედავ —
რაც მინდოდა,
ვერაფრით შევძელ.
— აი,
ხომ ხედავ —
გავამტყუნე იმედი შენი.

გაივლის დრო და...
უნდა ითქვას ორიდან ერთი.
გაივლის დრო და...
გამოჩნდება ახალი ვინმე.
გაივლის დრო და...
— თქვი,
რომელს გეტყვი! —
მეორეს?!
პირველს?!
1955

## რაც სურდა საბას
თუ მსურდეს სხვა რამ, —
ღმერთმა დამლახვროს!
მსურს მხოლოდ იგი, —
რაც საბას სურდა:
კაცმა ქართველმა, —
მსურს, —
ქართულად ილაპარაკოს
და საქართველოს, —
საქართველო, —
მსურს, —
ერქვას მუდამ!

ღმერთმა ქართული, —
აწ და მარად, —
აკურთხოს მიწა!
სვის ჩარხმა მისმა
აწი მაინც იბრუნოს წაღმა! —
და ყველას, —
ჰქვია ქართველი ვისაც, —
მსურს, —
სურდეს იგი, —
რაც სურდა საბას!
1993

## აწინდელი საქართველო
აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)! —
იყოს ღირსი,
არა მგონი,
გელათისი!
ბაგრატისი!
ჯვარისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
შოთაისი!
საბაისი!
და სხვისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)! —
არის ღირსი
(შეძახილით აკაკისით)
ფურ-
თხი-
სი!
1992

## მეც თუ ასეთი სიბერე მელის
შენ დაგიწუხდა, სიკვდილო, ხელი! —
ვინაა, — ყმა რომ არაა შენი?!..
ერთი, მორიგი, მოქნევა ცელის, —
წკაპ...
და...
წავიღებ
მაშინვე
წერილს!

შენ შეგიწუხდა, სიკვდილო, ხელი! —
შენ შემოგცქერის ერი და ბერი!..
ერთი, მორიგი, მოქნევა ცელის, —
წკაპ...
და...
იალლა! —
ჰერი და ჰერი!

ყოველდღე ვხედავ, —
უბანში ვერის, —
დადის მოხუცი ნაბიჯით ნელით...
მეც თუ ასეთი სიბერე მელის, —
მოდი, —
ახლავე
მომისვი
ცელი!
1992

## სამწუხაროდ, — ვერა, — ვერა, — ბრწყინვალებავ თქვენო!

იცის, მარა ყველამ არა!
მეგობარო ჩემო:
პროვინციამ სისადავის,
რომ არ იცის გემო!

(რა ლამაზად ჩამომდგარა
გიორგობისთვეო).

არც ეგების
(არაერთი მიზეზისა გამო):
პროვინციამ სისადავის,
რომ შეიგნოს გემო!

(რა ლამაზად ჩამომდგარა
გიორგობისთვეო).

ყველამ იცის? —
იგრძნობს ყველა
ამ სტრიქონის გემოს? —
სამწუხაროდ, —
ვერა, — ვერა, —
ბრწყინვალებავ თქვენო!
1995

## ჩვეულებრივი ამბავი
ნაპირს საცაა მოადგება
საჩემო ნავი, —
და მე ამ ქვეყნით,
სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ
(სხვა, — ბარეორი წავიდა რავარც)!

იქ როცა მივალ, —
ხელებგაშლით, —
მეტყვიან, ალბათ:
— მუხრანს ვახლავართ!

აქ ზოგი იტყვის:
— ხო, — ჩაძაღლდა, —
ეტირა ყოფა!..
ზოგი მათგანი:
— ჩვენც მოვკვდებით! —
რა გაეწყობა!
ნაპირს საცაა მოადგება
საჩემო ნავი, —
და მე ამ ქვეყნით,
სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ.
1993

## ჩვეულებრივი ესეც ნუთუ არის ამბავი?!
მზე რომ ამოდის
და ნარშავი
ღამეს მიტირის, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
დღისით,
მზე როა
და მთოვარე
კრთის ფერმხდილი, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
თავლაფდასხმული, —
რომ არ იტეხს
კაცი იხტიბარს, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
საქართველოსი,
კრინტს რომ არ ძრავს,
ახლა, — მთაბარი, —
ჩვეულებრივი,
ესეც,
ნუთუ, —
არის ამბავი?!
1994

სიტყვა ალექსანდრესი
(ბატონიშვილისა),
— მითხრა რომელიც მაშინ. —
თეთრი ღამის ადგილს.
— დღე რომ იჭერდა შავი

საქართველოის შველასა ვლამი!
საქართველოსი სალმობა მელმის!
კრავი არც მე ვარ,
თუმცა, აბრამის! —
მგლობას დამწამებს, ეს კია, ვერვინ!

მსურს, — ისიც გითხრა:
შველა კი მინდა,
მაგრამ ეს საქმე
როგორ და ვით ვქმნა
მე, — კაცმა ერთმა, —
ამ ერთის ხმლითა?!

საქართველოის შველასა ვლამი
(ცრემლისა საქმეს
ვერ შველის წვიმა);
ვწყევ მამას ჩემსა,
თუმც, ვიცი, მამის
წყევლა
წესიერს
არ ჰმართებს
შვილსა!

არადა, —
ტვინში ამასხა სისხლმა! —
გულზე მასივებს მოგება ნიშნის:
— აჰა, —
აღსრულდა,
ხელმწიფური,
აწ, —
ჰაზრი
მისი
და სჭამ ნაყოფსა
შენ
მისგან
ტკბილსა!
1994

ასი ძლივს იქნება კაცი
რომ ჰყავს შეძლებული მამა! —
თვითონ კაი როა ბიჭი:
განა
(როგორ ფიქრობ?!)
ამან, —
რაა საქართველო! —
იცის?!
თუმცა, ბიჭს რას ვერჩი ამას!
(არის ეს ჯერ კიდევ კვიცი):
თუგინდ,
თვით ამ ბიჭის მამამ, —
რაა საქართველო! —
იცის?

ასი ძლივს იქნება კაცი!
(ალბათ, არც იქნება ასი), —
ვინცა, —
ისეა თუ ასე, —
იცის საქართველოს ფასი!
1994

## ძმაკალიობა
საქართველოში უზნეობის
სუფევს თარეში;
ცრემლად იღვრება მარიამი.
ილხენს არესი.
შურს ცოცხალს მისი, —
წევს, ამჟამად, — ვინც სამარეში...
ხდება რაც ახლა! —
მოხდეს უნდა
რა უარესი?!

საქართველოში უზნეობის
სუფევს თარეში;
უნახავს დღემდე ამნაირი
არვის ტაროსი.
ძმაკალიობას გუნდრუკს
უკმევს უნეტარესი...
ხდება რაც ახლა! —
მოხდეს უნდა
რა უარესი?!

იმნაირია, — ახლა, —
ჩვენში ძმაკალიობა!
ენა დაბმია, —
გენაცვალე, —
შენს კალიოპეს.
1994

## ეს გზა...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს...
გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის,
ხან მიდის მინდვრით...
ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
შენ გზა მითხარი,
ის გზა, რომელიც...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

## ყველამ გამწირა...
ყველამ გამწირა, —
მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მიწაზე ყოფნას
ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი
ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, —
ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“

# მიმართვა ქართველ ხალხს

**ძვირფასო თანამემამულენო!**

**გავიდა ოცი წელიწადი იმ ისტორიული დღიდან, როცა რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ შუაღამემდე მთელი ქართველი ერი იდგა ანთებული სანთლებით ხელში და ითხოვდა ქართველი ერის ცნობიერებითა და განცდით წარმოსახულ უწმინდეს უფლებას, უფლებას ეროვნული თავისუფლებისას. ამ თავისუფლებისათვის სჭირდებოდა მას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, რათა თავად ყოფილიყო პატრონი და წარმმართველი თავისი ცხოვრების, თავისი სულიერებისა და გონების, თავისი მიწა-წყლის, თავისი ეკონომიკისა და ადამიანური ისტორიის.**

**ქართველი ხალხის დიდი ეროვნული ენერგიის ამოქმედებით, ჩვენი ეროვნული გმირების — ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავგანწირული ძალისხმევით, მსოფლიოს წარმმართველი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით ჩვენ შევძელით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადება, მაგრამ ვერ შევძელით იმ დროისათვის გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენი ანთებული გულები, ჩვენი ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობის წადილი მავანთა მხარდამჭერთათვის მხოლოდ იარაღია საბჭოთა კავშირის დაშლისა.**



ჩვენ, ქართველ ხალხს, საბჭოთა კავშირის კედლებში ჩაკეტილს, არ გვეყო ინფორმაციული ცოდნა ჩვენი მხარდამჭერი მსოფლიოს იმ პოლიტიკური რეალობისა, რომელშიაც სწორედ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხდებოდა ჩვენი ახალი დაპყრობის საშუალება. **ტერიტორიული ოკუპაციის გარდა მსოფლიოს ახალი ტექნოლოგიებით დაპყრობის უახლესი ფორმა ადმინისტრაციული ოკუპაციაა, ანუ სახელმწიფოებრივი მექანიზმის ოკუპაცია. ჩვენ დამოუკიდებლობა კაცობრიობის ისტორიის იმ ეტაპზე გამოვაცხადეთ, როდესაც მსოფლიოს ახალი წესრიგის სადავეები უკვე მიზანმიმართული იდეოლოგიით იყო განსაზღვრული და მასში კორექტირების შეტანას ჩვენ არავინ გვეკითხებოდა. ამ იდეოლოგიით ეროვნული ინტერესები, მსოფლიოს განვითარების დევიზით, ჩამორჩენილობის რანგშია აყვანილი.** ჩვენ აღმოვჩნდით კვლავ იმპერიული ბუნების მსოფლიოში, რომლისთვისაც იდეოლოგიური რევოლუციები მსოფლიო ბიზნესის წარმატებათა სამსახურში აღმოჩნდა ჩაყენებული. ამიტომ იყო, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მოძრაობას (გადაჭარბების გარეშე) მის არსებით მიმართულებას, დაერქვა მსოფლიო დინების საწინააღმდეგო მოძრაობა და საქართველოში მივიღეთ მსოფლიო დინების თანხვედრილი „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ სახელმწიფო. **სახელწოდება „ნაციონალური მოძრაობა“ არ ნიშნავს „ეროვნულ მოძრაობას“. „ნაციონალური“ ამ შემთხვევაში „სახელმწიფოებრივს“ ნიშნავს, იმ „სახელმწიფოებრივს“, რომელიც ადმინისტრაციულად ოკუპირებულია.** გავიხსენოთ „ვარდების რევოლუცია“, რომლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ხელფასებს უხდიდა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი. საპრეზიდენტო მმართველობა ოკუპირებული სახელმწიფოებრიობისა ჩვენ მიერ წარმოსახული დამოუკიდებლობის სრულ გაუფასურებამდე აღწევს ძალიან გასაგები და მარტივი ეკლესიური დებულებით: **თუ ანტიქრისტე უსათუოდ მხოლოდ ქრისტეს ნიღბით მოდის, ჩვენ დაგვაკარგვინეს დამოუკიდებლობა სწორედ ჩვენივე დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ვერ აღვუდექით წინ ჩვენი დამოუკიდებლობით სპეკულაციას ნამდვილი დამოუკიდებლობის დასამყარებლად. ამ ფაქტის ბრწყინვალე ილუსტრაცია გახლდათ განათლების რეფორმის სურათი და პროცესები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი იყო პატარა საქართველო. საქართველოს სახელმწიფო ანგრევდა განათლებას და მეცნიერებას განათლების სახელით, ანგრევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენი იყო.**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეამ“ პირველმა შეიტანა საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის სახელმწიფოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, რადგან უნივერსიტეტის გადარჩენა ნიშნავდა საქართველოს გადარჩენას, მაგრამ ჩვენ არ აღმოგვაჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის თავგანწირული მოსამართლენი. ისინი იმ ოკუპირებული სახელმწიფოს ჭანჭიკებად იყვნენ ქცეულნი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის ღირსებისა და პატივის აყრას.

## ჩვენ გვიგებენ ასფალტებს, ღამის განათებებით გვიბრჭყვიალებენ ქალაქებს, მაგრამ საქართველოს პოლიცია მტკვრის ნაპირზე გამორიყულ უამრავ ადამიანს პოულობს ყოველთვე, რომელთაც ვერ გაუძლეს პრობლემებს და სიცოცხლე დაამთავრეს თვითმკვლელობით. ამბობენ, რომ ამ ლაღი, სიცოცხლისმოყვარე ხალხის ქვეყანა — საქართველო თვითმკვლელობის რიცხვით დღეს „მოწინავეა“ მთელ მსოფლიოში.

ნაოცნებარი დამოუკიდებელი საქართველოდან ორ მილიონამდე ადამიანმა დატოვა მშობლიური მიწა და სხვა ქვეყანაში იპოვა სიცოცხლის გადარჩენის გზა. **ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს 16 ამერიკელი სენატორის, მათ შორის, ქ-6 ჰილარი კლინტონის წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომ საქართველოში ირღვევაო იეჰოველთა უფლებები. საქართველოში იეჰოველთა უფლებები კი არა, არამედ ირღვევა უფლება ქართველი ხალხის არსებობის, მისი სიცოცხლის.** დღევანდელი ოპოზიციური პარტიები თავიანთ პოლიტიკურ ამოცანად ადამიანების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას აცხადებენ. დღეს საქართველოს ხელისუფლების ყველაზე ხმაურიანი ამოცანაა საქართველოს გაწევრიანება ნატოში — ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ორგანიზაციაში.

ხელისუფლება, ინსპირირებული მსოფლიოს გლობალური წესრიგის თანამედროვე მესვეურთა სულისკვეთებითა და ინტერესებით, ვერ აცნობიერებს ერთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას: იმისათვის, რომ ნატოს წევრი იყო, ჯერ უნდა იყო, ჯერ უნდა არსებობდე, როგორც ერი და სახელმწიფო, და მერე უნდა გახდე რაიმეს წევრი.

ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ტერიტორიული აღდგენა, იმ ერთ მუჭა შერჩენილ მიწასაც საპარლამენტო კანონით აუქციონზე ყიდის მტკაველ-მტკაველ. **წინარე ხელისუფლებამ თურქეთსა და ისრაელს გადასცა ბაზალეთის ტბის წმინდა მიწის მთელი შემოგარენი; დღეს წავკისის გადასახვევში, თბილისის მახლობლად, ისრაელის დროშა ფრიალებს; ტაბახმელაში, თამარ მეფის ისტორიულ აგარაკზე, თბილისის მახლობლად, არაბი შეიხი აშენებს არაბულ ქალაქს; არაგვის ხეობა ჩვენი აღარ არის, გაიყიდა ტყეები და ნაკრძალები... ხოლო ახალი საპარლამენტო კანონით, დიდი ქვეყნების კვალდაკვალ, უკვე 26 პატარა სახელმწიფო აღიჭურვა უფლებით: ერთი წლის განმავლობაში უვიზოდ აცხოვროს თავისი მოქალაქენი საქართველოში, ერთი წლის შემდეგ კი ღმერთმა იცის...**

ეს გახლავთ სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ახალი იდეოლოგია ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ დავსვით და ვსვამთ შემაშფოთებელ კითხვას: **აქვს თუ არა ქართველ ერს არსებობის უფლება მშობლიურ მიწაზე? — დიახ! ჩვენ ვსვამთ ამ კითხვას, რადგან, იმ პოლიტიკური კურსით, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო მიჰყვება ჩვენი სახელისუფლებო გაგებით, ანუ „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხედვით, ეს უუფლებობა ქართველი ხალხისა გახლავთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი ხალხის განვითარების გზა.**

**ძვირფასო თანამემამულენო!** ჩვენ არა მხოლოდ ნატოში შესვლის გაცნობიერება გვჭირდება, არამედ მთელი იმ მსოფლიო რეალობის, რომლის თანამედროვენიც ვართ და რომელიც კაცობრიობის ისტორიის დღევანდელ ეტაპს წარმოადგენს.

**დღეს, 2009 წლის 9 აპრილს, ქართველი ხალხი კვლავ მიუღწეველი თავისუფლების მოპოვებისათვის დგას რუსთაველის გამზირზე — ოღონდ დღეს ქართველი ხალხი ამ თავისუფლებას ითხოვს არა მხოლოდ რუსეთის იმპერიისაგან, არამედ ერთიანად მთელი მსოფლიოსაგან, რომელმაც ვერ შეძლო ნებისმიერი ღვთისგაჩენილი ერის უფლებისა და ღირსების სამართლებრივი უზრუნველყოფა.**

ჩვენ გვჭირდება საკუთარი ეროვნული ვინაობის თავისუფალი თვითშეგნება და ჩვენი საკუთარი მისიის გააზრება კაცობრიობის წინაშე. ჩვენ არა ვართ მხოლოდ ტერიტორია ნავთობსადენებისა და გაზსადენების გასაყვანად. ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ — კაცობრიობის სიყვარულის ქვეყანა ვართ. ჩვენ დიდი ქართული რასის, კავკასიური რასის გენეტიკური შთამომავალნი და მემკვიდრენი ვართ და ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა ჩვენი საკუთარი, საუკუნეებში ჩამოყალიბებული სიცოცხლის წესითა და ჩვენი სულიერი მისიით უნდა იყოს განსაზღვრული. ასეთი საქართველო სჭირდება თავად მსოფლიოს და კაცობრიობის მომავალს და არა გალატაკებული და დაუძლურებული საქართველო! ჩვენ არა მხოლოდ უნდა გვინდოდეს ხელისუფლების და სისტემის შეცვლა, არამედ ჩვენ უნდა ვიცოდეთ და, მთავარია ვიცოდეთ, რით გვინდა მისი შეცვლა. და ამის ცოდნა კი არ არის იოლი.

**„თსუ ასამბლეის“ სახელით ჩვენ ვითხოვთ ქართველი ხალხის მხარდაჭერას — შეიქმნას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობითა და კანონმდებლობით ეროვნული პრობლემების ანალიტიკური ცენტრი, რომელიც თავს მოუყრის ჩვენი ხელისუფლების მიერ დევნილსა და უგულებელყოფილს — ქართველი ხალხის ინტელექტუალურსა და პროფესიულ პოტენციალს.**

ჩვენ ვითხოვთ ქართველი ხალხის მხარდაჭერას, რათა მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში ოპოზიციურმა პარტიებმა დღის წესრიგში დააყენონ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონკორდატის ამოქმედების საჭიროება, კონკორდატის, რომელსაც განგების ძალით სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მოეწერა ხელი, დღის წესრიგში დააყენონ კონკორდატის უფლებამოსილებანი, რომლითაც განსაკუთრებულ ეროვნულ ვითარებაში უნდა გაერთიანდეს „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, რომლითაც ეკლესიას აქვს კონსტიტუციური უფლება სახელმწიფოსთან თანამშრომლობისა საერთო სახალხო ინტერესებისათვის, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ჩვენ არ უნდა მოვექცეთ პოლიტიკური სტანდარტების ტყვეობაში. ადამიანი არის ხატი ღვთისა, შემოქმედის და მისი უპირველესი თვისობრიობა შემოქმედებაა. თავად დღევანდელი რეალობის გამოწვევაა ქართველი ხალხისა და მის მიერ მოპოვებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთობლივი მართვა ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ, რადგან ღვთის განგებით დღეს ქართველი ხალხის პირველი და შეუცვლელი ავტორიტეტია მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

**ჩვენ არ გვინდა მესამე მსოფლიო ომი, საითაც მივყავართ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს. ჩვენი სიმართლის გადასარჩენად გვჭირდება ახალი ქრისტიანული პოლიტიკა — ქართული პოლიტიკა — კაცობრიობის სიყვარულის პოლიტიკა. ჩვენ ვერავინ გვასწავლის სხვა ხალხების პატივისცემასა და სიყვარულს.**

9 აპრილი, 2009 წ.
თბილისი



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## დავით იაკობიძე:

# ქიზიყში საშემოდგომო ნათესებს ჭია ანადგურებს

**ეკონომიკა ექსპერტების შეფასებით და ეკონომიკა რეალურ ჭრილში ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. რატომ ხდება ასე? ცოტა ხნის წინათ გვარწმუნებდნენ, რომ ნავთობზე ფასების ზრდის პარალელურად გარდაუვალი იქნება ინფლაცია. დავიჯერეთ, მაგრამ გაიაფდა ნავთობი და ინფლაციას დაოკების არაფერი ეტყობა. რატომ?**
**ვთხოვოთ პროფესორ დავით იაკობიძეს, გაგვარკვიოს, სადაა ძაღლის თავი დამარხული ამ ალოგიკურობაში.**



— ყველა დროსა და ყველა ეკონომიკაში ფასები, მათი ზრდა ან შემცირება იყო ის საჯილდაო ქვა, რომელიც განასხვავებდა პოლიტიკურ მიდგომებს ერთმანეთისგან და დაუძლეველ ბარიერად აღიმართებოდა ხოლმე ხელისუფლების წინაშე წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების საქმეში. 1994 წლის გაზაფხულზე თბილისში სტუმრობისას აშშ სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა ასეთი ამბავი გვიამბო: პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რეიგანი ყოველ ორშაბათს საათობით იჯდა ეკონომისტებთან და არჩევდა ამერიკის განვითარების პრობლემებს. ეკონომისტების ერთი ჯგუფი არწმუნებდა, რომ თუ შემცირდებოდა გადასახადები, მაშინ გაიზრდებოდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, მაგრამ შემცირდებოდა მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის გამიზნული სოციალური ტრანსფერები. ეკონომისტების მეორე ჯგუფი კი დაჟინებით მოითხოვდა, რომ გაზრდილიყო გადასახადები, რათა გაზრდილიყო ინვესტიციებისა და სოციალური ტრანსფერების მოცულობა, მაგრამ ეს გამოიწვევდა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდას.

საკითხების განხილვისას ეკონომისტები ენერგიულად ჟესტიკულირებდნენ: იტყოდნენ — ფასები გაიზრდებაო, და მარჯვენა ხელს გაიშვერდნენ, გადასახადების შემცირებაზე ლაპარაკისას — მარცხენა ხელს. ამ დისკუსიებით დაღლილმა რეიგანმა ერთ მშვენიერ დღეს შეწყვიტა სემინარები და განაცხადა, რომ იქამდე არ განაახლებდა, სანამ ცალხელა ეკონომისტს არ უპოვნიდნენ ე.ი. სანამ არ მოიყვანთო ისეთ ეკონომისტს, რომელიც დარწმუნებული იქნებოდა საკუთარ სიმართლეში და დაბეჯითებით განაცხადებდა: თუ ასე ვიზამთ, კარგად გამოგვივაო. შემდეგ მე ეს ანეკდოტი ამერიკულ წიგნშიც წავიკითხე, სადაც მის ავტორად მიიჩნევენ პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს და სახელწოდებაც აქვს — „ანეკდოტი ცალხელა ეკონომისტზე“. მე ვიმეორებ ბატონ ბეიკერის ნათქვამს, რაც პირადად მოვისმინე.

**— წარმომიდგენია, რა ხასიათზე დადგებოდა შევარდნაძე, როცა ამ ამბავს მოისმენდა, იმ დროს ხომ საქართველოს ეკონომიკაში სრული ქაოსი სუფევდა და ვერც ვერავინ აძლევდა სასარგებლო რჩევას.**

— საუბარს შევარდნაძე არ დასწრებია, მაგრამ როცა იმავე საღამოს მას მე და ნოდარ ჯავახიშვილი შევხვდით, დაწვრილებით ვუამბეთ. შევთავაზე, ნოდარისათვის ხელი მოგვეჭრა, რათა ცალხელა ეკონომისტი სხვაგან არ გვეძებნა.

**— დაგეთანხმათ შევარდნაძე?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ჩვეული იუმორით მიგვანიშნა, რომ ხელის ნაცვლად შეიძლება, რომელიმე ჩვენგანისთვის ენა მოეჭრა, უადგილოდ რომ არ გვექილიკა.

საკითხი ურთულესია, ხუმრობაში ვერ გავატარებთ. ნავთობზე ფასების ზრდას რომ მოჰყვებოდა სხვა პროდუქციაზე ფასების პროპორციული ზრდა, ეს, ალბათ, გასაგებია, რადგან ნავთობი ყველა დარგისთვის საბაზო პროდუქტია და ყველა ქვეყნის ეკონომიკაში ნავთობის მოხმარების გადიდებასთან ერთად იზრდება გამოშვებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება. არცთუ დიდი ხნის წინათ ნავთობის რეკორდულმა ფასებმა მრავალი ეკონომიკური სისტემისათვის გაუსაძლისი პირობები შექმნა. ზოგიერთ ქვეყანაში ერთდროულად შეინიშნებოდა სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო სხვა პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ზრდაც და ამ პროდუქციის საბაზო დეფიციტიც, რასაც ეკონომისტებმა „აგფლაცია“ ან „აგრფლაცია“ უწოდეს. ანალოგიურ მოვლენას გასული საუკუნის სოციალისტურ უნგრეთში კორნაიმ „დეფიციტოფლაცია“ დაარქვა. აქ საქმე გვაქვს უნიკალურ ეკონომიკურ მოვლენასთან: პროდუქციის დეფიციტი, რომელიც გამოწვეულია ნავთობპროდუქტებზე უზომოდ მაღალი ფასების გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებით, თავის მხრივ, განაპირობებს ინფლაციას ძირითად სასურსათო პროდუქციაზე — სიმინდზე, ხორბალზე, ბრინჯზე და ზოგიერთ ტექნიკურ კულტურაზე. რა შეიძლება ყოფილიყო ამგვარი მოვლენის სიღრმისეული მიზეზი? რა თქმა უნდა, ნავთობპროდუქტებზე ფასების ხელოვნური ზრდა, რომელიც მის მოხმარებას ურთულებდა მცირე ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე აგრარიკოსებს. გაიხსენეთ, როგორ არიგებდნენ საქართველოში ოც-ოც ლიტრ დიზელის საწვავს გლეხობის დახმარების მიზნით. გლეხობა უკმაყოფილო იყო, რადგან არ ჰყოფნიდა ამ ოდენობის საწვავი. შედეგად, მოუხნავი დარჩა უამრავი სავარგული. ახლა, როცა იქ, სადაც საშემოდგომო ხორბალი იყო დათესილი, მწერი გაჩნდა, შხამქიმიკატების უქონლობის გამო მთლიანად ნადგურდება მოსავალი. აქვე დავძენ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გულისხმობს სულ ცოტა ერთწლიან ციკლს, მაშინ, როდესაც ნავთობზე ფასების „თამაში“ შესაძლებელია წლის განმავლობაში სხვადასხვა დიაპაზონით.

**— ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე ინფლაცია ნავთობზე მაღალი ფასების ერთგვარი ინერციაა და მეტი არაფერი?**

— ინერცია ფაქტია, მაგრამ არის სხვა უამრავი გარემოებაც. საქმე ისაა, რომ საქართველოში ნავთობზე ფასების ცვლილება რომ არ განხორციელებულიყო, ინფლაცია მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამის მთავარი მიზეზი ქვეყნის სუსტი ეკონომიკური პოლიტიკური ბერკეტებია, რომელთაც უბრალოდ არ ძალუძს ინფლაციური პროცესების შეჩერება. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, საქონლისა და მომსახურების მასაზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.

**— ცნობილია, რომ ფასი დამოკიდებულია მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობაზე. როცა ფული ბევრია და საქონელი ცოტა, ფასები იზრდება და, პირიქით, საქონლის სიჭარბე იწვევს ფასების დაცემას.**

— ეს ზოგადი კანონია, რომელიც მოქმედებს წონასწორული კონკურენციის პირობებში. ცალკე აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში იგი უძლურია. როცა რამეს ყიდულობთ, გჯერათ, რომ მოცემული საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნის შედეგად ჩამოყალიბდა ის ფასი, რომელიც გადაიხადეთ? პირადად მე ასეთი თქმულებების არ მჯერა. წონასწორული კონკურენციის შედეგად ჩამოყალიბებული თანაფარდობა საქონლის მასის მიწოდება-მოთხოვნას შორის არის თეორიული დაშვება, რომელიც გვიხსნის არსებულ მდგომარეობას. ეს დამოკიდებულება იდეათა სფეროს განეკუთვნება, რომელიც არის იდეა-ინდიკატორი, პროცესების წარმმართველი და ნებისმიერ კონკრეტულობაში თავს სხვადასხვაგვარად ავლენს.

**— გინდათ, თქვათ, რომ მიწოდება-მოთხოვნის მიხედვით არ განისაზღვრება ფასები?**

— დიახაც, რომ არ განისაზღვრება, მაგრამ ფასის მასშტაბის დადგენის მექანიზმი სხვაგვარად ვერ აიხსნება. რა არის ფასი და როგორ ყალიბდება იგი, ამას მხოლოდ მიწოდება-მოთხოვნის კანონით გაარკვევ. წონასწორული კონკურენციის პირობებში მიწოდება-მოთხოვნის ბალანსური თანაფარდობის არსებობა არის დაშვება, ვიტყოდი, გენიალური თეორია და არა პრაქტიკული პროცესების ასახვა.

**— მოდი, გავიხსენოთ კუპონი და ის პერიოდი, როცა ინფლაცია კი არ მიდიოდა, მიქროდა. განა მიმოქცევაში კუპონის რაოდენობის ზრდა არ იწვევდა ფასების მატებას? ხომ კარგად გვახსოვს, სახელმწიფო ხაზინიდან კუპონების ნებისმიერი ახალი ულუფის გამოსვლა ფასების სპირალურ ზრდას რომ იწვევდა.**

— გეთანხმებით, მაგრამ დავძენ, რომ 1993-1994 წლების ჰიპერინფლაცია იყო ხელოვნურად შექმნილი პროცესი, რადგან შეუძლებელი შეიქნა იმ დროისათვის სახელმწიფო ხარჯების რაიმე სხვა საშუალებით გაწევა. ეს სხვა დროს გავარკვიოთ, ახლა კი კითხვას შემოგიბრუნებთ: რისი ბრალი იყო საქართველოში 1992 წლის ინფლაცია? ჩვენ მაშინ ფული საერთოდ არ გვქონდა და მიმოქცევაშიც ვერაფერს ვუშვებდით ე.ი. ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, რუბლის რაოდენობას ვერ გავზრდიდით: ეროვნულ ბანკში ჩარჩენილი რუსული რუბლი სიძველისგან სულს ღაფავდა, მოძრაობდა აშშ დოლარიც, რომლის უდიდესი ოდენობა ყალბი იყო. რა იწვევდა მაშინ ინფლაციას, როდესაც ფულის კუპიურის ფასი იმდენად მაღალი იყო, რომ საბანკო ანგარიშზე არსებულ მანეთს ერთი ხუთთან უსწორდებოდა? ხედავთ, რა იოლად მივედით ცალხელა ეკონომისტის აუცილებლობასთან?

**— კუპონის ეპოქა პატრონს ჩაბარდა... რით არის ახლა განპირობებული ინფლაციური პროცესი აქ?**

— თუ დააკვირდებით, იმ საქონელზე, რომელსაც საქართველოს მსოფლიო ბაზარი აწვდის, ფასები კლებულობს. ძირითადად, ხანგრძლივი მოხმარების საქონელია. ამის მიზეზია მათზე ფასების ვარდნა იქ, სადაც აწარმოეს. ეს მსოფლიო კრიზისის მიზეზით ხდება. ინფლაციური პროცესი მიმდინარეობს უფრო სასურსათო და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე. იმ პროდუქტებზე, რომლითაც ქვეყანა თვითონ უნდა იკმაყოფილებდეს საკუთარ მოთხოვნილებას. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ჩვენ თითქმის არაფერს ვაწარმოებთ. ნახეთ, რა ხდება სოფლის მეურნეობაში: მიწები მოუხნავია, მთავრობა გადართულია პოლიტიკურ საკითხებზე, ქიზიყში საშემოდგომო ნათესებს ჭია ანადგურებს, ფერმერები დახმარებას ელიან, რომელიც არ ჩანს. შორიდან შემოგვაქვს ის პროდუქტი, რომელსაც ადრე ადგილზე ვაწარმოებდით და გაგვქონდა კიდეც, მაგალითად, ვაშლი, კარტოფილი, ღორის ხორცი და ა.შ. ეკონომიკაში დოლარიზაციის პროცენტი 65-ს აღემატება. აი, მიმდინარე ფასების ზრდის სათავე.

**— საკვირველია, ამ გაგანია კრიზისის დროს მთავრობა ხელჩამოშვებული დგას და ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.**

— უცხოეთი რომ არ გვეხმარებოდეს, ნახავდით, როგორ ჭაობშიც ვსხედვართ. გასულ კვირაში მონეტარულმა ფონდმა ლარის გასამაგრებლად 180 მილიონი აშშ დოლარი გამოგვიყო და ზაფხულისთვის ამდენივეს დაგვპირდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის. გამოვლენ ჩვენი მეგობრები კრიზისიდან და ჩვენც, ალბათ, უფრო აქტიურები გავხდებით.

**— ესე იგი არ გადავიწუროთ იმედი?**

— ადამიანი ღმერთმა შრომისა და განსაცდელისთვის შექმნა. ჩვენს წილ სისხლს, ოფლსა და ცრემლს არავინ დაღვრის. გვეშველება, თუ ხელს გავანძრევთ და გვექნება მკაფიოდ გამოხატული მიზანი, თუ საკუთარი შესაძლებლობების მინიმუმს მაინც გამოვიყენებთ და არ ვიქნებით მხოლოდ უცხოური დახმარების მომლოდინე და მახვეწარი. განვითარების ინდექსით ჩვენ საკუთარ თავს ჩამოვრჩით. მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტის ყოველდღიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია. ხსნა შრომაშია, მიზანმიმართულ და შეგნებულ შრომაში.

ესაუბრა
**თორნიკე მანველიძე**

## სომხეთის პრეზიდენტი ჩინოვნიკებს განაიარაღებს

**სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ქვეყნის პოლიციის უფროსს დაავალა, სათანადო ზომები მიიღოს მოსახლეობის განიარაღებისა და მისთვის იარაღის გაცემის მექანიზმის გამკაცრებისათვის.**

ამის შესახებ სომხეთის პარლამენტის სპიკერის ოჯახის წევრების მონაწილეობით ატეხილი სროლებისა და ჯანდაცვის მინისტრის ორი მოადგილის მონაწილეობით ბობოქარი გარჩევების კომენტირებისას თავად სარქისიანმა განაცხადა.

„როგორც ჩანს, თანამდებობის პირებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის მათი ნათესავების საქციელი,“ — თქვა მან. ამ კონტექსტში სარქისიანი საზოგადოებას შეჰპირდა, რომ „ლაგამს ამოსდებდა“ იმ „თავნება“ თანამდებობის პირებსა და მათ ნაშიერებს, რომლებსაც თავი სიცილიელ მაფიოზებად წარმოუდგენიათ.

## სპილოს ორიენტაცია

**პოლონეთის ქალაქ პოზნანის ზოოპარკის დამთვალიერებელთა რიცხვი ერთი ორად გაიზარდა აგრესიული და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის სპილოს გამო.**

ათი წლის სპილომ, სახელად ნინიომ, უკვე მესამედ გამოიცვალა ზოოპარკი თავისი განსაკუთრებულობის გამო. 5 წლის წინ ნინიო ვარშავის სპილოების საბინადროში სახლობდა, მაგრამ, ზოოპარკის თანამშრომელთა თქმით, იქ ყოფნის წლებში უჩვეულო აგრესიას ამჟღავნებდა ძუ სპილოების მიმართ — მათ ხორთუმით სცემდა და აუზში აგდებდა. სამაგიეროდ, განსაკუთრებულ სინაზეს იჩენდა ხვადი სპილოების მიმართ. ნინიო იზოლაციაში მოაქციეს, რადგან სხვა ცხოველებისთვის საფრთხედ მიიჩნიეს.

შემდეგ ის ბუდაპეშტის ზოოპარკს მიჰყიდეს, თუმცა სპილო იქაც „ცუდად“ იქცეოდა. ახლა ნინიო კვლავ პოლონეთში დააბრუნეს. უცნაური სპილოს სანახავად ზოოპარკს უამრავი დამთვალიერებელი მოაწყდა.

## რუმინეთში ქართველ რაგბისტებს სცემეს

**რუმინეთში ქართველ რაგბისტებს სცემეს. ინციდენტი ბუქარესტის „დინამოსა“ და „კონსტანტას“ შეხვედრისას მოხდა. „კონსტანტას“ რიგებში ხუთი ქართველი რაგბისტი გამოდის.**

„დინამოს“ წევრებმა ჩხუბი თამაშის დაწყებიდან 6 წუთის შემდეგ ატეხეს. მათი სამიზნე ქართველი რაგბისტები იყვნენ. ჩხუბის შედეგად, ერთმა ქართველმა რაგბისტმა თითი მოიტეხა, მეორეს კი, გავრცელებული ინფორმაციით, ყბა აქვს გაბზარული.

მორაგბეები ბუქარესტის საავადმყოფოში მოათავსეს.

რუმინელი მორაგბეები ქართველებს ანგარიშსწორებით დაემუქრნენ თბილისში გამართული საქართველო-რუმინეთის ნაკრებების შეხვედრისას, რომელიც საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. თბილისური მატჩისას მორაგბეებს შორის მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა, რომელიც სერიოზულ ინციდენტში არ გადაზრდილა.

რუმინელ მორაგბეებს რაგბის საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან სერიოზული სანქციები ემუქრებათ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ქართული დიასპორა ამერიკის შეერთებულ შტატებში სააკაშვილს გადადგომისაკენ მოუწოდებს

**„მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება“ და გადადგეს! — ამ მოთხოვნით მიმართა მიხეილ სააკაშვილს ქართული დიასპორის ცნობილმა წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო ტელეარხის RTVI-ის მთავარმა რედაქტორმა გიორგი ციხისელმა.**



„ვარდების რევოლუციის“ მხარდაჭერისათვის მას თავის დროზე „საქართველოს საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭა. ციხისელი გამოთქვამს აზრს, რომ დროა, სააკაშვილი განზე გადგეს „საქართველოს მთელი მოსახლეობის“ საკეთილდღეოდ.

„თქვენ, სამწუხაროდ, თანდათანობით უარესობისკენ იცვლებოდით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტისადმი მიწერილ ღია წერილში, — თქვენ პირობა დადეთ, გებრძოლათ კორუფციასთან, მაგრამ ქრთამი, რომელიც საჭიროა კერძო ბიზნესის დასაწყებად, თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში ბევრად უფრო გაიზარდა. თქვენ მხარს უჭერდით სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ საქმით უფრო და უფრო დაუნდობლად ებრძოდით თანამედროვე საზოგადოების ამ უფლებას“.

თქვენ დაგვპირდით, რომ ხელისუფლება გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი იქნებოდა. მაგრამ ამის ნაცვლად „ხელისუფლებაში მინისტრთა რაოდენობა ერთი ორად გაიზარდა. მათი საქმიანობის ეფექტურობა კვლავ დაბალ დონეზე დარჩა. საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობაზე კი საუბარიც ზედმეტია“, — აღნიშნავს ციხისელი.

„თქვენ მოითხოვდით, რომ საქართველოში საარჩევნო სისტემა გამჭვირვალე ყოფილიყო. სინამდვილეში კი არჩევნების შედეგებით მანიპულირება დაიწყეთ“, — წერს ის.

„თქვენ უნდა დათმოთ და წახვიდეთ! მოიკრიბოთ გამბედაობა ნამდვილად სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად, — აცხადებს ციხისელი, — მიეცით სხვებს საშუალება, ააშენონ ის, რაც თქვენ დაიწყეთ და რის დამთავრებასაც ვერასდროს შეძლებთ“.

# საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისის ოფისი საგანგაშო პროგნოზს აკეთებს

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილეს იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას ემუქრება. მათ ურჩიეს ქვეყნის ხელისუფლებას ფინანსების პერეორიენტირება თავდაცვიდან სოციალურ სფეროზე.**

საქართველოს ეკონომიკის ნგრევის მნიშვნელოვანი რისკის შესახებ განცხადებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი აკეთებს.

„დარტყმა მიყენებულია მიმდინარე და სუფთა აქტივებზე, სავარაუდოა, იგი უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება, ვიდრე ეს თავიდან იყო მოსალოდნელი“, — აღნიშნავენ ფონდის თბილისის ოფისში. სპეციალისტებმა ფინანსების კუთხით მხარი დაუჭირეს საქართველოს მოქმედებას საგადასახადო ნიხრების შემცირების თაობაზე და ურჩიეს მეტი ყურადღება დაუთმონ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, ვიდრე არმიის შეიარაღებას იმპორტული იარაღით. ამას გარდა, დასავლეთის ფინანსისტები უკმაყოფილონი არიან სავალუტო რეზერვების ხარჯზე ლარის კურსის გამყარების გამო.

ამ გაფრთხილების შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა იაშა მესხიამ გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება ასეთ კრიზისულ პერიოდში ოლიმპიური სიმშვიდის გამო. მისი აზრით, ქვეყანას ეკონომიკური ზრდის შენელება და ინვესტიციების მოდინების შემცირება ემუქრება. მესხია თვლის, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს. ეკონომიკური საქმიანობის მონაწილენი თავად ეძებენ კრიზისიდან გამოსასვლელ გზებს.

ცნობილმა ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რომლითაც ფინანსური ამნისტიის გატარებას თხოვს.

რადიო „კომერსანტის“ ინტერვიუში მან განმარტა: „დღეს ბიზნესი იმ ვალების გასტუმრებითაა დაკავებული, რომელიც 2004 წლამდე დაგროვდა. საქმეები სასამართლოს გადაეგზავნა. საინტერესოა, რომ ეს დავალიანება ბიუჯეტში არ აისახება და, ამდენად, მიუჯეტი რეალურად არაფერს კარგავს. ბიზნესისათვის ეს, პირიქით, ერთგვარი ინვესტიცია იქნება. სწორედ ამიტომ აუცილებელია ამნისტიის გამოცხადება“.

მის წინადადებას მხარი დაუჭირეს ასევე პროექტი „საქართველოს ფოლადის“ დირექტორმა მიხეილ ჯანიკაშვილმა და კომპანია „რაჭული ღვინოს“ ხელმძღვანელმა ომარ ჭელიძემ. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ მთავრობა ვალების ჩამოწერით გამოხატავს თავის კეთილდამოკიდებულებას ბიზნესისადმი. დავალიანებათა ამნისტიის წინადადება, სხვათა შორის, სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დოქტრინას, რომელიც საჭიროდ თვლის ფინანსურ პოლიტიკაში შემწყნარებლობას და არასაკმარისი საშუალებების კომპენსაციას დასავლეთის ქვეყნების გრანტების ხარჯზე.

რა თქმა უნდა, ბიზნესმენებს ვერ ვუწოდებთ კრიზისის გამო ქართული საზოგადოების ყველაზე დაზარალებულ ფენას, მაგრამ რესურსების დეფიციტის პირობებში ყველა თავისკენ ექაჩება საბანს. მიწათმოქმედები — სუფსიდიებს, მეღვინეები სახელმწიფოსაგან პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას ითხოვენ; სადაზღვევო კომპანიები დაზღვევისათვის ხელმისაწვდომ პოპულისტურ პროგრამებს ებღაუჭებიან, მედიკოსები თავიანთი მომსახურეობის ფასებს ზრდიან და უკმაყოფილონი არიან დამზღვეველთა არგადახდებით. ბიზნესი ბრალს სდებს ბანკებს კრიზისში მათი მაღალი კრედიტების გამო, ბანკირები კი ადანაშაულებენ ბიზნესმენებს არასწორ მენეჯმენტში, ურჩევენ რა სამშენებლო კომპანიებს საცხოვრებელ ფართებზე ფასების შემცირებას.

ეკონომიკის ნგრევის შემთხვევაში ჩინოვნიკებმა და ბიზნესმენებმა უკვე იპოვეს „განტევების ვაცი“. „9 აპრილის მოახლოებასთან ერთად, — როგორც აცხადებს ეკონომიკის მინისტრი ლაშა ჟვანია, — საპროტესტო აქციებმა სერიოზული პრობლემები შექმნეს. ბოლო ორი კვირის განმავლობაში (ვაწარმოებთ რა მოლაპარაკებას ინვესტორებთან) ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ამ საკითხს აპრილის ბოლოს დაუბრუნდებიან. არსებობს რეალური საფრთხე, რომელიც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას“. ამ განცხადებით ეკონომიკის მინისტრი ცდილობს, ეკონომიური წარუმატებლობის მთელი პასუხისმგებლობა მოუსვენარ ოპოზიციას დააკისროს.

**სვეტლანა ბოლოტნიკოვა**

# თბილისს არ უნდა, დათმობაზე წავიდეს ერევანთან და ანკარასთან

**ბარაკ ობამას თურქეთში ვიზიტის შედეგებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სომხურ-თურქული ურთიერთობების მოგვარება. თუ ეს მოხდება, საქართველო დაზარალდება არა მარტო ეკონომიკური კუთხით, — პოლიტიკურადაც. როგორც ჩანს, თბილისმა გადაწყვიტა, დაასწროს მოვლენებს და ჩართოს ერევანი სტრატეგიული პარტნიორობის გეგმაში.**



ახლახან გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ საქართველო და სომხეთი უმოკლეს ხანში აუცილებლად გააფორმებენ სტრატეგიულ ურთიერთობებს. ეს დაფიქსირდება, — განაცხადა მან, — ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ახალ სტრატეგიაში. ნიშანდობლივია, რომ განზრახვა სომხეთთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე მინისტრმა ანკარაში ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ჩამოსვლის წინა დღეს გააჟღერა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელი პრეზიდენტი ერთგვარი კატალიზატორია, რომელმაც უნდა დააჩქაროს სომხურ-თურქული ხელშეკრულების ხელმოწერა. ჟურნალ „The Wall Street Journal“-ის ცნობით, ხელშეკრულება 16 აპრილს გაფორმდება, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი ბაბაჯანის სომხეთში ვიზიტის დროს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სხდომაში, რომელშიც ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღებენ მონაწილეობას. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საზღვრების გახსნა, რომელიც ისტორიკოსთა კომისიამ დაადგინა და რომელიც შეისწავლის სომეხთა გენოციდს 1915 წელში.

წინასაარჩევნო კამპანიაში ობამა დაჰპირდა სომხურ ელექტორატს, რომ აღიარებდა სომეხთა მასიურ განადგურებას ოსმალეთის იმპერიაში. ამერიკის კონგრესში რეზოლუციის განხილვა გენოციდის თაობაზე დანიშნულია 24 აპრილისთვის.

და აი, ამ ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის წინ თურქეთმა პოლიტიკური თამაში წამოიწყო ერევნელებთან ურთიერთობათა დათბობის მიზნით. გასულ კვირას, მაგალითად, მან დაიწყო რადიომაუწყებლობა სომხურ ენაზე, — იუწყება Lenta ru.

სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია გახდა თურქეთის ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი პირობა. თურქეთის მთავრობა, ერევანთან კონტაქტების თითქოსდა მოგვარების დემონსტრირებას ახდენს, ჯერ კიდევ კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას საზღვრების უმოკლეს ხანში გახსნის თაობაზე. პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიიპ ერდოგანმა პარასკევს ისიც კი განაცხადა, რომ ეს საკითხი მანამ არ გადაწყდება, ვიდრე მთიანი ყარაბახის საკითხი არ დარეგულირდება.

ეს განცხადება სომხეთში მიიღეს, როგორც სომხურ-თურქული დიალოგის გაყინვის მცდელობა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა აღნიშნა, რომ ყარაბახის თემა არასდროს არ ყოფილა თურქეთის განხილვის საკითხი. ერდოგანის პოზიციამ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისე გააღიზიანა, რომ „ცივილიზაციის ალიანსის“ ფორმულაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.

სომეხი ექსპერტების აზრი საზღვრების გახსნის აუცილებლობის თაობაზე გაიყო.

CIMERA-ს ჟენევის ცენტრის წარმომადგენელმა ვიკენ ჩეტერიანმა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ საზღვრების დაბლოკვა პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს მთიანი ყარაბახის პრობლემაზე, მაგრამ ყველაზე მეტად ამით მოიგებს ეკონომიკა: „თურქეთის გავლით ტვირთგადაზიდვები უფრო ჩქარი და უფრო იაფიც გახდება, ვიდრე საქართველოს გავლით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გამო“. სომხეთი უფრო ნაკლებად დამოკიდებული იქნება საქართველოზე პოლიტიკურ საკითხებშიც, ეს კი საშუალებას მისცემს სომხურ მხარეს, უფრო დაბეჯითებით მოითხოვოს საქართველოში მცხოვრები სომხების ინტერესების და სომხური ეკლესიების დაცვა. ამავე დროს პოლიტოლოგი ლეონ მელიქშახნაზარიანი თავის ინტერვიუში Арминфо-სთან აცხადებს, რომ საზღვრების გახსნა ქმნის თურქეთის სამხედრო ჩარევის საშიშროებას. „საზღვრების გახსნით, ჩვენ კავშირი გვექნება თურქეთთან, მაგრამ არა თურქებთან, არამედ ქურთებთან... რაც საშუალებას მისცემს თურქეთს, განაცხადოს სომხეთში ქურთთა მუშათა პარტიების არსებობაზე და შემდეგ დაიწყოს მათი დაბომბვა. ამგვარად ჩვენ ჩრდილოეთ ერაყის ბედს გავიზიარებთ“, — გვაფრთხილებს ის. მსგავსი გაფრთხილებანი გააკეთა კავკასიის ანალიტიკური ცენტრის ექსპერტმა ვიქტორ იაკუბიანმაც, რომელიც თვლის, რომ ყარაბახის პრობლემის გადაწყვეტამდე აზერბაიჯანის ახლო პარტნიორისათვის საზღვრის გახსნა არ იქნება ხელსაყრელი. ის ასევე აღნიშნავს, რომ ბაქო მოლაპარაკებებისგან თავს იკავებს და არ გამორიცხავს კონფლიქტის საომარი გზით გადაწყვეტის ვარიანტს.

აზერბაიჯანში საზღვრის გახსნის ინფორმაციას სიფრთხილით მოეკიდნენ. აზერბაიჯანის პარლამენტის სპიკერმა ოკტაი ასადოვმა განაცხადა: „საზღვრის გახსნა არაფერს არგებს აზერბაიჯანს და ჩვენს ინტერესებში არ შედის“.

რაც შეეხება საქართველოს, მართალია, იქ მოიძებნა ხალხი, ვინც მიესალმება „დათბობას“ ერევანსა და ანკარას შორის, მაგრამ ბევრი შეაშფოთა მოსალოდნელმა ეკონომიკურმა დანაკარგებმა. საქართველოს სურსათისა და ვაჭრობის პალატის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის აზრით, სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა ნეგატიურად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, იმდენად რამდენადაც ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო გზა სწორედ რომ საქართველოზე გადის.

მაგრამ საქართველოს შეშფოთებას შეიძლება სხვა მიზეზებიც ჰქონდეს. როგორც უკვე წერდა „Georgia Times“, თურქეთი ცდილობს, ურთიერთობა არა მარტო ერევანთან, არამედ მოსკოვთანაც მოაგვაროს.

ამგვარად, ის აძლიერებს თავის გავლენას სამხრეთ კავკასიაში. მისი სამშვიდობო ინიციატივა კავკასიური პლატფორმის შექმნის თაობაზე გაერთიანების ყველა წარმოდგენილმა მონაწილემ კეთილად მიიღო. თუმცა ჯერაც არ გაკეთებულა ამ ბლოკის მონახაზი, რომელიც მომავალში შესაძლოა ისეთი რთული პრობლემების გადაწყვეტის კარგი საშუალება გამხდარიყო, როგორიც ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხია. თურქეთი, შევა რა მჭიდრო კონტაქტში რუსეთთან და სომხეთთან, ზემოქმედების მოხდენას შეძლებს საქართველოზე.

სხვათა შორის, სწორედ თურქეთმა შექმნა პრეცედენტი მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყნის მიერ აღიარებული სახელმწიფოს — ჩრდილოეთ კვიპროსის არსებობისა. ამიტომ მოსკოვმა შეიძლება ცხინვალთან და სოხუმთან დაკავშირებით ანკარასთან საერთო ენა გამონახოს. ბუნებრივია, საქართველოს სურვილი არ ექნება, გარშემორტყმული იყოს არაკეთილმოსურნე მეზობლებით. მან გადაწყვიტა, წინ გაესწრო ამ მოვლენებისათვის და სომხეთთან „ურთიერთობათა გაფორმებაზე“ ალაპარაკდა.

**სვეტლანა ბოლოტნიკოვა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 15 მილიონი იტალიელი რისკის ზონებში ცხოვრობს

**უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში დედამიწაზე მიწისძვრის მსხვერპლი 8 მილიონი ადამიანი გახდა, — წერს მარიო ტოცი გაზეთ „ლა სტამპაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**უახლოეს მომავალში ბუნებრივი კატასტროფისაგან ყოველწლიურად დაიღუპება დაახლოებით 10-დან 15 ათასამდე ადამიანი, — წერს სტატიის ავტორი. მაგრამ მიწისძვრებს მსხვერპლთან და მატერიალურ ზარალთან მივყავართ მხოლოდ მაშინ, როდესაც შენობა ან არასწორად არის აგებული, ანდა არასწორადაა განლაგებული.**

იტალიის ტერიტორიის 45 პროცენტი ან ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტი, სხვა სიტყვებით — 25 მილიონი ადამიანი, იმყოფება პოტენციურად სეისმოსაშიშ ზონაში. სამართლიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შენობათა მეოთხედი გაუძლებს მიწისქვეშა ბიძგებს, ასევე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სულ ცოტა 15 მილიონი იტალიელი ცხოვრობს არასაიმედო საცხოვრებელში.სიტუაცია რთულდება იმითაც, რომ სეისმურ ზონებში მესაკუთრეები ხშირად არღვევენ მშენებლობის წესებს, არ იცავენ ნორმებს, რაც აუცილებელია სეისმოსაშიში ზონებისათვის. თუ ვისაუბრებთ არმირებული ბეტონის შენობების შესახებ, ისინი მართლაც გაცილებით უფრო მყარია და შეუძლია გაუძლოს სტიქიის დარტყმებს, თუ, რასაკვირველია, საკმარისია მათში ლითონი და ქვიშა.

**იტალიაში შეფარდება მიწისძვრის ძალასა და მსხვერპლის ოდენობას შორის ჯერ კიდევ მართლაც ძალიან მაღალია და მიუღებელია ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს ისეთივე სათანადო სახსრები და საბაზო ცოდნა, როგორიც ამერიკელებსა და იაპონელებს.**

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია წინასწარ გავაფრთხილოთ მოსახლეობა მიწისქვეშა ბიძგების თაობაზე, — წერს ფრანკო ფორესტა მარტინი გაზეთ „კარიერე დელა სერაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. შეიძლება თუ არა ვიწინასწარმეტყველოთ მოახლოებული მიწისძვრის შესახებ? — კითხულობს სტატიის ავტორი. მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერები ცდილობენ, შეიმუშაონ ეფექტიანი ფორმულები, მაგრამ, როგორც კი ეს ფორმულები დაუახლოვდება აღმოჩენას, რეალობა ანგრევს მათ იმედებს.

**არსებობს მთელი რიგი მინიშნებანი, რომლებიც მიუთითებენ გარდაუვალ მიწისძვრაზე: ესაა შინაური ცხოველების (ქათმები, ძაღლები, კატები) და ფაუნების წარმომადგენლების, მაგალითად, გველხოკერების არაჩვეულებრივი ქცევები. ხშირად გვესმის ყრუ მიწისქვეშა გუგუნი, ატმოსფეროში ჩნდება ელვა და ქუხილი; დედამიწის ქერქის შრეებიდან გამოდის უფრო მეტი რადონი (გაზი), ვიდრე ჩვეულებრივად. ამ ნიშნებზე დაყრდნობით რამდენჯერმე შეძლეს ადამიანთა მსხვერპლის თავიდან აცილება. მაგრამ ეს მოვლენები ყოველთვის როდი ნიშნავს მიწისქვეშა ბიძგების მოახლოებას, ზოგჯერ ეს ხდება სრულიად მოულოდნელად, წინასწარი სიგნალების გარეშე.**

გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერები ამუშავებენ სპეციალურ პროგრამას მიწისძვრათა შესაძლო პროგნოზირების შესახებ. ჯან ლუკა ვალენსიზე ამბობს, რომ ათკილომეტრიანი გადანატეხი, რომელიც მდებარეობს აკუილის რაიონში, უძრავად იმყოფებოდა დიდი ხნის განმავლობაში. ხდებოდა გადანატეხის მოძრაობა, რომელიც უფრო ჩრდილოეთით იყო განთავსებული და რომელმაც მიგვიყვანა მიწისძვრამდე 1703 წელს. გადანატეხი მოძრაობდა სამხრეთითაც, 1300 წელს. ამიტომ სავსებით სამართლიანი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა აკუილის რაიონში გადანატეხის ნაწილების მოძრაობა. მეცნიერებს შეუძლიათ, 50 პროცენტის სიზუსტით თქვან, თუ ერთი წლის განმავლობაში სად შეიძლება მოხდეს მიწისქვეშა ბიძგები, მაგრამ თანამედროვე პირობებში არ შეიძლება მოწესრიგებულ ცხოვრებას მოვწყვიტოთ მთელი რაიონების მოსახლეობა 365 დღის განმავლობაში. ამ დროს უნდა ვაწარმოებდეთ ყველაზე მონგრეული და არამყარი შენობების გამაგრებას და ვღებულობდეთ სხვა პროფილაქტიკურ ზომებს.

**დასასრულ, სტატიის ავტორი წერს იმის შესახებ, რომ იტალია ჩაერთო საერთაშორისო პროგრამაში „მიწისძვრის პროგნოზირების ერთობლივი გამოკვლევანი“ იმის იმედით, რომ ერთობლივად შეიძლება, მოინახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები.**



# აი, თქვენ, მრავალპოლარული მსოფლიო

**გლობალიზაციის ამერიკული პროექტი დასრულდა, ამიტომ ყველაფერი ეჭვქვეშ დადგა: ამერიკული ლიდერობაც, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ფინანსური კაპიტალიზმის ამერიკული მოდელის საფუძველში ჩადებული იდეების მთელი კომპლექსიც. „ოცეულის“ სამიტმა ლონდონში ამ ეპოქას ხაზი გაუსვა.**

ლონდონის შეხვედრის წინ გაჟღერდა გლობალური ხასიათის მთელი რიგი წინადადებები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბაზაზე სარეზერვო სუპერვალუტის შექმნის საკითხიც. მაგრამ დღეს უდიდეს ინტერესს მხოლოდ გლობალური გადაწყვეტილებები როდი იწვევს. ერთიანი „მსოფლიო ამერიკულად“ არ გამოვიდა, სხვა მოთამაშეებს ასეთი მასშტაბური პრობლემები არ აქვთ, აქტუალური ხდება რეგიონალიზაციის საკითხი. აქ უკიდურესად გამოკვეთილია პეკინის საქციელი. გამოვიდნენ რა დოლარის დომინირების წინააღმდეგ, ჩინელები იმდენად ახალი გლობალური ვალუტის პროექტის წინსვლით კი დაკავებულან, რამდენადაც ცალკეულ ქვეყნებთან სავალუტო სვოპებზე შეთანხმების დადებაზე, რათა პარტნიორებმა ჩინურ საქონელზე ანგარიშსწორება უშუალოდ იუანებით შეძლონ.

გლობალური პროექტის დასრულება აიძულებს ყველა მოთამაშეს, გააცნობიეროს თავისი ადგილი მსოფლიოში, გაიაზროს თავისი იდენტურობა, დაკავდეს თავისი ინტერესების ახალი სფეროს მოწყობით. ყველანი იძულებულნი იქნებიან, ამაზე იფიქრონ — ამერიკელებიც, რომლებმაც უნდა გაარკვიონ, ჯერ კიდევ სად შეუძლიათ თავისი პოზიციისა თუ ადგილის შენარჩუნება და საიდან მოუწევთ სამუდამოდ წასვლა. მათ უნდა გადააფასონ თავიანთი მესიური შეხედულებანი მსოფლიოზე.

აშშ-ს შესუსტება, ჩინეთის გაძლიერება ამერიკას, რა თქმა უნდა, უბიძგებს „მონროს დოქტრინის“ დაბრუნებისკენ მოდერნიზირებული სახით. НАФТА კვლავ შეიძლება გახდეს შეერთებული შტატებისათვის პრიორიტეტი, როგორც ეს 1990-იანი წლების დასაწყისში იყო.

ჩინეთი, როგორც სამოქმედო მოედანი თანდათან მოუხერხებელი ხდება, ღირს დაფიქრება სათადარიგო ვარიანტებზეც (სახლთან ახლოს). მით უფრო, რომ ამას მოითხოვს ამერიკისკენ მიმართული ლათინოამერიკანიზაცია.

მსგავს ამოცანებს წყვეტს ჩინეთი, რომელსაც თავისი გავლენის სფეროების სასწრაფოდ მწკრივში დალაგება უწევს. ესაა სატრანსპორტო მარშრუტები, სამხედრო ბაზები, ნედლეულის წყაროები, ბაზრები. თუ რა საზღვრებში გაჩერდება ჩინეთი, ამაზე დღეს ფიქრი პეკინს მოუწევს.

ევროპაში ევროკავშირმა ჯერაც ვერ გაარკვია „ევროპის საზღვრები“, ვერც შიგაპოლიტიკური კონსოლიდაციით და ვერც გარეპოლიტიკური პრიორიტეტებით (ტრანსატლანტიკა? ხმელთაშუა ზღვა? რუსეთი?). მაგრამ კრიზისმა უდავოდ შეუწყო ხელი ევროპული პროცესების დინამიკას. საფრანგეთი და გერმანია ისეთ ერთსულოვნებას ავლენენ, როგორიც დიდი ხანია, არ ყოფილა. აღმოსავლეთ ევროპამ უცბად დაკარგა მთელი თავისი პროამერიკანიზმი (თვითონ საფრანგეთის მთავარმა „ამერიკელმა“ სარკოზიმ რაღაცნაირად მკვეთრად შეიცვალა ინტონაცია). კრიზისმა ევროპას კიდევ ერთი შანსი მისცა, მიელო თავისი სახე.

ასეთივე შანსი გაუჩნდა რუსეთსაც. ჩვენი ნაცია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა. საბჭოთა იდენტურობის დანგრევა ძალიან მკვეთრი აღმოჩნდა, ხოლო ახალი მყარი საერთო სახალხო ფასეული მატრიცა თხუთმეტი წლის განმავლობაში არა და არ გამოჩნდა. არადა ნაციად ჩამოყალიბების გზაზე რუსეთმა უკვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები გაიარა. 1998 წელს კრიზისიდან გამოსვლამ დააფიქსირა ახალი ეკონომიური წყობა, დაამტკიცა რა მისი ეფექტურობა.

ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვამ დაამსხვრია დასავლეთის მეგობრობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ილუზიები.

ჩინეთის მეორე ომმა აჩვენა ტრანსნაციონალური მტრის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობა. უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუცია“ და გაზის გათიშვა გახდა წყალგამყოფი თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებაში. რუსეთის ომმა საქართველოსთან ნათელი გახადა ახალი რუსეთის დათმობაზე წასვლის შესაძლებლობათა საზღვრები.

მაგრამ შინაგანი ერთიანობა, ნაცია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ჯერაც ვერ შედგა. ამ კუთხით რუსეთი რჩება სუსტ რგოლად წამყვან მსოფლიო ხელისუფალთა ჯაჭვში. ასეთი პოზიცია კი უკიდურესად სარისკოა.

სად მიდის ამ სისუსტის ფესვები? ჩვენი შეხედულებით, სისუსტე ნაციონალური კაპიტალის პოზიციაშია. თხუთმეტი წლის განმავლობაში რუსეთში კოლოსალური სოციალური ტრანსფორმაცია მოხდა. ამჟამად ადამიანთა დიდი ნაწილი ეკონომიკის საბაზრო სექტორში საქმიანობს, ჩვენთან პროფესიონალთა ფენა ჩამოყალიბდა, რომელიც დამოუკიდებლად ირჩენს თავს. ეს ფენა არის სწორედ ნაციის აქტიური ბირთვი. ოღონდაც ეს ფენა „ჰაერშია გამოკიდებული“. სავსებით შესაძლებელია, მისი დამსაქმებელი გახდეს სახელმწიფო კომპანია, უცხოეთის კომპანია ან კერძო რუსული კომპანია.

ეს განაწილება სწორი არ არის. ნაციონალური კაპიტალი უსიტყვოდ უნდა გახდეს ქვეყნის მეურნეობის საფუძველი. მაშინ უმრავლესობას გაუჩნდება მეპატრონის გრძნობა, ამასთან, პასუხისმგებლობაც. შემდეგ კი ახალ ფასეულობათა საყოველთაოდ აღიარებული სისტემაც გაჩნდება. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი შინაგანი პოლიტიკა დაეყრდნობა „ჩვენ“-ს, „ეს ჩვენი ინტერესებია“-ს, გეოპოლიტიკური ამბიციები ჩვენი გეოპოლიტიკური შესაძლებლობების ექვივალენტური გახდება.

# ინგლისში სატანიზმი ძლიერდება

**როდესაც ადამიანი უარს ამბობს ზნეობის ზოგადად მიღებულ ნორმებზე, იგი გადაიქცევა უზნეო არსებად. როდესაც საზოგადოება აღარ ცხოვრობს ღვთიური რწმენით, იწყებს ცხოვრებას ეშმაკის ბრძანებით. ყოფილი ქრისტიანული სახელმწიფო სატანისტური ხდება.**



დასავლეთ ევროპელთა რელიგიური ინდეფერენტიზმი და ათეიზმი აშკარა სატანიზმი ხდება. ამ მხრივ საკმაოდ დამახასიათებელია დღევანდელი დიდი ბრიტანეთი. **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქრისტიანობა აქ პრაქტიკულად გამოიდევნა სამეფოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. აიკრძალა საახალწლო ნაძვისხეები სამუშაო ადგილებსა და ქუჩებში ისევე, როგორც თავად სიტყვა შობა, რაც შეიცვალა ნეიტრალური „ზამთრის დღესასწაულით“. სპეციალურმა კანონმა ბრიტანელი ქრისტიანები აიძულა, იყვნენ „ტოლერანტული“ სექსუალურად გარყვნილების მიმართ.**

**სხვა სიტყვებით, „რაციონალურმა ბრიტანელებმა“, რომლებსაც უკვე აღარ სჭირდებოდათ „გარეგნული ყავარჯნები“, ქრისტიანობა ლამის იატაკქვეშ შეაგდეს, საიდანაც მას არ შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა სამეფოს ცხოვრებაზე.**

დასაწყისში ბრიტანეთის ქალაქებში გამოჩნდა ავტობუსები ამაზრზენი წარწერებით. ამჟამად ღვთის წინააღმდეგ მებრძოლმა ინგლისელებმა წამოიწყეს ახალი კამპანია — მათს ნათლობაზე უარის თქმა.

**ამას წინათ პირველად თავისი სურვილით ნათლობაზე უარი განაცხადა 58 წლის ლონდონელმა ჯონ ჰანტმა. ჰანტი, რომელიც მედძმად მუშაობს საავადმყოფოში, მიმართავს ინგლისის ეკლესიის ოფიციალურ პირებს მოთხოვნით, გააუქმონ მისი ნათლობა, ვინაიდან იგი მაშინ იყო ძალიან პატარა, რათა დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება ამ საქმეზე (ჰანტი მონათვლის დროს ხუთი თვისა იყო).**

საეკლესიო კანცელარიაში მას უთხრეს, რომ გამოექვეყნებინა განცხადება ამ ნათლობის შესახებ ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ჰანტი ასეც მოიქცა და მალე მას გაუჩნდნენ მიმდევრებიც. მეორე ეშმაკეულმა სატანისტმა, 66 წლის მაიკლ ევანსმა განაცხადა, რომ ჩვილოობის დროს მისი ნათლობა იყო „ძალადობა“ და პიროვნების უფლებათა დარღვევა. საჩივრის პასუხად ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლებმა მას ურჩიეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსთვის მიემართა.

**ბრიტანეთის უკვე 100 ათასი მცხოვრები განუდგა ქრისტიანობას, შეავსო „ნათლობაზე უარის თქმის სერტიფიკატი“ — დოკუმენტი, რომელიც, მათი აზრით, აუქმებს მონათვლის წესებს.**

ასეთი სერტიფიკატების გამოშვებისა და გასაღების ინიციატივა ეკუთვნის ეროვნულ სეკულარისტულ საზოგადოებას, რომელიც ადრე სპონსორობას უწევდა კამპანიას პლაკატებით „შეიძლება, ღმერთი არ არის“. შემთხვევები იმისა, რომ მოქალაქეები აღწევენ მათი ნათლობის ფორმალურ უარყოფას, ცნობილია ევროპის სხვა ქვეყნებშიც. 2002 წელს რაციონალისტებისა და აგნოსტიკების იტალიის კავშირმა სასამართლოს წესით მიაღწია, გაეფორმებინათ „ნათლობის მოხსნის უფლება“. ორგანიზაციის საიტზე შეიძლება მონახო ეკლესიის წევრობაზე უარის თქმის სპეციალური ფორმა.

**უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამპანიებს არაფერი საერთო არ აქვთ ათეიზმთან, ვინაიდან ათეისტისათვის რაღაც რიტუალს, რის შესახებაც მას არაფერი ახსოვს, არავითარი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. ღვთისადმი ურწმუნობა ჩვეულებრივად არ გამოიხატება აგრესიული ფორმით. უფრო მეტიც, ათეისტს შეუძლია თავისი ადგილი მიუჩინოს რელიგიას, როგორც გარკვეულ ზნეობრივ წეს-ჩვეულებათა დაცვას, როგორც კულტურულ ფენომენს, როგორც ეროვნული ისტორიის ნაწილს, ბოლოს და ბოლოს.**

ასეთ მოვლენებს ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თანამედროვე რუსეთშიც, სადაც ადამიანთა უდიდესი ნაწილი ურწმუნოა ან რელიგიურად ინდიფერენტული, მაგრამ ისინი სავსებით კეთილგანწყობილი არიან ტრადიციული კონფესიებისადმი.

აქ სხვა სიტუაციაცაა. ის ფაქტი, რომ სეკულარისტები მოითხოვენ ნათლობის გაუქმებას, მეტყველებს იმაზე, რომ ისინი სწორედ ასე აღიქვამენ საიდუმლოებას, რაც მათზე შეასრულეს და რასაც სავსებით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ათეიზმთან ან სეკულარიზმთან, არამედ რაღაც რელიგიურთან. თუ როგორთან, ძნელი გასაგები არაა. ესაა — ყველაზე ნამდვილი ეშმაკთთაყვანისცემა, სატანიზმი.

**„სეგოდნია რუ“**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკული ავიამზიდი რუსმა მფრინავებმა პირობითად ორჯერ დაბომბეს



**ამერიკელები თავიანთ ხომალდს „უვნებს“ უწოდებენ, თუმცა რუსეთის ავიაციას უკვე აქვს იდენტურ ხომალდებზე წარმატებული იერიშის გამოცდილება. 10 იანვარს აშშ-ში წყალში ჩაუშვეს უახლესი ავიამზიდი „ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში,“ რომელსაც ეს სახელი ქვეყნის 41-ე პრეზიდენტის (მეორე მსოფლიო ომის დროს ის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო მფრინავი იყო) პატივსაცემად ეწოდა. თუმცა ხომალდი ჯერ კიდევ დასამთავრებელია. ჯერჯერობით წყლის ზედაპირზე გადაადგილება მას მხოლოდ ბუქსირის მეშვეობით შეუძლია.**

6,2 მილიარდად ღირებული ხომალდის წყალში ჩაშვების საზეიმო ცერემონია ნორფოლკის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე გაიმართა. მასში თეთრი სახლის იმჟამინდელი მეპატრონე ჯორჯ ბუშ-უმცროსი, მამამისი, მათი მეუღლეები — ლორა და ბარბარა და სხვა ნათესავები მონაწილეობდნენ. ცერემონიას ესწრებოდნენ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი, სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, პენტაგონის შეფი რობერტ გეიტსი, ადმირალი მაიკლ მალენი და სხვა მაღალჩინოსნები.

**ავიამზიდი „ჯორჯ ბუში“ რიგით მეათე და „ნიმიცის“ კლასის ბოლო ხომალდად იქცა. მისი წყალწყვა 97 ათასი ტონაა. ეკიპაჟი გემისა, რომელიც ორი ბირთვული დანადგარით არის აღჭურვილი, 6 ათას კაცს შეადგენს. სავარაუდოდ, ხომალდი, რომელიც ატლანტის ფლოტის შემადგენლობაში შევიდა, 50-წლიან ექსპლუატაციას გაუძლებს. მასზე 90-მდე საბრძოლო თვითმფრინავი განთავსდება.**

„ნიმიცის“ ტიპის ავიამზიდები მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო გემებია: მათი სიგრძე 333 მ-ს, ასაფრენი გემბანის სიგანე 76,8-78,4 მ-ს, სიჩქარე კი საათში 30 კვანძს (დაახლოებით 56 კმ/სთ) შეადგენს. თითოეული ავიამზიდის შენახვა წელიწადში 160 მლნ დოლარამდე ჯდება.

ამერიკის სამხედრო სარდლობის მტკიცებით, „ნიმიცის“ ტიპის ავიამზიდების დაზიანება შეუძლებელია, ანუ ისინი სავსებით უვნებია, თუმცა რუსეთის ავიაციამ დაამტკიცა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, როცა პირობითად დააზიანა ანალოგიური ხომალდი ჯერ კიდევ მანამ, სანამ „ჯორჯ ბუში“ გემხარიხაზე იგებოდა (ამ ფაქტზე ამერიკელები დუმილს ამჯობინებენ). ინციდენტი იაპონიის ზღვაში ამერიკა-იაპონიის წვრთნებისას მოხდა: რუსული თვითმფრინავები შეუმჩნევლად მიფრინდნენ აშშ-ის ავიამზიდ „კიტი ჰოკთან“ და ყველა კუთხიდან ფოტოები გადაუღეს. ამერიკელებმა გემბანის ავიაციის დაძვრა ან სხვა დროული კონტრზომების მიღებაც ვერ მოასწრეს. სამხედრო ენაზე ამას „ავიამზიდის პირობითი განადგურება“ ეწოდება.

**ეს ყველაფერი კი ასე მოხდა: რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბის სადაზვერვო სამმართველოსთვის ცნობილი შეიქნა, რომ აშშ და იაპონია 2000 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ერთობლივი წვრთნების ჩატარებას გეგმავდნენ იაპონიის ზღვაში. წვრთნებში მონაწილეობა უნდა მიეღო იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამ ათეულ ხომალდსა და აშშ-ის მე-7 ფლოტს, ავიამზიდ „კიტი ჰოკით“ სათავეში. წყნაროკეანელებმა, შორეული აღმოსავლეთის არმიის სარდლობასთან ერთად, ავიამზიდის პირობითი განადგურების დეტალური გეგმა შეიმუშავეს. ამერიკელების მხრიდან კონტრმანევრის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა, რომ „კიტი ჰოკს“ მისი ტანკერებით საწვავის მომარაგებისას შეუტევდნენ ზღვაში.**

17 ოქტომბერს და 9 ნოემბერს რუსმა მფრინავებმა ორჯერ დაუბრკოლებლად განახორციელეს ავიამზიდის პირობითი დაბომბვა. ეს დაახლოებით ასე მოხდა:

თვითმფრინავ-მზვერავმა **„ილ-38“-მა** ავიამზიდიდან მნიშვნელოვან მანძილზე ბარაჟირება მოახდინა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების ყურადღება არ მიუპყრია. ამავე დროს, მისმა ეკიპაჟმა დააფიქსირა ამერიკული ხომალდის საწვავით მომარაგების მომენტი და შტაბს შეატყობინა. „კიტი ჰოკს“ მაქსიმალური სიჩქარით მიუახლოვდა ორი **„სუ-24 მპ“** ორი **„სუ-27“** გამანადგურებლის საფარველქვეშ. რუსული თვითმფრინავების გამოჩენისთანავე გემბანზე პანიკა ატყდა, რაც ფოტოაპარატურამაც დააფიქსირა. **ამერიკელმა მეზღვაურებმა მყისიერად გადაჭრეს შლანგები, რომელთა მეშვეობითაც ხომალდი საწვავით მარაგდებოდა, რათა თავიანთი ავიაციისთვის აფრენის საშუალება მიეცათ, მაგრამ დრო მაინც დაკარგეს. რუსი მფრინავების აზრით, რეალურ საბრძოლო ვითარებაში ეს ავიამზიდის დაღუპვას გამოიწვევდა. მფრინავები ალექსანდრე რენევი, მიხაილ არსიტარხოვი, იგორ რადჩენკო, ვლადიმირ ოსიპოვი ამ ოპერაციისთვის ორდენებით დააჯილდოვეს.**

**სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ შტაბში სხვა ისტორიასაც ჰყვებოდნენ, რომელიც ასევე ამსხვრევდა პროპაგანდისტულ მითს რუსული იარაღის „საცოდაობისა“ და ამერიკულის „ძლევამოსილების“ შესახებ.**

*1992 წლის ზაფხულში რუსული „სუ-27“-ის რგოლი, ამერიკის მხარესთან შეთანხმებით, დაეშვა ლენგლის ავიაბაზაზე, სადაც აშშ-ის საუკეთესო გამანადგურებლები — „ფ-15“-ები იმყოფება. გაცნობის შემდეგ რუსმა მფრინავებმა ამერიკელებს საწვრთნელი ბრძოლის გამართვა შესთავაზეს. ამერიკელები შეყოყმანდნენ, ეტყობა, დუელის გამართვა აეროდრომის თავზე ჟურნალისტების თვალწინ მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. თუმცა გამოწვევა მაინც მიიღეს იმ პირობით, რომ ბრძოლა ატლანტის ოკეანის თავზე, სანაპიროდან 200 კმ-ში, გაიმართებოდა. საწვრთნელი ბრძოლის სქემა მარტივი იყო.*

**თავდაპირველად „სუ-27“ კუდზე უნდა დასჯდომოდა „ფ-15“-ს, შემდეგ კი თვითმფრინავებს ადგილები უნდა გაეცვალათ. ამერიკული თვითმფრინავი მაშინვე სრული ფორსაჟით შეეცადა, დასხლტომოდა რუსულ გამანადგურებელს, მაგრამ ვერ მოახერხა — მინიმალური ფორსაჟით „სუ-27“ იოლად „მისწვდა“ ამერიკულ ხომალდს. გაცვალეს ადგილები. „სუ-27“-მა „ფ-15“-ის თავიდან მოსაცილებლად მაშინვე გადაუხვია, სიმაღლე აკრიბა, რამდენიმე მანევრი შეასრულა და ამერიკულ თვითმფრინავს კუდზე დააჯდა. „ფ-15“-ის პილოტმა რუსული გამანადგურებელი მხედველობის არედან დაკარგა და უმწეოდ ჰკითხა რადიოთი დამკვირვებელი თვითმფრინავის მფრინავს: სად არის „ფლენკერი“? (ნატოს კლასიფიკაციით, ეს „სუ-27“-ის კოდური სახელწოდებაა). „შენს უკან“, — იყო პასუხი.**

თუმცა დავუბრუნდეთ ავიამზიდ „კიტი ჰოკს.“ რატომ ჩაატარეს რუსებმა ეს ოპერაცია? ძალების მოსინჯვა საკუთარი თავის პატივისმცემელი ქვეყნის ნორმალური მისწრაფებაა მშვიდობიანობის პერიოდში. ამით შეგიძლია, შეაფასო შენი შესაძლებლობები, გამოავლინო სუსტი და ძლიერი მხარეები. ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ ნატოს საბრძოლო ძალებთან ამგვარი შეხებები რუსი სამხედროებისთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, თუმცა შემდეგმა რეფორმებმა ფლოტები — ბაზებში, ავიაცია კი აეროდრომებზე შერეკეს. ახლა რუსული შეიარაღებული ძალები გამოცოცხლდნენ და ცალკეული წარმატებული აქციით მსოფლიო პრესის ყურადღებაც მიიპყრეს.

**თუმცა, ჩვენს სამხედროებს რომ არ გამოემზეურებინათ ოპერაცია იაპონიის ზღვაში, მის შესახებ ვერავინ შეიტყობდა. ამერიკელებმა ხომ ლენგლის რაიონში გამართული საწვრთნელი ომის გამარჯვებულის ვინაობაც დამალეს. რატომ? ამერიკელებს ხელს არ აძლევთ, რომ ვინმემ იცოდეს, რომ „სუ-27“ ამ დროისათვის საუკეთესო გამანადგურებელია.**

## ირანი, როგორც იქნა, ელირსა რუსულ საზენიტო დანადგარებს, მაგრამ ჯერჯერობით — რაკეტების გარეშე

**რუსეთმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ დადო ირანთან ხელშეკრულება საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების „ს-300“-ის მიწოდებაზე, მაგრამ მათი შესატყვისი რაკეტები ჯერაც არ მიუწოდებია. ასეთი უცნაური განცხადება გააკეთა რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალური სამსახურის ანონიმურმა წარმომადგენელმა.**

კონტრაქტის შემდგომი შესრულება დამოკიდებული იქნება საერთაშორისო მდგომარეობასა და ქვეყნის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე. ამ ბუნდოვანი ფორმულირების უკან აშკარად პოლიტიკური ინტერესები იმალება. კონტრაქტის შესრულებაც პოლიტიკური მიზეზებით გადაიდო. თუმცა თეირანის წარმომადგენლები ღიად აცხადებდნენ, რომ ტექნიკის რუსული საოცრება დღე-დღეზე მათ შეიარაღებაში იქნება. ამჟამად სიტუაცია იმან გაართულა, რომ ჩინეთმა საგარეო ბაზარზე პირველად წარმოადგინა რუსეთის საზენიტო-სარაკეტო სისტემის ანალოგი. ეს, ცხადია, რუსეთს თავისი პროდუქტის გაყიდვას გაუძნელებს, ჩინური ხომ ყველაფერი უფრო იაფია.

— ჩინეთთან არ გვაქვს შეთანხმება საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, – ამბობს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ვადიმ კოზულინი, — მათ უკვე გადაიღეს ჩვენი „სუ-27“ და ბაზარზე გაიტანეს. ახლა მზად არიან, „ს-300“-ის ასლებიც გაყიდონ. ჩვენ კი ამას ვერაფერს ვუპირისპირებთ.

ინდოეთსა და ჩინეთში შეიარაღების ექსპორტის შემცირების ფონზე ირანის ბაზრის დაკარგვა დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა. კიდევ ერთი ასპექტიც არსებობს. მოსკოვის აღიარება ირანისათვის „ს-300“-ების მიწოდების შესახებ თავისებური სიგნალია ამერიკელებისათვის, რომლებსაც ჯერ საბოლოოდ არ უთქვამთ უარი ევროპაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგების გეგმაზე.



## პოლონურმა ფირმამ, პირველად ევროპაში, რუსული გაზისათვის რუბლის გადახდა დაიწყო

ამის შესახებ განაცხადა კომპანიის თავმჯდომარემ მარჩინ ბუშკოვსკიმ. მისი აზრით, ახალი სისტემა უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან პოლონური ზლოტის რყევა რუსულ რუბლთან შეფარდებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროსთან დამოკიდებულებაში. ერთი თვის განმავლობაში კომპანიას განზრახული აქვს, დაზოგოს დაახლოებით 10 პროცენტი.

## ევროპაში ძაღლების საკვებს ადამიანები ჭამენ




კრიზისის დროს მოთხოვნა ცხოველთა საკვებზე ძალიან გაიზარდა, — წერს რობერტ მაიერი შვეიცარიის ერთ-ერთ გაზეთში და თავის ეჭვს უზიარებს მკითხველებს: „საკვები, ცხადია, არა მხოლოდ ძაღლებისა და კატების თეფშებზე ჩნდება“. ეს სავსებით სავარაუდოა, ეთანხმება მას ელმარ ლიდერინი ერთ-ერთი საკონსალტინგო კამპანიიდან, რომელიც განმარტავს, რომ ბიუჯეტის შემცირების დროს ზოგიერთი ადამიანი იწყებს ცხოველთა საკვების მიღებას. ამას გარდა, ადამიანები ხშირად ეწვევიან ხოლმე ბაზრებს, სადაც იყიდება დაბალი ხარისხის პროდუქტები.

Tages anzieger

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე უაზრო „ფერად რევოლუციათა“ შორის




**კიშინიოვის არეულობის ორგანიზატორებმა თავიანთი ქმედებებით დიდი შეცდომა დაუშვეს, რადგან საერთაშორისო მეთვალყურეებს უკვე აღიარებული ჰქონდათ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არჩევნები დარღვევების გარეშე ჩატარდა. ეს გასაოცრად მოგვაგონებს არაპოლიტკორექტურულ ანეკდოტებს გასტარბაიტერების შესახებ. ამით ახალგაზრდა მოლდოველი დემოკრატების ფარული „კურატორები“ მეტად იდიოტურ მდგომარეობაში ჩააყენეს. როგორ მოვიქცეთ ახლა, როგორ მოვახერხოთ კიშინიოველი ხულიგნების პროპაგანდისტული მფარველობა?**



რასაკვირველია, „სიტყვის თავისუფლების“ ოსტატებისთვის შეუძლებელი არაფერია. ისინი ერაყშიც პოულობდნენ „უტყუარ“ ცნობებს ატომური ბომბის არსებობის თაობაზე, ავლენდნენ ნარკოტიკებით მოვაჭრე ალბანელ ბანდებსაც, რომლებიც ძირითადი მეწარმეობის გარდა ფულს აკეთებდნენ შეპყრობილი ადამიანებიდან ორგანოების ამოღებით, სერბეთის ტირანიისაგან ტანჯულებსაც, „გრადებით“ თამაშის მოყვარულ დამთხვეულებსაც, საკუთარი ჰალსტუხის მჭამელს კი ქართული დემოკრატიის ჩირაღდნადაც აცხადებდნენ. ოსტატობას, როგორც ცნობილია, ვერ მოსპობ ხელის ერთი მოსმით, მაგრამ ახლა რა უნდა ვაკეთოთ?

**საპარლამენტო არჩევნები შედარებით მშვიდად გაიმართა. მოლდოვის მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების თითქმის ნახევარი — 49 პროცენტი. სადეპუტატო ადგილების რაოდენობა მეტად მნიშვნელოვანია. მოლდოვის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ირჩევა პარლამენტში. შედეგად, კომუნისტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, ყოველგვარი კოალიციის გარეშე, აირჩიონ პრეზიდენტი.**

არჩევნებს თვალყურს ადევნებდა 5,5 ათასი ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებელი (დსთ-დან, ეუთოდან, ევროსაბჭოდან, წარმომადგენლები რუსეთიდან, უკრაინიდან, რუმინეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, აგრეთვე, ვენეციის კომისია) და ყველა კმაყოფილი დარჩა. 2009 წლის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს უკეთ, ვიდრე წარიმართა 2005 წელს. მოლდოვა განვითარდა და მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ისეთ ღირებულებებში, როგორიცაა პლურალიზმი და დემოკრატია.

**უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ თავად რესპუბლიკაში. დემონსტრაციები კიშინიოვში დაიწყო ჯერ კიდევ ორშაბათ საღამოს. ქალაქის ქუჩებში გამოვიდა დაახლოებით 10 ათასი კაცი, ძირითადად ახალგაზრდები, და მოითხოვეს ახალი არჩევნების მოწყობა. დაახლოებით ასე დაიწყო „ფერადი რევოლუციები“ უკრაინაში, საქართველოში, ყირგიზეთში.**

კარგად რომ იმიტინგეს, მანიფესტანტები არ დამშვიდდნენ და კვლავ განაგრძობდნენ გამოსვლებს, თანაც, თუ ტელერეპორტაჟებს დავუჯერებთ, მოქმედებდნენ სტანდარტული სცენარით, მაგრამ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ დაიწყებ დემოკრატიის დაცვას, ბრბო შეეცდება, გადააბრუნოს ორი სამარშრუტო ტაქსი და მოხსნას შტანგები ტროლეიბუსების ელექტროხაზებიდან. შემდეგ კი დაიწყეს პრეზიდენტის რეზიდენციის შტურმი. პოლიციელთა მეჩხერი რიგები იძულებული გახდა უკან დაეხია. შემდეგ შეამტვრიეს კარი, შეიჭრნენ რეზიდენციაში, გამოვიდნენ აივნებზე და ავიდნენ სახურავზე, სადაც აღმართეს რუმინული დროშა. უცხოური — რუმინული დროშის გამოყენება წარმოადგენს სწორედ კიშინიოვის მოვლენების თავისებურებას, ამის დრო ახლა ნამდვილად არ იყო.

**ნიშანდობლივია, რომ არეულობათა ლიდერებს შორის აღმოჩნდა რუსეთიდან გასახლებული, გარი კასპაროვის თანამებრძოლი პარტიიდან „სხვა რუსეთი“ ნატალია მორარი. თავის ბლოგში იგი დაწვრილებით ლაპარაკობდა იმის თაობაზე, თუ სხვადასხვა პოლიტტექნოლოგიების შესწავლის გამოყენებით როგორ აგროვებდა ბრბოს. „ჯობია იყო მკვდარი, ვიდრე — კომუნისტი! ჩვენ მოგვაქვს ცვლილებანი! — წერს ბლოგში მორარი, — სანთლის ანთების შემდეგ ჩვენ მთელი კოლონით დავიძარით პრეზიდენტის ადმინისტრაციისაკენ, იქიდან კი ეროვნული კრების მოედნისაკენ. რამდენიმე საათის განმავლობაში მოძრაობა მთავარ ქუჩაზე გადაკეტილი იყო“.**

დემოკრატიული ფემინის მშფოთვარე საქმიანობის საინტერესო დეტალებზე არის საუბარი სტატიაში „კიშინიოვში ფერადი რევოლუციაა“. მისი ავტორია ლატვიელი ჟურნალისტი ანატოლი ნეგოდინი: „ნატალია მორარმა განაცხადა, რომ უწესრიგობის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა შემდეგ, რომ მისი სიტყვები არ უარეყო კიშინიოვის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს მორიგე ექიმს იური ბაზილიუკს. „ეს სიცრუეა, — თქვა მან, — ვიღაც წინასწარ განზრახვით ავრცელებს ასეთ ჭორებს. არიან დაჭრილები, მაგრამ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“.

**ხუთიანი ეკუთვნის იმ პერსონაჟს, ვინც მორართან ერთად ატარებდა სემინარს თემაზე: „მასობრივი უწესრიგობების ორგანიზაცია“. ცნობა დაღუპულთა შესახებ საუკეთესო საშუალებაა, რომ „ააღელვო“ ბრბო. ეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდანაა ცნობილი.**

ალბათ, დასაწყისისათვის უწესრიგობათა ორგანიზატორებს უნდა შეეკითხო: „ვინ მოგცათ ნება, დაგეწყოთ, როდესაც ბრძანება „ფასი“ ჯერ არ გაჟღერებულა? რატომ აქცევთ თქვენ მფარველებს კლოუნებად? ჯობია იყო მკვდარი, ვიდრე ასეთი იდიოტი“.





# ექიმები გუანტანამოს წამებათა თანამონაწილენი არიან

**წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის გასაიდუმლოებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ წამებებში მონაწილეობას ღებულობდნენ მედიცინის მუშაკებიც. კერძოდ, ამის თაობაზე განაცხადა გუანტანამოს ციხის 14 პატიმარმა. ეს მონაცემები მოყვანილია წითელი ჯვრის მოხსენებაში, რომელიც შეიქმნა 2007 წელს, მაგრამ გასაიდუმლოებული იყო უკანასკნელ დღეებამდე.**

წითელი ჯვრის გასაიდუმლოებული მოხსენების შინაარსის შესახებ გაიგო ჟურნალისტმა მარკ ბენერმა, რომელმაც მიმდინარე წლის მარტში განაცხადა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკეთა თავისი დასკვნა იმ წამებათა შესახებ, რასაც დაზვერვის ცენტრალური სამმართველო (ცრუ) იყენებდა იმ პატიმრებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ „ალ-ქაიდას“ ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირში. დენერმა სკანდალური მოხსენება გამოაქვეყნა სრული სახით ამერიკის ერთ-ერთი ჟურნალის საიტზე.

წითელი ჯვრის გამოკვლევამ დაადგინა, რომ მედიცინის მუშაკები, რომლებიც ცრუ-სთვის მუშაობდნენ, თვალყურს ადევნებდნენ პატიმართა წამებას. მათ მოვალეობაში შედიოდა კონტროლი პატიმართა მდგომარეობაზე: გამომძიებლებს არ უნდა გადაეჭარბებინათ და არ უნდა დაეხოცათ ეჭვმიტანილები. კერძოდ, მედიცინის მუშაკები უკვირდებოდნენ წამებას წყლის გამოყენებით, როდესაც პატიმრებს ემუქრებოდნენ დახრჩობით, ცივ კამერებში ჩამწყვდევით, როდესაც მათ ხელებით ჰკიდებდნენ ჭერზე და სცემდნენ. მაგალითად, პატიმარი ვალიდ ბინ ატაში ჰყვებოდა, რომ ერთი ფეხის ამპუტაციის შემდეგ მას თავს ზევით შეუკრეს ხელები და აიძულებდნენ ცალ ფეხზე მდგარიყო დიდი ხნის განმავლობაში. ამ დროს მედიცინის მუშაკები აკონტროლებდნენ მის მდგომარეობას, ზომავდნენ სიმსივნეს ფეხზე და როცა იგი კრიტიკული ხდებოდა, დაჯდომის ნებას აძლევდნენ.

**მედიცინის მუშაკები სულაც არ ცდილობდნენ, დაეცვათ პატიმართა ჯანმრთელობა და სიცოცხლე. უფრო მეტიც, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ხშირად მედიცინის მუშაკები გამომძიებლებს აძლევდნენ ინსტრუქციას იმის შესახებ, „თუ როგორ უნდა შეიცვალოს წამება ეფექტიანობის ამაღლებისათვის“. ასეთი ქცევა წითელმა ჯვარმა მიიჩნია „სამედიცინო ეთიკის უხეშ დარღვევად“.**

წითელი ჯვრის გამოკვლევა დამთავრდა 2007 წელს, რომლის შედეგების გამოქვეყნებაც მოხდა მხოლოდ ამჟამად. ბუშის მემკვიდრემ ბარაკ ობამამ გასცა განკარგულება, დაიხუროს ცრუ-ს საზღვარგარეთული ციხეები და გუანტანამოს ბანაკი. მან გასცა ბრძანება, განსაკუთრებით ადევნონ თვალყური იმას, რომ მოკვლევის ყველა მეთოდი შეესაბამებოდეს ჟენევის კონვენციას.

**კომერსანტ ონლაინი**



# „შენ შეურაცხყოფა მიაყენე საკუთარ ოჯახს, მოიკალი თავი, გეთაყვა“

**ჟურნალისტი რამიტა ნავაი გვიამბობს ახალ საშინელ სოციალურ ფენომენზე თურქეთში — „ღირსების თვითმკვლელობაზე“.**

**ეგრეთ წოდებულმა „ღირსების თვითმკვლელობამ“ სარეკორდო მაჩვენებელს, წელიწადში დაახლოებით 200-ს, მიაღწია, რაც ყველა მკვლელობათა თითქმის ნახევარს შეადგენს.**

ახალგაზრდა ქალებს ხოცავენ მათივე ოჯახების წევრები იმ ქცევისთვის, რომლითაც შეურაცხყოფილი დარჩა ოჯახი; მაგალითად, უარი თქვა გაჰყოლოდა ცოლად შეთავაზებულ საქმროს, ზოგჯერ კიდევ უზრდელი ესემესებისთვისაც. 2005 წელს გამოიცა კანონი სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობის შესახებ „ღირსების მკვლელობისთვის“, ახლა ძალიან ხშირად მშობლები თავიანთი ქალიშვილებისგან ითხოვენ თვითმკვლელობას. მართლაც: სუიციდის შემთხვევების სტატისტიკა სწრაფად იზრდება.

**INDEPENDENT**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ავღანელი ვეტერანი ანგელა მერკელი

**ანგელა მერკელმა იმოგზაურა ავღანეთში ისე, რომ ამის შესახებ არ განუცხადებია წინასწარ. მან დაათვალიერა კუნდუზის პროვინციაში გერმანიის შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილი. ეტყობა, გერმანელმა სამხედრო პოლიტიკოსებმა გაითვალისწინეს საბჭოთა კონტინგენტის გამოცდილება და გაიხსენეს ლექსი: „თუ გსურს, იყო როგორც ტუზი, იმსახურე იქ — კუნდუზში, თუ გსურს, ტყვია ირგო ტანში — წადი იქ, ჯალალაბადში“.**



მართლაც, როგორც ტუზი, კუნდუზში გერმანელები ვერ ცხოვრობენ. შარშან სარაკეტო სროლების შედეგად ორი ჯარისკაცი დაიღუპა. როგორც ამბობენ, გერმანელებს აქვთ თავიანთი ანგარიშიც განადგურებული მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ. მაგალითად, 29 აგვისტოს მოხდა ტრაგიკული ინციდენტი ბუნდესვერის ერთ-ერთ ბლოკპოსტში კუნდუზის მახლობლად. გერმანელმა ჯარისკაცებმა გაუხსნეს ცეცხლი მსუბუქ ავტომანქანებს, რომელთა მძღოლებმაც არ შეასრულეს ბრძანება, რომ გაჩერებულიყვნენ. სროლის შედეგად დაიღუპნენ ერთი ქალი და ორი ბავშვი, ორი ბავშვი დაიჭრა.

**გერმანიის კანცლერმა მოგზაურობისას მის თანმხლებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვნელ ფრანც-იოზეფ იონგთან ერთად სარაკეტო სროლებამდე 20 წუთით ადრე დატოვა საველე ბანაკი. ორივე რაკეტა აფეთქდა ბანაკის გარეთ. როგორც ჩანს, ბოევიკებმა გამოიყენეს სარაკეტო ჭურვები, რისი გაშვებაც მათ დიდი ხანია ისწავლეს უმარტივესი მოწყობილობის მეშვეობით.**

ანგელა მერკელის მოგზაურობა ავღანეთში გასაიდუმლოებული იყო მისივე უსაფრთხოების მიზნით. „ჩვენ მის შესახებ შემთხვევით გავიგეთ გუშინ, შუადღისას,“ — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მაგრამ ეს ძალიან ჰგავდა იმას, რომ თალიბებმა უკვე იცოდნენ ის, რაც დიპლომატებისათვის საიდუმლოს წარმოადგენდა.

**გერმანიის ტელეარხების ცნობით, ვიზიტის წინა დღეებში გერმანიის სამხედრო პატრული ბანაკის გარეთ გადააწყდა ასაფეთქებელ მოწყობილობას. მსგავს ფაქტს დღის განმავლობაში ორჯერ ჰქონდა ადგილი. როგორც თალიბების წარმომადგენელმა საბიულა მუჯახიდმა განაცხადა, რაკეტები დასაჯდომად შემოსული თვითმფრინავისათვის იყო გათვალისწინებული, რომელშიც გერმანიის მთავრობის ხელმძღვანელი იმყოფებოდა.**

საიდან იცოდნენ თალიბებმა, რომ სწორედ ახლა უნდა გამოეჩინათ აქტიურობა? ვინ აცნობა მათ ამის თაობაზე კანცლერის ვიზიტის დღეს გერმანელების ბაზაზე?

**უნებლიედ გახსენდება საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების გასული წლის კავკასიური ესკაპადა, როცა ისინი სამხრეთ ოსეთის ბლოკპოსტში მიდიოდნენ და ოსი ბოევიკების თავშეკავების წყალობით გადარჩნენ. სხვათა შორის, გმირულად უნდა დაღუპულიყო ძვირფასი სტუმარი და არა „სასწაულებრივად“ გადარჩენილი სტუმართმოყვარე მასპინძელი, რომელიც თავზე უნდა დამხობოდა სულისშემძვრელი სიტყვით თავის დაღუპულ სტუმარს.**

ძნელია, როგორლაც დაიჯერო მნიშვნელოვანი პერსონების შედარებითი უშიშროების შემთხვევითობა. როგორლა გაიგეს თალიბებმა ანგელა მერკელის ვიზიტის შესახებ კუნდუზში?

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ამ დღეებში ნატოს ქვეყნებმა გადაწყვიტეს, ავღანეთში დამატებით გაგზავნონ ხუთი ათასი სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტი, რათა დაეხმარონ საპრეზიდენტო არჩევნების მოწყობას ამ ქვეყანაში და მხარი დაუჭირონ ბარაკ ობამას ახალ ავღანურ სტრატეგიას. ამ მისიის ფარგლებში გერმანია და ესპანეთი იქ გაგზავნიან 600-600 კაცს, დიდი ბრიტანეთი — 900. საფრანგეთი და იტალია ამაში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ ჯერ არ განუსაზღვრავთ თავიანთი წვლილი. უცხოური ჯარების რაოდენობა ავღანეთში ამჟამად 70 ათასს აჭარბებს. მათი უმეტესი ნაწილი ნატოს სარდლობის ქვეშაა. ამერიკის შეერთებული შტატები იქ დამატებით გაგზავნის 21 ათას სამხედრო მოსამსახურეს, და, შეიძლება, კიდევ დაახლოებით 10 ათასი დაამატოს.

**ეს საბჭოთა კავშირი იყო, რომ თავად აწარმოებდა ავღანეთის კამპანიას, არ ითხოვდა ვარშავის ხელშეკრულების მოკავშირეების მონაწილეობას. ანებივრებდა კრემლი თავის „უმცროს ძმებს“. ამერიკის შეერთებული შტატები ეს „არაა ბოროტების იმპერია“ და თავის „დამოუკიდებლებს“ არ აძლევს საშუალებას, ისხდნენ სახლში. თუ ბარაკ ობამას აქვს იდეა, რომ გემოზე იბრძოლოს ავღანეთში, მაშასადამე, ცეკვავს ყველა.**

ანგელა მერკელი ვიზიტის დროს აპირებდა, ავღანეთში გერმანელი ჯარისკაცების სამსახურის პირობები შეესწავლა. მან მიიღო სასურველი „წარმოდგენა“ სრული პროგრამით. უკვე აშკარაა შემდგომი სამხედრო ძალისხმევის აუცილებლობა თალიბებთან ბრძოლაში.

# საიდუმლო მიმოწერა გვიჩვენებს, რომ ბრიტანელები მოატყუეს



**გამოქვეყნდა ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომელთა გასაიდუმლოებული მიმოწერა, რომელიც თარიღდება 2002 წლის სექტემბრით. როგორც იტყობინებიან, უმნიშვნელოვანესი დოსიეს მომზადების დროს, ტონი ბლერის მთავრობის წევრები სპეციალურად ზრდიდნენ საფრთხეს, რომელიც მომდინარეობდა სადამ ჰუსეინისგან. დაზვერვაში ეს კარგად ესმოდათ.**

ჩინოვნიკების მთავარი არგუმენტი — შეერთებოდნენ ამერიკის კომპანიის გადაწყვეტილებას, იყო თეზისი, რომ სადამ ჰუსეინი 45 წუთის განმავლობაში შეძლებდა, მოეხდინა სარაკეტო დარტყმა მეზობელი ქვეყნებისათვის. დაახლოებით ორი კვირით ადრე 2002 წლის 24 სექტემბრამდე, როდესაც დოსიე წარედგინა საზოგადოებრიობას, დეზმონდ ბოუენმა, დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს თავდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თავისი ერთ-ერთი კოლეგისადმი გაგზავნილ წერილში გამოთქვა სერიოზული ეჭვი ასეთ საფრთხესთან დაკავშირებით. შემდეგ ამ წერილის ასლი შევიდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის აპარატში.

**დასაბეჭდად გამზადებული დოკუმენტის კრიტიკით გამოვიდნენ სხვა ოფიციალური პირებიც. როდესაც მოხსენების პროექტში წაიკითხეს, რომ ერაყში შეიკრიბა მეცნიერების გუნდი ატომური ბომბის შექმნისათვის, დაუსახელებელმა ჩინოვნიკმა გესლიანად**



**ჩაილაპარაკა: ჰუსეინმა, ალბათ, დაიქირავა „დოქტორი ფრანკენშტეინი“.**

საგარეო საქმეთა ჩრდილოვანი მინისტრის უილიამ ეგიუს აზრით, „ახლა, როდესაც ბრიტანეთის ჯარები სამშობლოში ბრუნდებიან, უკვე საბაბი აღარ გვაქვს, შორს გადავდოთ სრულმასშტაბიანი გამოკვლევები“, რომლებიც დაკავშირებულია ერაყთან. ღია გარჩევისაკენ მოუწოდა ლიბერალურ დემოკრატიული პარტიის პრესმდივანმაც ედ დეივიმაც.

INDEPENDENT

# ამერიკულ ენერგოსისტემაში კიბერჯაშუშები შეიჭრნენ

**კიბერჯაშუშები „ჩინეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან“ შეიჭრნენ ენერგომომარაგების ამერიკული სისტემის კომპიუტერებში და იქ თავისი პროგრამები დააყენეს, რომელთა დახმარებითაც პრინციპულად შეუძლიათ, დაარღვიონ ამ სისტემის მუშაობა, — იტყობინებიან ჩინოვნიკები ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებიდან.**

ალნიშნავენ, რომ ამერიკული ენერგოსისტემა შედგება სამი ცალკეული სეგმენტისაგან, რომელთაგან თითოეული აერთიანებს ათასობით მილ მავთულს, აგრეთვე, ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებს. ინტერნეტ-ტექნოლოგიების ელექტროქსელების მართვის სისტემაში ინტეგრირების შესაბამისად იზრდება მათი მგრძნობელობაც ჰაკერული შეტევების მიმართ.

**ვარაუდობენ, რომ ბოროტმოქმედთა მიზანი იყო არა პირდაპირი საბოტაჟი, არამედ დაზვერვა: მათ სურდათ, შეესწავლათ ამერიკის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა და მისი სათუთი ადგილები. სხვათა შორის, შემტევების განზრახვა ბოლომდე გაურკვეველია.**

შეჭრის მეთოდების დახვეწილობა, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების




აზრით, მოწმობს იმას, რომ „ძირითადი პასუხისმგებლობა“ ამ შეტევებისათვის აკისრიათ რუსეთს და ჩინეთს და არა ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებსაც ჯერჯერობით არ გააჩნიათ სათანადო ტექნოლოგია, თუმცა მონაცემთა გადაადგილების კვალდაკვალ გაყოლა ინტერნეტში მეტად რთულია. ამერიკელმა ექსპერტებმა შეძლეს გამოერკვიათ, რომ კვალს მივყავართ სწორედ დასახელებულ ქვეყნებამდე. შესაძლო კიბერშეტევებზე რუსეთისა და ჩინეთის ტერიტორიებიდან საუბრობდა კონგრესმენებისადმი მიმართვის დროს შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის დირექტორი დენის ბლერიც.

**სპეცსამსახურებში ეშინიათ, რომ ომის შემთხვევაში კიბერჯაშუშებს შეუძლიათ, ცადონ ინტერნეტის დახმარებით ბირთვული ობიექტების, საფინანსო დაწესებულებების, ელექტროსადგურებისა და თავად წყალსაცავების სისტემების მართვა. ინტერნეტშეტევები ამერიკულ ობიექტებზე გახშირდა, — აღიარა ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა.**

ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს პრესმდივანმა ევგენი ხორიშკომ თავისი ქვეყნის მონაწილეობას ელექტრონულ შპიონაჟში „წმინდა წყლის მონაგონი“ უწოდა.

**ანალოგიური უარყოფა შემოვიდა ჩინეთის საელჩოდანაც. ამ ქვეყნის წარმომადგენელმა გამოთქვა, აგრეთვე, მზადყოფნა ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან მომავალში მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.**

The Wall Street Journal

# ალმოსავლეთ ევროპას საშინელი სიღარიბე ელოდება

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კონფიდენციალურ წერილში მოუწოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებს, სასწრაფოდ თქვან უარი თავიანთ ეროვნულ ვალუტებზე ევროს სასარგებლოდ, რასაც ადასტურებს გამოცემა „ფაინენშელ ტაიმსი“.**



სსფ ვარაუდობს, რომ ახალ ქვეყნებს შეუძლიათ, შევიდნენ ევროს ზონაში არასრულფასოვანი წევრის სტატუსით და ადგილების გარეშე — ევროპის ცენტრალური ბანკის დირექტორთა საბჭოში. ევროს ზონაში შესვლის მიზანია, დახმარება კრიზისის პირობებში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მზარდი სავალუტო ვალი მალე დიდ პრობლემად გადაიქცევა იმის გათვალისწინებით, რომ იზრდება პოლიტიკური წინააღმდეგობა.

მაგრამ ამ კონფიდენციალურმა ინფორმაციამ უკვე დიდი სკანდალი გამოიწვია. ევროს ზონის წევრი ქვეყნები დიდად როდი არიან მზად, გაუხსნან კარები თავიანთ „ღარიბ ნათესავებს“ აღმოსავლეთიდან. კეთილსაიმედო გერმანიასა და საფრანგეთშიც კი ევროზე გადასვლამ გამოიწვია სოციალური უკმაყოფილება. ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია. რაღა უნდა მოხდეს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ბულგარეთი? იქ ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალია ევროპულ ზონებთან შედარებით.

**თუ ევროზე გადავლენ, ფასები პროდუქტებზე, ტანსაცმელსა და მომსახურებაზე მნიშვნელოვნად აიწევს. პრინციპულად სსფ მართალია: უზარმაზარი ვალები გაჩნდა სახელმწიფოების მიერ სწორედ ვალების შენარჩუნების გამო. ევროზე გადასვლა კი სახელმწიფოს გაათავისუფლებს პრობლემისაგან და ეს სიძნელეები მხრებზე დააწვება მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებს.**

სხვათა შორის, ასეთია სსფ-ს პოლიტიკა მთელ მსოფლიოში: გავიხსენოთ გაიდარის რეფორმები ამ ორგანიზაციის პატრონაჟით. სინამდვილეში ამ ორგანიზაციის პრაქტიკულად არცერთ პროექტს არ ჰქონდა წარმატება სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. სსფ-ს ყველა კრედიტორმა ქვეყანამ უნდა შეასრულოს სრულიად მხეცური პირობები, რასაც მივყავართ შემდგომ სიღარიბემდე და დაკაბალებამდე.

**სსფ ყოველთვის თანმიმდევრულად ახორციელებდა მონეტარულ თეორიას, რომლის თანახმადაც ეკონომიკა ახდენს თავისი თავის რეგულირებას. სახელმწიფოს მთავარი როლია — თამაშის წესების რეგულირება ბაზრებზე: საფინანსო, შრომისა და ა.შ. ამიტომ იყო, რომ ფინანსთა მინისტრი კუდრინი, თანმიმდევრული მონეტარისტი, დიდი სიამოვნებით არ გასცემდა ხოლმე ფულს წარმოების აღდგენაზე, სოციალურ პროგრამებსა და საბაზრო სისტემის სხვა „დატვირთვებზე“. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზეშემოსავლები ნავთობის გაყიდვისაგან იყო ბანკების ანგარიშებზე.** მონეტარული სისტემისათვის სოციალური ვალდებულებანი, სახელმწიფო ინვესტიციები, სახელმწიფოს მონაწილეობა, სახელმწიფო მონოპოლია — გადაიქცევა არასასურველ ზედნაშენად, ერთგვარ კუზად ლიბერალურ ბანკზე, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას.

**სსფ არათუ არ ეხმარებოდა სოციალურ პროგრამებს, არამედ ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მათ. კრედიტორებზე ზემოქმედების მექანიზმი სსფ-ს აქვს — ვალი იყოფა რამდენიმე ტრანშად, რომლებიც გაიცემა, თუ ქვეყანა ფონდის ყველა პირობას ასრულებს.**

უკონტროლო ბაზრის ლიბერალურმა თეორიამ უკვე მიგვიყვანა მსოფლიო საბირჟო მოედნების ქაოსთან, გლობალურ საფინანსო კრიზისთან იმ ქვეყნებში, რომლებიც დახმარებისთვის მიმართავდნენ სსფ-ს.

ამჟამად სსფ გამოვიდა ორიგინალური იდეით — სასწრაფოდ „შეტენოს“ ევროს ზონაში ევროპის ყველა დანარჩენი ქვეყანა, რომლებიც ჯერ არ არიან მოცული საერთო ვალუტით. თუ დიდ ბრიტანეთს, შვედეთსა და დანიას აქვთ საშუალება, თავის თავს მისცენ ასეთი უფლება, დანარჩენ ქვეყნებს (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, რუმინეთი) შანსი — კეთილსაიმედოდ შეუერთდნენ ევროზონას, პრაქტიკულად არ გააჩნიათ. ბულგარეთს, ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას ისედაც მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ, ვინაიდან მათი ეროვნული ვალუტები მიბმულია ევროზე. ევროზონაში სასწრაფო, მოუფიქრებელი შესვლა შეიძლება აღმოჩნდეს დამანგრეველი ეროვნული ბაზრებისათვის. უფრო მეტიც, ეს შესვლა ნავარაუდევია წინასწარი მომზადების გარეშე და ევროზონის ახალი წევრების შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად — მოახდინონ ზეგავლენა ევროპის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებაზე.

ევროზონის წევრი ქვეყნებიც ასევე არ არიან კმაყოფილი სსფ-ს ამ ინიციატივით. ცხადია, რომ ახალ, თუნდაც არასრულუფლებიან, წევრებს ამ ზონისა, შეუძლიათ გადატვირთონ ევრო. მაშინ წარმოიქმნება ახალი საფინანსო პოლიტიკის აუცილებლობა. ამჟამად ევრო ვერ გრძნობს თავს იმდენად მყარად, რომ მოახდინოს ბალანსირება ვიწრო ბაგირზე, რომელიც გააბეს სსფ-ს ექსპერტებმა. უფრო სავარაუდოა, რომ მოხდება ინფლაცია, დონორ ქვეყნებში სოციალური დატვირთვების შემცირება, მაშასადამე, მოხდება სოციალური აფეთქებანი უკვე სრულიად სხვა მასშტაბისა, ვიდრე ეს აქამდე იყო. გასაგებია, რომ ისეთი მოუმზადებელი ქვეყნების თავის კმაყოფაზე აყვანა, როგორებიცაა ლატვია ან უნგრეთი, არავის სურს. მით უმეტეს, თუ ასეთი მოქმედებანი საფრთხეს უქმნის საკუთარ პოლიტიკურ და ფინანსურ სტაბილურობას. თუმცა სტაბილურობაზე დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად.

**სსფ შექმნეს ამერიკელებმა ბრეტონ-ვუდის კონფერენციის დროს. მას ძირითადად მართავენ ამერიკელები. ევრო კი სულ ახლახან გახდა მეტად ძლიერი კონკურენტი დოლარისა საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე. ნუთუ სსფ-ს აჩქარებული კონფიდენციალური წინადადება — ეს მხოლოდ უბრალო დამთხვევაა?**

# „ჯენერალ მოტორსს“ გაკოტრება ემუქრება

**ამერიკის წამყვანი საავტომობილო მშენებლობის კომპანია „ჯენერალ მოტორსი“ მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, გადავიდეს გაკოტრების პროცედურაზე წარმოების რესტრუქტურიზაციის განხორციელების გზით სასამართლო ინსტანციების მეთვალყურეობის ქვეშ. როგორც „პრაიმ-ტასი“ იუწყება, ამის შესახებ არის საუბარი კომპანიის მიერ გავრცელებულ ცნობაში, რომელიც გაეგზავნა ამერიკის ფინანსთა სამინისტროს.**

დოკუმენტში ავტოგიგანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კრიზისის დაძლევა რესტრუქტურიზაციის გზით სასამართლოში მისვლის გარეშე. ასეთი გზა იძლევა დიდ შანსს მომხმარებლისა და ქვეყნისათვის, მაგრამ თუ სიტუაციის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება სხვა გზით, კომპანია მზადაა, განიხილოს სასამართლო ვარიანტიც.



**როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა ადრე აღნიშნავდა, გაკოტრების პროცედურა ნიშნავს მის სწორ ლიკვიდაციას. ასეთი გზა სინამდვილეში ერთი პროცენტით უფრო ეფექტიანია წარმოების მარტივ რესტრუქტურიზაციასთან შედარებით, მაგრამ გაკოტრების პროცედურას თან ახლავს ისეთი ნეგატიური შედეგები, როგორიცაა უზარმაზარი ხარჯები და შიშის გამძაფრების ატმოსფერო მომხმარებელთა შორის. ეს კი არ შეესაბამება პრინციპებს, რომლებიც ბარაკ ობამას ადმინისტრაციის აზრით უნდა დავიცვათ ამერიკის ავტომრეწველობის თავის სიმაღლეზე შენარჩუნების დროს. ეს პრინციპებია — სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი პერსპექტივით.**

კომპანიამ ადმინისტრაციის განსახილველად წარადგინა კრიზისიდან გამოსვლის თავისი გეგმა. იგი ითვალისწინებს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე მისი საწარმოებიდან გათავისუფლებულთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში შეადგენს 47 ათას მუშას, დაიხურება, აგრეთვე, ხუთი ქარხანა შეერთებულ შტატებში. ამერიკის მთავრობამ ეს „დაიწუნა“ და მოითხოვა სამოცი დღის განმავლობაში „უფრო აგრესიული გეგმის“ შემუშავება ხელისუფლების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**შარშან „ჯენერალ მოტორსის“ ზარალმა 30,9 მილიარდი დოლარი შეადგინა, მთლიანად სამი წლის განმავლობაში კი — 82 მილიარდი დოლარი; კომპანიამ ამერიკის მთავრობისაგან მიიღო კრედიტი 13,4 მილიარდი დოლარის ოდენობით, რათა შეენარჩუნებინა თავისი სიმაღლეები და დამატებით კიდევ 16,6 დოლარი მოითხოვა მიმდინარე წლისათვის.**

# რუსეთის ბიზნესმა საფინანსო კრიზისთან ადაპტირება მოახდინა

**რუსეთის ბიზნესმა საფინანსო კრიზისთან ადაპტირება მოახდინა, მაგრამ სირთულეები გაგრძელდება კიდევ სამი წელი. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა ბიზნესის წარმომადგენლებთან მართვის სკოლა „სკოლკოვოში“.**

„დღეს ყველამ მოახდინა ადაპტირება“, — აღნიშნა მან, — ზოგიერთისთვის ეს უფრო მძიმეა, ზოგისთვის — უფრო ნაკლებად, ზოგს კი გაუჩნდა ახალი შესაძლებლობანი. „ბიზნესმა მოახდინა ადაპტირება“. რუსეთისთვის პლუსია უფრო ხელსაყრელი პოზიცია ამ სტრუქტურულ გარდაქმნებში, ვიდრე ამერიკისა და ევროპისათვის. ჩვენ გადავიტანეთ დიდი შოკი, მაგრამ შეგვიძლია, უფრო ელასტიური რეაგირებაც მოვახდინოთ“.

**შუვალოვის აზრით, ეს შეიძლება, გაგრძელდეს რამდენიმე წელიწადი. ეს დრო ზოგიერთი სტრუქტურული გარდაქმნების საშუალებას იძლევა. ამ თემას შეეხნენ „ოცეულის“ შეხვედრაზეც.**



რუსეთისათვის პრინციპულია, უზრუნველყოს ყველა კრიზისამდელი გეგმის რეალიზაცია, უარი არ თქვას სტრატეგიულ პროგრამებზე. კრიზისს ართულებს მისი რეალიზაცია, თუმცა ამავე დროს იძლევა დამატებით შესაძლებლობებსაც, როგორიცაა, მაგალითად, სამუშაო ძალის დიდი გამოთავისუფლება, რაც სასარგებლოა მცირე ბიზნესისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. „პრეზიდენტიც და პრემიერიც, — გვახსენებს ი. შუვალოვი, — ყოველთვის მოითხოვენ, ვიმოქმედოთ სტრატეგიული გეგმის შესრულებისათვის. ჩვენ ამას ვაკეთებთ“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ჭეშმარიტი მიზეზები

## ნაწილი მესამე

**ახლა გადავიდეთ მთავარ თემაზე — რა ხდება დღევანდელ მსოფლიოში და რა მოხდება შემდეგ. ამჟამად მიმდინარეობს „კონტროლირებადი ჩამოშლის“ ეტაპი. უნდა გავიაზროთ, რომ ვირტუალური საფონდო ბაზრის შემქმნელთათვის საშიში არაფერი ხდება. ყველაფერი მიდის გეგმის მიხედვით. ამ „კონტროლირებადი ჩამოშლის“ ეტაპმაც, წესით, უზარმაზარი მოგება უნდა მოუტანოს ფსს-ს მფლობელებს და მათი პოზიციები მსოფლიოში კიდევ უფრო გაამყაროს. ჩამოშლის ეტაპი გარდაუვალია, რადგან ფიზიკის კანონები ჯერჯერობით ისევ მოქმედებს და ნებისმიერი ფინანსური პირამიდა დანგრევისთვის განწირულია. საუკუნეებს მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები უძლებს.**



ნგრევის პროცესი 2-3 წელიწადში თავისით დაიწყებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა უკონტროლო პროცესი და, შესაძლოა, პირამიდის შემქმნელთა ინტერესებისთვის ზიანიც მიეყენებინა. კონტროლირებადი ჩამოშლისთვის წლების მანძილზე აქტიური მზადება მიმდინარეობდა. **საქმე ისაა, რომ ამ ეტაპის მსვლელობისას შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი და რეალურად ყველაზე მომგებიანი საწარმოების მიზერულ ფასად შესყიდვა, ამისთვის კი აუცილებელია ყველა ფინანსური წყაროს უმკაცრესი კონტროლი და მათგან ყველაზე სახიფათოს გადაკეტვის შესაძლებლობა.**

ახლა ვნახოთ, როგორ მიმდინარეობდა ამ ყველაფრისთვის მზადება. 90-იანი წლების მეორე ნახევარში ფაქტობრივად გაუქმდა საბანკო საიდუმლო, რისთვისაც მოქმედების მთავარ საბაბად იქცა გადასახადების დამალვის წინააღმდეგ ბრძოლა. შვეიცარიის ბანკებში საბანკო საიდუმლო ყოველთვის დეკლარირდებოდა, ამის გამო გაჩნდა საფრთხე, რომ შეერთებული შტატების, კანადისა და სხვა ქვეყნების ბანკები ამ მიზეზით დაიხურებოდა. ამის თავიდან ასაცილებლად თითქმის ყველა სახელმწიფომ უარი თქვა საბანკო საიდუმლოზე.

მაგრამ ცოდნა, რომ რაღაც ფინანსები საიდანღაც მოდის და სადღაც მიდის, არაა საკმარისი. უნდა შეგეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, სიტუაციაზე ზეგავლენის მოხდენა. **შემდეგი ნაბიჯი იყო 2001 წლის 11 სექტემბერი. იმ დროს განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი საკითხი გადაწყვიტა, მაგრამ აქ გამოვყოფთ მხოლოდ ერთს — შემოღებულ იქნა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ კანონი.**

**რეალურად, ამ კანონის მიღების მიზეზი იყო მექანიზმის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემდა გარკვეულ პირებს, სასამართლოს გვერდის ავლით (!) ნებისმიერი ვადით დაებლოკათ ნებისმიერი რაოდენობის თანხა, თუ გაჩნდებოდა ეჭვი, რომ თითქოსდა ეს თანხა ტერორისტებისთვის იყო განკუთვნილი.** სასამართლო პროცესები ძალიან მოუხერხებელია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მართლაც ტერორისტების ფულია, თანაც სასამართლოების უზარმაზარი რაოდენობის კონტროლი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან რთულია. ასე შეიქმნა მოსალოდნელ „კონტროლირებადი ნგრევის“ პროცესზე ზემოქმედებისთვის აუცილებელი რეალური ინსტრუმენტი. ახლა კი სრული სვლით მიდის პროცესი პირობითი სახელწოდებით „კონტროლირებადი ჩამოშლა“.

საფონდო ბაზარი დაეცა, წარმოიქმნა უზარმაზარი პრობლემები მეტალურგიული, საავტომობილო, სამშენებლო, ქიმიური და სხვა კომპანიების პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება: საფონდო ბაზრები მომენტალურად განადგურდნენ (მაქსიმუმ 1-2 დღეში), თანაც ვარდნის ისეთი მოცულობით, რომ საწარმოებისა და ბანკების ლიკვიდურობაში სერიოზული, პრაქტიკულად სასიკვდილო „ნახვრეტები“ დატოვეს.

ბანკებისა და სხვა კომპანიებისთვის, რომლებიც კრედიტებზეა დაფუძნებული, აპოკალიფსისი დაიწყო.

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ მოდელში, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა, კრედიტების გარეშე ვერცერთი საწარმო, ვერცერთი ბანკი იმუშავებდა. მით უმეტეს, რომ დასავლეთში საკრედიტო რესურსები წარმოუდგენლად ხელმისაწვდომი იყო, ხოლო საპროცენტო შესატანი — ბიზნესისთვის თითქმის იდეალური. მაგრამ ნებისმიერი იდეალი წამში ქრება, როგორც კი საწარმოს ან ბანკს კრედიტის ვადამდე დაბრუნებას მოსთხოვენ. თანაც, მოთხოვნის მიზეზები „ობიექტურია“, საკრედიტო კონტრაქტის საფუძველზე — „კომპანიის კაპიტალიზაციის 10%-ით ვარდნა“. არადა, როგორც ვიცით, ყველა კომპანიის კაპიტალიზაციამ დაიკლო, ზოგან მეტად, ზოგან — ნაკლებად.

**ეს ყველაფერი ძალიან წააგავს 1929 წლის კრიზისის — „დიდი დეპრესიის“ დასაწყისს. მაშინაც, აქციების შესყიდვისთვის გაცემულ კრედიტზე კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მოვალისთვის კრედიტის 1 დღე-ღამეში დაბრუნება. ეს მოთხოვნა მაშინ ერთბაშად და მოულოდნელად იქნა წაყენებული, აქციონერები იძულებულნი გახდნენ, სასწრაფოდ გაეყიდათ აქციები, რამაც სააქციო ბაზრის მომენტალური ნგრევა გამოიწვია.**

თუ ეს სქემა 30-იან წლებში მშვენივრად მუშაობდა, რატომ არ უნდა იქნეს გამოყენებული იგივე სქემა დღეს, ოღონდ მცირედი მოდიფიკაციით?

დღის წესრიგში დგება ყველაზე საინტერესო და მომგებიანი კომპანიების მიზერულ ფასად შესყიდვის საკითხი. როგორც უნდა უჭირდეს ასეთი კომპანიების ბიზნესს, მისი მფლობელი აუცილებლად უარით გამოგისტუმრებთ. ის შეეცდება, გაუძლოს კრიზისს, თავიდან აიცილოს სასამართლო პროცესები კრედიტორებთან და ა.შ.

ფსს-ს მფლობელები ამ გზას, რა თქმა უნდა, არ მიჰყვებიან.

მთელი მათი ძლიერების მიუხედავად, არ ძალუძთ ათასობით სასამართლო პროცესის წარმართვა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თანაც, დროის ფაქტორი ამ საქმეში ძალიან დიდ როლს თამაშობს. მთელი ოპერაცია უნდა დამთავრდეს დროის მცირე მონაკვეთში, რადგან შესყიდვის ეტაპის შემდეგ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყება. მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

**ამ პრობლემას ძალზე იოლი გადაწყვეტა აქვს — საჭიროა, რომ სახელმწიფომ „ჩაძირული ოლიგარქების“, მათი ბანკებისა და კომპანიების გადარჩენა დაიწყოს. სახელმწიფო მათ შესთავაზებს კრედიტებს, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპანიების „გადასარჩენად“.**

ოლიგარქი რთული არჩევანის წინაშე დადგება:

— ან კომპანიის გაკოტრების პროცესი დაუყოვნებლივ დაიწყება, როცა არავინ გასცემს კრედიტებს, პროდუქციის გასაღება პრობლემაა, კომპანიის შენახვისთვის გაწეული ხარჯები, წარმოების შეჩერების შემთხვევაშიც კი, ძალიან დიდია და 2-3 თვეში მთლიანად „შეჭამს“ კომპანიას;

— ან აიღოს კრედიტი სახელმწიფოსგან და სცადოს გადარჩენა, მით უმეტეს, რომ „ანალიტიკოსები“ და „ექსპერტები“ ირწმუნებიან, რომ გაზაფხულზე სიტუაციის გამოსწორება დაიწყება, ყველაფერი ნორმაში ჩადგება და ოლიგარქი, რომელსაც უკვე ეჭვი ეპარება, რომ ოლიგარქია, ისევ ნამდვილი ოლიგარქი გახდება, ისე, როგორც ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისში იყო.

მართალია, კრედიტის აღების პირობები უმკაცრესია და ძალიან ჰგავს ბიზნესზე საკუთარი ნებით უარის თქმას მესამე პირის სასარგებლოდ, მაგრამ ყველა უკეთესის იმედით ცხოვრობს. ყველაფერი ცუდი სიზმარივით ჩაივლის და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ადრე: იოლი ფულები (კრედიტები), მზარდი ვირტუალური საფონდო ბაზარი, დოლარებით სავსე მსოფლიო და ჭარბი პროდუქციის მატება. კრედიტსაც ხომ საკუთარი სახელმწიფოსგან ვიღებთ, თანაც მეგობრულად განწყობილი, ჩვენი ძველი ნაცნობი კორუმპირებული ჩინოვნიკების დახმარებით. რამე რომ მოხდეს, ისინი კრედიტებს გაგვიხანგრძლივებენ იმდენი დროით, რამდენიც საჭიროა. ამ კრედიტს სხვა ბიზნესმენები რომ გვაძლევდნენ, გაცილებით სახიფათო იქნებოდა...

მთავარიც ეგაა, რომ როდესაც ყველა, ვინც საჭიროა, კრედიტს აიღებს და ხელს მოაწერს მათი დაბრუნების უმკაცრეს პირობებს, მაშინ საქმე მართლა ცუდად წავა. როცა კრედიტის დაბრუნების დრო მოვა, ოლიგარქს არ ექნება სახსრები მათ დასაბრუნებლად — აქციებზე ფასები კიდევ უფრო დაეცემა, ნავთობზე ფასებიც ბარელზე სულ ცოტა 20 დოლარით დაიკლებს, პროდუქციის გასაღების ბაზარი ნულოვანი იქნება. ასე მოხდება საკუთრების გლობალური გადანაწილება, რაც წარმოადგენს „კონტროლირებადი ნგრევის“ ეტაპის ძირითად მიზეზს. თავიდან, რა თქმა უნდა, ბიზნესი გადავა სახელმწიფოს ხელში (ჩინოვნიკები მოულოდნელად ოლიგარქების წინააღმდეგ განეწყობიან), შემდეგ კი იმათ ხელში გადაინაცვლებს, ვინც ეს ყველაფერი მოიფიქრა.

ახლა რაც შეეხება „მყარ“ დოლარს.

დოლარი მყარი იქნება მანამ, სანამ ოლიგარქებს და სხვა კომპანიების მფლობელებს დოლარებში ნომინირებული კრედიტები ექნებათ დასაბრუნებელი. „მყარი“ დოლარის დაბრუნება გაცილებით ძნელია, თანაც მისი საჭირო მოცულობით შესყიდვა „მსუბუქად დევალვირებული“ სხვა ვალუტებით თითქმის შეუძლებელი იქნება. **ეს უდიდესი, მომაკვდინებელი ვარდნაა, თანაც იმ პირობებში, როცა საწარმოთა უმრავლესობის შემოსავლიანობა შეადგენს 10-15%-ს, ხოლო ხელახალი კრედიტის აღება შეუძლებელია. ეს იძლევა გარანტიას, რომ სახელმწიფოსგან აღებულ კრედიტებს ოლიგარქები ველარ დააბრუნებენ.**

ამას გარდა, დოლარი „სიმყარეს“ შეინარჩუნებს მანამ, სანამ სწორედ დოლარებით არ გადაუხდიან იმ ბიზნესმენებს, ვისგანაც სახელმწიფო ბიზნესს პირდაპირი წესით ყიდულობს. ეს შეეხება ძირითადად წვრილ, მაგრამ შემოსავლიან და მოთხოვნად ბიზნესს. **მათ, როგორც წესი, სახელმწიფოს კრედიტი არ აქვთ. ამიტომაც როცა მათ უკიდურესად გაუჭირდებათ, როცა ისინი საკუთარი ბიზნესის სრულად დაკარგვის წინაშე დადგებიან, მაშინ მათ შესთავაზებენ სოლიდურ თანხას, თანაც „მყარ“ დოლარებში, ისინი, რა თქმა უნდა, სიხარულით დათანხმდებიან საკუთარი ბიზნესის გაყიდვას.**

ამ ორი ეტაპის განხორციელების შემდეგ დაიწყება ყველაზე საინტერესო და მართლაც სახიფათო ეტაპი.

**მოხდება ის, რაც გარდაუვალია — დოლარის დეფოლტი (გაუფასურება). ფსს-ს მიერ დოლარების კვლავწარმოება წარმოადგენს ძალზე ჭკვიანურს, გიგანტურს თავისი მოცულობით, მაგრამ მაინც პირამიდას. ამ პირამიდამ თავისი საქმე შეასრულა — შემქმნელებს საარაკო მოგება მოუტანა და მისი შენარჩუნება უკვე შეუძლებელია, უფრო სწორად, აზრიც აღარ აქვს. საჭიროა ფულის შოვნის ახალ სქემაზე გადასვლა.**

ახალ მსოფლიო სისტემაზე გადასვლა ძველ საერთაშორისო ვალუტაზე — დოლარზე — უარის თქმის გარეშე წარმოუდგენელია.

**მსოფლიოში არაა იმდენი საქონელი და რეალური აქტივები, რამდენიც დოლარია დაბეჭდილი. ბრუნვაში გაშვებული დოლარის მასა რამდენიმე ათეულჯერ მეტია, ვიდრე რეალური აქტივების ღირებულება.**

**არ არსებობს მოვლენების განვითარების არცერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ამერიკა უარს იტყვის დოლარის დეფოლტირებაზე.**

ამიტომაც დეფოლტი და დოლარზე უარის თქმა უახლოეს თვეებში მოხდება, როგორც უნდა გვიკიჟინონ „ექსპერტებმა“ და „ანალიტიკოსებმა“.

**მთავარია, როგორ მოხდება ეს, რადგან ეს ყველასთვის, მათ შორის, დოლარის პირამიდის შემქმნელთათვის, ძალიან სერიოზული და სახიფათო პროცესია. მრავალი დაფიქრდება, სად გაქრა მათი დანაზოგები და ვინაა ამაში დამნაშავე? ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს ერთადერთი და ყველაზე ძლიერი სვლა — დოლარის დეფოლტირება „დიდი სისხლისღვრის“ საშუალებით.**

შესაძლოა, ეს იყოს თავისი მასშტაბებით უდიდესი ტრაგედია, რომლის შედე-



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გადაც მსხვერპლთა (დაღუპულთა!) რიცხვი ასეულობით ათასი იქნება. ეს დარტყმა განხორციელდება ან ამერიკის, ან ისრაელის ტერიტორიაზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. **გამოყენებული იქნება ბირთვული იარაღი, რომელიც გამოიწვევს მასობრივ მსხვერპლსა და დიდი ტერიტორიების რადიოაქტიურ დაბინძურებას. 11 სექტემბრის ტერაქტი თავისი 3000 დაღუპულით არ გამოდგება, დეფოლტირებისთვის ძალიან მცირე მასშტაბისაა.**

ვინ და როგორ დაარტყამს?

**ფიქრობენ, რომ ამისთვის გამოიყენებენ პაკისტანის ბირთვულ იარაღს. შეგახსენებთ, რომ პაკისტანი ერთადერთი მუსლიმანური ქვეყანაა, რომელიც ფლობს ბირთვულ იარაღს. სწორედ ამისთვის გადააგდეს პრეზიდენტის პოსტიდან 2008 წელს ძლიერი ლიდერი მუშარაფი, მანამდე რამდენიმე თვით ადრე მოკლეს ბენაზირ ბჰუტო. ქვეყნის სათავეში მოიყვანეს ზარდარი — აწ განსვენებული ბჰუტოს ქმარი. ეს საჭირო კადრია, ერთი წლის წინ ფსიქიატრთან მკურნალობდა. კოლორიტული პიროვნებაა, ჯერ კიდევ ბჰუტოს პრემიერობისას ორჯერ მოახერხა ისეთ კორუფციულ სკანდალებში გახვევა, რომ მისი გადარჩენა მისმა პრემიერმა ცოლმაც ვერ შეძლო, ამ სკანდალების გამო ციხეშიც კი იჯდა.** იდეალური ხელმძღვანელია იმისთვის, რომ ბირთვული იარაღი ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს, რათა ამ იარაღის „მოპარვა“ ან „ყიდვა“ შეძლონ ირანელებმა და შემდეგ იგი ამერიკის ან ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენონ.

ზარდარი რამდენიმე თვის წინ სწორედ შეერთებულმა შტატებმა მოიყვანა პაკისტანის სათავეში. ახლა ამერიკელები ყველაფერს აკეთებენ, რომ პაკისტანში სერიოზული ანტიამერიკული განწყობა შექმნან. სწორედ ამიტომ ბომბავს შტატების ავიაცია ყოველკვირეულად ავღანეთის საზღვართან განლაგებულ პაკისტანურ სოფლებს, ვითომ თალიბების დევნის გამო. თითოეულ ასეთ დაბომბვას 20-დან 40-მდე ადამიანი ეწირება, ძირითადად, ქალები და ბავშვები.

**ამის დასტურია ახლახან გამოქვეყნებული პრეზიდენტ ბუში-უმცროსის მიერ 2008 წლის ივლისში გაცემული საიდუმლო ბრძანება, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეიარაღებულ ძალებს უფლება ეძლევათ, აწარმოონ სამხედრო ოპერაციები და ავიადარტყმები პაკისტანის ტერიტორიაზე, თუ ეს აუცილებელია ტერორისტ თალიბებთან საბრძოლველად. შეგახსენებთ, რომ ეს ბრძანება ბუშმა პაკისტანის ხელისუფლების თანხმობის გარეშე გასცა.**

რა თქმა უნდა, ამერიკაზე (ან ისრაელზე) თავდასხმის შემთხვევაში, დაიწყება სრულმასშტაბიანი ომი, რასაც კიდევ მილიონობით მსხვერპლი მოჰყვება. ამერიკაზე „თავდამსხმელები“ ხომ უნდა დაისაჯონ, ვინ იქნება ეს — პაკისტანი, ირანი, რომელსაც პაკისტანის იარაღი „აღმოაჩნდება“, ორივე სახელმწიფო ერთად თუ ბინ ლადენი, „მოპარული“ პაკისტანური იარაღით, მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ყველაფერს მოჰყვება ისეთი განვითარება, როცა აქტუალური გახდება შეკითხვა — შეიძლებოდა თუ არა დოლარის „გადარჩენა“? პასუხიც მზადაა — შეიძლებოდა, რომ არა „ეს წყეული ტერორისტები“, ან „მტრულად განწყობილი სახელმწიფოები“. გვეტყვიან, რომ დოლარის „გადასარჩენად“ ყველაფერს აკეთებდნენ — 700 მილიარდი დოლარი გამოყვეს საფონდო ბაზრის გადასარჩენად, ბაზარმაც, თითქოს, რეაგირება მოახდინა (დოუ-ჯონსის აქციები ბოლო რამდენიმე თვეა, 8100 - 9600 პუნქტებში მერყეობს), 20 სახელმწიფოს ეკონომიკური სამიტი მოიწვიეს და მსოფლიო ბანკის რეფორმირებაც გადაწყვიტეს, ფინანსური კრიზისის მთავარი მიზეზის — ხარბი ბანკირების მოთოკვაც სცადეს, და კიდევ ბევრი რამ გააკეთეს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შენობის (რომლის საძირკველიც დიდი ხანია დალპა და თვითონ შენობასაც ბზარები გაუჩნდა) ფასადის შეკეთებისა და შეღებვისათვის, მაგრამ ამ ტერორისტებმა არ აცალეს. ასეთ პირობებში ხომ შეკეთება-შეღებვა მთავარი საშუალებაა სისტემის გადასარჩენად.

**ერთი რამ უნდა გავიაზროთ — კაცობრიობას საქმე აქვს ხალხის გენიალურ, უბადლოდ ძლიერ ჯგუფთან, რომელმაც შექმნა მსოფლიოს სტრუქტურა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ამ ჯგუფის ამა თუ იმ მოქმედების შესაცნობად უნდა გავითვალისწინოთ, რა პროფესიის ხალხია ამ ჯგუფში. მხოლოდ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, ჩავწვდეთ მათ მოქმედებებს და მათი შემდეგი ნაბიჯებიც გამოვიცნოთ.**

თავისი პროფესიით, განათლებით, მსოფლმხედველობით ისინი ბუხჰალტრები არიან! „ბუხჰალტერი“ ბევრად უფრო ძლიერი განსაზღვრებაა, ვიდრე „ბანკირი“.

შეიძლება მხოლოდ ვილოცოთ, რომ ამ ხალხმა დოლარის დეფოლტისთვის სხვა, ნაკლებსისხლიანი გზა აირჩიოს, მაგრამ ბუხჰალტრის აღქმით აპარატში ძალიან სუსტადაა წარმოდგენილი ისეთი, ბუხჰალტრულ საქმეში უმნიშვნელო ცნებები, როგორიცაა: „ჰუმანიზმი“, „სიკეთე“, „თანაგრძნობა“ და ა.შ.

**მათთვის მთავარი ციფრები, მოგება და გარიგებათა არითმეტიკაა.**

www.arteksgroup.com

# სოროსმა უკრაინა დაასამარა



**ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი არ არის ორიგინალური თავის ეკონომიკურ პროგნოზებში და მან ამჯერადაც გადაწყვიტა „ამერიკის აღმოჩენა“. მას შემდეგ, რაც ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა, გამოეთქვა თავისი მოსაზრება უკრაინაში მოსალოდნელი ფინანსური კატასტროფის თაობაზე, მილიარდერმა საქმის ცოდნით განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა მეტად მძიმე მდგომარეობაშია და არ შეიძლება გამოვრიცხოთ მისი დეფოლტი უახლოეს დროში.**

გაყიდა ფინანსისტმა თავისი მოსწავლე, უკრაინის პრემიერი იულია ტიმოშენკო. იგი კი, სხვათა შორის, აშკარად აცხადებდა თავის დროზე, რომ უკრაინის მთავრობა მისი მზრუნველი ხელმძღვანელობით ცდილობს, განახორციელოს კანონებსა და დადგენილებებში ჯორჯ სოროსის რჩევები, რომლებიც ტიმოშენკომ მიიღო მასთან პირადი შეხვედრის დროს.

**„ყველა რჩევა, რაც მან მოგვცა, დღეს ხორციელდება კანონებსა და მთავრობის დადგენილებებში. ისინი საჯაროა და აისახება ყველა გადაწყვეტილებაში, რასაც დღეს ვიღებთ, რათა თავიდან ავიცილოთ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი“, — აღნიშნავდა 2008 წლის დეკემბერში იულია ტიმოშენკო.**

გამოდის, რომ არ ეხმარება ეშმაკი სოროსის რჩევები ქვეყანას. სხვათა შორის, ამის თაობაზე უკვე მწარე გამოცდილებით იციან პირველი სიდიდის პოლიტიკოსებმა. იულია ტიმოშენკო, როგორც ეტყობა, ყველაზე გვიან გამოფხიზლდება.

სიტუაცია უკრაინაში, შეიძლება, მართლაც კრიტიკული იყოს. ქვეყანაში სამრეწველო წარმოება 26 პროცენტით შემცირდა გასულ წელთან შედარებით. გასული წლის ზაფხულის შემდეგ გრივნა დოლართან მიმართებით გაუფასურდა 43 პროცენტით. მსოფლიო ანალიტიკოსების პროგნოზები კი სრულიად არადამამშვიდებელია. მიმდინარე წლის აგვისტოსათვის ამ მაჩვენებელმა შეიძლება 62 პროცენტს მიაღწიოს, მაშასადამე, ერთი დოლარი ეღირება 11 გრივნა. კურსთან დაკავშირებულ უფრო უარეს ვარიანტს ელოდებიან ექსპერტები, თუ დაიწყება უკრაინის ბანკებისა და კორპორაციების დეფოლტების შეტევა (გადასახადების გადახდაზე უარის თქმა). ამ შემთხვევაში მოსახლეობის პანიკის ფონზე გრივნა შეიძლება დაეცეს სამჯერაც კი. სარეიტინგო სააგენტოები აცხადებენ, რომ მზად არიან, განიხილონ უკრაინის საკრედიტო რეიტინგის შემცირების საკითხი.

**უკრაინაში ამჟამინდელ ეკონომიკურ სიტუაციას ადარებენ 2001 წლის არგენტინის ფინანსურ კრიზისს, როდესაც ქვეყანაში გამოცხადდა ეროვნული დეფოლტი. შედეგად მილიონობით უბრალო არგენტინელმა დაკარგა მთელი თავიანთი დანაზოგები, სამუშაოები და პრაქტიკულად უსახსროდ აღმოჩნდა.**

სამწუხაროდ, ეს შედარება შორს არ არის ჭეშმარიტებისგან, მაგრამ უკრაინელი ჩინოვნიკები სრულიადაც არ ითვალისწინებენ უკრაინელთა უმეტესობის ფინანსურ მდგომარეობას. მაგალითად, ტერნოპოლის მერია თავს იძვრენს, როგორც შეუძლია: სარეკლამო ფარებზე გამოკიდა ქალაქის იმ მცხოვრებთა გვარები, რომლებსაც დიდი ვალები ჰქონდათ კომუნალურ მომსახურებაში. სულ ქალაქში გამოჩნდა შვიდი ფარი — თითო ქალაქის თითოეულ რაიონზე.

**ფარებზე მითითებულია მხოლოდ იმ მოქალაქეთა გვარები, რომლებსაც აქვთ კომუნალური საწარმოების ვალი დაახლოებით სამი ათას გრივნაზე მეტი. ამას გარდა მითითებულია მათი მისამართები და ვალის ოდენობა. ფარებზე მოხვდა ასობით ურჩი გადამხდელის გვარი, რომლებზეც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. ფარები გამოკიდული იქნება გათბობის სეზონის ბოლომდე. ვალის გადახდის შემთხვევაში გადამხდელთა გვარებს სიიდან ამოშლიან. ეს აქცია უკრაინელებს, რასაკვირველია, ოპტიმიზმს არ მატებს ისევე, როგორც ჯორჯ სოროსის პროგნოზები.**

სხვათა შორის, ჯორჯ სოროსმა გადაუარა არა მხოლოდ უკრაინას — მან მიუთითა აგრეთვე იმაზეც, რომ „მთელი რიგი სერიოზული პრობლემებისა“ აქვთ ლატვიას, ლიტვას და ესტონეთს.

ჯორჯ სოროსის აზრით, ამერიკის ბანკების რეკაპიტალიზაცია დაიწყო არასწორად, რაც ძალიან წააგავს ექს-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ლაშქრობას. ამ დროს საბანკო სისტემაში ფულის ჩაქაჩვას წარმატება არ მოაქვს, ვინაიდან მიღებული სახსრები არ გამოიყენება შემდგომი დაკრედიტებისათვის.

**ასევე, აღნიშნავს ჯორჯ სოროსი, ამერიკული დოლარი, რომელიც ამჟამად განიცდის სერიოზულ ზემოქმედებას, ალბათ, დაკარგავს მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსს. ის ვარაუდობს, რომ გაისად ეს როლი შეიძლება შეასრულონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) საანგარიშგებო ფულადმა ერთეულებმა. „ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მსოფლიო საანგარიშო ერთეულზე გადასვლა, დოლარისაგან განსხვავებით, შეიძლება არ აღმოჩნდეს ჩვენთვის სასარგებლო“, — აღნიშნა ჯორჯ სოროსმა.**

მისი სიტყვებით, სისტემა, რომელიც ამერიკას აძლევს საშუალებას, ხარჯოს უფრო მეტი, ვიდრე გამოიმუშაოს, უნდა შეიცვალოს. „ახლოა მისი დასასრული და არ შეიძლება, დავუშვათ მისი რეციდივი. საჭიროა ცვლილებები“, — შენიშნა მილიარდერმა. ის, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ეკონომიკის აღდგენის ვადები დამოკიდებულია ამჟამინდელი კრიზისის სიღრმეზე, თუმცა იგი შეიძლება დაიწყოს უკვე 2010 წელს.

# რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტები



**მიმდინარე წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე 3,5 ათას კონტრაქტზე მეტი გააფორმა. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების უფროსმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვლადიმერ პოპოვკინმა განაცხადა.**

„სახელმწიფო შეკვეთის შესრულების ფარგლებში თავდაცვის სამინისტრომ 300 მლრდ რუბლის ღირებულების 3,5 ათას კონტრაქტზე მეტი გააფორმა, რაც სახელმწიფო შეკვეთის 70 პროცენტს შეადგენს, — თქვა პოპოვკინმა, — აპრილის ბოლოს საკონტრაქტო სამუშაოებს დავასრულებთ.“

„2009 წლის პირველი კვარტლის დასასრულს შეგვიძლია დავაზუსტოთ, საით მივემართებით, — აღნიშნა მან, — სტრატეგიული ბირთვული ძალების განვითარების საქმეში სასრულ ეტაპზეა „ტოპოლ-მ“-ის მორიგი სარაკეტო კომპლექსის სანედლეულო ნაწილის დამზადება.“ პოპოვკინის თქმით, გრძელდება სტრატეგიული დანიშნულების პერსპექტიული სარაკეტო კომპლექსების გამოცდა, ასევე მიმდინარეობს ახალი თაობის სტრატეგიული დანიშნულების ატომური წყალქვეშა სარაკეტო კრეისერის — „იური დოლგორუკის“ გემსაბმელის გამოცდა, სრულდება 7 რაკეტმზიდისა და 6 კოსმოსური აპარატის მშენებლობა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა ღირს ბინა მოსკოვში



**მოსკოვში ყველაზე ძვირადღირებული ბინის არენდა ხურგადას 34 ბინის საფასურის ტოლია...**

ყველაზე ფეშენებელური ბინების საიჯარო ფასი აპრილში 1,5 მლნ რუბლს აჭარბებდა თვეში, ხოლო წელიწადში 18 მლნ რუბლს უდრიდა. შედარებისათვის: ამ ფასად წითელი ზღვის სანაპიროზე, ტურისტულ ქალაქ ხურგადაში (ეგვიპტე) 34 ბინის შეძენა შეიძლება.

ექსპერტთა მონაცემებით, აპრილში რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში იჯარით გაიცემოდა სამი ბინა, რომელთა ფასი წელიწადში 18 მლნ რუბლი იყო.

„ერთი ბინა მოსკოვი-სიტის ცენტრში, ფედერაციის კოშკში მდებარეობს, 350 კვ მ საერთო ფართითა და მშვენიერი ხედით დედაქალაქზე. კიდევ ერთი ბინა (450 კვ მ) მდებარეობს პოვარის ქუჩაზე. ეს 8-ოთახიანი, სამდონიანი ბინაა ექსკლუზიური ინტერიერებით, რომლებშიც სხვადასხვა სტილია შერწყმული. მესამე, ექვსოთახიანი (300 კვმ) ბინა — პიატნიცკაიას ქუჩის რაიონში მდებარეობს,“ — აღნიშნავენ ანალიტიკოსები.

სააგენტოს სპეციალისტებმა დაიანგარიშეს, რისი შეძენა შეიძლებოდა ზემოთ დასახელებულ თანხად.

„იჯარის წლიურ საფასურად შესაძლებელია 13 (16 კვ მ) ოთახის შეძენა მოსკოვში, ან 11 ბინისა (35 კვ მ) — ბულგარეთში, მზიანი სანაპიროს რაიონში, ანდა 34 ბინისა (30 კვ მ) ხურგადაში, წითელი ზღვის სანაპიროზე,“ — აღნიშნეს ექსპერტებმა.

# აშშ საიდუმლო პროექტი ავიაკატასტროფაში მოყვა

**2009 წლის თებერვალში ამსტერდამში დაღუპულ ლაინერ „boeing-737“-ის ბორტზე გადაჰქონდათ კომპიუტერები, რომლებშიც ამერიკის ახალ სარადარო სისტემა „peace eagle“-ზე საიდუმლო ინფორმაცია ინახებოდა.**

კომპიუტერები კომპანია „boeing“-ის ოთხ თანამშრომელს მიჰქონდა, რომლებიც პენტაგონის შეკვეთით, თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის მფრინავი რადიოსალოკაციო სადგურის შექმნაზე მუშაობდნენ. ის თვითმფინავ „boeing-737“-ის ბაზაზე უნდა აიგოს და ეწოდება „დროული გაფრთხილებისა და კონტროლის მფრინავი სადგური.“

ლაინერის ჩამოვარდნიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჰააგაში, აშშ საელჩოში მიიღეს ინფორმაცია ბორტზე კომპიუტერებისა და საიდუმლო ინფორმაციის არსებობის შესახებ. საელჩოს თხოვნით, ეს კომპიუტერები იპოვეს და ამერიკის მხარეს გადასცეს. ნიდერლანდების პროკურატურის წარმომადგენელმა დაადასტურა კიდეც ეს ფაქტი.

შეგახსენებთ, რომ 25 თებერვალს დაღუპული ავიალაინერი კომპანია „თურქეთის ავიახაზებს“ ეკუთვნოდა. ავარიის დროს მის ბორტზე 128 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა. ავიაკატასტროფაში დაიღუპა 10 კაცი, მათ შორის, ოთხი სპეციალისტი პენტაგონიდან, 86 ადამიანი დაიჭრა. ჩამოვარდნის წინ თვითმფრინავი ძლიერ ტურბულენტურ ზონაში მოხვდა, რაც, შესაძლოა, მისი დაღუპვის მიზეზადაც იქცა.

# წყევლამ მაწყევარსაც

**სასამართლო არქივების თაროებზე შემოდებული მტვერშეპარული გაცრეცილი ფურცლები უამრავ შემზარავ ისტორიას გვიამბობს. ზოგის გამიზნულმა, ზოგის კი გაუფრთხილებლობით ჩადენილმა დანაშაულმა ძირფესვიანად შეცვალა მათი ცხოვრება. ამ ტრაგედიების გმირთა ნაწილმა მოინანია დანაშაული და დღეს თავისუფლების ჰაერით სუნთქავს, ნაწილი კი დღემდე იხდის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის. ჩვენ მოვერიდეთ პიროვნებათა იდენტიფიკაციას და მოქმედ პირთა შეცვლილი გვარ-სახელებით მოგითხრობთ მათი ისტორიების შესახებ. ისტორიას, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ, ასეთია: ნათესავის მიერ დაუფიქრებლად წამოსროლილმა ფრაზამ ძირფესვიანად შეცვალა 16 წლის ბიჭის ცხოვრება.**



2003 წლის სუსხიან დეკემბერში მომხდარმა ტრაგედიამ მთელი სოფელი შეძრა. მეზობლებმა ხუთი დღის შემდეგ საპირფარეშოში სასტიკად მოკლული ცოლ-ქმრის გვამი იპოვეს. მიზეზი ამ მკვლელობისა იმაზე უფრო შემზარავი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

**ადრეულ ბავშვობაში დაობლებულ გოგი ორბელაძეს მამის ძმა — ვალერი ორბელაძე საკუთარი შვილივით ზრდიდა. გოგის და მის ბიძაშვილს — ალექსანდრეს ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ. ცოლის შერთვის შემდეგ გოგი მამისეულ კერას დაუბრუნდა. ბიძაშვილებს არც მაშინ გაუწყვეტიათ ურთიერთობა. მითუმეტეს, რომ გოგისა და ალექსანდრეს სახლები გვერდიგვერდ იდგა. ალექსანდრე ხშირად სტუმრობდა ახალშექმნილ ოჯახს. მას ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მალე ალექსანდრემაც შეირთო ცოლი. ცხოვრება ჩვეულ რიტმში გრძელდებოდა.**

გოგისა და ალექსანდრეს ოჯახებს შორის ურთიერთობა ვალერი ორბელაძის სიკვდილის შემდეგ შეიცვალა. გარდაცვლილმა ბიძაშვილებს საზიაროდ მიწის ნაკვეთი დაუტოვა. ანდერძით უკმაყოფილო ალექსანდრეს ცოლი ქმარს მუდმივად ჩასჩიჩინებდა: შენ — შვილს, მეტი გეკუთვნის. საერთოდაც, მიწა შენ უნდა დაგრჩენოდა და არა ასე სახლაფორთოდ გაგხდომოდა საქმეო. ცოლის სიტყვები ალექსანდრეს ჭკუაში დაუჯდა. მამის საქციელზე ბრაზი მოსდიოდა.

ბიძაშვილებს შორის ურთიერთობა თანდათან დაიძაბა, რადგან, თავის მხრივ, არც გოგის ოჯახი თმობდა კანონით მიღებულ მიწას.

ალექსანდრესა და მის ცოლს შვილი არ უჩნდებოდათ. ამ დროს მათი გულის გასახეთქად გოგის ახლად წამოჩიტული ვაჟის — მალხაზის მხიარული კისკისი მათ ეზომდეც აღწევდა. — როგორ, ამათ შვილს უნდა დარჩეს მთელი ჩვენი ქონება? — ღვარძლიანად ამბობდა ირინა და ზიზღით აღსავსე მზერით უცქერდა ეზოში მოთამაშე პატარას.

**ზაფხულის ადრიანი დილა იდგა. ოთახში უხვად დაღვრილმა მზის სხივებმა მალხაზს ძილის საშუალება არ მისცა. ზარმაცად გაახილა თვალი. დღესაც მამას უნდა გაჰყოლოდა სათოხარში. არადა, ამ დროს ბიჭს სამუშაოს ნაცვლად გული სოფლის ბოლოსკენ მიუწევდა, სადაც გულის რჩეული — ნათია ეგულებოდა. ტკბილ ზმანებას თავი დააღწია და ჩაცმა დაიწყო.**

— წადი, ალექსანდრეს თოხი გამოართვი, — გამოსძახა მამამ მეორე ოთახიდან. ბიჭმა სახეზე ცივი წყალი შეისხა და ბიძის ეზოს მიაშურა. ალექსანდრე ჩხირკედელაობით იყო გართული. ირინა კი წინკარს გვიდა. მალხაზი დამხვდურთ მიესალმა და ბიძას მამის დანაბარები გადასცა. ალექსანდრე ადგილიდან წამოდგა და ეზოს ბოლოსკენ გაემართა. მარტოდ დარჩენილმა მალხაზმა ეზოს თვალი მოავლო და იქვე მოფუსფუსე ბიცოლას გადასძახა:

— კარგი იქნება, სახლის წინ ვენახს თუ გააშენებთ. ზაფხულში კარგი საჩრდილობელიც იქნება და კაცი ყურძნითაც გაისველებდა პირს...

ირინამ ალმაცერად გახედა მალხაზს და ღვარძლიანად უპასუხა:

— უკვე მიისაკუთრე აქაურობა? გეგმებიც დაგიწყვია. ვერ ეღირსები ამ დღის დადგომას...

ნათქვამით გაოგნებული ბიძის აღელვებულმა ხმამ გამოიყვანა ფიქრებიდან.

— გეყოფა, ქალო, არ დაადგა ამ შენს ენას საშველი!.. — გაბრაზებით ცოლს თოხი მოუქნია და მალხაზისკენ წავიდა. ბიჭი ხმისამოუღებლად გასცილდა ნათესავებს. მანამდეც გრძნობდა ირინას ცივ დამოკიდებულებას, თუმცა მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

— ეს რა თქვა, აქაურობა შენი გგონიაო?!. — თექვსმეტი წლის ყმაწვილი ვერ ხვდებოდა, რას გულისხმობდა ბიცოლა. ფიქრი მამის ხმამ შეაწყვეტინა.

— მალხაზ, დედა ცუდად არის! ექიმთან გამეგზავნე. ამის გაგონებამ ბიჭს თავზარი დასცა. დედის შეუძლოდ ყოფნამ წყენა გადაავიწყა. ექიმის მოსაყვანად ცენტრისკენ წავიდა.

ქალს სახეზე ფერი არ ედო. ექიმმა ინიექცია გაუკეთა და ოთახიდან გავიდა.

— თბილისში წაიყვანეთ და კარგ სპეციალისტს აჩვენეთ, — გაბზარული ხმით ეუბნებოდა გოგის ექიმი. მისი სიტყვები კარგად გაიგონა კართან მდგომმა მალხაზმაც. გულმა ბაგაბუგს უმატა. ნუთუ დედა ისე ცუდად არის, როგორც ამას ექიმი ამბობს?!.

**შემოდგომის დადგომისთანავე დედ-მამა თბილისს გაემგზავრა. მათ დაბრუნებას მალხაზი სულმოუთქმელად ელოდა.**

**დედა უკურნებელ სენს შეეპყრო. ამ ამბის გაგონებაზე ბიჭს სახე შეეცვალა. გაფითრებული დედა საწოლში უხმოდ იწვა. შვილის ხელს ცახცახით ეფერებოდა. თითქოს მისი დამშვიდება სურდა. გამოჯანმრთელების ნაცვლად ახლა მისი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე უნდა ეზრუნათ. იგრძნო, ცრემლებმა როგორ აუწვა თვალები. არ უნდოდა, დედას მისი სისუსტე შეემჩნია. ხელი გამოსტაცა და გარეთ გავიდა.**

მოქუფრული ცა თითქოს მის ფიქრებს თანაუგრძნობდა. შორს, სადღაც ერთი პატარა ვარსკვლავი კიაფობდა მის გულში ანთებული იმედის ნაპერწკლის მსგავსად.

დღე დღეს მისდევდა. დროდადრო თბილისში ექიმს სტუმრობდნენ. სხვა დროს კი სოფლის საქმეებით იყვნენ დაკავებულნი.

დედის ავადმყოფობით თავზარდაცემულ ბიჭს ხასიათი შეეცვალა. გაღიზიანებული დადიოდა. ამას ბიცოლას ზიზღიანი გამოხედვა და დროდადრო გესლიანი წამოძახილი, წყევლა-კრულვა ემატებოდა. თავიდან ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ბოლოს უკვე მოთმინებამ უღალატა და თვითონაც უხეშად პასუხობდა.

**ოქტომბრის ბოლოს გლეხები მოსავლის აღებით იყვნენ დაკავებულნი. ამ დროს სახლში მხოლოდ მოხუცები და პატარა ბალღები თუ რჩებოდნენ. დანარჩენები კი, ვისაც მკლავი ერჩოდა, ყველა ყანებს იყო მოდებული. ყანაში იყვნენ გასულები გოგიც და მალხაზიც.**

**შემოდგომის ალერსიანი ქარი ქროდა. შუადღემ მოატანა. მამა-შვილი დასასვენებლად მოლზე ჩამოჯდა.**

— კარგია ახლა ცივი წყალი. — ხელისგულით მოიწმინდა დანამული შუბლი გოგიმ.

— წავალ, მოვიტან. — მაშინვე წამოხტა მალხაზი.

— ბარემ სახლშიც შეიარე და დედაშენსაც დახედე, — დაადევნა სიტყვა უკვე წასულ შვილს, თავად კი იქვე წამოწვა თვალის მოსატყუებლად.

მოშრიალე ჭადრის ძირში უკვე ელოდა გულისსწორი. ხეს მიყრდნობილი ნათია ჩაფიქრებული გასცქეროდა შორეულ მთებს. ფრთხილი ნაბიჯების ხმა შემოესმა. შეშინებული სწრაფად შემობრუნდა და როცა მალხაზს მოჰკრა თვალი, ბაგე ღიმილმა გაუპო.

— აქამდე სად იყავი? — ლოდინით გადაღლილმა ჰკითხა გოგომ.

— მამაჩემს ვეხმარებოდი, — ჩაილაპარაკა ბიჭმა და მხრიდან სანადირო თოფი ჩამოიღო, რომელიც იქვე, ხესთან მიაყუდა. შეყვარებულებს საუბარი ქალის გამყინავმა ხმამ შეაწყვეტინა.

ნათიას სახლში ეძახდნენ. უკან დაბრუნებისას ტყიდან გამოვარდნილმა ღორმა გზა გადაუჭრა. ბევრი აღარ უფიქრია. თოფი ჩამოიხსნა და ღორს დაუმიზნა. სასხლეტს თითი გამოჰკრა. სიჩუმე გასროლის ხმამ გააპო. — მოვკალი ეს შობელძაღლი. ვისი ღორია, ნეტა... რა ვუყო ახლა ამას მე... აქ ხომ არ დავტოვებ, წავიღებ და გავყიდი.

**მეორე დღეს ხაშურის ბაზრობაზე სხვა ყასბების გვერდით მალხაზსაც მოჰკრავდით თვალს, რომელსაც წინა დღით მოკლული ღორი გასაყიდად გამოეტანა. ჩქარა გაყიდვის მიზნით შედარებით იაფი დააფასა ხორცი. შინ დაბრუნებული მთელი დღის განმავლობაში ბაზრობაზე დაღლილ-მოშიებული მაშინვე საჭმელს ეცა. ჭამაში გართულს მამის ხმა შემოესმა.**

— სად იყავი, ბიჭო, მთელი დღე გადაკარგული?

— ძმაკაცებთან ვიყავი მეზობელ სოფელში გადასული.

— მერე დაბარება არ უნდა? — უსაყვედურა მამამ...

მომდევნო სამმა დღემ ჩვეულ რიტმში ჩაიარა. დღის მიწურულს ჭიშკართან სოფლის ბოლოს მცხოვრებმა ვახო ჩაფიძემ დაიძახა. სახლში შემოპატიჟებულმა სტუმარმა თავშეკავებით დაიწყო საუბარი:



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შური



— გოგი, ნუ მიწყენ და, ცუდ ამბავზე ვარ შენთან მოსული. სამი დღის წინ ღორი დავკარგე. როგორც მითხრეს, ღორი შენს ბიჭს მოუკლავს...

ამის გაგონებაზე გვერდით ოთახიდან მალხაზი გამოვარდა:

— საიდან მოიტანე და ვინ გითხრა ეს სისულელე?

— გოგი, შენ მე კარგად მიცნობ და იცი, რომ ცილისმწამებელი კაცი არ ვარ. შენმა რძალმა — ირინამ მითხრა, — ღორის ჯაგარი ვნახე საპირფარეშოში ჩაყრილი, მეორე დილით კი მალხაზი ტომრით მიათრევდა რაღაცასო.

— მართალია, ბიჭო, ეს? — მკაცრად გახედა შვილს გოგიმ.

— არაფერიც არ არის მართალი, — არ ტყდებოდა მალხაზი, მაგრამ მისი უარყოფის მიუხედავად, ოჯახმა მაინც მთლიანად აუნაზღაურა ზარალი ვახო ჩაფიძეს. მათ შორის უთანხმოება უკვე ალარაფერში ყოფილა. ის ფაქტი კი, რომ ირინა ორბელაძემ აცნობა მეზობელს ღორის მოკვლის შესახებ, თავად ირინამაც დაადასტურა. მალხაზმა ჩათვალა, რომ ბიცოლამ ამით მასზე შური იძია, თუმცა ვერ მიმხვდარიყო, ისეთი რა გაუკეთა ბიცოლას, რომ საამისოდ გაიმეტა. ამ ამბის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

**2003 წლის 10 დეკემბერს გოგიმ მძიმე სენით დაავადებული მეუღლე თბილისში წაიყვანა. საბრალო ქალი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა. სახლის მისახედად კი შვილი დატოვეს. იმავე დღეს ალექსანდრემ ღორი დაკლა. ბიცოლამ სახლში მარტო დარჩენილ მალხაზს გადასძახა და ხორცი მიაწოდა. თან დამცინავად უთხრა:**

— ღორი არ გყავთ, ვერც ელირსებით. წაუღე დედაშენს, სიკვდილის წინ აჭამე... — ამ სიტყვებმა მალხაზი საშინლად გააბრაზა. ბიცოლას ხელი აუკრა და ხორცი გააგდებინა. სახლში გაგულისებული შევიდა. ფანჯრიდან ხედავდა ეზოში მოფუსფუსე ბიძასა და ბიცოლას. გადაწყვიტა, შური ეძია...

— დამაცადეთ, თუ ერთმანეთზე ღორებივით არ დაგაკლათ. დედაჩემის სიკვდილს ვერ მოესწრებით, — ბოლმით ჩაილაპარაკა მალხაზმა და საკუჭნაოში შევარდა რაიმე მძიმე საგნის მოსაძებნად, რითაც ჩანაფიქრს სისრულეში მოიყვანდა. მან ლითონის მოზრდილი, მძიმე მილი მოძებნა და გამთენიისას ბიძის ეზოში შეიპარა.



ზამთრის ცივი დილა თენდებოდა. ცას ჯერ კიდევ ნაცრისფერი გადაჰკრავდა. სიცივისგან მობუზული გათოშილ ხელებს იორთქლებდა და ცდილობდა, უხმაუროდ ემოძრავა. ალექსანდრეს სახლი ჩაბნელებული იყო. როგორც ჩანდა, მასპინძლებს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინათ. მალხაზი შეიპარა მათ საპირფარეშოში და მოთმინებით დაელოდა ცოლ-ქმრის გამოჩენას.

მამლის ყივილმა შეაკრთო მალხაზი. თენდებოდა. სამზარეულოში სინათლე აინთო. ცოტა ხანში კი სახლიდან ირინა გამოვიდა, რომელსაც ყავისფერი ლაბადა მოესხა. იგი საპირფარეშოსკენ გამოემართა. მალხაზმა ისე ძლიერ მოუჭირა მილს ხელები, რომ თითები გაუთეთრდა. სუნთქვაშეკრული ელოდა, როდის შემოაღებდა კარს ირინა. ქალიც მალე შემოვიდა. **მალხაზმა მას რამდენჯერმე მოუქნია იარაღი. ირინამ საშველად კივილი მორთო, მაგრამ თავში ძლიერი დარტყმის შედეგად უგონოდ ძირს დაეცა. ცოლის კივილი კარგად გაიგონა ალექსანდრემ. მან მძარცველებზე აიღო ეჭვი. მამისეულ ერთლულიან სანადირო თოფს ხელი დაავლო და მეუღლის მისაშველებლად გაიქცა. მალხაზმა დაინახა შინიდან გამოვარდნილი ბიძა და სახლის კედელს ამოეფარა. გაუსწორდა თუ არა ალექსანდრე, კეფაში უმოწყალოდ ჩასცხო მილი.**

**მოულოდნელი დარტყმისგან ალექსანდრე შებარბაცდა. თავი ვერ შეიკავა და გულაღმა დაეცა. თოფი მალხაზის ფეხებთან დავარდა. ბიჭმა დამცინავი მზერით აიღო იარაღი და ბიძას დაუმიზნა.**

**— არ მომკლა, — სიმწრით ამოილუღლუღა ალექსანდრემ. შურისძიებით შეპყრობილმა ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია და თოფი თავში დაუმიზნა. სიკვდილის მოლოდინში ალექსანდრემ თვალები დახუჭა... დილის სიჩუმე გასროლის ხმამ დაარღვია...**

**მალხაზი ერთხანს გაირინდა. მიმოიხედა. მიხვდა, რომ არავის არაფერი გაუგონია. კვლავ საპირფარეშოში შებრუნდა.**

**როცა დარწმუნდა, რომ ირინა აღარ სუნთქავდა, ბიჭმა გვამების დამალვა გადაწყვიტა. ტყავის ლაბადით ირინა ასწია. მაგრამ ლაბადამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და შუაზე გაიხა. სამოსი მიაგდო და გვამი საპირფარეშოში შეათრია. მერე სახლისკენ წავიდა და ალექსანდრეს გვამიც ზედვე დააგდო.**

**ირგვლივ მიმოიხედა. მკვლელობის იარაღსა და ბიძის თოფს ხელი წამოავლო და თავის ეზოში გადავიდა. სახლში მისულმა თოფიდან მასრა ამოიღო და კიბესთან მიაგდო. მილი ავტოფარეხში დამალა. მცირე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, თოფი მეზობლის მიტოვებულ სახლში დაემალა. თოფთან ერთად გადამალა 13 გასროლილი მასრა — მასზე ეჭვი რომ არავის მიეტანა. როცა ჩათვალა, რომ ყოველგვარი კვალი წაშალა, ტანისამოსი გამოიცვალა და პარკში ჩადო. გადაწყვიტა, ხაშურში დასთან წასულიყო და ტანსაცმელი იქ გაერეცხა. კარი გამოიხურა და ეზოში გამოვიდა.**

ცოლ-ქმრის სახლთან მეზობლის ქალი იდგა. მასპინძლებს ხმა რომ ვერ მიაწვდინა, სახლში შესვლა გადაწყვიტა. ის-ის იყო, ქალმა ჭიშკარი გამოაღო, მალხაზმა მიუსწრო:

— **სახლში არ არიან, დეიდა თამრო,** — ყრუდ ჩაილაპარაკა მალხაზმა და თვითონაც გაჩერდა.

— **ამ დილაადრიან სად უნდა წასულიყვნენ?** — გაუკვირდა ქალს.

— **ქალაქში წავიდნენ, რაღაც წაიღეს გასაყიდად...**

მალხაზი მხოლოდ მაშინ დაიძრა ადგილიდან, როცა ქალი კარგა მანძილით დაშორდა სახლს.

გზად ხიდი უნდა გაევლო, როცა თავში ერთმა აზრმა გაურბინა. დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე სისრულეში მოიყვანა. პარკიდან რეზინის ჩექმები ამოიღო, რომლებიც ამ დილით ეცვა და მტკვარში გადაუძახა.

დილაადრიან ძმის სტუმრობით გაკვირვებულ დას არაფერი უკითხავს. მალხაზს დედის, ოჯახის ამბები გამოჰკითხა. როცა შეიტყო, რომ მშობლები თბილისში იმყოფებოდნენ, მათ დაბრუნებამდე დარჩენა შესთავაზა. ბიჭი ასეც მოიქცა.

**2003 წლის 15 დეკემბერს ალექსანდრეს სახლში მისულმა ნათესავებმა ცოლ-ქმრის გვამები შემთხვევით აღმოაჩინეს. მათ მაშინვე შეატყობინეს ადგილობრივ პოლიციას მომხდარიც შესახებ. პოლიციამ იმ დღესვე დააკავა მალხაზი, რომელმაც მაშინვე აღიარა ჩადენილი დანაშაული და პოლიციას დამალული იარაღების ადგილსამყოფელიც აჩვენა.**

სასამართლო პროცესი 2004 წლის 24 ივნისს გაიმართა. მალხაზს 109-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით 13 წლით თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანთა კოლონიაში მოხდით მიუსაჯეს.

— **შენთან მნახველია,** — ამცნო ზედამხედველის პირქუშმა ხმამ.

არადა, გაუკვირდა. არავის ელოდა. ადრე ადვოკატი თუ აკითხავდა. თუმცა, განაჩენის გამოტანის შემდეგ თავი აღარ შეუწუხებია მასთან მისვლით.

მაშ, ვინ არის?!. ამ ფიქრებით შევიდა მალხაზი იმ ოთახში, სადაც, ჩვეულებისამებრ, პატიმრებს ოჯახის წევრები ელოდნენ. გულში სითბო ჩაეღვარა, როცა მის ქერა კულულებს მოჰკრა თვალი... ნათიას არ დავიწყებოდა იგი. ეს კი ბიჭს მომავლის რწმენას უნერგავდა.

ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ისევ მდუმარება ჩამოვარდა. შეყვარებულის სახეზე გაუბედაობა და ყოყმანი ამოიკითხა მალხაზმა.

**— დედაშენი გარდაიცვალა!.. — ნათიას სიტყვები სადღაც შორიდან ესმოდა... არ უნდოდა ამის დაჯერება, ან როგორ ერწმუნა, რომ ნათია იმ დედის სიკვდილს ატყობინებდა, რომლის შეურაცხყოფის გამოც ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.**

იგრძნო, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე ორი ობოლი ცრემლი. რამდენ ხანს დაჰყო ასეთ მდგომარეობაში, არ ახსოვს. როცა გონს მოვიდა, უხმოდ წამოდგა და კარისკენ წავიდა.

**გრძნობდა, როგორ მიაცილებდა კითხვითა და საყვედურით სავსე თვალები, მაგრამ ასე გადაწყვიტა — მისთვის ცხოვრების დანგრევას საკუთარ თავს არ აპატიებდა. ისიც საკმარისია, ცხოვრება რომ გაიუბედურა და ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.**

**კართან მისული შემობრუნდა და ისე, რომ ნათიასთვის არ შეუხედავს, კბილებში გამოსცრა: აქ აღარ მოხვიდე, არასოდეს!!!**

P.S. მალხაზ ორბელაძე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელს დღემდე იხდის.

**მაკა ქობალია**

# ხილის კომპიუტერი

**მეცნიერებას ოფიციალური მიმდინარეობების გარდა სხვა, შემეცნებითისაგან განსხვავებული, მიზნებიც აქვს. მათ შორისაა ე.წ „ავტოფარეხის ექსპერიმენტებიც", კულტურის თვალსაზრისით, უფრო საინტერესოა მოყვარული მეცნიერები, ვიდრე ისინი, ვინც მეცნიერულ ნო-ჰაუ პროექტებს ქმნის.**

ესპანელმა მედიაარტისტმა ალეხანდრო ტამაიომ თავისი სახლის ლაბორატორიაში ლიმონებსა და მანდარინებზე მომუშავე გასაოცარი კომპიუტერები შექმნა.

მეცნიერთა მტკიცებით, კრემნიუმის ელემენტებითა და ორგანული ქსოვილებით ნაგები ჰიბრიდული კომპიუტერები უახლოეს მომავალში გამოჩნდება. თუმცა, ტამაიოსთვის ეს მაინც შორეული პერსპექტივა აღმოჩნდა, რის გამოც დამოუკიდებლად სცადა მკვდარი წერტილიდან საქმის დაძვრა.

ტამაიო დიდი ხანია, მეცნიერებითაა დაკავებული. ბოლო წლებია, ის ხილის მჟავიანობასა და მის მიერ ძაბვის გამომუშავების უნარს შეისწავლის. აღმოჩნდა, რომ ციტრუსების მიერ გამომუშავებულ ელექტრულ ძაბვას სინათლის დიოდების კვება და მომცრო ხელსაწყოებისათვის ენერგიის წყაროს ფუნქციის შესრულება შეუძლია. სწორედ ეს უნარი გამოიყენა ალეხანდრომ კომპიუტერის შექმნაზე მუშაობისას. მხატვარი დაინტერესდა, რა მოხდებოდა, თუ ხილის ქიმიურ რეაქციებს გადამრთველად გამოიყენებდა. ხილის თითოეულ სახეობას თავისი მჟავატუტოვანი ბალანსი აქვს, ამიტომ მათგან შესაძლებელია ლოგიკური ვენტილების ანალოგის შექმნა. ამისათვის საჭიროა ორი თითქმის ერთგვაროვანი, მაგრამ არა ერთნაირი ph-ის მქონე ხილის შერჩევა, მაგალითად, ლიმონისა და მანდარინისა, ხოლო მათი წვენისგან შესაძლებელია მეხსიერების უჯრედების შექმნა, რომლებიც ინფორმაციის გარკვეულ მოცულობას ინახავს.

ლაბორატორიის პირობებში ალეხანდრომ 88 ბიტის მოცულობის მეხსიერება შექმნა, რაც საკმარისია 11-ასოიანი სიტყვის შესანახავად. ხილის კომპიუტერის მუშაობის სიზუსტისათვის საჭიროა იმ ხელსაწყოს სრულყოფა, რომელიც ph-ის დონის განსაზღვრაზეა პასუხისმგებელი წვენებისგან მიღებულ მეხსიერებაში. ჯერჯერობით ამ ნაკლოვანების გამო ძნელია მეხსიერების მონაცემებით ოპერირება, მაგრამ თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორიებში უფრო ხარისხიანი აღჭურვილობა არსებობს, ვიდრე ისინი, რომელსაც ტამაიო თავის სარდაფში იყენებს.

მხატვარი დარწმუნებულია, რომ მისი გამოგონება სასარგებლო იქნება ორგანული კომპიუტერების შექმნის საქმეში.

# სიცოცხლე სხვა პლანეტებზე



**სხვა პლანეტებზე სიცოცხლეს 2030 წლამდე აღმოაჩენენ, — ამ აზრისაა ცნობილი რუსი ასტროფიზიკოსი, ფიზიკის ინსტიტუტის ასტროკოსმოსური ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნიკოლაი კარდაშევი.**

„ვიმედოვნებ, რომ უახლოეს წლებში ასტრონომიაში დიდი მეცნიერული ძვრები მოხდება და 2030 წლამდე სხვა პლანეტებზე სიცოცხლესაც აღმოვაჩენთ, — თქვა მან და ღიმილით დასძინა, — ჰოდა, ვნახავთ, როგორ ცხოვრობენ იქ და რით სუნთქავენ. მჯერა, რომ მოაზროვნე არსებებს მივაგნებთ და მიკვირს, რომ ამაში ზოგიერთებს ეჭვი ეპარებათ." მან ასევე აღნიშნა, რომ ახლა სწორედაც დროულია სამყაროს აქამდე უცნობი ფუნდამენტური კანონზომიერებების აღმოჩენაც.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ორი განრისხებული ამომრჩეველი

**9 აპრილს მოწყობილმა ხალხმრავალმა მიტინგმა დაგვანახვა, რომ განრისხებულ ამომრჩეველთა რიცხვი კოლოსალურია. პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმულთა შეფასება ხალხის მხრიდან ბასრი და მძიმეა. რიგითი ადამიანების განსჯა ხშირად რეალობის ისეთ ხვეულებში გვახედებს, რაზეც საუბარი დელიკატურობის დარღვევად მიგვაჩნია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობა ყველაზე ობიექტურ მსაჯულს — ხალხს სანუგეშოს ვერაფერს ჰპირდება. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ხომ ქართველმა ერმა „მოტყუებული ხალხის“ რამდენიმე ეპოქალურ სულისძვრას მოუყარა თავი. ხალხმა გაიბრძოლა, თავგანწირვით წინ აღუდგა ახალ მოსალოდნელ სიყალბეს და ცდილობს, ყველაფერს საკადრისი განაჩენი გამოუტანოს. მოვუსმინოთ მათ.**


ნაზი სიხარულიძე


იზოლდა ბასილია

**ნაზი სიხარულიძე, ინჟინერ-ეკონომისტი, ჟურნალ „მედიატორის“ გამომცემელი**

**— ქალბატონო ნაზი, სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ მიშა სააკაშვილი ზარ-ზეიმით ავირჩიეთ, დღეს კი ვერც ერთი ჩვენგანი მის წინააღმდეგ პროტესტს ვერ ვმალავთ, რით ხსნით ამ ფაქტს და ნანობთ თუ არა?**

— მიზეზი თვითონ ჩვენშია, ხალხს არასწორად გვესმის ჩვენი ფუნქცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე, პირადად, სააკაშვილთან შეხება გაცილებით ადრე მქონდა, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა. **გარდაბნის „თბილსრესში“ ვმუშაობდი, რომლის 5% სააქციო საზოგადოებას, ანუ მასში დასაქმებულთ ეკუთვნოდა. პრივატიზაციის სამინისტრომ კი ამერიკელებზე ცნობილი მე-9 და მე-10 ბლოკები ისე გაყიდა, აქციის მფლობელებისთვის არაფერი უკითხავს. „თბილსრესიდან“ მცოდნე პროფესიონალები უბოდიშოდ გაათავისუფლეს და ქუჩაში გამოყარეს. მათ ნაცვლად კი ცოტა კომპიუტერისა და ცოტა ინგლისური ენის მცოდნე გამოუცდელი ახალგაზრდები დანიშნეს.** ამ უსამართლობამ გული მატკინა. ვაკეში ვცხოვრობ და მაშინ მიშა ჩვენი დეპუტატი იყო. განუწყვეტლივ მესმოდა ლაღადისი მის ღირსებებზე როგორც სამართლის მაძიებლისა და დემოკრატიული პრინციპების დამცველ უგანათლებულეს პიროვნებაზე, ამიტომ მივაკითხე. რამდენიმე დღე მის მისაღებში გავატარე, მაგრამ მასთან ვერაფრით შევაღწიე. **პროტესტი რომ გამოვთქვი, მისმა გარემოცვამ მიპასუხა: — იცით, რას ლაპარაკობთ, მიშა სააკაშვილი საქართველოს მომავალი პრეზიდენტიაო. ამას ამბობდნენ მისი პირადი მეგობრები.** მადლობა უფალს, რომელმაც ალღო და ადამიანის შეცნობის ნიჭი დამაყოლა. როცა მიშა პოლიტიკურ სარბიელზე ყალბი ღიმილითა და ხელების ნევროზული ქნევით უფრო და უფრო პოპულარული გახდა, მასზე დაკვირვებამ მიკარნახა, რომ მისი გაპრეზიდენტება ქვეყნის ბედზე არასასურველ გავლენას მოახდენდა. ეს არ დამიმალავს, მაგრამ მის მეხოტბეთა წრეში მარტო აღმოვჩნდი. **მიშას პიროვნულ ღირსებებს რომ თავი დავანებოთ, ისტორიული გარდატეხების ჟამს 35 წელს ძლივსმიღწეული ყმაწვილური ჭკუა არ კმარა ქვეყნის სამართავად.** პოლიტიკასა და ცხოვრებაშიც ასაკობრივ გამოცდილებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მსოფლიოს ქვეყნებში პრეზიდენტთა უმრავლესობა დაახლოებით 50-60 წლისაა, რადგან ხალხი პრეზიდენტისაგან ნდობისა და იმედების გამართლებას ელის და მისგან განსჯითა და ცოდნით სავსე ღვაწლს მოითხოვს. პრეზიდენტი ობიექტურად, საქმიანად უნდა მსჯელობდეს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ღირსება-ნაკლოვანებებზე, მძიმედ, ღრმა გააზრებით უნდა წყვეტდეს ქვეყნის სამომავლო გზებს და არა მამხილებელ ფოტოთა ფრიალით იწვევდეს ალტაცებას.

**მისი რეიტინგის დაცემა ტელედაჭერებით დაიწყო, მაამებელი და ყალბი რეპორტაჟებით. მისი გავლენის ქვეშ მყოფ სატელევიზიო არხებს თუ ჰგონიათ, ამით მიშას კარგ სამსახურს უწევდნენ, ძალიან ცდებიან. პრეზიდენტი თავის გამოსვლებს თავად არ სდებს პატივს.**

ტელეჟურნალისტების დაუმსახურებელი ხოტბადიდება ელექტორატის თვალში უკურეაქციას იწვევს. ამას მოჰყვა ხალხის დაშინების მცდელობა, რასაც ემსხვერპლა გირგვლიანი, ვაზაგაშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო: სპორტსმენების დასჯა, ინტელიგენციის გაუგონარი უგულებელყოფა, გურამ შარაძის მკვლელობა, ზურაბ ჟვანიას იდუმალებით მოცული გარდაცვალება... ეს ყველაფერი ჩვენი პრეზიდენტის ავადმყოფურ ტვინში იხარშებოდა. 7 ნოემბერს, როდესაც მშვიდობიანი მომიტინგეები დღეში ორჯერ დაარბია, მისი ქცევის განსჯა ქვეყნის ფარგლებს გასცდა. დემოკრატიული სამყარო გაოცებით კითხულობდა: ვინ არის? რას ებრძვის და რას ამკვიდრებს? ქართველებს მაშინ მონოლითური ერთიანობით უფლება აღარ უნდა მიგვეცა, სატანას ყელზე თავისი მარწუხები ისევ მოეჭირა. მას მორალური უფლება აღარ ჰქონდა, კენჭი ეყარა. ზუსტად ამ წაყრუების შედეგია ქართლის დაკარგვა-აწიოკება, ფიზიკური მსხვერპლი და მატერიალური გაჩანაგება.

მის ზერელე, გაუთვალისწინებელ, იმპულსურ დამოკიდებულებებს სერიოზული საკითხებისადმი იმდენი ვნება მოაქვს ქვეყნისათვის, თითოეული ჩვენგანისა და თვით თავისი გარემოცვისთვისაც (რომელნიც მძიმე დანაშაულებათა მორევში ისე ღრმად ჩაითრია, მერაბიშვილიდან დაწყებული დეპუტატამდე, ჯიბის ჟურნალისტებით დამთავრებული), რომ ჯურღმულიდან გამოსავალს ველარ პოულობენ.

**— რა შედეგს ელით 9 აპრილს დაწყებული აქციებით, რომლის მონაწილე თქვენც ხართ?**

— ეს აქციები ერის ისტორიული გამოცდის ახალი საფეხურია. მკაცრი, შეუპოვარი თანმიმდევრობა გვმართებს. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქცეს ერთჯერად პოლიტიკურ აქციად, ეს უნდა გახდეს ხალხის პოტენციის, საყოველთაო შემართების გამოხატულება. დიდი რუდუნება გვმართებს არა ერთი ხელისშემშლელი ბარიერის გადასალახავად. არ უნდა დავნებდეთ, რომ ეს ისტორიული მისია რაიმე ძალამ წაგვართვას, არ უნდა დავიღალოთ! საშიშია ჩვენს საზღვრებთან რუსების სამხედრო ძალების მობილიზება. **რაიმე პრეცედენტით თუ ომი დაიწყო, ეს მიშას პრეზიდენტობის ვადას გაუხანგრძლივებს. სააკაშვილისთანა პრეზიდენტი ჩვენი ღირსების შეურაცხმყოფელია. მივმართავ ე.წ. „მიშისტებს“, რომელთა გამოისობით საზოგადოება ვითომდა გაყოფილია. კეთილი ინებონ და ისევე წააბრძანონ თავიანთი რჩეული, როგორც მოიყვანეს.**

**იზოლდა ბასილია, ინჟინერ-ტექნოლოგი**

**— ქალბატონო იზოლდა, თქვენც იყავით სააკაშვილის ამომრჩეველი და გულწრფელად ფიქრობდით, რომ ახალგაზრდა, „ოკეანედალეული“ პრეზიდენტი იქნებოდა დემოკრატი მმართველი, ქვეყნის აღმშენებელი და გამაკეთილშობილებელი ძალა?**

— გულწრფელად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გიპასუხებთ, რომ მე იმ მცირერიცხოვანთა რიგებს ვეკუთვნოდი, ვისაც თავიდანვე არ სჯეროდა სააკაშვილის. ეს შეხედულება კეთილგონიერებას დამორჩილებული მოსაზრება უფრო იყო, ვიდრე ფაქტობრივი. მაშინ მთელი საქართველო ნათელაშვილს ლანძღავდა, მე კი შინაგანად მჯეროდა, რომ ბატონი შალვა მართალს ამბობდა. თუ ხმამაღლა სააკაშვილზე ეჭვს გამოვთქვამდი, ყველა საყვედურით შემომცქეროდა. ეს იყო დრო, როდესაც ხელებისა და დროშების ტყეში „მიშა“- „მიშას“ სკანდირების ფონზე ჩვენი ექსცენტრიკული პრეზიდენტი ტრიუმფალური გამარჯვებით, წარმატებით თავბრუდახვეული, ამერიკულ ლაბადამოსხმული ქართველებს ჯოჯოხეთის კარისკენ რომ მიუძღვებოდა. რას იზამ, შინაურ მღვდელს შენდობა არ ჰქონდა. ბრიყვი საკუთარ გამოცდილებაზე სწავლობს, ჩვენც ასე დაგვემართა. მაშინ ყველაფერი ემოციური იყო, თვითონ მიშაც, ხალხიც, პრობლემაც, აზრიც და ფორმაც. ველოდებოდი, რომ ეს განწყობა გაივლიდა და ახალი ცხოვრება დაიწყებოდა. დაიწყო... მაგრამ რა დაიწყო: ნგრევა, სამსახურებიდან ხალხის ქუჩაში გამოყრა, სიყალბის კასკადები, ცინიზმის ნიაღვრები, ქვეყნის გასხვისება-გაპარტახება, სტომაქს ჩამტირალი ჩინოვნიკური სირეგვენე. მაშინ ყველა წყალს იგუბებდა პირში, პრეზიდენტს წინდაუხედავად მისდევდნენ... დღეს კი ყველა მისი დამქაში ბარიკადებზე ოპოზიციონერებად გვევლინება. იმ დროს მარტო ერთი ყიოდა. ოპოზიციას კი უოპოზიციობა სჭირდა. პრობლემა ჩვენშია — ხალხშია. ავი და კარგი ვერ გავარჩიეთ, პიარტექნოლოგიებით მოგვატყუეს, გაგვაცურეს, თეთრი მელადან დაწყებული პრეზიდენტ ბუშის თამადობით. პრეზიდენტმა საქმედ სკამებისა და თანამდებობების შეცვლა-მონაცვლეობა გაიხადა და ტრიალებდა სამთავრობო კარუსელი უცხო მიეთმოეთებით. სიცრუით გაჟღენთილმა ეკრანებმა ბრეჟნევის პერიოდი გაგვახსენა. სააკაშვილი მანიაკალური აჩემებით სულ ვიღაცას ან რაღაცას თითის ქნევით ემუქრებოდა, მოჩვენებითი საშიშროებით გვაფორიაქებდა. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფანტანებისა და საბავშვო სკვერების გახსნა და ძეგლთა გადააადგილება იყო. ქვეყანაში ნაციონალური ეკონომიკის აღორძინება, ხალხის სოციალური მდგომარეობა არ ადარდებდა.

**აჩემებული ჰქონდა ნატოში შესვლა. თუ ვინმე ხმას აიმაღლებდა, ნატო ჯადოსნურ გამაჩუმებელ ძალად იქცა. მაგრამ ამით რუსეთის პრეტენზია ჩვენი საზღვრების მიმართ გააძლიერა. დღესაც მიდის რუსეთის ჯარების თავმოყრაზე ჩვენს საზღვრებთან აპელირება. მე ეს ჩვენი ხელისუფლების პიარი მგონია, განა იმიტომ, რომ რუსებს რამე დაეფიცებათ, არამედ იმიტომ, რომ მიშას გარე საშიშროებით სურს თავისი ხროვით ისევ ქვეყნის სათავეში დარჩეს.**

მსურს, ჩემს ხალხს ვუთხრა, გამოცდილებით ახლა მაინც მივხვდეთ, რომ უცხო ძალები საკუთარი ინტერესების დამცველ კანდიდატურას ამჟამად უფრო დიდი სიფრთხილით „შემოგვაპარებენ“, რომელსაც ენერგიული სიმტკიცით, ერთსულოვნებით საკადრისად უნდა დავხვდეთ. თორემ პრეზიდენტი სააკაშვილი, სისხლიანი დამნაშავე, რომელმაც დედაქალაქის ასფალტი მშვიდობიან მომიტინგეთა სისხლით მორწყა, ტერიტორიები დაგვაკარგვინა, დიდი ხანია, ხალხს ლეგიტიმურ ხელმძღვანელად აღარ მიაჩნია და ის უნდა წავიდეს!

**— როგორ აფასებთ დაწყებული აქციების მნიშვნელობას, როდემდე შენარჩუნდება ხალხში ზომიერების გრძნობა?**

**— პოლიტიკური დევნის მანქანა დღესაც მძლავრად მუშაობს. მიტინგზე თითოეულს ჯაჯუშის მზერა დასდევს. მომიტინგეთა შორის ბევრი პროვოკატორია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ბედავენ სერიოზული პროვოკაციის წამოწყებას.**

ცუდი ის არის, რომ სახალხო მოძრაობის წიაღში არსებობს არცთუ უსაფუძვლო უნდობლობის ფაქტორი. გუშინდელ მაღალჩინოსანთა თავგამოდებული ოპოზიციონერობა შემაწუხებელია და ხალხს ენთუზიაზმს აცლის. პირადად მე მათ კლასიკური მოღალატეებს ვუწოდებ. მიტევება უფლის ნებაა და არა კაცთა. **იგივე უფალი გვასწავლის — „სავლე პავლედ ვერ იქცევა“. ხალხს სწყურია, ფარდა ახადოს მათ დამღუპველ ქმედებებს. ისინი კი ტრიბუნაზე დგანან და იმოძღვრებიან. ეს ფაქტი რომ არა, დღევანდელი გამოსვლები უფრო მასშტაბური, შემტევი და გრანდიოზული იქნებოდა, რომელიც მართლა გაასწორებდა ამ ქვეყანას.** იქ ვდგავარ და ვხედავ, ხალხი არაფერს ივიწყებს და არც აპატიებს ბერძენიშვილებსა და სალომე ზურაბიშვილს ნაციონალური ხედვის წინააღმდეგ გალაშქრებას, ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ნოღაიდელის, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჩვენი სისხლის ფასად მოპოვებულ მილიონებს. არც ირაკლი ალასანიასი და მისი ალიანსის პროამერიკული ორიენტაცია ავიწყდება.

**თქვენ წარმოიდგინეთ, ლევან გაჩეჩილაძის სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსობასა და მის მიერ ჩამოსხმულ ღვინო „სააკაშვილსაც“ ხშირად იხსენებენ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, იქ შეკრებილი ხალხი ოპოზიციონერ ლიდერთა საეჭვო სახელების მხარდასაჭერად არ მოსულა (თუმცა, ასეთებიც არიან).**

ისინიც და ჩვენც ქვეყნისა და ერის გადასარჩენად ვდგავართ წვიმასა და სიცივეში საათობით ტუჩებმოკუმულნი, შუბლძარღვიანნი, ყველაზე გულშემატკივარი საზოგადოებისა იმ იმედით, რომ საბოლოო განაჩენი ჩვენ მიერ გამოტანილია — სააკაშვილი უნდა გადადგეს! დაიმახსოვრონ პრეზიდენტობის მაძიებლებმაც, რომ ქვეყნის ღალატი, ამოწყვეტა, ნგრევა და ხალხის ნების აბუჩად აგდება აღარავის ეპატიება. გამარჯვების გარანტი ჩვენს გამძლეობასა და ამტანიანობაში, ჩვენს აქტიურობაშია. მთავრობა თვალს ხუჭავს, როგორც სააკაშვილის ზეობის მზე უბადრუკი ციაგით. მას ოპოზიციის ლიდერებთან დიალოგი სურს. მინდა, ვუთხრა ირაკლი ალასანიას, კამერებს მიღმა დიალოგი პირად და ინტიმურ საკითხებზე მოაწყონ. ხალხი იმიტომ დგას, რომ პასუხს მოითხოვს საქვეყნო საქმეზე. **პრეზიდენტს თუ დიალოგი ნებავს, მონიტორი დაამონტაჟოს და ხალხს გასცეს პასუხი, ან ეს მხდალი, მშიშარა პრეზიდენტი მიტინგზე მოვიდეს და ხალხს უპასუხოს, მაგრამ გამოსაჩენი პირი არ აქვს, რადგან დღეს „მეფე შიშველია“, ამიტომ უნდა წავიდეს. ხალხმა კი ჭკუას უნდა უხმოს და მომავლის საქართველოს მესაჭეობა ისეთ პიროვნებას ჩააბაროს, ვისაც ენდობა და უჯერებს, ვისიც სწამს, ვინც მისი ტკივილის მოზიარეა, ვინც პოზიციიდან ოპოზიციაში და პირიქით არ დახტის, ვისაც ქვეყანა გულწრფელად უყვარს, თორემ დღევანდელზე უფრო მძიმე სინანულში ჩავვარდებით.**

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა განსხვავებაა შარონსა და სააკაშვილს შორის

**დღეს, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი სხვათა ეროვნული ინტერესების სამიზნეა, უფრო მეტად გვმართებს სამშობლოს ერთგულება და ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა. ქართველი ხალხის წინაშე უდიდესი ამოცანებია წამოჭრილი, რომელთა გადაწყვეტა სამომავლოდ ძალიან ბევრს განსაზღვრავს. ქართველთა წასვლა უცხოეთში მარტო წასულთა ბრალი რომ იყოს, მასობრივ ხასიათს არ მიიღებდა. ეს არის ქვეყანაში არსებული სიტუაციის, იმ სინამდვილისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შედეგი, რაც საქართველოში უკვე ათეულობით წელია, არსებობს. ამ ყველაფერს კი პასუხი ჩვენ — ხალხმა უნდა გავცეთ. უმძიმეს პერიოდში ქვეყანა არ უნდა მივატოვოთ, არ უნდა დავკარგოთ ღირსების გრძნობა, სიმართლის მაძიებლის დაუოკებელი წყურვილი, თორემ საბოლოოდ შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ ქვეყანას ჩვენი ბედოვლათობით დასაღუპავად გავწირავთ. ხვალ კი... ძალიან გვიან იქნება!**
**გვესაუბრება ემიგრაციაში წლობით ნამყოფი თბილისელი ქალბატონი ნუნუ კობახიძე.**



**— ქალბატონო ნუნუ, რამ გაიძულათ სამშობლოდან წასვლა და როდის მოხდა ეს?**

— ქვეყნიდან წასვლა ზვიადის მკვლელობისა და სამოქალაქო ომის შემდეგ გადავწყვიტე. იმ დროს უბრალო ადამიანები უსაშველო გასაჭირში ჩავცვივდით როგორც პოლიტიკური დაპირისპირების, ასევე სოციალური სიდუხჭირის შედეგად. ქვრივი ქალი ორი ვაჟით, რძლითა და ახალშეძენილი შვილიშვილით თითქმის მშიერი და დაუცველი აღმოვჩნდი. უიმედობა და სასოწარკვეთილება დამეუფლა. არსებობისთვის მიზერული პირობებიც აღარ გვქონდა. ჩემი ოჯახის ფიზიკური გადარჩენა ერთადერთი მიზეზია ჩემი უცხოეთში გამგზავრებისა. როგორც პროფესიონალ ქიმიკოსს, გარკვეული ურთიერთობა მქონდა ისრაელის მინერალური წყლების კომპანიის მფლობელი რუსი ებრაელების ოჯახთან. მათ დიდი დახმარება გამიწიეს, ვიზა გამომიგზავნეს და თელ-ავივში გავემგზავრე. ისეთი განწყობა მქონდა, რომ თითქოს ძალიან ძვირფასსა და სანატრელს ვასამარებდი. ჩავფრინდი და თვითმფრინავიდან დაჯავშნულ ავტობუსში გადავჯექი, რომელსაც იუდეას უდაბნოში უნდა გაევლო და წმინდა მიწაზე, იერუსალიმში ჩავეყვანე. დაჯავშნული იმიტომ, რომ ისრაელში ომია და ავტობუსებზე თავდასხმები ხშირია.

**— ქალბატონო ნუნუ, ვინ გაგიწიათ მასპინძლობა, სამუშაო მალე იშოვეთ, როგორ შეეგუეთ უცხო ქვეყანას?**

— ავტობუსი დაიძრა თუ არა, ცნობისმოყვარეობით ფანჯარაში ვიცქირებოდი, გამაოცა უდაბნოში შესანიშნავმა მწვანე ზოლებმა ტრასის გასწვრივ. შუა გზაში ავტობუსში ამოვიდნენ გრძელ შავ ლაბადასა და შავ ცილინდრებში გამოწყობილი კულულებიანი მამაკაცები. ერთმა მათგანმა რამდენჯერმე თვალით რაღაც მანიშნა. დაბნეულობისგან ვერაფერი გამეგო. ბოლოს, სალონის მგზავრებმა ამაყენეს და უკანა სკამზე მანდილოსნის გვერდით გადამსვეს. მოგვიანებით გავიგე, რომ ამოსული მამაკაცები მორწმუნე ებრაელები ყოფილან, რომელთა რწმენით, ქალი მამაკაცის გვერდით არ უნდა იჯდეს, როგორც ადამის ნეკნისგან შობილი. საერთოდ, ქალი, ადათის მიხედვით, ადგილს მამაკაცის ზურგს უკან იკავებს.

მივაღწიეთ ნერკაზეტს, ასე ჰქვია იერუსალიმის ცენტრალურ ავტოსადგურს. გორაკებზე შეფენილი ეს უძველესი, მილიონიანი „ქრისტიანობის აკვანი“ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს. იერუსალიმი მოფენილია ფეშენებელურ სასტუმროთა გიგანტური ქსელით, რომლებშიც მთელი მატერიკის წარმომადგენლები იმყოფებიან, რათა ერთხელ მაინც დაადგან ფეხი წმინდა მიწას, მოილოცონ და მაცხოვრის კვალს მიჰყვნენ. ძველი იერუსალიმი გალავანშია მოქცეული, გოჯი მიწა ოქროს ფასი ღირს. ყველაზე დიდი ტერიტორია სომხებს უჭირავთ, მერე — ბერძნებს, კოპტებს, არაბ მუსლიმანებს და სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის მიმდევრებს. ჩემს კეთილისმყოფელ რუს ებრაელთა დახმარებით დავბინავდი ებრაელ ექიმ ქალთან, რომლის ერთადერთი ვაჟი მორწმუნე ებრაელი იყო და დედასთან არ ცხოვრობდა. მათი ხელშეწყობითა და რეკომენდაციით სამსახური პატარა, კერძო ფარმაცევტულ საწარმოში ვიშოვე. იქ ადგილობრივ სპეციალისტებს კოსმეტიკურ საშუალებათა მომზადებაში უნდა მივხმარებოდი. საწარმო უმაღლეს დონეზე გახლდათ კომპაქტურად მოწყობილი, სადაც სტერილური სისუფთავე და საქმის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობა მეფობდა. ნედლეული მხოლოდ ნატურალური იყო. ამ საწარმოში ხარისხის კოეფიციენტი გამუდმებით იზრდებოდა. მძაფრი კონკურენციის ფონზე პროდუქციის გაუმჯობესებასა და დიზაინზე განუწყვეტელი ძიება მიმდინარეობდა. ვიცოდი, უქმად ჯდომაში ფულს არავინ მომცემდა. სამუშაო საკმაოდ შრომატევადი იყო: დროის მიმართ უშეღავათო მოთხოვნები, წუთით არ უნდა დაგეგვიანა. ოპერატიულობა, სიმარდე და საქმეზე კონცენტრირება აუცილებლობას წარმოადგენდა. მთელი დღე მარმარილოს იატაკზე ფეხზე ვიდექი და სინჯარებს, კოლბებს ვრეცხავდი და ვასტერილებდი, მილიგრამობით ვწონიდი ფხვნილებს. ერთი ნამცეციც ღირებული იყო და არ უნდა დამეკარგა, თან მარჯვედ და დროულად უნდა მემოქმედა. მათი მიზანი იყო, ყოველთვიურად საწარმო უფრო მომგებიანი გამხდარიყო. ზედმეტად ნამუშევარს სულ მისხალ-მისხალ, წუთობრივად მიანგარიშებდნენ. ანაზღაურება ნორმალური მქონდა, მაგრამ ადგილობრივებზე გაცილებით ნაკლები. ამბობენ, ასეთ სამუშაო პირობებში ადამიანები რობოტებს ემსგავსებიანო. ჩემი აზრით, ჯობს, ბოლომდე დაიხარჯო და იცხოვრო, ვიდრე დრო უქმად ხარჯო და იარსებო. ამ გასამრჯელოთი დიასახლისს თვეში 200 დოლარს ვუხდიდი, ჩემს დამშეულ ოჯახს სამყოფ ფულს ვუგზავნიდი, თანაც თვეში 1200 დოლარს ვზოგავდი. საღამოობით კი, იერუსალიმის ბაზარში, რომელიც სიიაფითაა განთქმული, სასურველ პროდუქტს ვიძენდი.

დასვენების დღე შაბათი მქონდა. ისრაელში ეს დღე არა მარტო უქმე, დღესასწაულიცაა. ყველა ისვენებს, ტრანსპორტი არ მუშაობს. მთელი ქალაქი ქუჩებსა და სკვერებშია გამოფენილი. კაფე-რესტორნები ხალხითაა სავსე. ერთია, შუქს არ ანთებენ. უზარმაზარ კორპუსებში მე-18 სართულზეც კი ლიფტის გარეშე, ფეხით ადიან. ეს დასვენება პარასკევის 4 საათიდან იწყება.

**— ქალბატონო ნუნუ, იერუსალიმში ბევრი ქართველია, გქონდათ მათთან კონტაქტები?**

— მე გამიმართლა, ჩემს თანამემამულეებთან შედარებით, უკეთეს პირობებში მოვხვდი. ჩასვლისთანავე ვეძებდი ქართველებს. ერთხელ ავტობუსში ქართული საუბარი გავიგონე და ჟრუანტელმა დამიარა. ქართველი ჩემი მეზობელი გამოდგა. მან წამიყვანა იერუსალიმის ცენტრში მდებარე წმინდა სამების სახელობის რუსულ ეკლესიაში, სადაც შაბათობით ქართველთა სათვისტომო იკრიბებოდა. აქ დამხვდა მთელი იერუსალიმის ქართველობა. ქალების უმეტესობა მდიდართა კვარტლებში შინამოსამსახურედ ან ძიძად მუშაობდა, მამაკაცები კი — მშენებლობაზე. ყველა არალეგალურად ვიყავით ჩასულები. ამ ეკლესიაშიც მალულად ვიკრიბებოდით.

ისრაელის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ემიგრანტთა სიმრავლით ქვეყნიდან დიდი თანხა გაედინება, თანაც იქ საომარი მდგომარეობაა და დეპორტაციის სამსახური თავგამოდებით მუშაობს უცხოელი მუშახელის განდევნისთვის. ტრანსპორტში გამუდმებული რეიდებია, იჭერენ უცხოელებს, აპატიმრებენ და საკუთარ ქვეყნებში აგზავნიან. მათი რწმენით, ქვეყნის მიტოვება გაჭირვებული დედის მიტოვების ტოლფასია. ამაში შეიძლება მართლაც არის ნაციონალური მარცვალი, ამაზე ხშირად მიფიქრია...

მე მქონდა ისრაელის მოქალაქის ყალბი პასპორტი, მაგრამ მეშინოდა და ვფრთხილობდი. ერთ-ერთი რეიდის დროს ლამის ჩავვარდი. პასპორტების წარდგენისას ჩანთაში იმდენ ხანს ვიქექებოდი, რომ ყურადღება სხვა ფაქტმა მიიპყრო, გადავრჩი. ერთხელ ჩემ თვალწინ ბაზართან პალესტინელმა კამიკაძემ ხალხით გაჭედილი ავტობუსი ააფეთქა. სახტად დამტოვა შემსწრეთა რეაქციამ — მათ მიაჩნიათ, რომ ისინი მშობლიური მიწისთვის დაიღუპნენ და ეს ასეც უნდა იყოს. ამის შემდეგ ვცდილობდი, ხალხით სავსე ავტობუსში აღარ ავსულიყავი და ფეხით მევლო. ერთხელ გზა ამებნა და ძველი იერუსალიმის არაბების უბანში მოვხვდი. არაბი ბავშვებით გარშემორტყმულმა რუსულად ვიკითხე, თუ საით წავსულიყავი. ისინი დუმილით შემომცქეროდნენ. უცებ თვალი მოვკარი ებრაელთა ავტობუსს, რომელიც არაბების უბანს წრეს უვლიდა, მაგრამ არ აჩერებდა. ყვირილითა და ხელების ქნევით მისკენ გავიქეცი. გამიჩერეს, ამიყვანეს, დამამშვიდეს.

ებრაელთა პოლიტიკა ასეთია: ბრძოლებით პალესტინელების დასახლებაში სოლივით შეიჭრებიან, შტურმით დაიკავებენ ტერიტორიას და ელვის სისწრაფით ააშენებენ კორპუსებს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით. აქ შეასახლებენ მორწმუნე ებრაელთა ოჯახებს, რომელთაც, სულ მცირე, 10-12 ბავშვი ჰყავთ. თითო სადარბაზოში 100-მდე ბავშვია. მორწმუნე ქალებს თავი გადაპარსული აქვთ და პარიკს ატარებენ. 25 წლის ასაკში უკვე 5-7 ბავშვის დედები არიან. ტელევიზია ასეთ დასახლებაში არ მუშაობს. იქ მხოლოდ საბავშვო ბაღები, სამლოცველოები და სასულიერო სასწავლებლებია. არავინ მუშაობს, მხოლოდ ლოცულობენ და ცხოვრობენ საკმაოდ მაღალ დონეზე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. ებრაელები ამბობენ: **ხაიფა მუშაობს, თელ-ავივი ერთობა, იერუსალიმი ლოცულობს — ეს ისრაელია.**

ოლიმპიური სიმშვიდის ებრაელები და პალესტინელები, რომელთაც ომის არ ეშინიათ, ერთხელ ერთნაირად აფორიაქებულნი ვნახე. ყველა ერთად თუ ცალ-ცალკე მაუწყებდა შელეგის დაწყებას. ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცოდი და რაღაც საშინელება მეგონა. თურმე მეტეოროლოგიურ ცენტრს თოვლის მოსვლა გამოუცხადებია. მართლაც გადმოფიფქა. მთელი იერუსალიმი ცარიელი და პარალიზებული იყო. ასე აშინებთ უდაბნოს მკვიდრთ თოვლი.

წმინდა მიწაზე ყოფნისას ვნახე ებრაელთა პოლიტიკური აქტივობა, რომელიც ჩვენს მიტინგებს 100-ჯერ მაინც ჩამორჩებოდა.

**500-მა კაცმა საპროტესტო აქციით პრემიერ-მინისტრ შარონის გადადგომა და ახალი არჩევნები მოითხოვა. მთელი ისრაელი ტელეეკრანს მიეჯაჭვა. შარონი გადადგა და განაცხადა, რომ ხალხის მოთხოვნა უზენაესია. ხალხმა დაუფასა და დიდი პატივით დააბრუნა პოსტზე. როგორ არ გავავლო პარალელი სააკაშვილთან, რომელსაც მთელი ერი უპირისპირდება, ის კი კბილებით ებღაუჭება თავის სკამს.**

ისტორიულმა ქარტეხილებმა ებრაელებს სახელმწიფოებრივი აზროვნება ვერ დააკარგვინეს. რაღაც 55 წელიწადში უდაბნო სამოთხედ აქციეს და უცხოელებისათვის — მიმზიდველ ქვეყნად. კომპიუტერული სისტემის ირიგაციით უნაყოფო მიწა ყვავილების ხალიჩას დაამსგავსეს. წუთითაც არ წყდება წყლით მომარაგება, როცა წყლის რესურსად ერთადერთი გალილეის ტბა აქვთ. ჩვენი სოფლები კი უწყლობით ნადგურდება.

**ისრაელის სახელმწიფოებრივი აღდგენის 55 წლის იუბილის ზეიმს დავესწარი. სადად, მოკრძალებით, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აღინიშნა ეს დღე. მათი აზრით, მიღწეულით კმაყოფილება წინსვლას ხელს უშლის. ჩვენ კი ამ დანგრეულ ქვეყანაში პარადომანია გვჭირს.**

**— ქალბატონო ნუნუ, თქვენ დაბრუნდით, მაგრამ ემიგრანტთა უმრავლესობა ამას ვერ ახერხებს, რამ გადაგაწყვეტინათ „ამ დანგრეულ ქვეყანაში“ დაბრუნება?**

— ნოსტალგია გამუდმებით მტანჯავდა. ეს ავადმყოფობა ყველა ემიგრანტის სენია. ზოგი ძლევს, ზოგი — ვერა. ყოველ შაბათს, სამების ეკლესიაში შეკრებისას, ქართველ ემიგრანტთა რიცხვი მცირდებოდა. დეპორტაციის სამსახური იქ ფხიზლობს. მშენებლობაზე მომუშავე ქართველი მამაკაცები ისე გამოისტუმრეს საქართველოში, რომ უმძიმესი სამუშაოს ანაზღაურებაც არ მისცეს, არც ქალებს ინდობდნენ. შემოგზავნილი აგენტურა წარმატებით მუშაობდა. სათვისტომოში უნდობლობას თესდა და ეჭვის ჭიას აღვიძებდა. თოვლივით დნებოდა ქართველთა ერთობა. თითქმის ყველა დააპატიმრეს. შეკრებებს უკვე ვერიდებოდით. ბოლოს, ერთი რუსთაველი 75 წლის ქალი შევიფარე. ის ერთადერთი ძაფი იყო, რომელიც ჩემიანებთან მაკავშირებდა. ვთხოვდი, გარეთ არ გასულიყო. არ დამიჯერა, გავიდა და... ამან ჩემზე ავადმყოფობამდე იმოქმედა, აფორიაქება და ნევროზული შიში დამიტოვა. ქართველთა მასობრივმა დევნამ, შევიწროებამ ჩემი ბუდისა და ოჯახის მონატრება გამიმძაფრა. ანგარებიანი არ ვარ და რაღაც დანაზოგიც მქონდა, რაც იმედს მაძლევდა, რომ დაბრუნების შემთხვევაში შიმშილითა და სიღატაკით აღარ დავიხოცებოდით. ამ დროს იერუსალიმში ჩვენი პატრიარქი ჩამოვიდა. დღესაც გულში მაქვს ჩარჩენილი ილია II მიმართვა. ჩვენ, დარჩენილი ქართველები, როგორც მიტოვებული ბავშვები მამის ხილვისას, ისე ვტიროდით. მან გვითხრა: — „რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდით, ამ წმინდა მიწას მიზიდულობის მაგიური ძალა აქვს და ყოველთვის გექნებათ სურვილი, აქ დარჩეთ“... უწმინდესის სიტყვები უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა, დავბრუნდი ჩემს საქართველოში, რომელიც წმინდა მიწაზეც გამუდმებით მიხმობდა.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# ფრანგებს ობამანია არ მოსწონთ

**მსოფლიო პრესის პუბლიკაციები ცირკულარი შხაპივითაა — ცივი და ცხელი წყლის მკვეთრი მონაცვლეობით რომ გაფხიზლებს და უკიდურესობისკენ გადახრის თუ შეჩვევის საშიშროებისგან გიცავს.**
**ამერიკისკენ თუ რუსეთისკენ? — ასეთია უკიდურესობათა ეს ამპლიტუდა.**



გაურკვევლობაა. იქნებ, კურსის ძიებაც, მიმართულების, რომელიც საბოლოოდ ჯერ ლიდერებსაც ვერ ჩამოუყალიბებიათ. ამიტომაა, რომ მათი განცხადებები საერთაშორისო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე, ხშირ შემთხვევაში, ცირკულარული შხაპისა არ იყოს, იქითაცაა და აქეთაც — მგლისკენაც და ცხვრისკენაც. სიტუაციაა ისეთი, ინტერპრეტაცია იმგვარი, რომ ეს ურთიერთგამომრიცხაობა შეიძლება ერთდროულად ერთსაც მიაწერო და მეორესაც. ნებისმიერი ცვალებადობითა თუ თანმიმდევრობით.

აშშ პრეზიდენტმა **ბარაკ ჰუსეინ ობამამ** სტრასბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: **„ნატომ უნდა აღიაროს, რომ რუსეთს აქვს ლეგიტიმური ინტერესები. ზოგჯერ ჩვენი ინტერესები საერთოა, ზოგჯერ — განსხვავებული“.** და ეს, საკმაოდ ორაზროვანი პოზიცია, განმარტა როგორც მათ შორის დიალოგის გამართვის აუცილებლობა, რათა უზრუნველყონ სტაბილურობა „ევროპის ყველა ქვეყნის... ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის ცნობის გზით“.

ქანქარა რუსეთისკენ გადაიხარა — აუცილებელია დიალოგი!

მაგრამ ობამამ ამასთანავე განაცხადა, რომ იგი **გმობს რუსეთის შეჭრას საქართველოში და მიაჩნია, რომ „პრეზიდენტ სარკოზის წარმოუდგენელი ძალისხმევის მიუხედავად, რომელიც შეუთანხმდა მედვედევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, სიტუაცია ჯერ კიდევ არ არის სტაბილური“.**

ქანქარა რუსეთს დასცილდა: რუსეთი შეთანხმებას არ ასრულებს!

და დასკვნა: **„ვფიქრობ, რომ რუსეთს უნდა გავუგზავნოთ ძლიერი სიგნალი, რომ მზად ვართ, მათთან ერთად ვიმუშაოთ.** ჩვენ ვერ დავუბრუნდებით წარსულის მეთოდებს“, — ასე თქვა ობამამ.

ესე იგი, სახით რუსეთისკენო.

საქართველოს რა რჩება? „დაგმობა“ და კარგად ბრძანდებოდეთ!

მაგრამ ნუ ვიქნებით ასე კატეგორიულები, რადგან ჯერ კიდევ არ გამქრალა ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან გამოყოლილი იმედი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი გაწევრების თაობაზე.

მაგრამ, აი, რუსი დიპლომატი, რუსეთის წარმომადგენელი ნატოში აცხადებს, რომ ალიანსში საქართველოს გაერთიანებას ხაზი გადაესვა: „ვფიქრობ, რომ საქართველო და უკრაინა ახლა უფრო დაშორებულია ნატოში შესვლას, ვიდრე ერთი წლის კი არა, ხუთი წლის წინათ“.

ეს წყლის გადაწურვაა და ერთი უკიდურესობა.

მეორე მხრიდან კი გვესმის, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა და **ოდესმე საქართველოც გადააბიჯებს ამ კარის ზღურბლს.** ხელისუფლების ალტყინებული აგიტატორები ამ ზრდილობიანად ნათქვამ არც „ჰოს“, არც „არას“ ისეთ მაჟორში იმეორებენ, თითქოს ბეჭედდასმული დასტური იყოს.

**ოდესმე,** ანუ იგივე **როდისმე,** ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს — რაღაც დროს, გაურკვეველს, დაუზუსტებელს, განფენილს მომავლის უსასრულობაში.

ახლა რა?

ახლა აკაკი ასათიანის მიერ სააკაშვილის განცხადებების კომენტარისა არ იყოს — „შევალთ ნატოში, კარგია, არ შევალთ — კარგია“...

გინდა ამ კედელს ურტყი თავი, გინდა იმ კედელს უხათქუნე. მაინც ვერაფერს გაარკვევ.

ისევე ვერ გაარკვევ, როგორც რუსეთის ტელეარხ „როსიაზე“ ჟურნალისტ არკადი მამონტოვის დოკუმენტური ფილმის ჩვენების ქვეტექსტს.

მამონტოვი ამტკიცებს, რომ ამერიკელები თავიანთ საავიაციო ბაზას ყირგიზეთში, მანასში ჯაშუშობისა და ავღანეთიდან ნარკოტიკების ტრანზიტის საფარად იყენებდნენ.

„კომენტატორების აზრით, — ასკვნის გაზეთი, — ეს ფილმი **არის გზავნილი ლიბერალებისა და იმათთვის, ვინაც იფიქრა, რომ პრეზიდენტ მედვედევის პირველი შეხვედრა ამერიკელ კოლეგასთან — ბარაკ ობამასთან ორმხრივი ურთიერთობის შემობრუნების მიჯნა გახდა“.**

თუ ეს პუბლიკაცია ორი ზესახელმწიფოს მხარდამჭერია, პრაგმატული მუხტის შემცველია, მეორე ავტორიტეტული ფრანგული გაზეთი **„ლე ფიგარო“** არ მალავს თავის გალიზიანებას ობამას მიერ პრაღაში წარმოთქმული სიტყვის გამო. კორესპონდენტი ალენ ბარლუე დაუფარავად აღნიშნავს, რომ **პარიზი განწყობილი არ არის, უსმინოს ამერიკელების ჭკუის დარიგებას განიარაღების სფეროში.**

**მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ობამანიის საყოველთაო გატაცების თაფლის კასრში ელისეს სასახლის მრჩევლებმა ერთი კოვზი კუპრი გაურიეს:**

**პრეზიდენტ სარკოზის მოუმზადეს მასალა, რომელშიც საკმაოდ მკვეთრი და მოურიდებელი გამოთქმებით დაკნინებულია ობამას წინადადებები ატომური განიარაღების შესახებ. „მის სიტყვაში ლაპარაკია არა ამერიკის თავდაცვით პოლიტიკაზე, არამედ ამ პოლიტიკის ექსპორტულ ვარიანტზე, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატების იმიჯის გაუმჯობესებისკენაა მიმართული“,**

**— მიიჩნევენ საფრანგეთის პრეზიდენტის გარემოცვაში.**

ანალიტიკოსების აზრით, ბარაკ ობამას მიერ წარმოდგენილ მსოფლიოს სურათში, რომელშიც არ იქნება ბირთვული იარაღი, გადმოცემულია ვაშინგტონის სურვილი — **გაწელოს დრო მასშტაბური და ძვირადღირებული განიარაღების საქმეში სხვა ქვეყნების ჩათრევით. „ობამას წინადადებების უმრავლესობა ჯორჯ ბუშის პოლიტიკის გაგრძელებაა“,** — ამტკიცებს „ლე ფიგარო“.

და მაინც, ყველაზე მწვავე შეკითხვას — „ახლა საით?“ **„გარდიანის“** მიმომხილველი ერიკ ჰობსბაუმი სვამს. მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ XXI საუკუნის სულისკვეთებით აზროვნებას — გასული საუკუნის ძირითადი პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეა ისტორიის ძაბრში ჩაიწრიტა“, თანამედროვე სამრეწველო ეკონომიკა აღარ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ორი ურთიერთგამომრიცხავი სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირება. „მომავალი შერეულ ეკონომიკას ეკუთვნის“, — მიაჩნია ავტორს.

ჰობსბაუმი სულაც არ არის სოციალისტური იდეების მეხოტბე, მით უფრო ღირებული და ობიექტური ჩანს მისი დასკვნები სოციალისტური წყობილების ზოგიერთი უპირატესობის შესახებ.

„არავინ სერიოზულად არ აპირებს საბჭოთა ტიპის სოციალიზმისკენ დაბრუნებას, — ამბობს იგი, — რადგან მისი ეკონომიკა შენელებული ტემპით ვითარდება და არაეფექტიანია. მაგრამ არ უნდა დავაკნინოთ ამ წყობილების შთამბეჭდავი სოციალური და საგანმანათლებლო მიღწევები“.

სსრ კავშირის კრახის შემდგომ, დღემდე არცერთ პარტიას არ გამოუცხადებია, რომ კაპიტალიზმი მიუღებელია. დიდი ბრიტანეთის ახალმა ლეიბორისტებმა 1997 წლიდან ფსონი „გლობალური თავისუფალი ბაზრის თეოლოგიაზე“ დადეს. ქვეყანამ ბირჟის დარეგულირება მოახდინა, **გაყიდა მრეწველობა, შეწყვიტა საქონლის საექსპორტოდ წარმოება და ამჯობინა, გამხდარიყო ფულის „გამრეცხავი“ მულტიმილიარდერების სამოთხე.** ამიტომ (მიაქციეთ ყურადღება და შეეცადეთ, გაავლოთ პარალელები საქართველოსთან!) დიდ ბრიტანეთსა და ფუნტ სტერლინგს კრიზისი უფრო მაგრად დაარტყამს, ვიდრე სხვა ქვეყნებს, — პროგნოზირებს მიმომხილველი.

მაშ, საით? შერეული ტიპის ეკონომიკისკენ? მაგრამ, ჯერ ერთი, არავინ იცის, როგორ გამოვიდეთ ეკონომიკური კრიზისიდან, მეორე, პოლიტიკოსებსა და მთავრობებს ბრმად სჯერათ, რომ კერძო სექტორის უპირატესობას არაფერი სჯობია.

**ავტორს ეჭვი ეპარება, რომ „მაქსიმალური ეკონომიკური ზრდა და კომერციული სტრუქტურების კონკურენცია ყველა ქვეყნისთვის ნებისმიერ პირობებშია აუცილებელი“.**

აბა, რა ვქნათო?

უნდა დავიბრუნოთო რწმენა, რომ ეკონომიკური ზრდა და აყვავება მხოლოდ საშუალებაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

**მაგრამ ეს დებულება ხომ კომუნისტების იდეოლოგიიდანაა გადმოღებული?**

ამაზე ავტორი არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, იმოწმებს ლონდონის მაგალითს, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ერთიანი ეროვნული პროდუქტის 20-30 პროცენტი აწარმოა და, ამასთან, რიგითი მოსახლეობისთვის ცხოვრების სიძვირით გამოირჩევა; ასევე, უმუშევრობისა და სასკოლო განათლების პრობლემებით.

საქართველო კი ნასოროსალი განათლების ყოფილ მინისტრს ბრმად ენდო და მივიღეთ რაღაც ერზაცსისტემა, რომელიც არც იქითაა, არც აქეთ. მაგრამ ცუდი რომ არის, ფაქტია.

დაბოლოს: მოცემულ სიტუაციაში ეკონომიკური ზრდის ტემპის გაძლიერებასა და ფიზიკური პირების შემოსავლის გაზრდაზე კი არ უნდა აიღოს კურსი სახელმწიფომ, არამედ **სოციალური პერსპექტივის გაფართოებაზე ყველასა და თითოეულისათვის,** — ასკვნის „გარდიანი“.

**ესეც, ჩემო ბატონო, სოციალიზმის კარაბადინიდანაა.**

კი — სოციალიზმმა ფიასკო განიცადა, კი — კაპიტალიზმი გაკოტრდა, მაგრამ რა იქნება შემდეგ, რომელი უკიდურესობა რომელ უფსკრულში გადაგვჩეხავს, ალაჰმა უწყის!

**თორნიკე მანველიძე**

## მე შაირი არ მინდოდა...

**იმდენჯერ მოიხსენიეს,
თურმე, სხვადასხვა ბრუნვაში,
ამდენი მიტინგისაგან
კოკოს გასცვივდა ულვაში!**

**ზვიად ძიძიგურს სიტყვა აქვს —
გურულ წყევლაზე საშიში,
ხაინდრავა რომ პირს აღებს,
მოჩანს პლანი და ჰაშიში!**

**ქეთი დოლიძეც გამოჩნდა
თეთრ ცოცხზე ამხედრებული,
გვერდს უჯდა რეზო ესაძე
პირ-სახე გამეხებული!**

**პროტესტის ნიშნად გაისმის,
როგორც რომ ბაზრის გნიასი —
გულში ჩამწვდომი კნავილი
ეკასი, ბესელიასი!**

**წავიდა ის დრო, ყველა რომ
ნინოს ზეობით ვხარობდით —
ტრიბუნაზე რომ გამოჩნდა,
სტვენით დაიქცა „ნაროდი“!**

**თერთმეტში ღამით გამოჩნდა
ჩვენი „სპეცნაზის“ ნატურა:
მენაგვეებმა დალეწეს
მიტინგის აპარატურა.**

**როგორც ჩანს, მთელი ქვეყანაც
მენაგვედ გადაქცეულა...
მიშა დასავლეთს უჩივის, —
რად დამტოვეთო ეულად?**

**მიტინგზე არცკი მიუშვეს
ნოღაიდელი ზურია,
როგორც ამბობენ, ზურიას
პრეზიდენტობა სწყურია!**

**ოდესღაც ყველა მოვიმკით,
თუკი რამე გვაქვს ნათესი:
სასაცილოა მოთხოვნა
გიორგი თარგამაძესი.**

**მოითხოვს, კოტე კუბლაშვილს
ვაგებინოთო პასუხი...
დაიმშა ბიჭი გიორგი,
ბადრის ფულებით ნასუქი.**

**ვერას დააკლებს მომხდური
ქართული ჯიშის ულაყებს...
ავლაბრის რეზიდენციას
კარვები შემოულაგეს.**

**და მალე სინათლის ქალაქს
შეცვლის კარვების ქალაქი,
ველარ უშველის პრეზიდენტს
„მასაჟისტკა“ და დალაქი.**

**ჯობია, მართლა წახვიდე,
თუ უკვე საფრთხე იგრძენი...
დიალოგს იხვეწებიან
გიორგი ბარამიძენი...**

**ორდენს მოგცემენ — ინანებ!
არ მოგცემენ და — ვაია!
ძმის გამო იხდის ბოდიშებს
გიორგი შენგელაია!**

**ვანიჩკა „სპეცნაზს“ ამზადებს,
შიშით ნუშიც ვერ ყვავილობს...
პრეზიდენტს დემონსტრანტებმა
გადაუყარეს სტაფილო.**

**ისევ მიტინგი წაიღებს
მიტინგისავე მოტანილს...
ერთი შეკითხვა გვიჩნდება:
— მიშას რად უნდა ბოსტანი?!**

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ: 38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru